დავით ქართველიშვილი

იყო საღამო, იყო დილა

რომანი

თბილისი, 2011

UDC (უაკ) 821.353.1+821.353.1-3
ქ-274

ახალი ქართული ლიტერატურა

პროექტის მიზანია, სრულიად საქართველოს გააცნოს იმ თაობის რჩეულ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ გამოჩნდნენ ასპარეზზე და ლიტერატურის მოყვარულთა მოწონება დაიმსახურეს.

წიგნი 4

პროექტის იდეა ბესო ხვედელიძე
სარედაქციო ჯგუფი: ზაალ ჩხეიძე
მანანა ჯანელიძე
ირმა ხარშილაძე
სტილისტი ლალი ჭინჭარაული
კორექტორები: სვეტა კვარაცხელია
მარინა ინანიშვილი
მანანა დაუშვილი
გარეკანის დიზაინი ანო კიკაჩეიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი

გამომცემლობა პალიტრა L, 2011
მის.: იოსებიძის ქ. №49
E-mail: book@palitra.ge
ტელ.: 238-38-71

ISSN 2233-3010
ISBN 978-9941-19-246-3

საით წავუვალ შენს სულს და შენ სახეს სად გაუექცევი? ზეცაში რომ ავიდე, შენ იქა ხარ, ქვესკნელში ჩავიდე და — იქაც ხარ!

ფსალმუნი 138-ე

და თუ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს მოიმედენი, ყველა ადამიანზე საცოდავნი ვყოფილვართ.

მოციქულ პავლეს პირველი წერილი
კორინთელთა მიმართ

1

მე ბაბუის სახელი და გვარი მაქვს. ბაბუას თავისი ბაბუის სახელი და გვარი ჰქონდა. ბაბუის ბაბუას თავისი ბაბუის. ბაბუის ბაბუის ბაბუას თავისი ბაბუის და ასე მიდის ეს ამბავი მთლად ადამამდე არა, მაგრამ ძალიან ღრმა წარსულში — კი. ისინი იყვნენ და მეც ვარ თაზო ბერიძე. ამ ბაბუებიდან მხოლოდ ჩემი ბაბუა მახსოვს და მიყვარს; და ეს სიყვარული არის ხანდახან უბრალოდ ძლიერი, ხანდახან — ძლიერ უბრალო. წესით და რიგით, მე ბაბუის გვარი არ უნდა მქონდეს, მაგრამ ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

ახლა მე ვცხოვრობ ბაბუის სახლში მაკასთან ერთად, თუმცა თბილისში ყველას ჰგონია, რომ ჩვენ საქორწინო მოგზაურობაში ვართ ოქროს ქვიშებზე. ამ ტყუილის გარეშე ბანკში ერთთვიან შვებულებას არ მოგვცემდნენ. ბანკს უყვარს, როდესაც თანამშრომლები სამსახურში არიან და არა — შვებულებაში. კაპიტალიზმი, ადამიანი-მგლები, კონკურენცია. მე და მაკა ხელჩაკიდებული შევედით შეფთან და ასე ხელჩაკიდებულებმა ვთხოვეთ ერთთვიანი შვებულება. შეფს ძალიან უნდა, რომ იყოს სისხლისმსმელი და მკაცრი, ძალიან უნდოდა ეთქვა, რომ ერთი თვე არის დრო, დრო კი ფუ-

ლია. მაგრამ თქვა: ქორწილი? — და გაგვიღიმა. მე ავუხსენი, რომ ქორწილი გვექნება შვებულებიდან დაბრუნებისთანავე, თუ, რა თქმა უნდა, ბატონი შეფი მოგვცემს ამ შვებულებას. მან მოგვცა შვებულება და ჩვენც მადლობებით გამოვედით მისი კაბინეტიდან. ეს იყო გუშინ: მე და მაკამ კანცელარიაში რაღაც ქაღალდებზე მოვაწერეთ ხელი, საშვებულებო თანხა ავიღეთ და სახლებში წავედით მოსამზადებლად. მე ჩემს სახლში, მაკა — თავისაში. დაშლამდე ხვალინდელი შეხვედრის დრო დავთქვით და ახლა მე და მაკა აქ ვართ, ბაბუის სახლში.

2

მიწაზე ვწევარ და ცას ვუყურებ. მიწა თბილია, ცა — შორი. ცაში ღმერთია, ანგელოზები, ბაბუაჩემი, ჩემი რამდენიმე მეგობარი და უთვალავი უცნობი. რა თქმა უნდა, მე მათ ვერ ვხედავ (რა თქმა უნდა, ისინი მხედავენ). მე ვხედავ ღრუბლებს. ცა არ არის ყოველთვის ცისფერი. ცა გარეგნულად ცვალებადია. ცა ახლა მიწისფერია. „იწვიმებს“, — ვეუბნები საკუთარ თავს. ბაბუა ამბობდა, რომ საკუთარ თავთან ლაპარაკი სიგიჟის ნიშანია, მით უფრო — ამინდზე, რადგან ადამიანი ამინდს ვერ ქმნის. მაგრამ რა ვქნა? ჩემ ირგვლივ ახლა მხოლოდ ბალახია. ბალახის ენა მე არ ვიცი. ოდესმე ცაში ვიცხოვრებ, ყველა ენა მეცოდინება, ყველა საიდუმლო ამოცნობილი მექნება და აღარაფერი შემაწუხებს. განსაკუთრებით მომავალი, რადგან მომავალი აღარ იარსებებს. ჯერჯერობით კი მომავალი წარმოსახვაში არსებობს და მე, ოცდარვა წელია, ამ წარმოსახული მომავლისთვის ვაკეთებ ყველაფერს: ვსუნთქავ, ვჭამ, ვლოცულობ, ვსწავლობ, ვმუშაობ. ყველაფერს მომავლისთვის ვაკეთებ, ის კი მხოლოდ წარმოსახვაში არსებობს. რეალურად არსებობს მიწა, რომელიც ახლა თბილია, და ცა, რომელიც ახლა მიწისფერია და შორი. ოდესმე ცაში ვიცხოვრებ. ცა იქნება თბილი, ხოლო

მიწა — შორი. არსებობს წარსულიც, რომელიც სუნთქვით, ჭამით, ლოცვით, სწავლით, მუშაობით შევქმენი. შევქმენი უნებურად, რადგან ამ ყველაფერს მხოლოდ მომავლისთვის ვაკეთებდი. თავი ახლაც სავსე მაქვს გეგმებითა და პერსპექტივებით და ეს გეგმები და პერსპექტივები ჩემი აწმყოა. აქ, ბაბუის სახლში, მათ დასავიწყებლად ვარ ჩამოსული. ხანდახან მგონია, რომ მაკა არ უნდა წამომეყვანა. მაგრამ ჯერ ერთი, მაკას გარეშე არავინ მომცემდა ერთთვიან შვებულებას და, მეორეც, მჭირდება კარგი ჭამა და კარგი სექსი. მაკასგან ორივე მაქვს. მე არ ვიცი მაკას მიზნები, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მაკას მიზნები აქვს და არა — მიზანი. ჩვენ ერთი თვით ვართ აქ ჩამოსული. თავიდან გადავწყვიტეთ, რომ მობილურ ტელეფონებს თბილისში დავტოვებდით, მაგრამ მაკამ თქვა: ვინმე რომ მოკვდეს? — და მე დამეწყო მოლანდებები და ჩვენ მობილური ტელეფონები წამოვიღეთ. ტელეფონები გამორთული გვაქვს. ხანდახან ვრთავთ, სახლებში ვრეკავთ და ვიგებთ, რა ხდება.

„დასვენება სიკვდილის შემდეგაა, ძმაო!“ — ეს ბანკში ნასწავლი სიბრძნეა. მე მიყვარს ასეთი სიბრძნეები, უფრო სწორედ, მომწონს. რა მომწონს ბანკში ნასწავლ სიბრძნეებში? ალბათ ის, რომ ეს სიბრძნეები რაღაცას ამტკიცებს პათეტიკურად, მაგრამ ჰაერზე. და ჩემი ცხოვრებაც ესაა: პათეტიკა და ჰაერი. დასვენება სიკვდილის შემდეგაა, ძმაო!

ახლა მიწაზე ვწევარ, მიწა თბილია. ცას ვუყურებ, ცა შორია და მიწისფერი. წესით, უნდა იწვიმოს. მიწაზე ვწევარ და ვისვენებ. და თუ დასვენება სიკვდილის შემდეგაა, ძმაო? გამოდის, რომ მკვდარი ვარ?! არა, ასე არ არის. თუმცა ბანკისთვის ამ მომენტში მკვდარი ვარ. გამოდის, რომ მთავარია, საიდან შევხედავ... მე ჩემი თავიდან ვუყურებ ჩემსავე თავს: ცოცხალი ვარ.

მე და მაკამ ავტობუსით ვიმგზავრეთ. ავტობუსი იყო ძველი და აყროლებული. ადამიანების გარდა ავტობუსში ისხდნენ

და იწვნენ ქათმები, გოჭები და ერთი ძაღლი, რომელსაც პირზე ალიკაპი ეკეთა. „ეტყობა, ავი ძაღლია“, — გავიფიქრე.

ასეთი ავტობუსით მგზავრობა მაკამ მოისურვა და ხათრი არ გავუტეხე.

მაკა ქალია და ამიტომ ხანდახან მისი არ მესმის. მისი ეს სურვილიც ვერ გავიგე, ვერ მოვხვდი, რა რომანტიკაა ასეთი ავტობუსით გამგზავრებაში, მაგრამ (ვიმეორებ) ხათრი არ გავუტეხე. ასეთი ავტობუსები ლათინოამერიკულ რომანებშია. ოდესღაც მიყვარდა ლათინოამერიკული ლიტერატურა: მარკესი, სკორსა, ამადუ, ასტურიასი. შემდეგ დავიწყე მუშაობა ბანკში. იქ ამიხსნეს შიდაგანაწესი და მოვხვდი, რომ არანაირი სიყვარული საჭირო არ არის. მით უფრო — ლიტერატურული სიყვარული. არადა, ოდესღაც მეგონა, რომ მწერალი გამოვიდოდი.

ლათინოამერიკელმა ლიტერატორებმა გავლენა იქონიეს ჩემი და მაკას ურთიერთობაზეც. ერთხელ მაკას ჩემი საყვარელი ლათინოამერიკელი ავტორები ჩამოვუთვალე, ხოლო მაკამ თავი გადააქანა-გადმოაქანა და თქვა, რომ ყველა ეს მწერალი მდაბიოა, და რომ უნდა წავიკითხო ბორხესი და კორტასარი.

ბისტროში ვისხედით. ვჭამდით ჰოთ-დოგებს და ვსვამდით „კოკა-კოლას“. მაკა ლაპარაკობდა კორტასარზე, შემდეგ ბორხესზე, შემდეგ მისტიკაზე. მე მაკას თვალებში ვუცქერდი (ლამაზი თვალები აქვს). შემდეგ მაკამ ჩანთა გახსნა. მე წამოვიწიე და ვუთხარი: ფულს მე ვიხდი. მან კი ჩანთიდან ბლოკნოტი და კალამი ამოიღო. ბლოკნოტი გაშალა. რაღაც ჩაწერა. ფურცელი ამოხია, გამომიწოდა და მითხრა:

— რა თქმა უნდა, შენ იხდი, — მე მაკას ფურცელი გამოვართვი. ფურცელზე ეწერა: ბორხესი, კორტასარი, — ყველგან იყიდება, — და მაკამ ბლოკნოტი და კალამი ჩანთაში ჩააბრუნა, მერე ჩანთა დაკეტა.

ფურცელი ჯიბეში ჩავიდე და ფულის გადასახდელად სა-

ლაროსკენ წავედი. შესვენებაზე ვიყავით გამოსული. შესვენება გრძელდება ნახევარ საათს. ნახევარ საათში ბანკიდან გამოსვლა, ჭამა, ლიტერატურა, მისტიკა, ბანკში დაბრუნება. ყოჩაღ, ჩვენ!

ბისტროს კარი გამოვაღე და მაკას ვუთხარი: გთხოვთ.

მაკას გაეცინა: გმადლობთ, შვეიცარ.

და ჩვენ პირველად გავუღიმეთ ერთმანეთს. მე კარის ერთ მხარეს ვიდექი, მაკა — მეორე მხარეს. ჩვენ შორის იყო სქელი, მოვარდისფრო მინა. ჩვენ ამ ფრად ვხედავდით ერთმანეთს.

ავტობუსს კი თეთრი მინები ჰქონდა. ფანჯრები ღია იყო. მაკას თავი გარეთ ჰქონდა გაყოფილი... მე მაკას გვერდით ვიჯექი და თავგადაყოფილ მაკას ვუყურებდი. ჩვენ წინ ქალი იჯდა ორი ბავშვით. ერთი ბიჭი იყო, მეორე — გოგო. ბიჭი გოგოს თმას წიწკნიდა. ვერ ვიტყვი, რა ასაკის იყვნენ ბავშვები, რადგან ბანკში მუშაობამ ციფრებისადმი განსაკუთრებული გრძნობა გამიჩინა — ხომ ვერ ვიტყვი — ოთხი ან ხუთი მილიონი, უნდა ვთქვა ან ოთხი, ან ხუთი. ასევე ვერ ვიტყვი ოთხი ან ხუთი წლის. უნდა ვთქვა ან ოთხი, ან — ხუთი.

ჩვენ უკან ხნიერი ქალები ისხდნენ. ისინი საუბრობდნენ ფასებზე, მთავრობაზე, ფულების პარვასა და ბუნდოვან მომავალზე.

— ჩვენ ჩვენი მოვჭამეთ. ახალგაზრდები არიან ცოდოები, — ამბობდა ერთი.

— ჰო, ჰო, აბა! — ამბობდა მეორე.

მაკას მხარზე დავადე ხელი. მაკამ თავი შემოყო და ჩემკენ მოტრიალდა. გამიღიმა. მე და მაკას ლამაზი ღიმილი გვაქვს. საერთოდ, ბანკის ყველა თანამშრომელს ლამაზი ღიმილი აქვს. გამახსენდა ღიმილის ტრენინგები, რომლებსაც ბატონი ტობიას ჰილი (ბანკში ამერიკულ მხარეს წარმოადგენს) გვიტარებდა. ბატონი ტობიას ჰილი თავად გვთხოვდა, რომ მისთვის „ბატონოთი“ მიგვემართა და არა „მისტერით“. მი-

სი თხოვნა ჩვენთვის ბრძანებაა. ბატონი ტობიას ჰილი ასე გვმოძღვრავდა:

— ტუჩს ტუჩზე ვდებთ, ფაქიზად, ჰაეროვნად, მსუბუქად. ასე. ახლა ტუჩებს ვწელავთ და თვალებს ვაფართოებთ. კბილებს ოდნავ ვაჩენთ...

ასე ვისწავლეთ მე და მაკამ ღიმილი. მან, ვინც არ იცის ღიმილი, მას, ვისაც უშნო ღიმილი აქვს, მხოლოდ ბანკი კი არა, ცხოვრებაც არ იღებს. ესეც ბანკური სიბრძნეებიდანაა; ესეც ბანკური სიბრძნისკონიდანაა.

მე ხომ შეუმდგარი მწერალი ვარ. ამიტომაც წიგნზე მაინც ვფიქრობ, ქვეცნობიერად, ირიბად, ცერად, ალმაცერად. ხანდახან ვფიქრობ — შევკრებ ბანკურ სიბრძნეებს და გამოვცემ წიგნად. საერთოდაც, ოცდამეერთე საუკუნეა. აღარავის აინტერესებს მხატვრული ბოდიალი, აფორიზმების და სიბრძნეების საუკუნეა. ფრთიანი გამონათქვამების საუკუნეა. წიგნს დავარქმევ „მათთვის, ვისაც უნდა, მილიონერი გახდეს“ ან — მილიარდერი. ასეთი წიგნების ავტორები ხომ ძირითადად წიგნის გამოსვლის შემდეგ ხდებიან მილიონერები ან მილიარდერები, წიგნის წერისას კი ღარიბები არიან. უნდა ვიფიქრო ამ მიმართულებით. ვამჩნევ, რომ ჩემი „სიტყვის კონა“ წაბილწულია მასმედიით, ინტერნეტით. ენობრივი კათარზისი მჭირდება. თან მილიონი მჭირდება. არეული ვარ. ადრე მეგონა, რომ ლიტერატურა მჭირდებოდა. შემდეგ მეგონა, რომ კარგი ხელფასი მჭირდებოდა. ახლა მგონია, რომ ენობრივი კათარზისი და მილიონი მჭირდება. ამას ავტობუსში ვფიქრობდი.

ახლა მიწაზე ვწევარ. მიწა თბილია. ცას ვუყურებ. ცა შორია, ირგვლივ ბალახია და მგონია, რომ მხოლოდ სიმშვიდე მჭირდება. არეული ვარ. ხან რა მინდა და ხან — რა.

მაკამ ხელზე ხელი მომკიდა და თავისი ფეხისკენ წაიღო ჩემი ხელი. მაკას ახასიათებს ასეთი გამოხდომები — შუა ქუჩაში კოცნაობა, ავტობუსში ფერაობა. მე ეს არ მომწონს. გავიხედ-გამოვიხედე: ცა, გორაკები, ავტობუსის ღია ფანჯრე-

ბი, მგზავრები, ქათმები, გოჭები, ერთი ძაღლი, კალათები, ჩანთები, ბოხჩები. გახედვ-გამოხედვა ჩემი დამახასიათებელი თვისებაა. მგონია, რომ გამუდმებით მითვალთვალებენ. ვინ, ღმერთი? არა, ღმერთი ჩემშია. ეშმაკი? არა, ეშმაკიც ჩემშია. არეული ვარ. მაკას მაინცდამაინც გადასარევი ფეხები არა აქვს. მაკას ფეხები არსებობენ მაკასგან დამოუკიდებლად. ჩემი ხელიც არსებობს ჩემგან დამოუკიდებლად. ჩემი ხელი მაკას ფეხზე დევს. ჩემს ხელს და მაკას ფეხს თავისი ცხოვრება აქვთ. თუმცა ეს ცხოვრება ჩვენც გვეხება.

— კარგია? — ვკითხე მაკას და გავიხედ-გამოვიხედე. „ვინ მითვალთვალებს? ვინ?“

მაკამ თვალები ოდნავ მოჭუტა და თავი დამიქნია. შემდეგ იგივე თავი გარეთ გაყო. „კარგია, რომ ერთი თავი აქვს, — გავიფიქრე, — ორი ან მეტი თავი რომ ჰქონდეს, საშიში იქნებოდა მაკა“. — მოვრჩი ფიქრს. ავტობუსი ნელა მიდიოდა. მე ხელი ავიღე მაკას ფეხიდან.

— დრო მაინტერესებს, — ვთქვი მაკას გასაგონად და გავიფიქრე: „გაბრაზდა, ეწყინა... ამ ავტობუსმა ასე თუ იარა, ხვალამდე ვერ ჩავალთ“. და მაჯაზე დავიხედე. მაჯაზე თეთრი ზოლი მეტყობოდა და გამახსენდა, რომ ჩვენ ბაბუის სახლში უსაათოდ უნდა ვიცხოვროთ. საათები თბილისში დავტოვეთ. მობილურ ტელეფონებზე დრო წავშალეთ, ანუ ერთადერთი დრო არის ერთი თვე. რა მნიშვნელობა აქვს, როდის ჩავალთ.

მაჯაზე თეთრმა ზოლმა გარუჯული გოგოების მხრებზე თეთრი ზოლები გამახსენა (საქართველოში ხომ ნუდიზმი ჯერ არ არის მოდური). გარუჯულმა გოგოებმა ზღვა გამახსენეს. ძალიან მიყვარს ზღვა. ძალიან არ მიყვარს ზღვისპირას, მზისქვეშ წოლა. ძალიან მიყვარს მზისქვეშ არსებობა. ადრე მეგონა, რომ მზე არის ღმერთის ღიმილი, ხოლო მთვარე ღმერთის ცრემლია. მეგონა და ყველას ამას ვუმტკიცებდი. ახლაც ასე მგონია, მაგრამ ახლა არავის აღარაფერს ვუმტკიცებ.

ისევ ბანკი, ისევ ბატონი ტობიას ჰილი მახსენდება. ერთ-ერთ მოსაწყენ, მაგრამ ბარაქიან ა-ლა-ფურშეტზე ბატონმა ტობიას ჰილმა თქვა, რომ მისი თანამემამულე მეცნიერების გამოკვლევით, არსებობს ოცდაათი მილიონი მზე და ოცდა-ათი მილიონი ციფილიზაცია. ბატონ ტობიას ჰილს ბანკის სამოცდაოთხი პროცენტი ეკუთვნის, უფრო სწორად, ამ სა-მოცდაოთხ პროცენტს წარმოადგენს საქართველოში და, რა თქმა უნდა, ჩვენმა შეფმა ბატონ ტობიას ჰილს თავი დაუქნია. ჩვენი შეფი ფიქრობს, რომ ოცდაათი მილიონი მზის არსებო-ბაზე თავის დაქნევით ოცდაათი მილიონით ვერ გამდიდრდე-ბა, მაგრამ სამუშაოს შეინარჩუნებს. სწორად ფიქრობს ჩვენი შეფი, მართებულად ფიქრობს ჩვენი შეფი.

ჩვენს გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე ბატონ ტობიას ჰილს აცნობეს, რომ რამდენიმე ხანში სამშობლოში გაიწვე-ვენ. ამბობენ, რომ მას ვიღაც ახალგაზრდა ქალი ჩაენაცვლე-ბა. არ ვიცი და ახლა ამას არცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნე-ლობა, ეს ინფორმაცია სწორია თუ არა.

ყოველ კვირადღეს ბატონ ტობიას ჰილს ბანკის თანამ-შრომლები კუს ტბაზე აყავდით უთენია და ჩვენ, ბანკის თა-ნამშრომლები და ბატონი ტობიას ჰილი, კუს ტბაზე დავ-რბოდით. კაცებს ხომ გვეზარებოდა სირბილი და ქალებს ხომ ეზარებოდათ და ეზარებოდათ. ალბათ, „ისე არსად არ მღერი-ან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“, მაგრამ არსად ისე არ არიან ქალები მოშვებულნი, როგორც აქ, ამ ქვეყანაში. ამ წამს, ამ წუთს ასე ვფიქრობ, რადგან თვალწინ კუს ტბაზე მორბენა-ლი ბანკის ქალ-თანამშრომელთა სახეები მიდგას. მხნედ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბატონი ტობიას ჰილი იყო: თუ ცხელო-და, თეთრი მაისური და თეთრი შორტი ეცვა, თუ ციოდა — თეთრი სპორტული შარვალი.

ვინ იქნება მისი შემცვლელი? მართლა ახალგაზრდა ქა-ლი? თუ ეს ჭორია? როგორი იქნება ის? იტყვის თუ არა, რომ მისი თანამემამულე მეცნიერების გამოკვლევით, ოცდაათი მი-

ლიონი მზე და ოცდაათი მილიონი ცივილიზაცია არსებობს? ალბათ, იტყვის. მე ბევრ ამერიკელს ვიცნობ და ყველა ამ ოცდაათი მილიონი მზით არის დასიცხული და ამ ოცდაათი მილიონი ცივილიზაციით არის ატანილი ისევე, როგორც ჩვენ, ქართველები, ვართ დასიცხულნი და ატანილნი ამერიკით. ჩვენ გვგონია, რომ ამერიკა არის სამოთხე. ამერიკელებმა (ყოველ შემთხვევაში, მათ, ვისაც ვიცნობ) იციან, რომ ამერიკა სამოთხე არ არის. სამოთხე კი ისევე სჭირდება ამერიკელს, როგორც ქართველს, და ის ეძებს სამოთხეს, ახალ მზეებიანს, თუმცა ამერიკელები, ჩვენგან განსხვავებით, პრაგმატიკოსები არიან. ჩვენ რა, ერთი კინკილა სამოთხე გვაქვს — ამერიკა, ხოლო მათ — ოცდაათი მილიონი. არეულები ვართ.

ცა გრუხუნებს. ადრე მეგონა, რომ ცის გრუხუნი ღმერთის ბრაზი იყო, ხოლო წვიმა, ღმერთის... აღარ მახსოვს, რა. უკვე დიდი ხანია, ცის გრუხუნი ცის გრუხუნია; წვიმა წვიმაა. ადრე მეგონა, რომ ღმერთს ადამიანი ენანება. ახლა მგონია, რომ ადამიანი ღმერთის ხატია. შეიძლება, ძველი, სარესტავრაციო ხატი, მაგრამ ყოველთვის და ყველგან ხომ ძველი, სარესტავრაციო ხატების ძალის უფრო სწამდათ?! მგონია, რომ ღმერთს ახლაც ისევე სწამს ადამიანის ძალის, როგორც თავდაპირველად. ასე ვფიქრობ ახლა. ხუთი წუთის შემდეგ შეიძლება სხვანაირად ვიფიქრო. არეული ვარ. ღმერთმა თქვა და შეიქმნა სამყარო. ადამიანმა ჭამა ნაყოფი და შექმნა თავისი სამყარო. ღმერთმა შეხედა თავისი სიტყვით შექმნილ სამყაროს და მოეწონა. ადამიანმა შეხედა ნაყოფის ჭამით შექმნილ თავის სამყაროს და არ მოეწონა. და დაიწყო ახალი მზეების და ახალი ცივილიზაციების ძიება. ღმერთი გვეუბნება: მოინანიეთ! სინანული მდგომარეობაა, რომელიც ღმერთთან გვაბრუნებს. შეცოდება აქტია, რომელიც ახალ მზეებს და ახალ ცივილიზაციებს გვაძებნინებს. ჩვენ, სამწუხაროდ, პატივს ვცემთ აქტიურ ადამიანებს, გვაინტერესებს

მხოლოდ ის, რაც აქტუალურია. ცხოვრებას, სამწუხაროდ, თეატრს ვეძახით და აქტებად ვყოფთ. არადა, ცხოვრება მხოლოდ მდგომარეობაა.

ადრე მეგონა, რომ მხოლოდ ერთი მზე, ერთი მთვარე და ერთი ცა არსებობს. ახლაც ასე მგონია. და ეს ერთადერთი ცა გრუხუნებს და ამ ერთადერთი ციდან წვიმს, მსხვილად წვიმს. წესით და რიგით, არ უნდა გავურბოდე წვიმას, რადგან ღმერთის შექმნილი ვართ ორივე, მაგრამ მე არეული ვარ; მე გავურბივარ წვიმას. ეს არაბუნებრივია. „პათეტიკა და ჰაერი", — მეუბნება ჩემი აქტიური ნაწილი, რომელსაც უკვე ბანკში ჯდომა ენატრება და ამ ყველაფერს უაზრობად თვლის; თავს ზემოთ მაწევინებს და წვიმას მაგინებინებს; შემდეგ სახლისკენ მიმარბენინებს, კარის სახელურს მაწევინებს დაბლა და კარს მაღებინებს.

ფაქტია: მე ბაბუის სახლის შემოსასვლელში ვდგავარ და მაკას ღიღინი მესმის. მე და მაკას ერთნაირი მუსიკალური გემოვნება გვაქვს. ამიტომაც მომწონს ის, რასაც მაკა ღიღინებს. და, საერთოდ, მაკა მომწონს.

3

წესით და რიგით, მე ბაბუის გვარი არ უნდა მქონდეს და იყო დრო, რომ არ მქონდა. ერთხელ, სახლში დაბრუნებულს, მამა აღარ დამხვდა. მაშინ მეორე კლასში ვიყავი. დედა ერთი წლის მანძილზე მეუბნებოდა, რომ მამა ალჟირშია, რომ იქ კაშხალს აშენებს და მალე დაბრუნდება. მე მგონია, რომ ამ ერთი წლის მანძილზე დედას მართლა სჯეროდა, რომ მამა დაბრუნდებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ დედა საკუთარ თავს ლამაზ ქალად თვლიდა. მამა არ დაბრუნდა. მამამ ძალიან მერე დარეკა და თქვა, რომ სიდნეიში ცხოვრობს.

მამას ვუთხარი: — მიხარია, რომ ცოცხალი ხარ.

ხოლო მამამ მითხრა: — აქ თუ ჩამოხვალ, გამახარებ.

პირდაპირ არ დავთანხმებივარ. ჯერ ვუთხარი, რომ მის გვარს აღარ ვატარებდი, რომ მესამე კლასიდან ბერიძე ვარ. რომ პირველ წელს ძალიან გამიჭირდა. სკოლაში სიის ამოკითხვისას ბერიძეზე არ მქონდა რეაქცია. მასწავლებლები მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ ძველი გვარით არ მოემართათ. ახლა ჩვიდმეტი წლისა ვარ და ყველაფერს კარგა ხანია, შევეგუე.

და მერეღა ვთქვი: — ჩამოვალ, მამა.

ხოლო მამამ მითხრა: — ერთი, დედაშენი დამალაპარაკე.

ყურმილი დედას გადავეცი. ის ჩემ გვერდით იდგა. მამამ და დედამ დიდხანს ილაპარაკეს. დედა ხან ყვიროდა, ხან ტიროდა. რამდენჯერმე გაეცინა კიდეც. შემდეგ ყურმილი დაკიდა, მომიტრიალდა და თქვა:

— მამაშენი არ არის კარგი კაცი, — მე ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ ხმა არ ამომიღია, — მაგრამ შენ ცუდ, არასანდო, გათახსირებულ ქვეყანაში ცხოვრობ, ამიტომ მამასთან უნდა წახვიდე.

შემდეგი სამი წელი სიდნეიში გავატარე. მამა სიდნეიში ცოლთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა. მისი ცოლი ებრაელი იყო. შვილები გოგოები იყვნენ, ჭორფლიანი, კიკინიანი გოგოები. წინა კბილებს იცვლიდნენ და ამიტომ ლაპარაკისას ჩიფჩიფებდნენ.

— ესენი ებრაელები არიან, იმიტომ, რომ დედა ჰყავთ ებრაელი. შენ ჩემს გვარს აღარ ატარებ. ყველგან გაწყალდა ჩემი სისხლი. ამათშიც (მე ჩემს ნახევარდებს გავხედე) და შენშიც... — თქვა მამამ.

სამი წლის განმავლობაში ჩემს ნახევარდებს კბილებიც ამოუვიდათ და კიკინებიც გაიშალეს.

დღიურებს ვწერდი: ჩვიდმეტი წლის ვარ. ვცხოვრობ უცხო ქალაქში ათი წლის უნახავ მამასთან და მის ახალ ოჯახთან ერთად. ყოველ დილით მივდივარ კოლეჯში. კოლეჯის მოსამზადებელ განყოფილებაზე ვსწავლობ ინგლისურ ენას.

ვამჩნევ, რომ აქ ნასწავლი ინგლისური განსხვავდება ქუჩის ინგლისურისგან და ვფიქრობ, რა უფრო მნიშვნელოვანია — კოლეჯი თუ ქუჩა? მამა მეუბნება, რომ ორივე. ეს უცნაური პასუხია. მე ჩვიდმეტი წლის ვარ და გამუდმებით მახსოვს, რომ ქალთან არ ვარ ნამყოფი. მჯერა, რომ ქალთან პირველად ამ უცხო ქალაქში მექნება შეხება, თუმცა ჯერჯერობით ქალი არ ჩანს (ჩვიდმეტი წლის ვიყავი და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ასაკის იქნებოდა ქალი). მამას ახალი ცოლი და ორი პატარა შვილი ხშირად ლოცულობენ ჩემთვის გაუგებარ ენაზე და ჩემთვის გაუგებრად. მე ვგრძნობ, რომ მამას ახალი ცოლისა და ჩემი ნახევარდების ლოცვასავით გაუგებარია თავად ეს ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობ. ვგრძნობ, რომ არც მამას ახალი ცოლის და ჩემი ნახევარდების ლოცვის ნაწილი ვარ და არც ამ ქალაქის. ვფიქრობ, რომ საჭიროა ბევრი ფოტოს გადაღება, რათა დავაკმაყოფილო ცნობისმოყვარეები, რომელთაც ადრე თუ გვიან შევხვდები, რადგან ადრე თუ გვიან მე თბილისში დავბრუნდები. იქ კი აუცილებლად მკითხავენ: როგორი ქალაქია სიდნეი? — და მე ფოტოებს ვაჩვენებ: აი, ასეთი.

ფოტოაპარატს ვყიდულობ, კისერზე ვიკიდებ და ვიწყებ ქალაქთან დაახლოებას. ფოტოაპარატით ვიღებ ყველაფერს: შენობებს, ხეებს, ადამიანებს, ოკეანეს. ხანდახან ვაჩერებ გამვლელებს და ვთხოვ, გადამიღონ ფოტო შენობის, ხის ან ოკეანის ფონზე. ჯერჯერობით აქ არავისთან ვარ ისე ახლოს, რომ მასთან ერთად ფოტო გადავიღო. ეს მაწუხებს. რამდენიმე ფოტო ავტომობილზე მიყუდებულმა გადავიღე. გრძელ, შავ ავტომობილზე მიყუდებულმა. ამ ფოტოებიდან რომელიმე შეიძლება ჩემი საფლავის ქვაზე გამოსახონ. საქართველოში საფლავის ქვაზე ხომ ხშირია ასეთი გამოსახულება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, ახალგაზრდა თუ მოკვდები. საფლავის ქვაზე მე ავტომობილზე ვარ მიყუდებული (საბედნიეროდ, ასეთი რამეების გამოსახვა ახლა მოდაში აღარაა.

სამწუხაროდ, ახალგაზრდების სასაფლაოების რიცხვმა იმატა). ასეთი ფიქრებით ერთ ახალ იდეამდე მივდივარ და მის განხორციელებას ვიწყებ — ვინტერესდები სიდნეური სასაფლაოებით. თავისუფალ დროს დავწანწალებ სასაფლაოებზე. ვაკვირდები აქაურ ტრადიციებს, ვესწრები დაკრძალვებს. არაფერი განსაკუთრებული (იმ დროს ჩვიდმეტი წლის ვიყავი და სიკვდილი თამაშივით იყო. ჩვიდმეტი წლის ბიჭი სიდნეიში 1993 წელს განსხვავდება ჩვიდმეტი წლის ბიჭისგან თბილისში 1993 წელს). აქაურებმა არაფერი იციან საქართველოს შესახებ. არც მე მინდა, ვიცოდე, მაგრამ არ გამომდის. კვირაში ერთხელ თბილისში ვრეკავ. დედა მეუბნება, რომ ქუჩაში არ გაისვლება. შემდეგ ახლად დაღუპულთა, ახლად გარდაცვლილთა, ახლად მოკლულთა სიას მაცნობს: მეგობრები, მეზობლები, დიდები, პატარები. ყველა იღუპება, ყველა კვდება, ყველას კლავენ, მაგრამ მე დედის ხმა მესმის და წყნარად ვარ. დედა ტირის და მთხოვს, რომ არ დავბრუნდე. ეს ხდება ჩემ მიერ თქმული „მენატრების“ შემდეგ. ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის დასაწყისში კი მეუბნება, რომ ბაბუა მოკვდა (ღვთის წყალობით, არ მოუკლავთ, თავისი სიკვდილით მოკვდა. დაიძინა და მორჩა).

— ბაბუა ხომ გახსოვს, თაზუნა? — და ტირის, ტირის, ტირის.

— როდისაა დასაფლავება? — ვეკითხები.

— კვირას და მაქედან ფეხის გამოდგმა არ გაბედო, თორემ დედაც მოგიკვდება, — მემუქრება დედა.

მე ვარწმუნებ, რომ ფეხს არ გავადგამ აქედან და ვემშვიდობები. ყურმილს ვკიდებ და მამასთან გავდივარ ოთახში. მამა სავარძელში ზის და გაზეთს კითხულობს.

— ბაბუა მოკვდა.

— მოკვდა და მოკვდა, რა ვქნა, მაგ კაცს მე არ ვუყვარდი, არც მე მიყვარდა, — თავს არ სწევს, ისე ამბობს.

აღარაფერს ვპასუხობ. ოთახიდან გამოვდივარ. ვიცი: მამას

და ბაბუას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ბაბუას არ ემეტებოდა თავისი შვილი მამაჩემისთვის, გამოდის, რომ ბაბუა (რა თქმა უნდა, უნებურად) ეწინააღმდეგებოდა ჩემს დაბადებას. უცნაურია. ბაბუა ახლა მკვდარია. სახლიდან გამოვდივარ და წელიწად-ნახევრის განმავლობაში პირველად ვგრძნობ, რომ ეს ქალაქი ჩემთვის უცხო არ არის — ადამიანები, ავტომობილები. ბაბუა მკვდარი. მამა ცოცხალი. ერთმანეთი არ უყვარდათ. დედა. დომხალი მაქვს თავში. სკვერში შევდივარ. ვჯდები. ეს სკვერი ვიღაც აქაური გამოჩენილი ადამიანის სახელობისაა. ვიცი: ბაბუა ყოველთვის ნაბიჯვრად მთვლიდა, რადგან მამაჩემს არ ცნობდა. ბაბუა პირველად მამას წასვლის შემდეგ ვნახე. ზაფხული იყო. დედამ ხელი დამავლო და სოფელში წამიყვანა (ახლა ზუსტად ამ სახლში ვართ მე და მაკა). პირველად ვხედავდი სოფელს. პირველად ვხედავდი ასეთ სახლს, ბუხარს, კედელზე ხალიჩებს, ხალიჩებზე — ხმლებსა და ხანჯლებს.

დედამ თქვა: ჩვენს გვარზე გადმოვწერე.

ბაბუამ თქვა: აღსრულდა.

დედა გაბრაზდა: დაიწყე ეხლა, აღსრულდა. ღმერთი. ეშმაკი.

მერე ბაბუამ ხელი მომკიდა, აივანზე გამიყვანა და მკითხა:

— გორებს ხედავ? — მე თავი დავუქნიე, — იქ სიცოცხლეა. ტყეს ხედავ? — მე თავი დავუქნიე, — ტყეში სიცოცხლეა. მდინარეს ხედავ? — მე თავი დავუქნიე, — წყალში სიცოცხლეა. შენ შეგიძლია, ყველგან იცოცხლო: გორებში, ტყეში, წყალში.

— წყალში ვერა, წყალში ვერ ვსუნთქავ.

— შენ შეგიძლია, წყალშიც ისუნთქო.

— როგორ?

— სხვა დროს გასწავლი.

ბაბუას არ უსწავლებია ჩემთვის წყალში სუნთქვა, ალბათ, არც თვითონ იცოდა. ახლა ბაბუა მკვდარია. მე ცოცხალი ვარ და წყალში სუნთქვა არ ვიცი.

შემდეგ მე და ბაბუა სახლში შევბრუნდით:

— ბავშვს სკოლა არ შეაცვლევინო, არ არის საჭირო. ახალი გვარით ძველ სკოლაში — დევიზივით ჟღერს.

— არ შეაცვლევინებ.

მე ვიდექი კუთხეში და სახლის სურნელს ვიხსომებდი (და ახლა, როდესაც მე ფანჯარასთან ვდგავარ, ჩემ უკან მაკა დგას, ხელები ჩემს მხრებზე უწყვია და დროდადრო მაისურის ქვეშ მიცურებს, მე იმავე სურნელს ვიყნოსავ, რასაც მაშინ. ამ სახლს იგივე სურნელი აქვს, ოღონდ — დამტვერილი).

მე ჩვიდმეტი წლისა ვარ, ნაბიჭვარი ვარ, სკვერში ვზიავარ და ვფიქრობ, რომ ნაბიჭვარი ვარ, რომ ბაბუა მკვდარია, რომ დღეს სახლში არ მიგალ, რომ ეს ქალაქი ჩემი მშობლიური ქალაქია და ქუჩაში ღამის გათევა არ გამიჭირდება. კვირას, ჩვეულებისამებრ, დაკრძალვას ვესწრები, მაგრამ ჩემი განწყობა არაჩვეულებრივია. ვტირი. დღეს ბაბუას ასაფლავებენ თბილისში, მე სიდნეიში ვესწრები ვიღაცის დაკრძალვას და ვფიქრობ, წარმოვიდგენ, რომ ეს ბაბუას დაკრძალვაა და ვტირი. ვფიქრობ: „ღამით დედას დავურეკავ, გაუხარდება. ტკბილად დაველაპარაკები". დაკრძალვა დამთავრდა. სასაფლაოს ვტოვებ. გამოსასვლელთან გოგოს ვხვდები, რომელიც მიღიმის და მეუბნება:

— სხვადასხვა სასაფლაოზე გხედავთ. მე მიყვარს სასაფლაოებზე სიარული, ალბათ, თქვენც, — ხელს მიწვდის და მეცნობა, — მე მილინდა ვარ.

მე მიხარია, რომ ჩემს სახელს ინგლისური შესატყვისი აქვს. მილინდას ხელს ვართმევ და ვეუბნები:

— მე თომასი ვარ, — და რადგან ვიცი, რომ მკითხავს, საიდან ვარ და აქ ვისთან ვარ, ვაკონკრეტებ: — ქართველი ვარ, აქ მამასთან ვცხოვრობ.

მერე ვეკითხები, საიდან არის და აქ ვისთანაა. მილინდა ამერიკელია და აქ სულ, სულ მარტოა.

— მარტო ვარ, სულ, სულ მარტო, — და მე მიყურებს. მეც

ვუყურებ. ვულიმით ერთმანეთს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვიმეორებ:

— აქ მამასთან ვარ.

4

ვამბობ, რომ მჭირდება კარგი საჭმელი და კარგი სექსი. ვამბობ, რომ ორივე მაქვს მაკასგან. მაკა ახლა ჩემ უკან დგას და ხელები ჩემს მხრებზე აქვს დაწყობილი. ხანდახან ხელებს მაისურის ქვეშ მიყოფს. მეფერება და მიღიტინებს. მაკა. მაკა. მაკა. ძალიან მომწონს მაკას ფერება, ხოლო ღიტინის დროს ძალიან ხმამაღლა ვიცინი. გადაჭარბებულად ვიცინი, რადგან ღიტინი მსიამოვნებს. მაკა რომ მიღიტინებს, ეს მსიამოვნებს. საერთოდ, მაკა მსიამოვნებს. მაკა ჩვენებური გოგოა და ეს არის მიზეზი, რომ პრაქტიკულად სექსუალურად უვიცია, თუმცა თეორიული ცოდნა დიდი აქვს: ფროიდი, ფრომი, ბერნი, იუნგი — ცვივა და ცვივა მაკას პირიდან გვარები. მაკა ამ გვარების უკან იმალება. კარგი სექსი და პრაქტიკული სექსუალური უვიცობა ერთი შეხედვით ერთმანეთს გამორიცხავს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

ჩვენი, ადამიანების, უბედურება სწორედ ესაა, რომ ძალიან ვენდობით პირველ შეხედულებას. ერთი შეხედვით, არ არსებობს ღმერთი, არც ეშმაკი, ერთი შეხედვით სიცოცხლე ქარის მოტანილია და ქარს მიაქვს ბოლოს, ხოლო რეალურად: არსებობს ღმერთიც და ეშმაკიც და სიცოცხლე არანაირ ქარს არ მოაქვს და არც არანაირ ქარს არ მიაქვს ბოლოს. ქარის მიერ რაღაცების მოტანა-წაღების ამბავი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გვათავისუფლებს, რადგან ჩვენ არანაირი პასუხისმგებლობა არ გაგვაჩნია ქარის წინაშე, და ეს მოგვწონს.

ჩემთვის კარგი სექსი არის სექსი, რომელიც არ მითრევს, რადგან ჩემი ცხოვრება ჩემს სასქესო ორგანოსთან ომია. მე

არ ვიცი, როდის დაიწყო ეს ძნელი ომი. შეიძლება მაშინ, როდესაც თხუთმეტი წლისა ვიყავი და მინდოდა, ბევრი ცოლი მყოლოდა, ბევრი ქალის მაგივრად კი ბევრი ძმაკაცი მყავდა. დღეს, ცამეტი წლის შემდეგ, ბევრი ქალი მყავს და მინდა, ბევრი ძმაკაცი მყავდეს. ბევრი ქალი იდეაში მყავს, რადგან ამჟამად მხოლოდ და მხოლოდ მაკაა ჩემ გვერდით. მაკა, პრაქტიკულად, სექსუალურად უვიცია, ვერ მითრევს და, აქედან გამომდინარე, მასთან კარგი სექსი მაქვს.

ვამბობ, რომ კარგი საჭმელი და კარგი სექსი მჭირდება. ვამბობ, რომ ორივე მაქვს მაკასგან.

რა სჭირდება მაკას ჩემგან? რა აქვს მაკას ჩემგან? რა იცის მაკამ ჩემზე? მაკამ იცის, რომ სამი წლის წინ შევაღე ბანკის კარი, ხელში საქაღალდე მეჭირა, საქაღალდეში ფაილებად ეწყო აუცილებელი დოკუმენტაცია: ვინ ვარ? რა ვარ? რატომ ვარ? ყველა პასუხი იყო მიწიერი, არასრული და, ერთი შეხედვით — ურყევი და ჭეშმარიტი. მაკამ არ იცის, რას განვიცდიდი იმ წუთას, როგორ მიცემდა გული და მეკვეთებოდა მუხლები; მაკამ იცის, რა ფერი მედო სახეზე.

მაკას კაბინას მივადექი და ვკითხე, სად ვნახავდი მმართველს. მაკამ თავი ასწია და მკითხა:

— შეხვედრა გაქვთ დანიშნული?

მე თავი დავუქნიე. მაკამ ტელეფონის ყურმილი აიღო, ნომერი აკრიბა (მივხვდი, რომ შიდა ნომერი აკრიბა, რადგან ნომერი სამციფრა იყო) და მკითხა:

— გვარი, სახელი?

— ჩემი?

— რა თქმა უნდა.

— თამაზ ბერიძე (ყოველთვის მინდოდა, პათეტიკური სახელი და გვარი მქონოდა, მაგალითად: ლევან დადიანი ან მამია გურიელი, ან დავით ქართველიშვილი).

რა თქმა უნდა, ჩემმა უბრალო სახელმა და გვარმა არანაირი შთაბეჭდილება არ მოახდინა მაკაზე და მე გამახსენდა

ის, რაც ქვეცნობიერად ყოველთვის მახსოვს — ბავშვობაში, სანამ მამა იყო ჩემთან, სულ სხვა გვარს ვატარებდი...

მაკამ ყურმილში თქვა:

— თამაზ ბერიძეა მოსული. დიახ. კარგით. ახლავე.

ყურმილი დადო და წამოდგა (მე მომწონს წამომდგარი გოგოების ყურება — როგორ თანდათან სწორდებიან წელში, როგორ ისწორებენ ტანსაცმელს), კაბინიდან გამოვიდა და მითხრა:

— მე გაჩვენებთ, წამომყევით. ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად იქნება. რადგან დაგიბარათ, ესე იგი, ჭირდებით.

— არ ვღელავ, სიტუაციას ვარ შეუჩვეველი, — წავყევი. კართან შევჩერდით.

— შეეჩვევით. ახლა კი, აი, ამ კარს შეაღებთ. შეხვალთ. იქ დაგხვდებათ მმართველის თანაშემწე გოგონა. მიესალმებით. რაც მთავარია, გაუღიმებთ. ეტყვით, რომ კარგად გამოიყურება. შემდეგ ეტყვით, ვინც ხართ. კმაყოფილი გოგო გეტყვით: „მიბრძანდით“ და, რაც მთავარია, გაგიღიმებთ. შეაღებთ კარს და კარს იქით მმართველს დაინახავთ. სხვათა შორის, მმართველს ჩვენ „შეფს“ ვეძახით.

მაკა გატრიალდა და წავიდა. მე კარი შევაღე.

მაკამ არ იცის, როგორ ვიჯექი შეფის პირისპირ. როგორ ათვალიერებდა ის ჩემს დოკუმენტებს და როგორ მეწურებოდა თითოეულ მის სიტყვაზე გული. მაშინ ოცდახუთი წლის ვიყავი და მეგონა, რომ ეს გასაუბრება უმნიშვნელოვანესი რამ იყო. ახლა ოცდარვა წლის ვარ და ვიცი, რომ მთავარი გასაუბრება წინ მაქვს, ყველაზე ნაღდი გასაუბრება; ყველაზე ნათელ პასუხებს რომ საჭიროებს, ის გასაუბრება წინ მაქვს — მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

მაკამ იცის, რომ დაახლოებით ნახევარ საათში შეფმა მაკას დაურეკა და სთხოვა (თხოვნა ბრძანების ტოლფასი იყო), ჩემთვის ბანკის შიდაგანაწესი აეხსნა და, საერთოდ, გარემოსთან გაცნობა-შეგუებაში დამხმარებოდა. მაკა კარს აქეთ

დამხვდა, რაღაცებს ეხუმრებოდა შეფის თანაშემწე გოგონას. შევნიშნე, რომ მაკას დაღლილი სახე ჰქონდა. მაკას დაღლილი სახით დაიწყო ჩემი გარემოსთან გაცნობა და შეგუება. ჩვენ მივატოვეთ გოგო კომპიუტერთან.

— დაღლილი სახე გაქვთ.

— გუშინ ცუდად მეძინა.

— მე კი საერთოდ არ მძინებია გუშინ, ძალიან ვნერვიულობდი და თუთრად გავათენე, — ალალად ვთქვი მე.

— და, აი, ყველაფერი კარგად დამთავრდა, — ჩვენ მაკას კაბინაში შევედით, — ერთი კვირა ჩემთან ერთად იმუშავებთ, უფრო სწორად, იჯდებით ჩემ გვერდით და დამაკვირდებით, დააკვირდებით კლიენტებს (მე მაკას თავი დავუქნიე: „დაგაკვირდები, დავაკვირდები"). კოლეგებს თანდათან გაგაცნობთ.

სამ საათზე მაკამ შემომთავაზა:

— დროა, დავისვენოთ.

— ბანკში შესვენება არსებობს?

— არსებობს, — თავი დამიქნია მაკამ.

— ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ბანკები შესვენების გარეშე მუშაობენ, — ჩემთვის ჩავილაპარაკე და მხრები ავიჩეჩე.

— საქართველო ცივილიზებული კი არა, კულტურული ქვეყანაა და ამიტომ შესვენება არსებობს. ისე, თქვენ თუ თავს ცივილიზებულ ადამიანად თვლით, შეგიძლიათ, არ დაისვენოთ, მე კი დასვენება მჭირდება, — მაკა კაბინიდან გავიდა. მე, რა თქმა უნდა, გავყევი, — თანდათან მიხვდებით, რა მნიშვნელოვანია ეს შესვენება.

შესვენების შემდეგ მაკამ წესები გამაცნო. წესი პირველი: კლიენტი ყოველთვის მართალია.

— უკაცრავად, თქვენ განათლება სად გაქვთ მიღებული? — მკითხა მაკამ.

— სიდნეის საფინანსო კოლეჯში, — ვუპასუხე რიხით.

— და რამდენი წლის ხართ?

მე ორჯერ ორი გაშლილი ხელი ვაჩვენე და ერთხელ ერთი

გაშლილი ხელი. ხოლო მაკამ სამჯერ ორი გაშლილი ხელი მაჩვენა და ერთხელ სამი თითი, თუმცა მე არაფერი მიკითხავს.

— ცოლი გყავს?

მე თავი გავაქნიე.

— სულ ეგეთი დაძაბული ხარ?

მე თავი გავაქნიე.

— მე და შენ ხვალ შესვენებაზე ბისტროში წავიდეთ?

— წავიდეთ.

— შენობით ვილაპარაკოთ?

— ვილაპარაკოთ შენობით.

მაკამ იცის, როგორი სახე მქონდა კოლეგების გაცნობისას, როგორ ვართმევდი მათ ხელს და ვუღიმოდი, რადგან, — მაკა თავად ამბობს ასე, — თვალს მადევნებდა; მაკამ იცის, რას ლაპარაკობდნენ პირველ დღეებში ჩემზე კოლეგები; მე და მაკამ ვიცით, რომ ჩემი მთავარი კოზირი იყო სიდნეი. ბანკში ბევრი იყო ამერიკა-ევროპა მოვლილი, მაგრამ ავსტრალიაში მხოლოდ მე ვიყავი ნამყოფი. რა არის ჩვენებურისთვის ავსტრალია? — შორეული, ეგზოტიკური კონტინენტი, კენგურუ და კოალა. პირველ დღეებში ისე მიყურებდნენ კოლეგები, როგორც კენგურუს, როგორც კოალას, როგორც შორეულს და ეგზოტიკურს, თუმცა ყოველდღიურობა ყველაფერს აჩვეულებრივებს. და დაიწყო ყოველი დღე ერთსა და იმავე ადგილას.

მე ვიცი, როგორია ჯოჯოხეთი. ჯოჯოხეთი სვეტებიანი დარბაზია უზარმაზარი მოხატული ჭერით და ოთხივე მხარეს ბევრი სარკმელი აქვს. სარკმლებიდან ცა ჩანს. მხოლოდ ჯოჯოხეთში ხვდები ცის ფასს. ჯოჯოხეთში ყველას საკუთარი ადგილი აქვს. ჩემი ადგილი რამდენიმე კვადრატული მეტრია და „თაზოს კაბინა“ ჰქვია. ჩემს კაბინაში დგას მაგიდა, კომპიუტერი და სკამი. სკამს ბორბლები აქვს და აქეთ-იქით გასრიალებ-გამოსრიალება ჯოჯოხეთში გართობის ტრადი-

ციული სახეობაა. მაკა ხანდახან ჩემი კაბინის მინაზე აკაკუნებს და მეუბნება, რომ დროა. ჯოჯოხეთში ორი რამ არის აკრძალული: ჭამა და ძილი. ჭამისთვის ჯოჯოხეთის პირდაპირ განთავსებული ბისტრო არსებობს, ხოლო ძილისთვის — სახლი. სახლი თუ არ გაქვს, ქუჩა. სულერთია. მთავარი ისაა, რომ ჯოჯოხეთში ძილი არ შეიძლება. ჯოჯოხეთის მთავარი ატრიბუტია საათი. ყველგან საათებია: კედლებზე, მაჯებზე, კომპიუტერებში. კედლის საათები უჩვენებს სხვადასხვა დროს, რადგან არსებობს ნიუ-იორკი, მოსკოვი, თელ-ავივი, ლონდონი. საათები ქმნის ილუზიას, რომ ჯოჯოხეთში ყოფნა დროებითია. ილუზიას ქმნის შესვენება — „ჟამი დასვენებისა“, როგორც მაკა ეძახის. „ჟამი დასვენებისა“ არის კულტურა და კულტურა ჯოჯოხეთის მფარველობის ქვეშაა, რადგან კულტურაც ილუზიას ქმნის.

ჯოჯოხეთი არსებობს მიწაზე და ჯოჯოხეთში არსებობს დრო. ბანკს ჯოჯოხეთი პირველად მაკამ უწოდა.

ახლა ღამეა. აქედან შორსაა ჯოჯოხეთი, ინტრიგები, ჭორები, კომპიუტერები, ექვსნიშნა რიცხვები. ჩვენი ფანჯრიდან ჩანს ცა, მთვარე და ვარსკვლავები.

მაკასთვის სამოთხე, ჯოჯოხეთი, ფრთები, კუდები ბავშვობის დროინდელია, ჩემთვის — ბავშვობის შემდეგ შეძენილი.

ქუხს. მე მახსოვს, ქუხილისას ბებუაჩემი მუჭებს მარილით ივსებდა და ფანჯარასთან მიდიოდა ასე, მუჭებმარილსავსე. ახედავდა ცას, მარილს ეზოში გადაყრიდა და იტყოდა: შორს, შორს, შორს! — ასე იცავდა საკუთარ ეზოს და სახლს მეხის დაცემისგან. მე ამ „შორს, შორს, შორს!“ გულში ვიმეორებდი. მე წარმართული ბავშვობა მქონდა. მაკა კი ასეთ და ამის მსგავს შემთხვევაში ყოველთვის პირჯვარს ისახავდა და „მამაო ჩვენოს“ ამბობდა.

ქუხს. მე ფანჯარასთან ვდგავარ. ჩემ უკან მაკა დგას და ხელები ჩემს მხრებზე უწყვია. ქუხს. მაკა მხრებიდან ხელებს მაცლის და მეუბნება: — ჰენდე ხოხ (ხელები მაღლა)! ხელებს

მაღლა ვწევ. მაკა მაისურს მხდის. ვგრძნობ, როგორ იწევა მაკა ფეხისწვერებზე და მსიამოვნებს. ხელებაწეული ვდგავარ. ვიცი: ახლა ხელები უნდა დავწიო, მოუტრიალდე, მაკა ავიტაცო და საძინებლისკენ გავაქანო, მაგრამ ეს ძალიან იაფი მელოდრამაა. მე, როგორც ბანკის მაღალანაზღაურებიან თანამშრომელს, არ მომწონს იაფი რაღაცები. ხელებაწეული ვტრიალდები და მაკას შუბლზე ვკოცნი. მაკა იცინის და ჩემს მაისურს, რომელიც მარჯვენა ხელში უჭირავს, მესვრის.

— კლოუნი ხარ, კლო-უ-ნი!

მე ხელებაწეული ვეკითხები:

— ჩანთები ამოალაგე?

— არა. დაუშვი რა, ხელები, გთხოვ.

მე ხელებს ვუშვებ.

— მომენატრე.

— მეც მომენატრე.

და იწყება.

— იტყუები, იტყუები, იტყუები, — თავს აქნევს მაკა და ოთახიდან გადის.

ეს ასეთი თამაშია: მე ახლა მაკას უნდა დავედევნო, თმაში ხელი წავავლო, თავი უკან გადავუწიო, თვალებში ჩავხედო და ძალიან, ძალიან ვნებიანად ვუთხრა:

— მართლა მომენატრე. მარ-თლა მო-მე-ნა-ტრე.

მე ჯერჯერობით ადგილიდან არ ვიძვრი. მაკა უკვე საძინებელშია და ვიცი, რასაც აკეთებს: საწოლზე ზის და მელოდება. ჩემი დაგვიანების შემთხვევაში წამოდგება და ჩანთების ამოლაგებას დაიწყებს, ამის შემდეგ ძილად მისვლის ლოცვას იტყვის, გაიხდის და დაწვება. არავითარ შემთხვევაში არ გამოვა საძინებლიდან. ვიც-ნობ. ვი-ცი. მარცვალ-მარცვალ. მა-კა.

დრო გადის. მაკა, რა თქმა უნდა, საძინებლიდან არ გამოდის. მე ვშიშვლდები და შიშველი შევდივარ საძინებელში. მაკა წევს. მე მაკას გვერდზე ვწვები. მაკა გაბუტულია.

მე მხრებზე ვკოცნი მაკას, კისერზე ვკოცნი, თავზე ვკოცნი. მკერდზე ვეფერები. მაკა მოულოდნელად მეუბნება:

— შვილი მინდა შენგან.

— ხუმრობ?

— არა.

ჩუმად ვარ. მაკას ვეფერები და ჩუმად ვარ, ჩუ-მად. ვეფერები და ვფიქრობ: „მართლა უნდა ჩემგან შვილი თუ მეხუმრება?“ რა თქმა უნდა, ამაზე ზუსტი პასუხი არ მაქვს, რადგან მე და მაკა სხვადასხვა ნიშნისა ვართ და ჩვენი განმასხვავებელი ნიშანი ხელში უჭირავს ახლა მაკას. ნაზია მაკა.

5

მაკა ექვსი წლის იყო, როდესაც აღმოაჩინა, რომ მამამისი სხვა ბავშვების მამებს არ ჰგავდა, და გაოცდა. ეს აღმოჩენა და გაოცება საკლასო ოთახში მოხდა (მაკა პირველ კლასში იყო მაშინ), სადაც კლასის დამრიგებლის მიერ დაბარებული მამები შეიკრიბნენ. მამები მერხებს მიუსხდნენ, შვილები კალთაში ჩაისხეს და სმენად იქცნენ, ხოლო კლასის დამრიგებელი (ის ოცდახუთი წლის იყო მაშინ) აქეთ-იქით მიმოდიოდა და ლაპარაკობდა რაღაც ამაღლებულზე.

— უნდა, აი! უნდა რომელია! — ესმოდა მაკას უკანა მერხზე მსხდომი სხვა მამების ჩურჩული. მაკამ არ იცოდა, ვის რა უნდოდა, მამის კალთაში იჯდა და გაოცებული იყო, რადგან არც ერთ სხვა მამას არ ჰქონდა წვერი და არ ეცვა ანაფორა; არ ეკეთა ოქროსფერი, დიდი ჯვარი.

მაკა ეკლესიაში გაიზარდა. მისი სათამაშო ადგილი ეკლესიის ეზო იყო, სადაც ყვავილებს უვლიდა, ქვიშის პასკებს აკეთებდა და ქვიშაში ორივე მხრიდან მარტოს გაჰყავდა გვირაბი — მაკას მეგობარი არ ჰყავდა ბავშვობაში.

ხუთი წლის მაკა მამამ ღვთისმშობლის ხატის წინ დააყენა:

— ყველაფერი მას უთხარი, ყველაფერს ის მოგცემს, რაც საჭიროა, რაც გარგებს. ყველაფერს.

ღვთისმშობელი იყო მაღლა, მაკა ფეხისწვერებზე შემდგარიც კი ვერ სწვდებოდა მას და თავდაპირველად ეს მიუწვდომლობის ხიბლი აჩერებდა ღვთისმშობელთან. შემდეგ მაკა გაიზარდა, ღვთისმშობელს მისწვდა და რაღაც-რაღაცებიც გაიგო მასზე. მაკა კიდევ გაიზარდა და ზრდასთან ერთად აუცილებელი გახდა ღვთისმშობელთან ლაპარაკი, რადგან ზრდასთან ერთად ცხოვრება ჩაიხლართა. მაკა თავწეული ელაპარაკებოდა ღვთისმშობელს, რადგან ასე მის სახეს ხედავდა და მშვიდდებოდა:

— მე ძალიან არ მომწონს სკოლა. გუშინ კლასის დამრიგებელმა გვიბრძანა, რომ გოგო-ბიჭი, გოგო-ბიჭი დავმსხდარიყავით. ჩემ გვერდით ცისფერთვალა ბიჭი ზის. ბექა ჰქვია. მე და ბექა იშვიათად ველაპარაკებით ერთმანეთს. ხშირად ვუყურებთ დაფას, უფრო ხშირად — ერთმანეთს. დაფასთან ხშირად დგას მასწავლებელი, ხელში ცარცი უჭირავს და დაფაზე წერს ასოებს ან ციფრებს. ჩვენ მასწავლებელთან ერთად ვუმატებთ ასოს ასოს და ვიღებთ სიტყვებს; ჩვენ მასწავლებელთან ერთად ვუმატებთ და ვაკლებთ რიცხვებს და ვიღებთ სხვა რიცხვებს. განსაკუთრებით არ მომწონს შესვენებები, რადგან გაკვეთილებზე მასწავლებლისგან ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე, ხოლო დასვენებებზე არ ვიცი, რა ვაკეთო, როგორ მოვიქცე. ძალიან, ძალიან არ მომწონს სკოლა, ღვთისმშობელო.

შემდეგ მაკას არ მოეწონა საკუთარი თავი. მერვე კლასში იყო, როცა სასწაული დაემართა: მკერდი დაებერა.

— რაში მჭირდება ეს? რაში მჭირდება ეს? — საკუთარ თავს ეკითხებოდა მაკა. ეკითხებოდა ჩხუბით. მამასთვის არაფერი უკითხავს, არც მამას უკითხავს მაკასთვის რამე. „რა მელის ცხოვრებაში?“ — ღვთისმშობლის ხატის წინ იდგა და ფიქრობდა მაკა.

შემდეგ უკვე მკერდდამშვენებულ მაკას არ მოეწონა ბექას დაბადების დღე, რადგან შემთვრალმა ბექამ ხელი მოჰხვია და ჰკითხა:

— შენ სუ ეკლესიაში ხარ, ხო?

— ჰო, სულ, — თავი დაუქნია მაკამ.

— ყოჩაღ, მაკა, ყოჩაღ. სწორ გზაზე დგახარ. მამაჩემი ამბობს, რო კომუნისტებს, ბაც! მაგრა ერხვეათ და ცოტა ხანში ეკლესია მაგარი რამე გახდება. მოდა და ამბავი. მამაჩემი ამბობს, რო უნდა მოინათლოს, — და ბექამ მაკას თვალებში ჩახედა, — წამო, იქით ოთახში გავიდეთ.

— რატომ?

— იქით სიწყნარეა, შენ ხო გიყვარს სიწყნარე?

— მიყვარს.

— მეც მიყვარს.

და ისინი იქით ოთახში გავიდნენ. იქითა ოთახი დიდი იყო და ცარიელი.

— ეს ოთახი ჯერჯერობით აუთვისებელია. მამაჩემი აქ ხატების ოთახის მოწყობას აპირებს, ოღონდ ჯერ კომუნისტებს, ბაც! ბოლომდე უნდა დაერხეს და ეკლესია მაგარი რამე უნდა გახდეს. მოდა და ამბავი. მაგარი მამები გვყავს, არა? — ბექამ ჩაიცინა.

მაკამ გააპროტესტა:

— მამაჩემი არ არის მამაშენისნაირი, გაიგე?

ბექამ გაილიმა:

— მამების გამო ნუ ვიჩხუბებთ, კარგი?!

მაკამ თავი დაუქნია:

— ნუ ვიჩხუბებთ.

— იატაკი სუფთაა, დავჯდეთ.

— კარგი.

დასხდნენ. ცოტა ხანში ბექა მაკასკენ მიჩოჩდა. ხელი მუხლზე დაადო:

— შენ მართლა გჯერა, აი, სამოთხის, ანგელოზების და ეგეთი რამეების?

მაკამ ბექას შეხედა. უნდოდა ეთქვა, ხელი აიღეო, მაგრამ სულ სხვა რამე თქვა:

— და შენ არ გჯერა?

— შენ თუ გჯერა, მეც მჯერა.

და ბექა მკერდზე მიეფერა მაკას. მაკამ იცოდა, რომ მკერდის ერთ-ერთი დანიშნულება ფერებაც არის:

— გიყვარვარ?

— მიყვარხარ.

— ცოლად მომიყვან?

— მოგიყვან.

— შვილები გვეყოლება?

— გვეყოლება.

— რამდენი?

— ერთი.

— რატომ ერთი?

— აბა, რამდენი?

— ორი.

— რატომ ორი?

— აბა, რამდენი?

— სამი.

— ხომ ერთად ვიქნებით ყოველთვის?

— ერთად ვიქნებით და ერთად მოკვდებით, — გაიღიმა ბექამ.

მაკამ გაიფიქრა: „არ მინდა სიკვდილი“, და ბექას ნება დართო. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი გვერდიგვერდ ეყარნენ და ქშინავდნენ.

ბექა ფიქრობდა: „ესეც ასე, ესეც ასე“.

მაკა ფიქრობდა: „სულ ესე მინდა, რომ ვიყო. ვეგდო, ვქშინავდე და ბედნიერი ვიყო“.

ადამიანი საშუალოდ ცხოვრობს 65-70 წელს. სიყვარუ-

ლი გრძელდება 7-8 თვეს (საშუალოდ). მაგრამ არსებობს მარადიული სიცოცხლე, მარადიული სიყვარული, როგორც მოთხოვნილება, როგორც იმედი. იმ ღამეს მაკას მარადიული სიყვარულის მოთხოვნილება ქონდა; იმ ღამეს მაკას მარადიული სიყვარულის იმედი ქონდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბექა თავისი მამის წინ იჯდა. მამა კონიაკს სვამდა.

— შენ და ის გოგო ოთახში რას აკეთებდით?

— არაფერს, ვიჯექით ისე.

— მაგ ისე ჯდომაში არ დააორსულო ის გოგო, გაიგე?! — და მამამ კონიაკი მოსვა.

— მეც დავლევ, რა, მამა, კონიაკს.

— წადი, ჭიქა მოიტანე.

და ბექა ჭიქის მოსატანად წავიდა, ხოლო მამამ გაიფიქრა: „ვინ გამოვა ან რა გამოვა ნეტა?“ და კონიაკი დაისხა.

მაკა ღვთისმშობლის წინ იდგა და ბედნიერი იყო. შემდეგ დრო აირია და მაკამ იტირა. ეს ასე მოხდა:

ის დღე მშვენივრად დაიწყო. მაკამ გულით ილოცა და არა ჩვეული. გულით ლოცვა იშვიათია და სიმშვიდე მოაქვს. მაკამ ეს იცოდა და მშვიდი იყო. შემდეგ მაკა ეკლესიის ეზოში გავიდა და ღრმად ამოისუნთქა. ეკლესიის ეზოში სამნი იდგნენ მაკას ჩათვლით: მაკა, ეკლესია და ზამთარი.

მაკა ფიქრობდა: „მალე ახალი წელი მოვა. დგას და თან გადის. დგას და თან გადის ზამთარი. უცნაურია ზამთარი“.

შუადღემდე ბედნიერი იყო მაკა, შუადღისას კი ეკლესიის ეზო ჯარისკაცებმა დაიკავეს. ეკლესიის ეზოში უკვე ბევრნი იდგნენ: მაკა, ჯარისკაცები, ეკლესია, ქვემეხი, ტყვიამფრქვევი, მამა.

ერთ-ერთმა ჯარისკაცმა თქვა, რომ ომი დაიწყო და ამიერიდან ომის დამთავრებამდე ეს ადგილი სტრატეგიული წერტილია. მამამ ჯარისკაცებს აუხსნა, რომ ეს ადგილი ღვთის სახლია; რომ ღვთის სახლს შეიძლება ესროლო, მაგრამ

ღვთის სახლიდან სროლა არ შეიძლება. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მამას ჯვარს მოკიდა ხელი და მამას კითხა:

— ოქროა?

— ჯვარია.

— მოიხსენი.

მამამ ჯვარი მოიხსნა და ჯარისკაცს გაუწოდა:

— გამომართვი, შვილო.

ჯარისკაცმა ჯვარი გამოართვა, ყელზე დაიკიდა და თქვა:

— რა დრო დადგა, არა. ყველაფერი მე ვარ. ოქროს ჯვარიც, წითელი ჯვარიც, დამპყრობელიც და განმათავისუფლებელიც. ხო მიხდება?

მამამ მხრები აიჩეჩა. ჯარისკაცი გაბრაზდა:

— რა მხრებს იჩეჩავ, ე? მიხდება და გშურს, არა, შე ბოღმა, შენა! გაიგე, რო ყველაფერი მე ვარ!

ჯარისკაცმა პისტოლეტი ამოიღო და მამას ესროლა. მამა დაეცა. დაცემულ მამაზე მაკა დაეცა და ატირდა. დიდხანს იყო მამაზე დაცემული, დიდხანს ტიროდა მაკა. მერე ეკლესიის ეზოში სამხედრო ჯიპი შემოვიდა. მაკამ თავი ასწია. სახე მამის სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. თბილი იყო მამის სისხლი.

სამხედრო ჯიპიდან ბექა გადმოვიდა. სამხედრო ფორმა ეცვა, გაზრდილიყო, დაკაცებულიყო.

„რამხელა გამხდარა, წვერიც უხდება“, — გაიფიქრა მაკამ და შერცხვა, ასეთ რამეებზე რომ ფიქრობდა ასეთ საშინელ დროს. მაკა ვერ ერკვეოდა სამხედრო წოდებებში, ამიტომაც ბექას მხრებზე დაყრილი ვარსკვლავები მისთვის არაფრისმთქმელი იყო. სამაგიეროდ, იგივე ვარსკვლავები ჯარისკაცებისთვის ძალიანაც კი ბრწყინავდა. ჯარისკაცები ერთ რიგად მოეწყვნენ და გაიჯგიმნენ. თავაწეულმა და სახესისხლითმოთხვრილმა მაკამ იკივლა:

— აი, ამან მამა მომიკლა! ეგ ამბობდა, რომ ყველაფერია.

ბექამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, მაკას გვერდით ჩაცუცქდა და ცხვირსახოცი მიაწოდა:

— სახე გაიწმინდე.

მაკამ ეჭვით გახედა ცხვირსახოცს.

— დაკუჭულია, მაგრამ სუფთაა.

მაკამ ცხვირსახოცი გამოართვა და სახე გაიწმინდა.

— მოკლული ჩემს მანქანაში დაასვენეთ შენ და შენ, — ბრძანა ბექამ.

რიგს ორი ჯარისკაცი გამოეყო. ერთმა ფეხებში მოჰკიდა მამას ხელი, მეორემ — მხრებში და ასწიეს.

— სად მიგყავთ? — იკივლა მაკამ.

— მე მივხედავ. ეხლა ომია. შენ რა შეგიძლია? — აუხსნა ბექამ.

მამა მანქანაში დაასვენეს. მაკამ ბექას ცხვირსახოცი დაუბრუნა:

— გმადლობთ.

— ეკლესიაში შევიდეთ.

შევიდნენ.

— სულ მარტო დავრჩი, — თქვა მაკამ.

ბექამ სანთელი დაანთო და ეკლესიიდან გამოვიდა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, მარცხენაში სანთებელა ედო, მარჯვენაში — სისხლიანი ცხვირსახოცი. ორივე ამოიღო და ცეცხლს მისცა სისხლიანი ცხვირსახოცი. ცეცხლი ბექას საყვარელი სტიქია იყო. ჯარისკაცებს ეუბნებოდა: რო მოკვდები, დამწვითო. ახლობლებსაც ასე ეუბნებოდა: რო მოკვდები, დამწვით, ქარს გამატანეთ, მიწაზე მომაბნიეთო.

მაკას ერთი წლის შემდეგ დაურეკა. უთხრა, რომ მაკას მამა საბურთალოზეა დასაფლავებული და რომ ქელეხი, ორმოცი და წლისთავიც გადახდილია. ასევე უთხრა, რომ სამსახური უშოვა.

— ხომ გინდა სამსახური?

— მინდა.

ბექამ მაკას მისამართი უკარნახა:

— ჩემი სახელით მიხვალ, გელოდებიან.

ასე დაიწყო მაკამ მუშაობა ბანკში, რომელსაც მერე „ჯოჯოხეთი“ დაარქვა. რა ახსოვს ბექასი მაკას? — მოფერება და წვერი.

მაკა ფეხს კრავს თაზოს. თაზო ტრიალდება და წელზე ხვევს ხელებს:

— ჩემი, ჩემი, ჩემი ლამაზი მაკა.

— ერთი შეკითხვა მაქვს და ერთი — თხოვნა.

— მკითხე და მთხოვე.

— აი, ძველი ამბები ხომ გახსენდება ხოლმე (თაზო თავს უქნევს), და აი, ამ ძველ ამბებში როგორ ლაპარაკობდი, გახსოვს? აი, სკოლაში როგორ ლაპარაკობდი, თუნდაც ერთი წლის წინ როგორ ლაპარაკობდი, გახსოვს?

— არა. ეს — კითხვა; ახლა — თხოვნა, მიდი.

— ჯერ შემპირდი, რომ თხოვნას შემისრულებ.

— შეგისრულებ.

— წვერი მოუშვი.

6

დილით ალექსის კონვერტი გადასცეს. კონვერტზე ეწერა: მისი სახელი და გვარი, მისი საცოლის სახელი და გვარი, მისი მშობლიური ქალაქის სახელი, მისი საცოლის სახლის მისამართი. ასევე: აქაურობის სახელი და მისი ბატალიონის ნომერი (აქაურობის სახელია — კონფლიქტის ზონა. ხოლო ის, ალექსი, აქ, კონფლიქტის ზონაში, რიგითი მშვიდობისმყოფელია).

ალექსი მზეს უყურებს და მზესავით თბილ წერილს ელის საცოლისგან. საცოლე თავისთავად მზეთუნახავია. ალექსი კონვერტის კიდეს კეცავს, შემდეგ ასწორებს და კონვერტს კიდეს ახევს. კონვერტიდან გაკეცილ ფურცელს იღებს. ფურცელს შლის. მარცხენა ხელში კონვერტი უჭირავს, მარჯვენაში — კონვერტის მოხეული კიდე და გაშლილი ფურცელი.

ალექსის სახე ეცვლება, თვალები გადმოცვენაზე აქვს. წერილი არ არის მზესავით თბილი და აღარც საცოლეა მზეთუნახავი. ის ბოზია... არც წერილია წერილი. წერილი სამგლოვიარო დეპეშაა (ალექსისთვის): „გავთხოვდი, ბედნიერი ვარ. მაპატიე“.

ალექსი საკუთარ თავთან მართავს დიალოგს:

— რამდენი ხანია ვარ მე აქ?

— ცხრა თვე.

— რისთვის ვარ მე აქ?

— ფულისთვის.

ალექსი არ ეშვება საკუთარ თავს:

— რაში მჭირდება ფული?

საკუთარი თავი მორიდებულად, მაგრამ ალალად პასუხობს:

— უკვე არაფერში, რადგან საცოლე სხვისი ცოლი გახდა!

„ყველაფერი შენთვის. ყველაფერი შენ გამო, ჩემო ძვირფასო!“ — ასე იწყებოდა ალექსის ყოველი წერილი. საცოლე ერთადერთი ცოცხალი ადამიანი იყო (სამწუხაროდ, იყო), რომელიც ალექსის უყვარდა. სხვები მიწაში წვანან. ყოველ შემთხვევაში, ალექსიმ მიწაში ჩააწვინა და, ვინ იცის, სად წავიდნენ ან წავიდნენ თუ არა სადმე? ვინ იცის? ალექსიმ არ იცის.

აი, მზე ჩანს. აი, მთვარე ჩანს. აი, ვარსკვლავები ჩანს. ესენი — შეუიარაღებელი თვალით; შეიარაღებული თვალით — პლანეტები და შორი ვარსკვლავები.

ალექსი ისევ საკუთარ თავს ეკითხება:

— რატომ არ ჩანან მიცვალებულები, თუკი ისინი მართლაც ცაში ცხოვრობენ?

საკუთარი თავი პასუხობს:

— გარდაცვალების შემდეგ ადამიანი ღმერთის ნაწილი, ანუ ღმერთი ხდება, ხოლო ღმერთი უხილავია, რადგან ღმერთი ყველგანაა.

ადამიანი-ალექსი ტუჩებს იჭამს და ადამიანში ყოფილ საცოლეს გულისხმობს. მოუთმენელი, უპასუხისმგებლო, სულსწრაფი არსება გარდაცვალების შემდეგ ღმერთის ნაწილი ხდება, ღმერთი ხდება. „ცხრა თვეა, ამ გამოყრუებულ მხარეში ვმსახურობ, უთენია ვდგები და ღამემდე უზრუნველ-ვყოფ არარსებულ მშვიდობას, კვირაში ერთხელ ღამეს ვა-თენებ და ასე წვალებით ვაგროვებ ფულს, რომ ვიქორწინო. გამუდმებით ამაზე ვფიქრობ და უცებ მომდის ეს სულელური წერილი. ბოზი“. — და ალექსი საკუთარი თავის ქებას იწყებს: „ცხრა თვის მანძილზე არც ერთხელ, ვიმეორებ, არც ერთხელ არ ვყოფილვარ ქალთან, რადგან (საკუთარი თავი გაფაციცებულია, ეშინია, არ გაილანძღოს) მე ერთგული ადა-მიანი ვარ“ (საკუთარი თავი კმაყოფილია)!

ალექსის ახსოვს ქალაქგარეთ საცოლესთან დაჭერობანას თამაში, ქშენა და კოცნაობა, მერე ქალაქიდან წამოღებული ბუტერბროდების ჭამა. დიდ ლუკმებად ჭამდნენ. ჭამის შემ-დეგ გულაღმა იწვნენ მიწაზე და საცოლე ამბობდა, ღრუბე-ლივით მსუბუქი მინდა ვიყოო. ალექსი იცინოდა:

— ბუტერბროდებს ნუ ჭამ მაშინ.

ყველაზე ხალისიანი მაინც სახლში დაბრუნება იყო. ყო-ველთვის ავტოსტოპით მგზავრობდნენ (ასე უფრო რომანტი-კული იყო და ეკონომიურიც). შემდეგ დიდხანს, ძალიან დიდ-ხანს ისხდნენ მშობლიური ქალაქის ცენტრალურ პარკში.

საცოლე ამბობდა: — ცალკე ბინა რომ გვქონდეს, ეჰ! მე ცოლი ვიქნებოდი, შენ — ქმარი. გვეყოლებოდა შვილი ორი ან სამი და მე დედა ვიქნებოდი, შენ — მამა.

საცოლის ლაპარაკი მოქმედებდა ალექსიზე. ღამღამობით ალექსი იდგა საკუთარი სახლის (რომელშიც ანჩხლ მამი-დასთან ერთად ცხოვრობდა) აივანზე და ფიქრობდა.

საფიქრალი სერიოზული ქონდა: „სად ვიშოვო ფული?“

პასუხი: „იქ, სადაც სხვები შოულობენ. სხვები არიან: ბიზნესმენები, ადვოკატები, პოლიტიკოსები“.

ალექსიმ კარგად იცოდა: „არც ერთი ჩემგან არ გამოვა“.

ალექსი არ იყო არაობიექტური ახალგაზრდა და კარგად იცოდა საკუთარი შესაძლებლობები: „მე არ შემიძლია ფულის გამო მოვატყუო ადამიანი, გავაკოტრო ადამიანი, გავამართლო მკვლელი. ადამიანების გვამებზე ავაგო ჩემი ბედნიერება!“

ალექსი ბავშვობიდან გაურბოდა პასუხისმგებლობას. მაგალითად, გულიანად შეეძლო ეჩხუბა სხვის გამო ატეხილ ჩხუბში; საკუთარი მიზეზით ჩხუბს კი ყოველთვის ერიდებოდა, უკან იხევდა და ბევრ შეურაცხყოფას იტანდა.

ალექსი იდგა საკუთარი სახლის აივანზე და ფიქრობდა: „მე ვარ მსახური, რადგან მსახურებს არასდროს სთხოვენ პასუხს. მე ვარ მსახური. სად ჭირდებათ ყველაზე მეტად ჩემნაირი ადამიანი“ (მეტი საჭიროება ნიშნავს მეტ ფულს. ალექსიმ ეს იცოდა)?

ალექსიმ მკრთალ ღამეში დაინახა უცნობი ჯარისკაცი (სინამდვილეში ის იყო სამხედრო ფორმაში გადაცმული ეშმაკი. ალექსი ახლა ფიქრობს ამას). ალექსის ეს ენიშნა: „მე ჯარისკაცი გავხდები!“ ალექსის სიცოცხლეში პირველად გაუხარდა ქვეყანაზე ომის არსებობა — სამამულო, სამოქალაქო, მსოფლიო — სულერთია, ალექსის გაუხარდა ომის არსებობა.

ერთი კვირის შემდეგ ალექსიმ საცოლეს უთხრა:

— ჩვენ გვექნება საკუთარი სახლი, შენ იქნები ცოლი, მე — ქმარი. გვეყოლება შვილი, გადავწყვიტე — სამი. შენ იქნები დედა, მე — მამა.

— მართლა? — სახე გაუნათდა საცოლეს (რა იცოდა მაშინ ან ერთმა ალექსიმ, ან ერთმა საცოლემ — ჯამში ორმა, რომ ეს მათი უკანასკნელი საერთო გახარება იყო? რა იცოდა? რა თქმა უნდა — არაფერი).

— ომში მიდივარ.

— არა! ომში რა გინდა? ომში შეიძლება მოგკლან, — ხელები გაასავსავა საცოლემ.

ალექსის გაუხარდა საცოლის ზრუნვა და ტკბილად თქვა:

— მე მივდივარ ომში, რომელშიც ადამიანები არ კვდებიან.

— აბა, რა კვდება?

— დრო და ხსოვნა, თუმცა ეს რთული საკითხია, ჩემო ძვირფასო. არსებობს ომი, რომელიც ქაღალდზე მიმდინარეობს. რეალურად კი ჩვეულებრივი მშვიდობაა. ასეთ ადგილებს ეწოდება კონფლიქტის ზონა და ამ კონფლიქტის ზონაში დგანან ადამიანები. მათ ჰქვიათ მშვიდობისმყოფელები. მე მშვიდობისმყოფელი ვარ!

— რაკი ასეა, მშვიდობით, ჩემო მშვიდობისმყოფელო.

და მათ ხანგრძლივად აკოცეს ერთმანეთს.

ალექსის პატარა ჩემოდანი ქონდა. ანჩხლ მამიდას უთხრა: — ნუ გამაცილებ! საცოლეს კი უთხრა: — გამაცილე. აეროპორტის კაფეში კოქტეილი დალიეს, მერე ერთმანეთს გადაეხვივნენ და ერთხანს ასე იყვნენ — გადახვეულები. ბოლოს ალექსიმ ჩემოდანი მარჯვენა ხელში დაიჭირა და სარეგისტრაციო ოფისისკენ წავიდა. რამდენჯერმე ალექსიმ თავი უკან მოატრიალა და გაღიმებულ საცოლეს შეხედა. ძალიან ლამაზი იყო საცოლე...

ალექსიმ მშვიდობიანად იფრინა.

ბატალიონის უფროსს ალექსი მოეწონა:

— ჩვენ გვჭირდება შენნაირი განათლებული სახის მქონე ადამიანები. ნახე, რას წერენ ჩვენზე გაზეთები. ჩვენ ვართ კორუფციაში ჩაფლულნი, ჩვენ ვართ კონტრაბანდისტები; წერენ, რომ ჩვენ ვართ ანტისახელმწიფოებრივი ელემენტები და რომ ეს ყველაფერი სახზე გვეტყობა. ჩვენ გვჭირდება შენნაირი განათლებული სახის მქონე ადამიანები.

ბატალიონის უფროსმა ალექსის მხარზე დაკრა ხელი, მსუბუქად და მეგობრულად. ერთ მშვენიერ დღეს კი ბატალიონის უფროსმა ალექსის განათლებული სახე ალიბად წარადგინა:

— აი, ასეთი სახის ადამიანებს უწოდებთ თქვენ კორუმპი-

რებულებს და კონტრაბანდისტებს. ასევე (ბატალიონის უფროსმა ქალალდს ჩახედა), ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს.

ბატალიონის უფროსი საკუთარ საკარძელში ბრძანდებოდა. მის პირდაპირ, დივანზე, ქალი იჯდა, ხოლო ალექსი იდგა და ღვიოდა. სტუმარ ქალს მოკლედ შეჭრილი ქერა თმა ჰქონდა, მოკლე კაბა ეცვა და უშნო ფეხები უჩანდა.

სტუმარმა ქალმა ბატალიონის უფროსს თხოვა:

— პირისპირ რომ გავესაუბრო თქვენს განათლებულ სახეს, თუ შეიძლება?

ბატალიონის უფროსმა თავი დააქნია და წამოდგა:

— რა თქმა უნდა. მე დაგტოვებთ.

— არა, არა, როგორ გეკადრებათ, თქვენ ბრძანდებოდეთ. მე შევნიშნე, რომ თქვენ მშვენიერი ეზო გაქვთ. თქვენი ნებართვით, იქ გავისეირნებთ.

ბატალიონის უფროსი დაჯდა.

— როგორც გენებოთ. ალექსი, ეს ქალბატონი ნათია, ცნობილი ჟურნალისტი. შენთან ერთად ეზოში გასეირნება და საუბარი სურს.

ალექსი სტუმარს მიესალმა. სტუმარიც მიესალმა და გაიფიქრა: „მართლა კარგი სახე აქვს ამ ჯარისკაცს“. სტუმარი და ალექსი შტაბის ეზოში გავიდნენ. ალექსის ქალებთან ურთიერთობის დაწყება ყოველთვის უჭირდა. ფიქრობდა ხოლმე: „ვინ არის? როგორია? რა მოსწონს? რა არ მოსწონს?“

მაგრამ ეს არ იყო ვნებიანი გასეირნება. ეს საქმიანი გასეირნება იყო, რომელიც სტუმარი ქალის ინიციატივით შედგა. ალექსიმ ამოისუნთქა: „თვითონ მკითხოს: ვინ ვარ? როგორი ვარ? რა მომწონს? რა არ მომწონს?“

და ჟურნალისტმაც ჰკითხა, სახის ღრმა გამომეტყველებით:

— ალექსი, სიცოცხლე გიყვართ?

— დიახ, მიყვარს.

— ქალები გიყვართ?

— დიახ, მიყვარს! უფრო სწორად, მე ერთი ქალი მიყვარს. ის ქალი თქვენ არ ხართ... მაპატიეთ, — ალექსი დაიხარა, ბალახი მოგლიჯა და ნათიას გაუწოდა ღიმილით, — ვარდები არ არიან.

ნათიამ ბალახი გამოართვა და დაყნოსა:

— გმადლობთ.

გზა გააგრძელეს. ისინი საუბრობდნენ ომზე, მშვიდობაზე. ნათიამ უკეთ იცოდა ომი. ალექსიმ უკეთ იცოდა მშვიდობა. ორივემ იცოდა „ომი და მშვიდობა“ და მისი ავტორი ლევ ტოლსტოი. ის ნათიამ ახსენა:

— მოგწონთ?

ალექსიმ თავი დააქნია.

ნათიამ გაიღიმა:

— მე არა. არ მიყვარს მარადიული თემები, მარადიული კითხვები, მარადიული პასუხები. უფრო სწორად, არ მიზიდავს. მე მიყვარს ფაქტები. უფრო სწორად, მიზიდავს, რადგან ფაქტებს რეალური ძალა აქვთ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, მარადისობა ფაქტია, მაგრამ მე ცვალებადობა მიყვარს, უფრო სწორად, მიზიდავს, მარადისობა კი უცვლელი ფაქტია.

— ტოლსტოისთან წაიკითხეთ ეგ?

ნათიამ ალექსის მხარზე ხელი დაადო.

— კითხვებს მე ვსვამ აქ, მეგობარო, — თქვა და გაიცინა, — ვხუმრობ. რა თქმა უნდა, ვხუმრობ. იცით, ალექსი, მე ერთი ჩვევა მაქვს, ჩემს მეგობრებს მეტსახელებს ვარქმევ.

— თქვენ მე მეგობრად მთვლით?

— კი და თქვენი მეტსახელია „საიმედო წყარო“.

— „საიმედო წყარო“? მომწონს? არ მომწონს? არ ვიცი...

— თქვენს მოწონება-არმოწონებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თქვენ „საიმედო წყარო“ ხართ. თუ ამჩნევთ, რომ წრეზე მივდივართ?

— ვამჩნევ.

ალექსის ასევე უნდოდა ეთქვა, რომ ცხოვრება თავისთავად წრეზე სიარულია, და რომ არა აქვს მნიშვნელობა, რომელ წრეზე ხარ წასული — მეორეზე თუ მესამეზე, და რომ... მაგრამ არაფერი თქვა. რა საჭიროა?

ჭიშკრამდე მიაცილა ალექსიმ ნათია. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გაულიმეს.

— დროებით, „საიმედო წყაროვ", ჩემო მეგობარო.

— დროებით, — გაიღიმა ალექსიმ.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ალექსი ბატალიონის უფროსის კაბინეტში იჯდა, ბატალიონის უფროსის პირისპირ. ორივე კარგ ხასიათზე იყო. ბატალიონის უფროსმა ალექსი დამოძღვრა:

— ჟურნალისტების ნდობა არ შეიძლება.

— ვიცი.

— არც ქალების ნდობა შეიძლება, ალექსი, ის კი თან ჟურნალისტია, თან — ქალი.

— ვიცი.

მაგრამ გულში არ დაეთანხმა ბატალიონის უფროსს. ალექსი ენდობოდა ქალებს, უფრო სწორად, ერთ ქალს. სულ ტყუილად.

ალექსი შტაბის ეზოში დგას და ფიქრობს: „არავინაა სანდო, არავინ!" მარცხენა ხელში კონვერტი უჭირავს, მარჯვენაში — კონვერტის მოხეული კიდე და გაშლილი ფურცელი. მიწასაა დაჩერებული და მიწაზე გართხმულ ჩრდილს ხედავს. ჩრდილს ცნობს, თავს წევს და ბატალიონის უფროსს ესალმება.

— რა გჭირს, ალექსი? სადაა შენი განათლებული სახე? მოხდა რამე?

— საცოლე მომიკვდა, უფრო სწორად...

— ჩათვალე, რომ შვებულება გაქვს.

— არა, არ არის საჭირო.

— შენ იცი. როგორც გინდა, ისე მოიქეცი, — ბატალიონის უფროსი ალექსის თავზე ეფერება, — ჩემს მშობლიურ მხარეში, ალექსი, მგლოვიარე კაცები წვერს უშვებენ.

7

ჩვენ, ერთი კვირაა, აქ ვცხოვრობთ — ბაბუას სახლში და ამ სახლს უკვე „ჩვენს სახლს“ ვეძახით. ჩვენი სახლიდან ხუთას მეტრში (ნახევარი კილომეტრი, ბევრი სანტიმეტრი, ძალიან ბევრი მილიმეტრი — მე და მაკამ ეს მანძილი თვალით გავზომეთ) კონფლიქტის ზონაა. „ჩვენი სახლი“ შემაღლებულზე დგას და ჩვენ ზემოდან დავყურებთ კონფლიქტის ზონას. ადრე აქ ომი იყო. ახლა მშვიდობისმყოფელები დგანან.

მე მახსოვს: ერთ მშვენიერ დღეს ბაბუა თბილისში ჩამოვიდა, ჩვენთან სახლში სამზარეულოში დაჯდა და თქვა:

— ყურები დამეღალა, სმენა წაიღეს. სულ ისვრიან და ისვრიან. ერთხანს თქვენთან დავრჩები, კარგი?

იმ დროს მე სიდნეიში წასასვლელად ვემზადებოდი და ამიტომაც ბაბუას ძალიან გულუხვად ვუთხარი:

— რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს დარჩი.

დედას არ ესიამოვნა ჩემი გულუხვობა. ერთხანს ქვედა ტუჩი ღეჭა, მერე მხოლოდ „დარჩიო“, — თქვა და ოთახიდან გავიდა.

მახსოვს: იდგა ბაბუა ფანჯარასთან, ხელები უკან ქონდა დაწყობილი და ჩიოდა, ძალიან, ძალიან დიდი ქალაქიაო თბილისი. ჩემთვის ძალიან დიდია, ისეთი დიდი, რომ გარეთ გასვლის მეშინიაო.

მე, რა თქმა უნდა, ძალიან მაგრად ვიცინოდი ბაბუაზე, ბაბუას სიტყვებზე და სიცილით ვუხსნიდი, რომ დედამიწაზე თბილისზე გაცილებით დიდი ქალაქებიც არსებობს. უზარმაზარი ქალაქები. მეგაპოლისები. ეს სიტყვა იმ დროს ახალი გაგონილი მქონდა და ყოველ სათანადო თუ არასათანადო,

შესაფერის თუ არაშესაფერის სიტუაციაში ვხმარობდი. მაშინ მეგონა, რომ ასეთი სიტყვების ცოდნა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო ცხოვრებაში. სიტყვები, სიტყვები, სიტყვები...

ბაბუა ამბობდა, რომ შეიძლება არსებობს, მაგრამ მას თბილისზე დიდი არაფერი უნახავს. ამგვარი ლაპარაკი იმ დროს ზიზღს იწვევდა ჩემში და სწორედ ასე ვფიქრობდი: „ზიზღს იწვევს, მეზიზღება“.

იმ დროს რომ შემხვედროდა მაკა, მაკას გიჟად ჩაუთვლიდი. საბრალო მაკა. მაკა ამბობს, რომ ყველა უნდა გიყვარდეს, ყოველ შემთხვევაში, უნდა თანაუგრძნობდე მაინც. აღიარებს, რომ თავად ასეთი გოგო არ არის; რომ სამწუხაროდ, მაკა არ არის მისაბაძი გოგო; მაკა ამბობს, რომ შეპყრობილია. უნდა შვილი და მე უნდა დავეხმარო ამ საქმეში (ჩვენთან სამსახურში ამას „ინვესტირება“ ქვია). მე მაკას ვეხმარები. ვიტყოდი, რომ ყველანაირად, მაგრამ ამ საქმეში დახმარება მარტო ერთი სახისაა და მე მაკას ვეხმარები. არ ვიცი, რა გამოვა ან ვინ გამოვა ჩემი დახმარებით. ვიცი, რომ ერთი კვირაა, ბაბუას სახლში ვცხოვრობთ და ბაბუას სახლს „ჩვენს სახლს“ ვეძახით; ვიცი, რომ ქვევით კონფლიქტის ზონაა; წარსულში ომია, აწმყოში მაკა დახმარებას მთხოვს და მე მაკას ვეხმარები, ხოლო მომავალი არ არსებობს, მაგრამ არსებობს სამომავლო გეგმები, თუნდაც ასეთი: ხვალ ჩავალ ალექსისთან (ალექსი მშვიდობისმყოფელია. სასურსათო საწყობში მუშაობს), ვიყიდი პროდუქტებს, დაველაპარაკები აქეთურიქეთურზე, ცხოვრებაზე, სიკვდილზე, სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაზე და დავბრუნდები. მაკას ჩავაბარებ პროდუქტებს და მაკა იტყვის, რომ ის ამისგან გააკეთებს ძალიან ფანტასტიკურ რამეს, რომელსაც ექნება გადასარევი შეხედულება და გადასარევი გემო.

ახლა ღამეა. ჩვენ ვწევართ. მაკას ვეფერები და მაკა განაბულია; შევწყვეტ მოფერებას და მაკა ოხრავს; ვაგრძელებ

მოფერებას და მაკა ინაბება. სიწყნარეა. ადრე ამ დროს აქ სროლა იწყებოდა. ადრე აქ ომი იყო. ეს ომი მე და მაკამ ორჯერ ვახსენეთ. ერთხელ — მაკამ, ერთხელ — მე. ეს მოხდა ჩვენს წამოსვლამდე ერთი კვირით ადრე.

ჩვენ ცის ქვეშ, ქოლგებიან კაფეში ვისხედით. ვსვამდით ლუდს. მე მაკას შევთავაზე ბაბუას სახლში ერთთვიანი ცხოვრება. მაკამ თქვა:

— მაგ ადგილებში ადრე ომი იყო.

— ჰო, ომი იყო.

— ერთი ყოფითი კითხვა შეიძლება?

— შეიძლება.

— როგორი სახლია? ანუ დიდი, პატარა, სტანდარტული?

— სტანდარტული.

— კიდევ ერთი შეკითხვა შეიძლება?

— მიდი, გისმენ.

— ავსტრალიიდან რამ ჩამოგიყვანა აქ?

— ნოსტალგიამ.

— ოჰოჰოჰო, ახლად სკოლადამთავრებული, ხამი, უნახავი თაზო ბერიძე ჩადის სიდნეიში და იქ ნოსტალგია აწუხებს ამ სანაგვე ყუთზე, ბუნკერზე. ვის ატყუებ? რა იყო შენი აქაური ყველაზე ტკბილი მოგონება? ნუ, მაქსიმუმ, შატალოზე წასული რომ იდექი წვერებიანი არაფორმალების გვერდით და სამფეროვან დროშას აფრიალებდი, მარჯვნიდან — მარცხნივ, მარცხნიდან — მარჯვნივ.

— შენ გგონია, რომ მე აქაურობა ფეხებზე მკიდია?

— არა, არ გკიდია. მეგობრები გყავს აქ. ბავშვობა აქ გაატარე. თუ გიფიქრია, რა აჩერებს ყველაზე უფრო მეტად ხალხს ემიგრაციაში? არ გიფიქრია. რა და ნოსტალგია. მშობლიური მთები და ნისლები, საშშობლოში დარჩენილი მეგობრები. მუხლებზე უწყვიათ ფოტოალბომები და ტირიან. ტირიან. ეს სიხარულის ცრემლებია — უხარიათ, რომ ეს ყველაფერი მოგონებაა, მონატრებაა და არა — რეალობა.

თან ქართველებს ხომ გვჯერა ზეციური საქართველოს არსებობის, რომელშიც ყველა ყველას უცინის და ყველას ყველა უყვარს; რომელშიც არ არსებობს უმუშევრობა და კონკურენცია; სადაც გამუდმებით ქეიფობენ; კაცები დადიან იმ ქალებთან, რომლებზეც ცხოვრებაში ოცნებობდნენ... რა მოხდა 337 წელს?

— სახელმწიფოებრივ დონეზე გავქრისტიანდით.

— და ახლა რომელი წელია? — მაკამ ხელი ჩაიქნია, — რამდენი წელი გავიდა, შეხედულებებით კი ქრისტეს შობამდე ვართ.

— რა გინდა?

— არაფერი. უბრალოდ, ნერვები მეშლება. რაღაც გკითხე და დებილურ ტყუილს მეუბნები.

— ჰო, კარგი, გეტყვი, გოგო დავაფეხმძიმე და გამოვიქეცი.

— ნანობ?

— ძალიან. ეგ ამბავი რომ მახსენდება, ცუდად ვხდები. მაჟრიალებს.

— ეგ სინანული არ არის. ეგ სინდისის ქენჯნაა, ძველებურად რომ ვთქვათ, თუმცა ახლებურად არც ვიცი, როგორ უნდა ვთქვა. სინანული სხვაა. აი, ეგეთ ამბავში კიდევ რომ მოხვდე, რას იზამ? გაიქცევი? არ გაიქცევი? თუ გაიქცევი, ესე იგი, არ ნანობ; თუ არა, ესე იგი, ნანობ.

— ვისთან რო მოვხვდე?

— იმ გოგოსთან. რა ერქვა?

— მილინდა.

— ჰო, მილინდასთან.

— აღარ მოვხვდები, — წვენი მოვსვი.

— ვთქვათ, მოხვდი.

— შემეშვი რა, მაკა, — წამოვდექი, — ისე, შენ მაგარი ინტრიგანი ხარ, ხო იცი?!

— როდის წავიდეთ? — წამოდგა მაკაც.

— სად? — უცებ ვერ მიეხვდი.

— ბაბუაშენის სახლში, — გაიღიმა მაკამ.

— ერთ კვირაში.

— კარგი.

და ერთი კვირის შემდეგ ჩვენ აქეთ გამოვემგზავრეთ. უკვე ერთი კვირაა, აქ ვართ — ბაბუას სახლში და ბაბუას სახლს „ჩვენს სახლს“ ვეძახით. ახლა ჩვენ ვწევართ.

— ადექი, — მეუბნება მაკა.

— რატომ?

— შიშველს უნდა გიყურო.

— შენ ადექი და მე გიყურებ.

მაკა დგება და მე მაკას ვუყურებ.

— გინდა, ვიცეკვო?

— არა და, საერთოდ, მოდი და დაწექი.

— მთხოვ თუ მიბრძანებ?

— გთხოვ.

მაკა წვება და მთხოვს, თმა დავუწნა და მერე ავუწეწო. მე და მაკა ხშირად ვერთობით ასეთი თხოვნებით. მე ვთხოვ ხოლმე მაკას, მხრებზე მაკოცოს, ენა მათხოვოს. მაკა ყველა თხოვნას მისრულებს. მე — ზოგიერთს. მაგალითად, წვერს ვუშვებ (სასაცილოდ ამომდის წვერი. ნიკაპზე ქერაა, ლოყებზე — შავი. შეიძლება ითქვას, რომ ფერადი წვერი მაქვს); მაგალითად, თმას ვუწნავ. ბავშვობაში სხვადასხვა ფერის მავთულებით მათრახებს ვწნავდი, შემდეგ მუთაქაზე ვჯდებოდი და მტვერს ვადენდი. მუთაქა ჩემი ცხენი იყო. მაკას თხელი თმა აქვს...

— ხანდახან მინდა, რომ ძალიან გარყვნილი ვიყო, ბოზი ვიყო. ხანდახან ისე მინდა, ბოზი ვიყო, რომ ვგიჟდები, სუნთქვა მეკვრის, ვცქმუტავ და რა ვიცი... მოგიყვები რა, როგორი ბოზი მინდა ვიყო. ხომ არ მიბრაზდები?

— არა, ბოზო.

მაკა იცინის, კისკისებს:

— აი, პირველ შემხვედრ სიმპათიურ კაცს რომ მიუახტე... ხანდახან სტრიპტიზის ცეკვა მინდება...

— შენ ცნობა გაქვს?

— რა ცნობა?

— ნორმალური რომ ხარ.

— ხანდახან მინდა, კაცებს ვუთვალთვალებდე, საუნაში როგორ მიდი-მოდიან აქეთ-იქით. როგორ სვამენ ლუდს და როგორ ლაპარაკობენ ქალებზე. ხომ ზუსტად ეგრეა, დედას გაფიცებ?

— დაახლოებით... შენ ეგ ბოზობა ხანდახან გინდა, არა?

— კი.

— მაინც, თვეში რამდენჯერ?

— რა თვეში რამდენჯერ, შენ მე ვინ გგონიარ? — მაკა სილას მაწნავს, — წელიწადში ერთხელ, ჰა და ჰა, ორჯერ, — და მაკა ლოყაზე მკოცნის, — ძალიან გეტკინა, ჩემო სიცოცხლე?.. შენ არ გინდა, რომ მაგარი კაცი იყო?!

— არ ვარ თუ რა! — შეურაცხყოფილი ვარ.

მაკა კვდება სიცილით.

— არ გამიბრაზდე, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ შენი პირველი ქალი ვარ. ნუ, ვიღაც ფულიან ბოზებს და იმ ავსტრალიელ მილინდას არ ვგულისხმობ.

— ავსტრალიელს არა, ამერიკელს.

— უკაცრავად, ამერიკელ მილინდას არ ვგულისხმობ. და, საერთოდ, იყო თუ არა ეგ მილინდა, კიდევ საკითხავია.

იცინის, ძალიან იცინის მაკა. მე თვალწინ მილინდა მიდგას და ვიცი, რომ იყო. მე მოვიწყინე. მაკა მამჩნევს და მეფერება, მხრებზე მკოცნის.

— ხვალ გინდა დავლიოთ? — ვეკითხები.

— არა, გაგიჟდი? მე ძალიან ცუდი სიმთვრალე მაქვს, — და მარჯვენა მხარზე მკოცნის.

მიწა ხარ და მიწად მიიქცევი; ცა ხარ და მიწად იქცევი; წყალი ხარ და მიწად იქცევი; ბოლოს ყველაფერი მიწად იქცევა. ეს ნათიას რწმენაა, როგორც თავად ამბობს — კრედო. მიუხედავად ამისა, ნათიას უყვარს ქრისტე, რადგან ის გარკვეულ პრობლემებს უგვარებს. ნათია საჭირო დროსა და საჭირო ადგილას ყოველთვის ახსენებს ქრისტეს. მაგალითად, ღამით, ქმართან, საწოლში:

— ნუ, ნუ მეხები. შემეშვი. ჩვენ ჯვარი არ გვაქვს დაწერილი, მეუღლეები არ ვართ ქრისტეს წინაშე.

ნათია პირჯვარს ისახავს, ხოლო ქმარი ტუჩებს იჭამს და ტუჩებნაჭამი ამბობს:

— როდის აქეთ გახდი, შეჩემა, ეგრე ღრმად მორწმუნე. ამდენი წელია ფეხებს მიწევ და ეხლა გაგახსენდა, რო ქრისტეს წინაშე მეუღლეები არ ვართ?

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მე ვიწამე და შენც გირჩევ, იწამო.

ნათია ზურგს აქცევს ქმარს, თვალებს ხუჭავს და ფიქრობს: „მგონი, დღესაც გადავრჩი“. ხოლო ქმარი ტუჩების ჭამას უბრუნდება, თვალები გახელილი აქვს და ნათიას ზურგს ხედავს. მეუღლეობა ქრისტეს წინაშე შარია და ეს შარი უსიყვარულობიდან მოდის. ნათიას აღარ უყვარს ქმარი. ნათიას ქმარს თმა გასცვივდა, ხოლო ნათია ვერ იტანს, ძალიან ვერ იტანს მელოტებს.

დღეს შაბათია. უქმე (ნათია სტატიებში ვიკენდ-ს ხმარობს და არა უქმეს, რადგან ეს უკანასკნელი სიტყვა, ნათიას აზრით, პროვინციალიზმია. ამ დღეს საქართველოს მოსახლეობის 80% სახლში ატარებს, რადგან ელემენტარული სახსრები არ გააჩნია და ა. შ. რა არ დაუწერია ნათიას. ნათიას უხარია, რომ ამ 80%-ს არ ეკუთვნის). ქმარი და ბავშვი სასეირნოდ წავიდნენ და ნათია მარტოა. სარკის წინ დგას

და მარტოობით ტკბება. იცის, ორი ნაბიჯი რომ გადადგას უკან, საკუთარ ფეხებს დაინახავს. იცის, რომ უშნო ფეხები აქვს და ამიტომაც განზრახ მოკლე კაბებს იცვამს — მტრის ჯინაზე. მაგრამ ახლა ნათიას მოკლე კაბა არ აცვია. საერთოდ, არაფერი აცვია, ახლად ნაბანავებია და შიშველი დგას სარკის წინ. სარკესა და ნათიას შორის პირსახოცი გდია, თეთრი, ფუმფულა პირსახოცი. ნათიამ ამ პირსახოცით ტანი გაიმშრალა და ახლა მშრალი ნათია სარკის წინ დგას და საკუთარ კერტებს აფასებს: „ცოტა უფრო მეტი სიწითლე რომ ჰქონდეთ, ცოტა უფრო წითლები რომ იყვნენ, რა ფანტასტიკური იქნებოდა!". ნათიას მთლიანად სურს საკუთარი თავის დანახვა და ორ ნაბიჯს დგამს უკან. ფიქრობს: „მე არაფერს ვმალავ. უშნო ფეხები მაქვს, სამაგიეროდ, მაქვს ლამაზი თავი, ლამაზი თვალები, ლამაზი ტუჩები, კარგი მკერდი, კბილებიც კარგი მაქვს. ვინც მე შემიყვარებს, არ ინანებს. განცხადება უნდა გავუშვა გაზეთში".

ნათია იცინის. სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი, „ვიღაც გაიჩინოს". ეს „ვიღაც" არ იქნება თბილისელი, რადგან ამ დამპალ ქალაქში ყველა ყველას იცნობს, ყველა ყველას ნათესავია, ყველა ყველას მეგობარია. ნათიას ქმარი გამელოტდა, მაგრამ თბილისელობა არ დაუკარგავს. ნათია ვერ იტანს პროვინციელებს, ხამი მზერითა და აქოთებული ფეხებით რომ დადიან აქეთ-იქით, იქით-აქეთ. ნათიას ხანდახან გონია, რომ ეს ყველა ყველას ნათესავი და ყველა ყველას მეგობარი ან თუნდაც ნაცნობი ტყუილი და ხელოვნური ბერკეტია წესრიგის შესანარჩუნებლად. „თქვენი წესრიგის დედაც! თქვენი ნათელი მომავლის დედაც!" — ფიქრობს ნათია, — „საერთოდ, თქვენი დედაც (ეს უკვე ფიქრი აღარაა, ეს არის გინება), ვითომ ძალიან რომ გიყვართ ერთმანეთი და ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოგდით", — ნათიას ხანდახან გონია, რომ არავინ არავის ნათესავია, არავინ არავის მეგობარია და, საერთოდ, არავინ არაფერი არ არის, — „თუნდაც მე და ჩემი

ქმარი. იყო დრო, როდესაც ჩვენ ერთმანეთისათვის არავინ ვიყავით, არაფერი ვიყავით და ორივე თბილისში ვცხოვრობდით“.

თერთმეტი წლის წინ (1994წ.) თბილისში ორი ღამის კლუბი და სამი ბულვარული გაზეთი არსებობდა. სამიდან ერთი უცხოურ, ორი ადგილობრივ ელიტარულ ქრონიკას სთავაზობდა ერთგულ მკითხველს. ამ ორიდან ერთ-ერთში მუშაობდა ნათია. მაშინ ის ოცი წლის იყო. გაზეთში მიყავდა რუბრიკა „ელიტა ღამით“. ხან ერთ, ხან მეორე ღამის კლუბში ათენებდა და თვალს ადევნებდა საკუთარი რუბრიკის გმირებს.

ნათიას იმდროინდელი ნაწერებიდან:

„ჩვენს ელიტაში დღეს მოდურია: შავი ფერის ტანსაცმელი და შავი გაგება. აგრეთვე „ბერეტას“ სისტემის თექვსმეტტყვიიანი პისტოლეტი. ზოგიერთი ელიტარი გვთავაზობს რეტრო-სტილს: ჩოხა, ნაბადი, „მაუზერი“. გოგოები ეწევიან 120 მმ „მარლბოროს“, ფეხი ფეხზე აქვთ გადადებული და საუბრობენ სტინგზე (განმარტება მდაბიოთათვის — სტინგი მუსიკოსია) და სოციალურ პრობლემებზე აფრიკაში (განმარტება უვიცებისთვის — აფრიკა კონტინენტია. აგრეთვე, აფრიკა უბანია თბილისში). ჩვენ ვცდილობთ, დავადგინოთ, რომელი აფრიკის სოციალურმა პრობლემებმა აუჩქროლა ახალგაზრდა ქალბატონებს გული. კაცების სასაუბრო თემა ერთი წაგებული ომია...“ და ა. შ.

ხოლო ერთ მშვენიერ დღეს (თავად ნათია ასე უწოდებდა ამ დღეს ქმრის გამელოტებამდე, ხოლო ავტორისთვის ეს დღე უდიდესი დღეა — ქრისტეშობა) ნათიამ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე. ის მაშინ ქოჩორა ბიჭი იყო, მოდურად ეცვა, კუბურ სიგარას ეწეოდა და ქამარში პისტოლეტი ჰქონდა გაჩრილი.

ოდესღაც, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს...

რა იყო ნათიასთვის საბჭოთა კავშირი? — ალისფერი

ყელსახვევი, ყავისფერი სკოლის ფორმა და თეთრი წინსაფარი. ზამთარში სკოლის ფორმის ქვეშ ნათიას შალის რეიტუზი ეცვა და გამუდმებით ფეხები ეფხანებოდა, შეწუხებული იყო. რა იყო ნათიას ქმრისთვის საბჭოთა კავშირი? — ალისფერი ყელსახვევი, ლურჯი სკოლის ფორმა და თეთრი, გახამებული პერანგი. ზამთარში სკოლის ფორმის ქვეშ შალის რეიტუზი ეცვა და გამუდმებით ფეხები ეფხანებოდა, შეწუხებული იყო. ნათია და მისი ქმარი სხვადასხვა სკოლაში სწავლობდნენ. ნათიას სკოლაში დიდი ისტორიული სტენდი იყო გაკეთებული, რომელზეც სამოქალაქო და სამამულო ომის გმირების ფოტოები გაეკრათ. ნათიას აღარ ახსოვს მათი სახეები, სამაგიეროდ, ახსოვს ზოგიერთის გვარი: კიკვიძე, შჩორსი... მორჩა, მეტი არ ახსოვს. ნათიას ქმრის სკოლაში, მესამე სართულზე ბიჭების უზარმაზარი ტუალეტი იყო. ტუალეტის კედლებზე ეწერა მოფაფხურე და მართლა მაგარი ბიჭების სახელები და მეტსახელები. მოფაფხურეების — წვრილი ასოებით, მაგრეებისა — დიდით. ნათიას ქმარს ახსოვს ზოგიერთი სახელი და მეტსახელი: გიო, გუინპლენა... მორჩა, მეტი არ ახსოვს. რა არის ნათიასთვის და მისი ქმრისთვის საბჭოთა კავშირი? — ბავშვობა. ნათია და მისი ქმარი საბჭოთა კავშირიდან მოდიან.

ოდესღაც, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, კუბური სიგარები გასტრონომებში ეყარა, რადგან კუბა საბჭოთა კავშირის მეგობარი სახელმწიფო იყო. სიგარა ღირდა ერთი მანეთი და იშვიათად ყიდულობდა ვინმე. იმ დროს ყიდულობდნენ ძალიან ღრმა სახელწოდების მქონე „კოსმოსს“ ან ძალიან ისტორიული სახელწოდების მქონე „კოლხეთს“, უკიდურეს შემთხვევაში — „მტკვარს“, რომელიც სეხნია მდინარესავით მყრალი იყო. შემდეგ გაქრა „საბჭოთა კავშირი“ სახელწოდების სახით, გაქრა „კოსმოსიც“, „კოლხეთიც“, „მტკვარიც“ — სიგარეტის სახით; ხოლო კუბური სიგარა იშვიათობა გახდა.

ქოჩორა, სიგარიანი ბიჭი ნათიას პირისპირ დაჯდა და ნათიას კითხა:

— ჟურნალისტი ხარ, არა?

ნათიამ თავი დაუქნია, ხოლო ქოჩორა, სიგარიანმა ბიჭმა თქვა:

— ძალიან კარგი, სიგარა გიყვარს?

ნათიამ თავი გააქნია. ქოჩორა, სიგარიან ბიჭს გაუკვირდა:

— არაა?

— გასინჯული არ მაქვს.

ქოჩორა, სიგარიანმა ბიჭმა ნათიას სიგარა გაუწოდა:

— გასინჯე.

ნათიამ გასინჯა და კინაღამ დაიხრჩო. ახველა და ახველა. ქოჩორა ბიჭმა იცინა და იცინა. შემდეგ სიგარა დაიბრუნა და ნათიას გაეცინო:

— მე ლევანიკო ვარ.

ორ კვირაში იქორწინეს, ცხრა თვეში ბიჭი ეყოლათ და ყველაფერი კარგად იყო მანამ, სანამ ნათიამ ქმრის თმის ღერები არ იპოვა საწოლში. ნათიამ თმის ღერები მარჯვენა ხელისგულზე დაიწყო, ხელი ქმრისკენ გაიშვირა და თქვა:

— ლევანიკო, თმა გცვივა.

ქმარმა მხრები აიჩეჩა:

— რა ვქნა ეხლა, ბავშვის ფსელი დავისხა თავზე თუ რა?

ნათიამ ტუჩები გაბუსხა:

— მე არ მიყვარს, ლევანიკო, მელოტები.

ქმარი გაბრაზდა:

— მელოტი მამაშენია.

ნათიამ მხარზე უბწკინა ქმარს:

— მამაჩემი არ არის მელოტი.

ქმარმა ხელი ჩაიქნია:

— ლოთი ხოა, მე მაგის შვილის...

ქმარი წამოდგა და სამზარეულოსკენ წავიდა, ხოლო საკუთარ ხელისგულს დაჩერებული ნათია ფიქრობდა: „მელოტდება, მელოტდება!“ ნათიამ სული შეუბერა ხელისგულზე დაყრილ თმის ღერებს და თმის ღერები გაიფანტა. რაც შეე-

ხება ნათიას სიყვარულს, ის ერთი სულის შებერვით არ გაფანტულა, ნათიას სიყვარული თანდათან გაქრა. ახლა ნათია სარკის წინ დგას და სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი, „ვიღაც გაიჩინოს“. თავს იმშვიდებს: „ჩემი ყველა დაქალი ბოზია და მისი ყველა ამჟამინდელი რესპონდენტი — ნაბოზარი“. გაზეთში ახლაც რუბრიკა მიჰყავს: „მარადიული ვენერები“. რესპონდენტები არიან ერთ დროს ძალიან ცნობილი მსახიობები. მოსაწყენი საქმეა, ზის და უცინის ამ ღრჯო მოხუცებს. ისინი კი საგულდაგულოდ გამოწყობილან. ზოგი სტალინს იცნობდა პირადად, ზოგი — ბერიას, ზოგი — ლოურენს ოლივიეს; ზოგს პარიზი მოსწონს, ზოგს — მადრიდი, ზოგს — რომი. მაგრამ ყველა აღიარებს, რომ მსოფლიოში ულამაზესი ქალაქი თბილისია; ყველა ამბობს, რომ თავისი საუკეთესო როლი ჯერ არ უთამაშია. „დებილები“, — ბრაზობს ნათია და ფიქრობს: „პოლიტიკას უნდა დავუბრუნდე. კონფლიქტის ზონა, მესამე მსოფლიო ომი, ტერორიზმი“. რამდენიმე თვის წინ, როდესაც მონატრებამ პოლიტიკური მიმოხილვებიდან ბულვარულ მიმოხილვებზე გადაიყვანა, ნათია ფიქრობდა, რომ ამოისუნთქავდა. ამოისუნთქა და მოიწყინა. ახლა სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი, „ვიღაც გაიჩინოს“ და პოლიტიკურ მიმოხილვებს დაუბრუნდეს. რა კავშირი აქვს ერთმანეთთან ვიღაცის გაჩენას და პოლიტიკურ მიმოხილვებს, ნათიასთან ერთად მომავალში გავიგებთ.

ტელეფონი რეკავს. ნათია ინსტინქტურად იატაკისკენ იხრება, პირსახოცს იღებს, ტანზე იხვევს სწრაფად და უშნოდ და ასე პირსახოცში ტანგახვეული მიდის ტელეფონთან. ყურმილს იღებს: — ალო. ჰო, დედა, ვარ რა. კარგი, კარგი. მოვალ, ჰო.

ნათია ყურმილს დებს, პირსახოცს იხსნის, იატაკზე აგდებს, საძინებელში შედის, მაისურს და ჯინსის შორტს იცვამს, ქოშებში ფეხებს ყოფს და სახლიდან გადის. სადარბაზოში ქმარს და შვილს ეფეთება. თავად ასე ფიქრობს: „ჩემი

შვილი და ლევანიკო“. ნათია ამჩნევს, ქმარს ხელში ლეკვი უჭირავს და ეკითხება:

— ზოოპარკს ვხსნით სახლში?

— ბავშვს მოეწონა და ვიყიდე. შენ საით?

— ჩემებთან.

— დე, მოგწონს ჩემი ლეკვი?

ნათია ფიქრობს: „ჩემი შვილი, ჩემი შვილი“ და ამბობს:

— კი, ჩემო ლამაზო, ჩემო ანგელოზო... — მერე ქმარს ეუბნება, — მე მალე მოვალ.

სადარბაზოდან გადის. ნათიას მშობლები გვერდითა სადარბაზოში ცხოვრობენ, მერვე სართულზე. ნათია ლიფტის ღილაკს აჭერს თითს და ახსენდება, რომ ლიფტი ფასიანია. ნათია უფულოდაა. უფულო ნათია კომუნისტია: „ოოო, ამათი დედა, არ შეიძლება რა, ესე გავაჭრება, არ შეიძლება რა, ესე ყველაფერში ფულის შოვნა. გავარტყი რა, ამ კაპიტალისტებს სუყველას“.

და ნათია ფეხით ადის მშობლების სახლში. ამ სახლში გაიზარდა. ადრე ამ სახლს ნათიას სახლი ერქვა. ახლა ნათია მშობლების მეზობლად ცხოვრობს და თავისი სახლი აქვს. ამ სახლს კი მშობლების სახლი ქვია. ნათია მშობლების მეზობლად პრაქტიკული მოსაზრებით დასახლდა. დედა ბავშვს უზრდიდა, ნათია კი მშვიდად წერდა სტატიებს, ანუ ყურადღებით. ისე წერისას ძალიან ემოციურია: ბევრს ეწევა, ბევრ წვენს სვამს და ზოგჯერ მაგიდას ფხაჭნის ფრჩხილებით. წერის შემდეგ ბევრს ახველებს და წამდაუწუმ საპირფარეშოში შერბის. ხანდახან ნათიას ფრჩხილები სცვივა.

კარს დედა უღებს.

— მოდი, შვილო.

— სად მოასწრო?

დედა და ნათია პირისპირ დგანან. მათ შორის მთვრალი მამა გდია. რამდენიმე წელია, ასეა: მამა სვამს, სახლში მთვრალი ბრუნდება, საწოლამდე ვერ აღწევს და ხან ჰოლში,

ხან სამზარეულოში, ხან ლოჯში ვარდება. დედა ნათიას ურეკავს. ნათია გადმორბის და დედას და ნათიას მამა საწოლში გადაჰყავთ. ნათიას მამა ფეხებით უჭირავს, დედას — მხრებით და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გადაჰყავთ საწოლში. მამა ფშვინავს. საწოლში აწვენენ, ფეხსაცმელს ხდიან, ნათია სუნთქვას იკრავს, ფეხსაცმლის არასასიამოვნო სუნმა რომ არ შეაწუხოს. მამის ფეხსაცმელს საწოლის ქვეშ დებს. ნათია და დედა საძინებლიდან გამოდიან.

— დე, სიგარეტი გაქვს?

— წამო, ლოჯში მიდევს.

დედა და ნათია ლოჯში სხდებიან და სიგარეტს ეწევიან.

— დე, რაღაც უნდა გითხრა.

— მითხარი, შვილო.

— ლევანიკო აღარ მიყვარს.

დედა სიგარეტს წკიპურტით ფერფლავს.

— ვინ ლევანიკო?

— ნუ იცი რა, თავის გასულელება. ვინ ლევანიკო და ჩემი ქმარი, შენი სანაქებო სიძე.

დედა სიგარეტს საფერფლის ღარში დებს.

— ჰოო, საყვარელი ყავს?

— არა.

— გცემს?

— არა.

— ფული გაკლია?

— არა.

— იმპოტენტია?

— არა.

— შენ, შვილო, გიჟი ხარ. ამდენი წელია, ერთად ხართ. საშინელი, მშიერი წლები იცხოვრეთ ერთად.

— იმ საშინელ და მშიერ წლებში ვცხოვრობდით ყველაზე კარგად. ბინა მაშინ ვიყიდეთ, ლევანიკო დღემდე იმდროინდე-

ლი მანქანით დადის. ვინ არის ახლა ლევანიკო? ორიათასლარიანი მენეჯერი. ამდენ ფულს ერთ ღამეში ხარჯავდა ადრე.

დედა თავს იმართლებს:

— მე, დედი, ზოგადად ვთქვი, რომ ის წლები იყო საშინელი და მშიერი წლები, ისტორიაში ასე დარჩება, დედი.

— რა ისტორია, დედა, კარგი რა!

— მითხარი მიზეზი, შვილო, რატომ აღარ გიყვარს?

— მელოტია, დედა, მელოტი. ვერ ვიტან მელოტებს, — ტირის ნათია.

— გიჟური მიზეზია.

— დე, საყვარელი გყოლია?

— გაეთრიე ჩემი სახლიდან, — დედა ფეხზე დგება.

ნათია მიეთრევა. ფიქრობს: „რა ვუთხარი ეხლა ისეთი?! გიჟია". ახსენდება, რომ უფულოდაა, ლიფტი კი ფასიანია. ფეხით ჩადის. თავმოყვარეა ნათია. სანამ დედა არ დაურეკავს, თვითონ არ შეეხმიანება. დედა კი ხვალ დარეკავს, რადგან მამა ხვალაც დალევს. ნათია სადარბაზოდან გამოდის. ფიქრობს: „რა არის ცხოვრება? — ერთი სადარბაზოდან გამოვედი და მეორეში შევდივარ; ერთი კაცი გადამიყვარდა და მეორეს ვეძებ. — სისულელე".

9

სოხუმი არის ქალაქი, რომელშიც ბექამ და ლევანიკომ ერთმანეთი გაიცნეს. ავტომატები ეჭირათ ხელში და ჭაობისფერი უნიფორმები ეცვათ, ამბობდნენ, რომ ჭაობში არიან.

ნიუ-იორკი არის ქალაქი, საიდანაც ახლა ბექა მოფრინავს.

თბილისი არის ქალაქი, რომლის აეროპორტის ფოიეში ახლა ლევანიკო ბოლთას სცემს და წამდაუწუმ საათს უყურებს. ლევანიკო ბექას ჩამოფრენას ელის.

ბექა მოფრინავს. თვითმფრინავის პირველი კლასის სა-

ლონში ილუმინატორთან ზის, ყურში სასმენი აქვს გარჭობილი და ჯაზს უსმენს. გაოცებულია: „რა არ შეუძლია ადამიანს? აი, ვზივარ, თან მივფრინავ. რამდენი რამის გაკეთება შეუძლია ადამიანს ერთდროულად: ვზივარ — ერთი, მივფრინავ — ორი, ჯაზს ვუსმენ — სამი, ვფიქრობ — ოთხი, ვითვლი — ხუთი“.

ბექას უყვარს ფიქრი. ნიუ-იორკში ცხოვრების დროს ბექას ძირითადი საქმიანობა ფიქრი იყო, რადგან პატარა ქალაქიდან (რომელშიც ახლა ბრუნდება) წაღებული დიდი ფული დიდ ქალაქში მუქთა ცხოვრების საშუალებას აძლევდა. მაგრამ ფულმა ფული თუ არ მოიგო, აუცილებლად გათავდება ერთ დღეს, რომელსაც მშვენიერს ვერ ვუწოდებთ. და ეს პირველი კლასის სალონი, ძვირფასი ტანისამოსი, უმაღლესი ხარისხის თამბაქო ბექას ბოლო ბანაობაა.

რა არ შეუძლია ღმერთს? ღმერთს შეუძლია ყველაფერი, ღმერთს შეუძლია ლევანიკოს ხმით ლაპარაკი: „საქმე შეწყვეტილია, ძებნა მოხსნეს, შენ თავისუფალი საქართველოს თავისუფალი მოქალაქე ხარ, ჩამოდი, დიდი საქმეა...“ რა არ შეუძლია ღმერთს! — გაოცებულია ბექა. ნიუ-იორკში ჩასვლისას არავინ დახვედრია აეროპორტში, არც გამოფრენისას გამოუცილებია ვინმეს. ზის ბექა ახლა ილუმინატორთან, ჯაზს უსმენს და ბრუნდება თბილისში — თავისუფალი საქართველოს თავისუფალი მოქალაქე. ბექა იღიმის.

ხოლო ლევანიკო აეროპორტის ფოიეში ბოლთას სცემს, წამდაუწუმ საათს უყურებს და ბექას ჩამოფრენას ელის.

ლევანიკო ფიქრობს: „რა არი, არა, ცხოვრება? ერთად დავდიოდით საქმეებზე, ერთნაირი წილი გვქონდა, ერთად გავიჭედეთ და დავიშალეთ. ბექა ნიუ-იორკში გაეძრო, მე — სვანეთში ერთნაირი ფულით. მე ბოსელში ვცხოვრობდი, დღე გარეთ ვერ გავდიოდი, ათასი თვალია, ათასი ბოზი. ბექა კიდევ ნიუ-იორკში იყო, როცა უნდოდა, გადიოდა, როცა უნდოდა, შედიოდა, მაგარ სახლშიც ცხოვრობდა, რაზეა ლაპარაკი.

ბედი არ მაქვს, რა! ბექა — ნიუ-იორკში, მე — სვანეთში. და რამდენი მოკვდა?!“

მკვდრები ლევანიკოს აშშვიდებენ. ყოველთვის ასეა: იფიქრებს ბექას ნიუ-იორკზე და თავის სვანეთზე და სიკვდება ბოღმით, ცუდადაა მანამ, სანამ მკვდრები არ მოვლენ და არ დაამშვიდებენ.

მკვდრების ქორო: „საქმეებს ერთად ვაკეთებდით. ერთნაირი წილი გვქონდა, ერთად გავიჭედეთ და დავიშალეთ, შენ სვანეთში გაეძრე, ჩვენ — მიწაში, ერთნაირი ფულით“.

ლევანიკო ჯიბეებს იჩხრეკს, სიგარეტს ეძებს და ვერ პოულობს, იმიტომ, რომ არა აქვს. ჯიხურთან მიდის. ჯიხურში ყველაფერია: ვერცხლის ხანჯლები, თექის ქუდები, ჩოხები (ლეგა, თეთრი, შავი), დოქები და მინიატურული ქვევრები. მოკლედ, ყველაფერი, რაც დებილ ქართველებს და ტურისტებს საქართველო ჰგონიათ. ჯიხურში სასმელი და სიგარეტიც იყიდება და, რაც მთავარია, ჯიხურში გოგონა ზის, სულიერი არსება.

ლევანიკო გოგონას ეკითხება:

— ამ რაღაცებს, — უთითებს სუვენირებზე, — უცხოელები ყიდულობენ, არა?!

— დიახ, ისინი ისეთი საყვარლები არიან, ისეთი არაჩვეულებრივები.

— თქვენ, ალბათ, ინგლისური და კომპიუტერი იცით, არა?

— რა თქმა უნდა. და უკაცრავად, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე თავისუფალი საქართველოს თავისუფალი მოქალაქე ვარ, ვმუშაობ ერთ-ერთ ფირმაში და ახლა სიგარეტი მინდა! — ლევანი ფულს უწვდის გოგონას, გოგონა ფულს ართმევს და სიგარეტის კოლოფს უწვდის. ლევანიკო ართმევს და ამბობს:

— ძმაკაცს ველოდები, ნიუ-იორკიდან მოფრინავს. თქვენ ნამყოფი ხართ ნიუ-იორკში?

— არა, ძალიან კი მინდა.

— არც — მე. და მეც ძალიან მინდა.

— თქვენ ხომ წარმატებულ ფირმაში მუშაობთ?

— მე შიდა საქმეები მეხება. თქვენ რა გქვიათ?

— ვიქტორია. თქვენ?

— მე — ლევანიკო. თუ წავალ ნიუ-იორკში, აუცილებლად წაგიყვანთ.

— კაცები ყველა ერთნაირები ხართ, მარტო დაპირებები გეხერხებათ.

— ვნახოთ, ვნახოთ.

ლევანიკო ჯიბურს ცილდება, სიგარეტის კოლოფს ხსნის, პარკს და ქაღალდს ურნაში აგდებს, სიგარეტს უკიდებს, ღრმა ნაფაზს არტყამს და საათს უცქერს: დროა. ინფორმატორის ხმა ესმის. ინფორმატორი ქალია: „რეისი ნიუ-იორკი-ვენა-თბილისი“ დაეშვა საფრენ ბილიკზე. ლევანიკო შვებით: „ეგრე, რა!“ — სიგარეტი კბილებით უჭირავს, ცხვირიდან ბოლს უშვებს და ხელებს იფშვნეტს. დრო კი გადის...

ოცი წუთის შემდეგ: ისინი ერთმანეთს ხვდებიან, ერთმანეთს ესალმებიან, ერთმანეთს ულიმიან და ერთმანეთს მხარზე უტყაპუნებენ ხელებს. ბექას დიდი, შავი სპორტული ჩანთა აქვს გადაკიდებული მხარზე. ლევანიკო თავისუფალ მხარზე უტყაპუნებს ხელს.

— ბიჭო, თმა რა უყავი? — ეღიმება ბექას.

ლევანიკო, ხელის ჩაქნევით: — გამცვეოდა, წამო, წავიდეთ.

ისინი აეროპორტის ფოიედან გადიან.

გასვლამდე: ლევანიკო ვიქტორიას ემშვიდობება და ჰა

გზას აგრძელებენ და აეროპორტის აუტოსადგომზე შედიან.

— ეა, ისევ ძველი მანქანით მოძრაობ?!

ბექა თავის დიდ, შავ, სპორტულ ჩანთას მანქანის უკანა საკარძელზე დებს და მანქანაში სხდებიან. ლევანიკო — საჭესთან, ბექა — გვერდით. ლევანიკო მანქანას ქოქავს.

— ჰო, სანამ დავიძვრებით, — ბექა ჟილეტის ჯიბიდან ფოტოს იღებს, — აი, ამ ტიპს ხომ არ იცნობ?

ლევანიკო ფოტოს დაცქერის.

— ვინაა?

— ეს თაზო ბერიძეა. ნიუ-იორკში ერთი ქალი მყავს და იმ ქალის პირველი სიყვარულია. თვითონ ამბობს ეგრე. სადღაც ავსტრალიაში გადაყრიან ერთმანეთს.

— მოიცა, ეს ტიპი ქართველია?

— კარგი რა, სახეზე შეხედე... ჩემი ქალი თომასს ეძახის, თომასი ქართულად თამაზია, თამაზი კი — თაზო.

— და ეხლა გინდა, რო ეგ თომასი, თამაზი თუ თაზო, მოძებნო და დაბრიდო?

— აუუ, ჩარჩი არა, შენ 93 წელში?..

— გკითხე, რა.

— ბიჭო, ამ ამერიკელებს გონიათ, რო ამერიკის გარდა მთელი მსოფლიო ერთი დიდი სოფელია, სადაც ყველა ყველას ძმაკაცია და რამე. რო ვუთხარი ამ ჩემ ქალს, სად ვიპოვო ამხელა თბილისში ეგ შენი პირველი სიყვარული-მეთქი, ტირილი დაიწყო, რატო მატყუებო, თქვენ ხომ ყველა ყველას იცნობთ, ყველას ყველა გიყვართო და ეგეთები. მეც წამოვიღე ეს სურათი.

— და რაში ჭირდება ეგ თავისი პირველი სიყვარული?

— შენი პირველი შეყვარებული გახსოვს?

— ე, როგორ არ მახსოვს. ჩემი კლასელი იყო.

— და ეხლა სადაა?

— მოსკოვში, ვიღაც ჩაქცეულის ცოლია. შენ გახსოვს შენი პირველი შეყვარებული?

— როგორ არ მახსოვს. ამ დღეებში ავუვლი. ჰო, ეს თაზო თუ ვნახე, ვეტყვი, რო მოკითხვა გადმოსცა და ყველაფერი აპატია მილინდამ. რამდენიმე თვეში თბილისში ჩამოდის რაღაც ბიზნესპროექტით.

— და რა აპატია?

— ის ფეხმძიმედ იყო, ამან კიდე, დაკრა ფეხი და მოტყდა.

— ეა, რა უგულო ხალხია, — ამბობს ლევანიკო და „გულის“ ხსენებაზე ახსენდება, რომ გულდაწყვეტილია, — ბიჭო, ორი კვირის წინ ბავშვს ლეკვი ეუყიდე, კარგი ლეკვი იყო, დარბოდა თავისთვის, ცხოვრება უხაროდა, ჩემი შვილიც გახარებული იყო. რა მოხდა, არ ვიცი, დღეს დილას მკვდარი ვნახე. ჰოდა, წამო, ჯერ ლისის ტყეში ავიდეთ, ამ საწყალს დავასაფლავებ და მერე წაგიყვან სახლში.

— ქელეხი არ იქნება?

ორივე იცინის. ლევანიკო მანქანას ძრავს.

— ნიუ-იორკელი ქალები მაგრები არიან, არა?

— არიან, რა.

— მაიცა, რა, ჯერ მარტო რა მაგარი სახელები აქვთ: ნაომი, ლინდა, შენონ.

— ეგენი ლოს-ანჯელესში ცხოვრობენ. ეგ ნაომი, ლინდა, შენონი და ყველა, ვისაც კინოში და ტელევიზიით აჩვენებენ, ლოს-ანჯელესში ცხოვრობს!

— მილინდა, რა, ცუდი სახელია? ეეე, ამომივიდა რა, ეს ნათია-თათიები ყელში. აი, შენ რო გიცდიდი, ერთი გოგო გავიცანი. ვიქტორია ქვია...

— რაღაც სოფლელივით ლაპარაკობ.

— საქართველო, ძმაო, სოფელია, — ლევანიკო სიჩქარეს ცელის ნერვიულად, — როგორ გინდა, აბა, რომ ვილაპარაკო?

ლისის ტყეში ლევანიკო მანქანიდან გადმოდის, საბარგულს აღებს და ნიჩაბი და თავმოკრული პარკი გადმოაქვს,

რომელშიც მკვდარი ლეკვი დევს. ლევანიკო პარკს მიწაზე დებს და ერთ-ერთი ხის ქვეშ მიწის თხრას იწყებს.

ბექა მანქანაში ზის და ფიქრობს: „რვა თუ ცხრა?“ ითვლის. ხან რვა გამოდის, ხან — ცხრა. ბექა ღელავს. გულისცემა აქვს გახშირებული. „არ უნდა წამოვყოლოდი, არ უნდა წამოვყოლოდი“, — იმეორებს გულში. ნიუ-იორკში მშვიდად იყო. არც ერთხელ არ დასიზმრებია ეს ტყე, სადაც რვა თუ ცხრა...

და უცებ ხმამაღლა ამბობს:

— რვა თუ ცხრა?

ლევანიკო თხრას წყვეტს:

— რა რვა, რა ცხრა?

— რვა თუ ცხრა კაცი გვყავს აქ ჩამარხული?

— რვა, — და ლევანიკო თხრას აგრძელებს.

— აუ, შენი გული მომცა, რა.

— ჩემი გული რად გინდა?

— ძმაო, ისე არხეინად თქვი, რვაო, გეგონება...

— ბიჭო, ჩემი ნათია ბოლო დროს მაგარი მორწმუნე გახდა, სუ ქრისტე-ქრისტეს ძახილშია, ჰოდა, მეც ჩავუჯექი საბარებას. სიკვდილი არ არსებობს, ძმაო.

— რეებს ბოდავ?

— ბიჭო, ჩვენ ეს რვა კაცი კი მოვკალით, მაგრამ ეგენი არ მომკვდარან. აი, ეს ლეკვი, კი, ძმაო, მოკვდა. ეს ლეკვი, ძმაო, ცოდოა, — ლევანიკო მიწაზე ჯდება, — დიდ ამბავში ვართ მოხვედრილები, ბექა, ძმაო, ძალიან დიდ ამბავში. ქრისტემ სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა, ძმაო, და მორჩა, ყველა უკვდავები ვართ.

— ბიჭო, აი, ეგ ლაფატკა რო გხიო თავში და შუაზე გადაგიხსნა, არაფერი, არა?

— 93 წელში შენა ხარ ჩარჩენილი. მე მაქვს სული, შენ გაქვს სული და სული უკვდავია, — ლევანიკო დგება და თხრას აგრძელებს, — ის ფოთელი მილიონერი გახსოვს, არ მომ-

კლათ, ორ მილიონს კიდევ დაგიმატებთო. ვინ უნდა მოკლა, სიკვდილი არ არსებობს, რეებში იხდის ხალხი ფულს... აი, იმ ხის ქვეშ იდგა და შენ პირდაპირ შუბლში — ბაც!.. გახსოვს?

— მახსოვს.

— როგორ გგონია, იყო ორი მილიონის დამმატებელი?

— არ ვიცი.

— მგონი, ეყოფა, არა? — ლეკვიან პარკს ორმოში აგდებს, — ლეკვი ცოდოა, ლეკვს სული არა აქვს.

ლევანიკო სწრაფად აყრის მიწას ლეკვს, შემდეგ მიყრილ მიწას ნიჩბით ტკეპნის, ნიჩაბს საბარგულში დებს, საბარგულს კეტავს, საჭესთან ჯდება, ხელებს იფშვნეტს და მანქანას ქოქავს:

— ჩვენი საქმე რო გამოვა და წილს ავიღებ, მაგარი ბიზნესაზრი მაქვს. ჰა, მკითხე ეხლა, რა, აზრი.

— რა აზრი?

— ძაღლების და კატების საერთო სასაფლაოს გავხსნი. შესასვლელთან დიდად დაეწერება: „ისინი ცხოვრებამ ერთმანეთს გადაკიდა, ხოლო სიკვდილმა შეარიგა“. ქვევით ეწერება: „ადმინისტრაცია“. რას იტყვი, როგორი აზრია?

— სახლში მიმიყვანე, რა.

— კი, ძმაო.

მანქანას ძრავს. მიდიან.

ბექა სახლთან მანქანიდან გადმოდის.

— საქმეზე როდის ვილაპარაკოთ?

— ეს ერთი კვირა დაისვენე, აქეთური-იქეთური, თბილისი გაიხსენე, ძმაო, და მერე ვილაპარაკოთ. ჰო, წვერი არ გაიპარსო.

— რატომ?

— საქმეს ჭირდება.

— ღადაობ?

— არა, რას ვღადაობ! არ გაიპარსო.

ბექა მანქანის კარს ფრთხილად კეტავს და სადარბაზოში შედის. ფიქრობს: „რა არ შეუძლია ღმერთს? ღმერთს შეუძლია, ეს ორუჯრედიანი ლევანიკო ალაპარაკოს უკვდავებაზე და სულზე. ღმერთს ყველაფერი შეუძლია". ბექა სახლის კართან დგას.

ხოლო ლევანიკო მანქანას ძრავს და ფიქრობს: „ეხლა ამას რეებიც ველაპარაკე, ეგ ყველაფერი რო მჯეროდეს, ვიქნებოდი, გასაგებია, ვინც, მაგრამ საქმეს ჭირდება, რომ ვითომ მჯერა და ვარ".

10

მაკა ხიდზე გადადის. ხიდის ქვეშ მდინარეა. მდინარე ტურტლიანია და ნელი. თან მიედინება და თან არის.

მაკა მდინარეს უყურებს და ფიქრობს: „ჩემი ჩრდილი წყალზე დადის, ჩემი ჩრდილი წყალზე დადის (უნდა, ტაში შემოკრას, მაგრამ თავს იკავებს). ჩემი ჩრდილი ჩემი გადარჩენაა. ჩემგან განსხვავებით, ჩემი ჩრდილი უშიშარია, რადგან ჩემს ჩრდილს ეჭვი არ ეპარება. მე სულ მეშინია და სულ ეჭვი მეპარება. განსაკუთრებით მაშინებს და მაეჭვებს ის, რაც ადამიანის შექმნილი არ არის: წყალი, ჰაერი, მიწა, ცეცხლი. არ მეშინია და ვენდობი: ხიდებს, მანქანებს, კომპიუტერს, რადგან ვიცი, რომ ადამიანის შექმნილია და ამიტომ — მარტივი და გასაგები. რაც შეეხება ადამიანებს: მათ ხან ვენდობი და ხან — არა, რადგან ხან მგონია, რომ ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ სხვა ადამიანების შექმნილები არიან, ხან მგონია, რომ — არა. და მერე რა, რომ ჩემამდე უთვალავ ადამიანს უფიქრია და ჩემ შემდეგაც უთვალავი ადამიანი იფიქრებს ამაზე. მე ჩემი კუთვნილი სიცოცხლე მაქვს, ერთადერთი და განუმეორებელი. ერთია ისტორიული გამოცდილება და მეორე ის, რასაც ახლა ვგრძნობ: ჩემი ჩრდილი ჩემი გადარჩენაა". მაკა გახარებულია. მაკა პათეტიკურია.

— მაკااა! მაკااა (თაზოს ხმაა)! — მაკა ჩერდება და ტრიალდება. ხიდს გალმა, გორაკზე, თაზო დგას და ხელს უქნევს, — დამიცადეე.

მაკა უცდის. თაზო გორაზე ეშვება და ხიდზე გადადის. ხიდის ქვეშ კვლავ მდინარეა. მდინარე კვლავ ტურტლიანია და ნელი, თან მიედინება და თან არის. მაკა მდინარეს უყურებს და ხედავს: მისი ჩრდილი წყალზე დგას. თაზოს ჩრდილი წყალზე დადის. თაზოს ჩრდილი თაზოს გადარჩენაა. თაზოს ჩრდილს ეჭვი არ ეპარება. თაზოს ჩრდილი არ წუწუნებს, თაზოს ჩრდილი კითხვებს არ სვამს. კითხვებს სვამს თავად თაზო, რომელიც ახლა მაკას პირისპირ დგას:

— სად მიდიხარ? სეირნობ? მე ალექსისთან ჩავალ, რაღაც-რაღაცებს ვიყიდი და ამოვალ.

— ჩადი, იყიდე და ამოდი.

თაზო ტრიალდება და მიდის. ხიდზე გადის. მაკა თაზოს ზურგს ხედავს, მისი ფეხის ხმა ესმის. თაზო გორაზე ადის, მერე გორას გადაივლის და თვალს ეფარება. მაკამ იცის, რომ მისი თვალსაწიერიდან გასული თაზო, პირველ რიგში, წვერს მოიფხანს. მაკას აზრით, თაზოს წვერი ძალიან უხდება, მაგრამ თაზო ვერ იტანს წვერს, თაზოს აწუხებს წვერი და რომ არა მაკას თხოვნა, მაკას ხათრი და მაკასადმი სიყვარული... მაკამ რამდენჯერმე წაასწრო თაზოს ფაქტზე. თაზო სარკესთან იდგა და წვერს იფხანდა. თან იგინებოდა:

— ამ წვერის დედაც, დე-დაც! — მაკას დანახვისთანავე თაზო წვერის ფხანას და გინებას წყვეტდა და ღიმილსა და ტკბილ-ტკბილ ფრაზებზე გადადიოდა, — ჩემი ლამაზი წვერი, ჩემი ძალიან ლამაზი წვერი, ჩემს ულამაზეს მაკუნას რომ ძალიან მოსწონს და მე რომ ძალიან, ძალიან მიყვარს ჩემი ულამაზესი მაკუნა!

მაკა იდგა, იღიმებოდა და ფიქრობდა, რომ ძალიან კარგი ბიჭია თაზო, ძალიან მოსწონს თაზო და ბედნიერია. მაგრამ ბედნიერება და სიყვარული არ არის ერთი და იგივე.

მაკას მამა ამბობდა, რომ სიყვარულია ღმერთი. მაკას მამას არასდროს უთქვამს, რომ ბედნიერებაც ღმერთია. მაკა თაზოსთან ბედნიერია. მაკა თაზოსთან ამბობს და აკეთებს ყველაფერს და მაკა თაზოსთან ბედნიერია, მაგრამ მაკას თაზო არ უყვარს.

მაკას ბექა უყვარს. მაგრამ ბექასთან არასდროს, არასდროს უთქვამს და გაუკეთებია ის, რაც უნდოდა. ერთხელ მაკა დაფეხმძიმდა. არ უნდოდა აბორტის გაკეთება, მაგრამ გაიკეთა. შიში. შიში. შიში. საერთოდ, ქალის და კაცის ურთიერთობაში (ამ დასკვნამდე მაკა საკუთარი გამოცდილებით მივიდა. მაკას გამოცდილება, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია, მაგრამ ეს წვეთი მაკას წვეთია) გადამწყვეტი პირველი კვირაა, მერე ყველაფერი ამ პირველი კვირის ინერცია და ერთსა და იმავე მდინარეში უამრავჯერ შესვლაა. პირველი კვირა ჩუმი ბრძოლაა, უფლება-მოვალეობების გადანაწილება.

მოხდა ისე, რომ პირველი კვირის შემდეგ მაკა უუფლებო და შეშინებული აღმოჩნდა, და ამიტომ შემდეგ, უკვე ფეხმძიმემ ვერ გაბედა ბექასთვის იმის თქმა, რომ შვილს ელოდებოდა. წავიდა და აბორტი გაიკეთა. მაკას ხშირად ედგა თვალწინ ასეთი სცენა: ის მიდის ბექასთან (თან მარჯვენა ხელი მუცელზე უდევს) და მკაფიოდ და რიხით ეუბნება, რომ აქ მათი შვილია. ასე მკაფიოდ და რიხით ბავშვობაში ამბობდა: ამინ! „ბექა, აქ ჩვენი შვილია. ამინ! აქ ჩვენი შვილია. ამინ! აქ ჩვენი შვილია. ამინ!“ მაკას არ სჯერა, რომ ცოდვები ტკივილით უნდა გამოისყიდო, მაკას სინანულის სჯერა, მაგრამ აბორტი მაინც უნარკოზოდ გაიკეთა. გრძნობდა და სტკიოდა. გრძნობდა, როგორ დაკუწეს მისი შვილის ჩანასახი და როგორ გამოფხიკეს. სისხლი. სისხლი. სისხლი. და ტკივილი — ყველაფერი სტკიოდა: საშვილოსნო, ხორცი, გული. და ტიროდა.

მაკა სახლში ბრუნდება. თაზო ჯერ არ დაბრუნებულა.

მაკა ფიქრობს: „ზის ახლა და ჭორაობს ალექსისთან“.

მაკა წარმოიდგენს: ზის თაზო, პროდუქტებით სავსე პარკები ფეხებთან უწყვია და ლაპარაკობს გაუთავებლად.

მაკა წყვეტს წარმოდგენას და ფიქრობს: „კაცებს უერთმანეთოდ არ შეუძლიათ. ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ. სვამენ, სვამენ, სვამენ სასმელს და კითხვებს... დებილობაა, მაგარი დებილობაა ეს კაცური ურთიერთობები. სხვადან და რაღაც კითხვებს უსვამენ ერთმანეთს და ერთმანეთის კითხვებზე პასუხებს სცემენ. რა თქმა უნდა, საკუთარ კითხვებზე პასუხები არა აქვთ. რომ კითხო, ტვინი მარტო კაცებს აქვთ. დებილები“. მაკა მუხლებზე ისვამს ხელებს და ზოგადად კაცებზე ფიქრს კონკრეტულ კაცზე ფიქრით ანაცვლებს: „უაზრო ყბედობას არ ურჩევნია, მოვიდეს და მომეფეროს? მერე მე მივეფერები. დებილი. წიგნი მაინც წამომეღო, წავიკითხავდი და დროს მოვკლავდი. არა, ხომ იცის, რომ მარტო ვარ. უნამუსოა“. მაკა უკვე გაბრაზებულია. დგება. ჯდება. დგება. ჯდება. დგება. დგას. ჯდება. ზის. ფეხებს იატაკზე აბაკუნებს: „მარტო ვარ, სულ მარტო“.

ამ დროს ბრუნდება თაზო. მაკას თაზოს ფეხის ხმა ესმის. იტრუნება. ფეხის ხმა ახლოვდება, შემდეგ კარი იღება და თაზო სახლში შედის. მაკა ხმას არ იღებს. ბედნიერია, რადგან თაზო დაბრუნდა. თაზო პროდუქტებით სავსე ორ პარკს მაგიდაზე დებს და ამბობს:

— ალექსი საცოლემ მიატოვა.

მაკას ფეხებზე კიდია ალექსიც, ალექსის საცოლეც. ბედნიერია, რადგან თაზო დაბრუნდა, და ბედნიერი მაკა, ისე, ზრდილობისთვის, ყასიდად ამბობს:

— საწყალი ალექსი.

მერე მაგიდასთან მიდის და პარკების ამოლაგებას იწყებს: პური, კარტოფილი, ხორცი.

— „ოჯახურს“ გავაკეთებ, — მაკა გადაწყვეტილებას იღებს. მეორე პარკში ხილია: ქლიავი, ატამი, მსხალი. ხილს მხოლოდ გარეცხვა და ჭამა უნდა. მაკას უყვარს ხილი. პურს

საპურეში დებს, კარტოფილს, ხორცს და გადარჩეულ ხილს — თასებში. ამასობაში თაზო ტანსაცმელს იხდის და ტრუსის ამარა იწყებს ოთახში ტანტალს. პირში სიგარეტი აქვს გაჩრილი.

— ჩაიცვი, რა.

თაზო მაკას გვერდით დგება და ღიმილით ეკითხება:

— რატომ, გაღიზიანებ?

— არ მაღიზიანებ.

თაზო ტრუსსაც იხდის და შიშველი აქეთ-იქით მიმოდის. მიმოსვლაში მანეკენებს ბაძავს, ტრუსს კი აქეთ-იქით აქნევს. ასე აქნევენ მომიტინგეები დროშებს.

— ნუ მაიმუნობ, ჩაიცვი.

თაზო ტრუსს იცვამს, სკამზე ჯდება და სიგარეტს აბოლებს.

— მაკა, გიყვარვარ?

მაკა თავს ხრის:

— ბედნიერი ვარ.

— მეც მიყვარხარ, — თაზო დგება, მაკასთან მიდის, კოცნის და ოთახიდან გადის.

მაკა ხორცის დაჭრას იწყებს. კერძის მომზადებას, კერძის მირთმევას, სიგარეტის მოწევას, კოცნაობას, სიყვარულს დრო მიაქვს და აი, უკვე ღამეა. თაზო და მაკა გვერდიგვერდ წვანან. ხორცი დაამებული აქვთ.

— მოდი, რაღაცები მოვუყვეთ ერთმანეთს.

— რა რაღაცები?

მაკა ფიქრობს, შემდეგ ამბობს:

— აი, თავის დროზე ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცები რომ გვეგონა და ეხლა აღარაფერი რომ არ არის.

— ვერ მივხვდი, რას ამბობ.

— აი, მე მოგიყვები, როგორ დავკარგე ქალიშვილობა.

— არ მაინტერესებს.

— მიხვდი, როგორ ამბებს ვგულისხმობ? თავის დროზე

ქალიშვილობა რომ დაკარგე, მეგონა, რომ აუუუ... ეხლა — არაფერი.

— ჯერ შენ მოყევი, ოღონდ ქალიშვილობის ამბავი — არა.

— კარგი. იყოს. სხვა ამბავს მოვყევები.

და მაკა იწყებს მოყოლას:

— სკოლაში ჩემ გვერდით პირველი კლასიდან მოყოლებული სულ ერთი ცისფერთვალა ბიჭი იჯდა და მე ამ ბიჭს ძალიან ვიყავი შეჩვეული. იმ წელს, მეექვსე კლასში რომ გადავედით, ცისფერთვალა ბიჭი ერთ დღეს არ გამოჩნდა, მეორე დღეს არ გამოჩნდა, მესამე დღეს არ გამოჩნდა და მე ძალიან მოვიწყინე მის გარეშე. ხომ იცი, ადამიანები ბევრ რამეს ვეჩვევით, პირველ რიგში — საკუთარ არსებობას. მერე სხვა ადამიანების არსებობასაც ვეჩვევით, ვეჩვევით, რომ მიწის ერთი ნაწილი სამშობლოა. ეს ზოგადად. ასევე არსებობს პირადი შეჩვევები, ცისფერთვალა ბიჭი ჩემი პირადი შეჩვევა იყო, თორემ სხვებს რა, რომ ჩვენ გვერდიგვერდ ვისხედით პირველი კლასიდან. არც მეოთხე და მეხუთე დღეს გამოჩნდა. შემდეგ იყო შაბათი, კვირა, მე დავისვენე სკოლისგან და ცისფერთვალა ბიჭზეც არ მიფიქრია. არც ორშაბათს, მერვე დღეს გამოჩნდა ცისფერთვალა ბიჭი. კლასის დამრიგებელმა კი ამოიოხრა და თქვა: ბავშვებო, თქვენმა თანაკლასელმა და მეგობარმა (ცისფერთვალა ბიჭის სახელი და გვარი თქვა) უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა და საავადმყოფოში წევს. პარასკევს, გაკვეთილების შემდეგ, მოვინახულებთ. ახლა კი დავიწყოთ გაკვეთილი...

პარასკევს, გაკვეთილების შემდეგ ჩვენ, მთელი კლასი და კლასის დამრიგებელი, ჩავსხედით ავტობუსში და წავედით საავადმყოფოში, სადაც ჩვენი თანაკლასელი და მეგობარი ცისფერთვალა ბიჭი იწვა. მე ფანჯარასთან ვიჯექი, შუბლით მინას ვეყრდნობოდი და მესმოდა, როგორი ბაგაბუგი გაუდიოდა ჩემს გულს, როგორი და ძალიან მაგარი. ბაგ-ბუგ. ბაგ-ბუგ. მე მიყვარდა ცისფერთვალა ბიჭი.

მაკა თაზოს ეხვევა და იმეორებს:

— მე მიყვარდა ცისფერთვალა ბიჭი.

თაზო მაკას აწყვეტინებს ამბის მოყოლას:

— ეგ მაგარი ასაკია, სიყვარულები, გულის ბაგაბუგები. მერე იზრდები და ყველაფერი ქრება. კი არ ქრება, სახეს იცვლის.

— ჰო, სახეს იცვლის, — ეთანხმება მაკა და სწყინს, რომ თაზოს გულის ბაგაბუგის გარეშე უყვარს ის.

მაკა ამბის მოყოლას აგრძელებს:

— კლასის დამრიგებელმა გვითხრა, რომ მთელი კლასი პალატაში ერთდროულად ვერ შევიდოდით: „ვერ დაეტევით, ბავშვებო, შეხვალთ ოთხ-ოთხი, ორი ბიჭი, ორი გოგო. ბიჭები ხელს ჩამოართმევთ და მოიკითხავთ; გოგოები ლოყაზე აკოცებთ და მოიკითხავთ ჩვენს თანაკლასელსა და მეგობარს. მე მესამე ოთხეულში მოვხვდი. პალატაში ორი საწოლი იდგა. ერთზე ცისფერთვალა ბიჭი იწვა, მეორეზე დედამისი იჯდა. ბიჭებმა ხელი ჩამოართვეს, გოგომ ლოყაზე აკოცა და მოიკითხა ცისფერთვალა ბიჭი. ჩემი ჯერი დადგა. მივედი და საკოცნელად დავიხარე, ხოლო ცისფერთვალა ბიჭმა საბანი წაიფარა სახეზე და მე უნებურად საბანს ვაკოცე. ვიცი, რომ საბანს პირი აქვს და გული, ყოველ შემთხვევაში, ბებია ამბობდა ასე — საბნისპირი უნდა გამოვცვალო, საბნისგული უნდა გამოვცვალოო. პირი მეც მაქვს და ჩემ პირს ახსოვს საბნის გემო, გული მეც მაქვს და მახსოვს, რომ ჩემი გული გაჩერდა.

თაზო აღტაცებულია:

— ძალიან მაგარი ასაკია რა, ძალიან მაგარი.

მაკა აგრძელებს:

— ცისფერთვალა ბიჭის დედა წამოდგა, ცისფერთვალა ბიჭთან მივიდა და საბნის გადაწევა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა: „როგორ იქცევი, დედა, რა უზრდელობაა, ეგრე გაგზარდე მე?!“ — ამბობდა ცისფერთვალა ბიჭის დედა, თან

წუხდა, ბრაზობდა. ცისფერთვალა ბიჭს არც საბანი გადაუხდია და არც ხმა ამოუღია. ჩუმად იწვა თავზე საბანწაფარებული.

ორი კვირის შემდეგ ცისფერთვალა ბიჭი სკოლაში დაბრუნდა, გვერდით მომიჯდა, ლოყაზე მაკოცა და მკითხა:

— როგორ ხარ?

— კარგად.

— იცი, რატომ არ გაკოცნინე საავადმყოფოში?

— რატომ?

— იმიტომ, რომ მეგონა რაღაც.

— რა რაღაც გეგონა?

— მეგონა, რომ გული გამისკდებოდა.

— გული გაგისკდებოდა?!

— ჰო, გული.

— ...შენ როგორ ხარ?

თაზო მაკას ეკითხება:

— რა ერქვა იმ ცისფერთვალა ბიჭს?

მაკა პასუხობს სხარტად და დაუფიქრებლად:

— ბექა, — და შემდეგ თაზოს სთხოვს, — ახლა შენ მოყევი რამე.

და თაზო ყვება, ბავშვობაში როგორ გადმოვარდა ცხენიდან. ამბის დასაწყისი ასეთია: „ჩემს მეგობარს რაღაც დაავადება ჭირდა და ექიმმა ჯირითი ურჩია. მეგობარმა მთხოვა, იპოდრომზე ერთად ვიაროთო. ვიაროთ-მეთქი, და ჩვენ იპოდრომზე სიარული დავიწყეთ..."

მაკა თაზოს უყურებს და ბექაზე ფიქრობს...

11

ნათია ლანგარს მაგიდაზე დებს. ლანგარი არის ოთხკუთხა და ლამაზად ჭრელი, პლასტმასის. მაგიდა ძველია და მრგვალი, მუხის. ლანგარზე ყავით სავსე სამი ფინჯანი დგას. ერთი

ბექას — „მიირთვი“, ერთი — ვაუბატონს (ვაუბატონში ნათია ქმარს გულისხმობს) და ერთიც თავად ნათიას. ცარიელ ლანგარს ნათია მაცივრის თავზე დებს. მაცივარი ბექას უკან დგას. ნათიას შილიფად აცვია და ლანგრის მაცივრის თავზე დადებისას ბექა მის მარცხენა ძუძუს ხედავს. ბექა ნათიას ძუძუსკენ გაქცეულ თვალებს რამდენიმე წამით ხუჭავს და ფიქრობს: „რატომ არ მრცხვენია?“ ამასობაში ნათია ჯდება. ბექას ხელს ხელზე ადებს და ამბობს: მიდი, მოყევი.

ბექა თვალებს ახელს. ნათიას ფინჯანი მარჯვენა ხელში უჭირავს და ნელ-ნელა პირთან მიაქვს. ლევანიკო სიგარეტს ეწევა და ფინჯნის ყურს მსუბუქად ურტყამს წკიპურტებს. ბექას ნათიას ძუძუ ადრე რომ დაენახა, საკუთარ თავს დასჯიდა (რა თქმა უნდა, არც თვალებს დაითხრიდა და არც სხვა რამ ფიზიკურ ტკივილს მიაყენებდა თავს — ბექას ფიზიკური ტკივილის ეშინია, ლოგინად ჩავარდნის ეშინია. უნდა, რომ უცებ მოკვდეს, წვალების გარეშე. ხან გონია, რომ სიკვდილის შემდეგ არაფერი არ არის, ხან გონია, რომ ყველაფერი სიკვდილის შემდეგაა — უბრალოდ, გაუწყრებოდა). ხოლო ახლა, ნათიას ძუძუს დანახვისას, თვალებდახუჭულმა გაიფიქრა: „კაი ძუძუ აქვს“. და ეს გაფიქრება იყო ორი აღიარება: პირველი, რომ ბექას ნათიას ძუძუ მოეწონა და მეორე, რომ ბექას ლევანიკოსთან არანაირი მეგობრობა აღარ აკავშირებს (ეს აეროპორტშივე იგრძნო). მეგობრები ადრე იყვნენ, ახლა ბექა და ლევანიკო ბიზნესპარტნიორები არიან, მხოლოდ და მხოლოდ — ბიზნესპარტნიორები. ეს ჩახუტებები და „ძმაო-ძმაოს“ ძახილი ტყუილია, ლაი-ლაია.

ერთხელ ბექა და მილინდა მთვრალები იყვნენ. უზარმაზარი ხიდის მოაჯირს ეყრდნობოდნენ. ხიდის ქვეშ ბევრი წყალი იყო; მათ ზურგს უკან ავტომობილების ზღვა ხმაურობდა და ამ ხმაურში ისინი ყვირილით აგებინებდნენ ერთმანეთს სათქმელს, მილინდა ამბობდა, უფრო სწორად, მილინდა ყვიროდა:

— ადრე პარალელური სამყაროს არსებობის მჯეროდა და ხშირად დავდიოდი სასაფლაოებზე, რადგან მეგონა, რომ პარალელურ სამყაროსთან კავშირის დამყარება ყველაზე მარტივად სასაფლაოებიდან იყო შესაძლებელი. მერე თანდათან დავრწმუნდი, რომ პარალელური სამყაროები არ არსებობს. არსებობს ერთადერთი სამყარო, რომელშიც ცოცხლები და მკვდრები, ღმერთი და ეშმაკი თანაარსებობენ.

ბექამ მაშინ გაიფიქრა, მილინდას ცუდი სიმთვრალე აქვსო. ხოლო ახლა ფიქრობს, რომ მილინდა არ იყო მართალი; რომ პარალელური სამყაროები არსებობს და თანაც აქვე, დედამიწაზე. თუნდაც ნიუ-იორკელები და თბილისელები. ისინი მხოლოდ ბიზნესპარტნიორები შეიძლება იყვნენ. ისინი საერთო დროში არსებობენ და საერთო სიცოცხლე-სიკვდილ-მარადიული სიცოცხლის პრინციპს ემორჩილებიან. მაგრამ...

ბექას თავად უკვირს ხოლმე, ისეთი აზრები მოსდის თავში. საიდან? ვინ აწვდის ამ აზრებს? ასეთი კითხვები ბექას ტვინს ურევს. ხოლო ნათიას „მიდი, მოყევი“ ბექასთვის ძალიან ნათელი და გასაგებია. მაგრამ ბექა ნათიას მაინც ეკითხება:

— რა მოვყევ?

ნათია ყავას სვამს ორ პაწია ყლუპად, მერე ფინჯანს დგამს და ღიმილით ამბობს:

— რა და, ამერიკაზე მოყევი. როგორი ქვეყანაა?

— ვრცელი, — პასუხობს ბექა.

ხოლო ლევანიკოს გული გახეთქვაზე აქვს. ჯერ ერთი, ლევანიკომ დაინახა, როგორ შეხედა ბექამ ნათიას ძუძუზე, როგორ დახუჭა თვალები და წარმოიდგინა რაღაც-რაღაცები (ლევანიკო ამაში დარწმუნებულია, რადგან თავადაა ასეთი ფანტაზიორი; რადგან ფიქრობს, რომ ყველა ადამიანი არის ერთი ნაგავი), მაგრამ ეს არაფერია, თვალმა მეგობრობა არ იცის, თვალი იმისთვისაა, რომ გაიქცეს და რასაც გახელილი ვერ ხედავს, დახუჭულმა დაინახოს. ლევანიკოს გულს ბექას პაუზები და პასუხები უხეთქავს. ლევანიკო ფიქრობს: „რა

პასუხებია ეს? ამას ქრისტიანულად ქვია ამპარტავნება. რა კარგი რამეა ეს ქრისტიანობა, ყველაფერს ზრდილობიანად არქმევს თავის ზუსტ სახელს. ბექა ამპარტავანია. ამერიკაში იცხოვრა. გოგო ეკითხება, როგორი ქვეყანაა ამერიკაო, და ბექა პასუხობს, ვრცელიო. ბექა ამპარტავანია და ჩათლახი. ჩემზე და ნათიაზე ფიქრობს, რომ ხამები ვართ. არაფერი გვინახია და არაფერი ვიცით. ეს ნათიაც არი რა! რას ეკითხები, ვის ეკითხები?! ხო ხედავ, რო ამპარტავანია. აი, მე არ ვარ ამპარტავანი, მე ყოველთვის ყველას ვრცლად ვუყვები ყველაფერს: როგორ ვიმალებოდი სვანეთში, იქამდე როგორ ვომობდი სოხუმში, ცეცხლმოდებული სახლიდან როგორ გამოვიტანეთ მე და ამ ამპარტავანმა და ჩათლახმა ბექამ მოხუცი ქალი და კაცი, რომლებიც ჩვენ ცოლ-ქმარი გვეგონა და და-ძმა აღმოჩნდა — გასათხოვარი და და უცოლო ძმა. მე ძმა მყავდა ზურგზე აკიდებული, ამას — და. ვიღაცამ თქვა: ესენი, რაღაც, ჩვეულებრივ და-ძმას არ გვანან, ესენი ალბათ ერთმანეთთან... — საიდან მოათრია ეს სიტყვები? — სარეცელს იზიარებდნენო. და იმ ვიღაცას ორი წიხლი მოხვდა. ერთი ჩემი, მეორე — ამისი. წაიქცა და წაქცეულმა თქვა: რა გჭირთ, ძმებო, ვიხუმრეო. მოხუცი და-ძმა საკაცეებზე იწვა. მკვდრები. კვამლით გაგუდულები. ის ვიღაც წამოდგა, საკაცეებთან მივიდა და საკაცეებზე მწოლიარეებს ბოდიში მოუხადა ჩვენს დასანახად. არც შეუმჩნევია, რომ მკვდრები იყვნენ, კვამლით გაგუდულები. მოვიდა, ხელი გამოგვიწოდა და გაგვეცნო: მე ვარლამი ვარ. ხელი ჩამოვართვი, ლევანიკო ვარ-მეთქი და ასე გაიგო ამან, რომ მე ლევანიკო მქვია. მერე ამან ჩამოართვა ხელი, ბექა ვარო, და ასე გავიგე, რომ ჩემთან ერთად ცეცხლმოდებულ სახლში შემოვარდნილ ბიჭს ბექა ერქვა. და ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს.

ვარლამმა თქვა: დავლიოთ.

მე ვთქვი: რა დავლიოთ (ვანიშნე, რომ სასმელი არ იყო)?

ვარლამმა თქვა: წამომყევით.

და ჩვენ წავყევით. ათ წუთში მინდორში ვიდექით და ბოთლიდან ვურტყამდით კონიაკს.

ლევანიკოს ბექას ხმა ესმის. ბექა ცათამბჯენებს ახსენებს:

— ცათამბჯენები გიხარია, ფული ჯიბეში გიხარია, საკუთარი არსებობა გიხარია და ფიქრობ, რომ არავინ, სულ არავინ გჭირდება. დადიხარ, სულ დადიხარ და გიხარია, რომ თანდათან გზებს სწავლობ და აღარ იკარგები. მერე რაღაც-რაღაცებს სახელს არქმევ: ეს ჩემი ქალაქია, ეს ჩემი ბარია, ეს ჩემი რესტორანია. და ქალაქიც, ბარიც და რესტორანიც გარქმევს სახელს: ჩემი ლეგალური მცხოვრები, ჩვენი მუდმივი კლიენტი. და გიხარია. მერე ერთ მშვენიერ დღეს ხვდები, რომ ამ ყველაფერს შეეჩვიე, საკუთარ არსებობას ხომ, რახანია, შეეჩვიე და აღარ გიხარია. უბრალოდ, შეჩვეული ხარ და ხვდები, რომ ვიღაც გჭირდება, სულ შენ გვერდით რომ იქნება, მოგვლის, მოგეფერება და, რაც მთავარია, დაელაპარაკები, შენსას ეტყვი, ის თავისას გეტყვის. ასეთი ვიღაც კაცისთვის არის ქალი, ქალისთვის — კაცი. სიყვარული არის ერთი. ერთი სიყვარულით გიყვარს ყველა: მშობლები, დედმამიშვილები, მეგობრები, მაგრამ მშობლების, დედმამიშვილების, მეგობრების შემთხვევაში სიყვარული არის სწორხაზოვანი, ხოლო ქალის სიყვარული მიხვეულ-მოხვეულია და ამიტომაც ქალის სიყვარული საინტერესოა. მშობლებთან, დედმამიშვილებთან, მეგობრებთან ყველა ერთნაირადაა ბედნიერი, ქალთან კი — ყველა თავისებურად.

ნათია ფიქრობს: „ოჰ, შენი ძალათ ტოლსტოი დედა ვატირე მე". ლევანიკო ფიქრობს: „რეებს ბოდავს ეს".

ხოლო ბექა (არ იცის, ვინ აწვდის ამ აზრებს, არ იცის, რომ „ძალათ ტოლსტოია", რომ ბოდავს რაღაცებს და გაკვირვებულია: ვინ აწვდის ამ აზრებს, ვინ?) ამბობს:

— მოკლედ, მე გავიცანი გოგო. არა — ქალი. უცნაურია, ერთი და იგივე ადამიანი ხან გოგო გგონია, ხან — ქალი.

ნეტავ, ევა სამოთხეში გოგო იყო თუ ქალი? — ვინ, ვინ აწვდის ამ აზრებს, შეკითხვებს? ვინ? ბექა გაოცებულია.

ხოლო ლევანიკო ნათიას სიცილით ეუბნება:

— მაგარი ისტორიაა, მე მოუყვები რა.

ბექა თავს უქნევს და ლევანიკო ნათიას უყვება:

— გაიცნო და ჩატკბნენ და რა გაირკვა, იცი?! არ იცი. გაირკვა, რო იმ გოგოს პირველი სიყვარული ვიღაც თაზო ბერიძეა. ჩვენი ბექუნა მაგ ტიპის სურათს გულისჯიბით დაატარებს. ანახე ერთი ნათიას. შეიძლება იცნობს, ჟურნალისტია ბოლოს და ბოლოს, ყველგან ცხვირი აქვს ჩაყოფილი.

ბექა თავს აქნევს:

— აქ არ მაქვს.

ხოლო ნათია ფიქრობს ქმარზე: „რა დებილია, რა დეგენერატია, რა ლენჩია! ჯერ მარტო როგორ ყვება. სულერთია, ტრაგედიაა, კომედიაა. მიაყრის და მორჩა. რა პირველი სიყვარული? ვინ თაზო ბერიძე? ვინ არის ის გოგო? სად გაიცნო იმ გოგომ ეს თაზო ბერიძე? ისე, რა ჩემი საქმეა. ყველამ თავის პირველ სიყვარულს მიხედოს და მოუაროს. რაც შეეხება ბექას, შეცვლილა, დახვეწილა, ღრმა გამხდარა. ვიღაც-ვიღაცებივით კი არ გაიყინა. მაგრამ რატომღაც, არ ვიცი, რატომ, არ მომწონს. არასდროს მომწონდა. რაღაც გულჩახვეული ადამიანია, ზღარბივითაა, ეკლებში იმალება... ეს შედარება უნდა დავიმახსოვრო და რომელიმე სტატიაში გამოვიყენო. რომელი პოლიტიკოსი გავს ზღარბს?“

ნათიას ჯერ პრეზიდენტის სახე უდგება თვალწინ, მერე — ყოფილი პრეზიდენტის, ბოლოს — პირველი პრეზიდენტის, მაგრამ ზღარბს არც ერთი არ გავს (ახლანდელი დათვია, ყოფილი მელაა, პირველი — ვეფხვი), სამივენი გარეულ ცხოველებს გვანან. ნათიას კი შინაური ცხოველები უფრო უყვარს.

ნათია საკუთარ თავს ეკითხება: „ზღარბი გარეულია თუ შინაური? ცხოველია თუ არა? ევა სამოთხეში გოგო იყო თუ ქალი (ეს უკანასკნელი შეკითხვა ბექას ნალაპარაკებიდან

ჩარჩა)? ქალი იყო, შეიძლება გოგოც იყო. შეიძლება არსებობდა, შეიძლება — არა. მთავარი სხვა რამეა, მე გოგო ვარ თუ ქალი? გოგო შეიცავს ქალს მომავალში. ქალი შეიცავს გოგოს წარსულში. თუ შეიცავდა? არა, შეიცავს. რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი სხვა რამეა. მე გოგო ვარ თუ ქალი?"

— გავალ და ახლავე მოვალ, უკაცრავად, — ამბობს ნათია და გადის, აბაზანაში შედის, სარკის წინ დგება და საკუთარ თავს აფასებს: „გოგო ვარ. არა, ქალი ვარ. საუკეთესო წლები გავიდა, საუკეთესო წლები წინაა. ვიღაცის გაჩენა არ არის ადვილი. იქნებ მეორე შვილი გავაჩინო? დავფეხმძიმდები. ვივლი გაბერილი მუცლით. ლევანიკოზეც იქნებ გული მომიბრუნდეს. თმა, რა არის თმა. ადამიანს თმა ან აქვს, ან — არა, ადამიანის თმის ქონა-არქონით შეფასება არ შეიძლება".

ნათიას ეცოდება ლევანიკო. ნათია ტირის. არ შეუძლია, არ შეუძლია მელოტი კაცის სიყვარული. ნათია ტირის. უსიყვარულოდ ძნელია. ნათია ონკანს აღებს, წყალი შხუილით მოდის. ნათია იცდის, დედამ ასწავლა ბავშვობაში, რომ ონკანიდან წამოსულ წყალს პირდაპირ არ უნდა ეტაკო, უნდა დაიცადო, იდინოს და გასუფთავდეს. და ახლა ნათია იცდის და ფიქრობს და უცებ ნათიას გონება საუკუნეებს სწვდება: „ასი წელია, მილები არ შეცვლილა. რვაასი წელია, რაც მსოფლიო ისტორიიდან ვართ ამოვარდნილები. და გვიხარია, რომ პეტრე ბაგრატიონი ქართველი იყო; რომ ინჟინერი ქართველიშვილი ქართველი იყო; რომ ბალანჩინი ქართველი იყო; რომ შაჰების და ხანების კარზე ქართველები წარმატებულ კარიერას იკეთებდნენ; რომ მამლუქებში ბევრი ქართველი იყო; რომ დიონისე არეოპაგელი პეტრე იბერია ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიით. დღეს ჩვენ მსოფლიოში დაბრუნების რეალური შანსი გვაქვს და ეს დაბრუნება ჩვენ მილების შეცვლით უნდა დავიწყოთ..." ნათია, რამდენიმე დღეა, რაც პოლიტიკურ ჟურნალისტიკას დაუბრუნდა. ნათია სახეზე ისხამს წყალს, სიამოვნებს წყალი. ნათია თვალებს

ფაქიზად იზელს, ონკანს კეტავს, სახეს იმშრალებს. „არ უნდა შემატყონ, რომ ვიტირე. შევალ, დავჯდები და ვითომ არაფერი. ბექას რაღაცას ვკითხავ ამერიკაზე“. ნათია სამზარეულოში ბრუნდება, ჯდება და ბექას უყურებს. რაღაც უნდა, ჰკითხოს, რაღაც უნდა და ნათიას ახსენდება მისი ერთგული მეგობარი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

— იცი, რა მაინტერესებს?

— რა?

— აი, ნიუ-იორკში თუ გრძნობს ადამიანი, რომ ღმერთი არსებობს?

— ღმერთი თვითონ ხარ.

ბექას ცათამბჯენები ახსენდება, ჯიბეში ფული ახსენდება. ბექა ფინჯანში იხედება, ფინჯანში მხოლოდ ყავის ნალექია და ძალიან ადრე, ბავშვობაში გაგონილი ფრაზა ახსენდება: „აუ, ძვირფასო, ძალიან ნათელ გზებს ვხედავ“.

12

ოთხშაბათს ვიქტორია ისვენებს. ოთხშაბათს შუადღემდე ძინავს. გაღვიძებული პირველ რიგში ფარდას განზე სწევს და ამინდს ამოწმებს. თუ კარგი ამინდია, ვიქტორია იღიმება, თუ ცუდი — ვიქტორია დუდღუნებს:

— უუჰ, როგორ იცის, რა...

შემდეგ ვიქტორია საშინაო ტანსაცმელს იცვამს და საძინებლიდან გამოდის. ხელ-პირს იბანს და სამზარეულოში შედის. სამზარეულოში დედა და მამა სხედან და ტელევიზორს უყურებენ. ეს ტელევიზორი ვიქტორიას შვილია. ამ ტელევიზორისთვის საჭირო თანხა ვიქტორიამ ცხრა თვე აგროვა და, როგორც თავად ამბობს, ეს ტელევიზორი შობა. ვიქტორიას ძალიან უნდა, რომ შვილი ყავდეს. ჯერჯერობით კი მისი შვილი ეს ტელევიზორია. დედა და მამა გუგულებივით სხედან. ვიქტორია ფიქრობს ასე, თორემ არც ერთი გუგუ-

ლი არ უნახავს არასდროს. ერთი წლის წინ ასე არ იყო. ერთი წლის წინ მამა ყოველდღე მთვრალი მოდიოდა და თავისნაირი მთვრალები მოყავდა. მოქონდათ ძეხვი, პური, იაფი არაყი და ბრაზით სვამდნენ. სახეები ემანჭებოდათ და მაინც სვამდნენ. შემდეგ სტუმრები მიდიოდნენ და მამა თავის მონოლოგს იწყებდა:

— მე მალე მოკვდები. ჩემი მკვლელები არიან: გორბაჩოვი, შევარდნაძე, გამსახურდია და ყველა ის, ვინც საბჭოთა კავშირი დაანგრია. ჰო, ის მთავარი არტისტი, მე მაგის დედა, რეიგანი, ბოროტების იმპერია... — მამა მონოლოგის ამ მონაკვეთს აუცილებლად ფეხზე მდგარი ამბობდა. მერე ჯდებოდა და უკვე მართლა სევდიანად აგრძელებდა, — მე მართლა მალე მოკვდები. ვგრძნობ, გული ხელით მიჭირავს. არა, ეს ცხოვრება არაა, ან ისეთი ცხოვრებაა, რომლისაც მე არაფერი მესმის. მე სამოცი წლისა ვარ, აქედან ორმოცი წელი პატიოსნად ვიმუშავე ქარხანაში. თავიდან მუშა ვიყავი (ამ დროს ვიქტორია თვალებს ხუჭავდა და ცდილობდა, წარმოედგინა მუშის ფორმაში გამოწყობილი მამა, რომელიც იმ დროს ვიქტორიას ხელა იყო), მერე ქვეოსტატი, მერე — ოსტატი. მერე წავედი მოსკოვში და რაღაც უაზრო სპეცკურსები გავიარე. დავბრუნდი და საამქრო ჩამაბარეს. მერე დირექტორის მოადგილე გავხდი. მერე ყველაფერი აირია. მე ერთ ადგილზე მუშაობას ვარ შეჩვეული, მე შეჩვეული ვარ ერთი ადგილის პატრონობას. ეხლა მეუბნებიან, წადი თურქეთში და საუდის არაბეთშიო. ვერსადაც ვერ წავალ, არ შემიძლია, — და მამა ტირილს იწყებდა, — მე არ შემიძლია ამდენი ფიქრი. საუდის არაბეთი, თურქეთი, თვითმფრინავი, საქონელი, ჩამოტანა, რეალიზაცია, ცალად და ბითუმად... ფიქრი, ფიქრი... ბევრი ფიქრი, რომ არ შეცდე, რომ სხვა შეაცდინო. ფიქრს თუ აყევი, ეეე, სად წახვალ, კაცმა არ იცის. მერე უნდა დაფიქრდე, საერთოდ რატომ დაიბადე, ცოლი რატომ მოიყვანე, შვილი რატომ გეყოლა. საერთოდ, რატომ ცხოვრობ, ვინ

შექმნა ეს ყველაფერი და რატომ შექმნა და ბოლოს საგიჟეთში ჩაგსვამენ... მოდი ჩემთან, ვიქტორია (ვიქტორია მამასთან მიდიოდა)! ჩემი გამარჯვება შენ ხარ! შენ ხარ ჩემი ერთადერთი გამარჯვება ამ ცხოვრებაში. მოდი, მუხლზე დამიჯექი.

ვიქტორია უკვე დიდი გოგო იყო და მამის მუხლზე ჯდომა გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ ხათრს ვერ უტეხდა, უფრო სწორად, მისი სიმთვრალის ეშინოდა. და ვიქტორია მამას მუხლზე უჯდებოდა.

ასე ხდებოდა ყოველდღე, დიდხანს, სანამ დედას თავში სისხლმა არ აასხა და გული ბოღმით არ აევსო. დედამ იყიდა არაყი, დალია და მთვრალი დახვდა მამას და მის მთვრალ საძმოს. დედა ენას უკიდებდა, მაგრამ სტუმრებმა (მიუხედავად სიმთვრალისა) სწორად გაიგეს ყველაფერი. დედა სტუმრებს სთხოვდა (ჰმ!), ძეხვი და პური მაგიდაზე დაედოთ, არყის ბოთლები უკან გაერჭოთ და წათრეულიყვნენ, თორემ (ჰმ!) აი, ამ ჯოხს (დედას იატაკის საწმენდი ჯოხი ეჭირა ხელში) ზედ თავებზე გადაამტვრევდა. და დედა დაჯდა და ატირდა. ტირიდა შეუჩერებლად. შემდეგ: ცუდად ვარ, ტაშტი მომიტანეო, — ვიქტორიას უთხრა და სანამ ვიქტორია აბაზანაში შევიდა, ტაშტიდან წყალი გადაღვარა და ის ტაშტი სამზარეულოში მიიტანა, სტუმრებმა წასვლა მოასწრეს. ვიქტორიას ტაშტი ეჭირა, მამას — დედას შუბლი. დედა საქმიანობას შორის პაუზებს შეძახილით ავსებდა: „ხო გავყარე, ხო გავყარე ეგ არაფრის მაქნისები!“ ვიქტორია იმ დღეს მიხვდა, რომ მისი მშობლები უკვე მოხუცები იყვნენ და სამსახურის მოძებნა გადაწყვიტა. შეიძინა განცხადებების გაზეთი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სთხოვა მეგობრებს, მაგრამ ისევ არაფერი გამოუვიდა.

სევდიანი და ხელჩაქნეული ვიქტორია ავტობუსის გაჩერებაზე იდგა. ფეხები სტკიოდა და რადგან ახლომახლო არც ერთი სკამი არ იყო, უახლოეს ბოძს მიეყრდნო. ეს ბოძი მისი ბედი აღმოჩნდა. ბოძზე გაკრული ერთ-ერთი განცხადება

იუწყებოდა: „ვეძებთ...“ აღმოჩნდა, რომ ვიქტორიას ეძებდნენ და ახლა დედა და მამა გუგულებიით სხედან. ვიქტორია ფიქრობს ასე, თორემ არც ერთი გუგული არ უნახავს არასდროს.

ჭამის შემდეგ ვიქტორია საძინებელში ბრუნდება, გულაღმა წვება, ჭერს შესცქერის და ღმერთსა და სიყვარულზე ფიქრობს. ვიქტორიასთვის ღმერთი და სიყვარული ერთი და იგივე არ არის. ღმერთი თეთრწვერა მოხუცია, სიყვარული — ახალგაზრდა მამაკაცი. ამ თეთრწვერა მოხუცმა (ღმერთმა) უნდა მისცეს ვიქტორიას ახალგაზრდა მამაკაცი (სიყვარული). ვიქტორია ამ ოპერაციას ეძახის ბედის გახსნას. ადრე კინოვარსკვლავი მამაკაცების პლაკატებს აგროვებდა. მისი საძინებელი სავსე იყო პლაკატებით და ვიქტორიას ყველა კინოვარსკვლავი ერთნაირად უყვარდა; ყველა კინოვარსკვლავი ერთნაირად შორს იყო, ამიტომაც — ბრწყინვალე. ხოლო ერთ დღეს ვიქტორიამ ყველა პლაკატი ჯერ დაჭმუჭნა, შემდეგ გარეთ გაიტანა და დაწვა: „აი, ასე! აი, ასე! მე ნამდვილი მამაკაცი მჭირდება, ნამდვილი სახით, თვალებით, მაგარი ხელებით და კეთილი ღიმილით“. მაშინ ვიქტორია ოცი წლის იყო.

ხოლო მამამ ვიქტორიას საქციელი მოიწონა და თქვა: — დრო იყო, დრო.

დედას არაფერი უთქვამს, გაფიქრებით კი გაიფიქრა: „სანამ სურათებისკენ იწევდა, კარგი იყო, სანერვიულო არ მქონდა. ეხლა თვალის დევნება ჭირდება გოგოს, არ შეცდეს“ (ვიქტორია დღემდე შეუმცდარია) და კარტოფილის ფცქვნა განაგრძო.

ვიქტორია წევს და ფიქრობს ხან ღმერთზე, ხან — სიყვარულზე. რას აკეთებდა ღმერთი სამყაროს შექმნამდე? როგორი იქნება მისი სიყვარული? ვიქტორიამ არ იცის, რას აკეთებდა ღმერთი სამყაროს შექმნამდე. ვიქტორიამ იცის, რომ მისი სიყვარული ბედნიერი და სამუდამო იქნება. ვიქტორია

საკუთარ თავს აფრთხილებს: „არასოდეს არ უნდა უყვირო და დაემუქრო, რომ მიატოვებ. საჭმელი ყოველთვის ცხელი უნდა იყოს, ხოლო მოფერება — მხურვალე“. მაგრამ ვიქტორიამ სულ არ იცის, როგორ უნდა მოეფეროს მამაკაცს. წაკითხული კი აქვს, რომ მამაკაცებს ქალის გამოუცდელობა მოსწონთ, თუმცა კაცია და გუნება. ვიქტორიას სწამს, რომ ღმერთი შეუფერებელ მამაკაცს არ გამოუგზავნის, მთავარია, რომ გზავნილი შენიშნოს. ვიქტორია ერთი-ორჯერ ეკლესიაში წირვას დაესწრო. წირვის შემდეგ მღვდელმა წმინდა წიგნი დახურა და თქვა:

— უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ყოველთვის ყველაფერს გვაძლევს. უბრალოდ, ჩვენ ვამბობთ ხშირად უარს ღმერთის ბოძებულზე და აქედან გამომდინარეობს ჩვენი უბედურება. ჩვენი უბედურება ჩვენს მცდარ არჩევანშია.

ვიქტორიას ხანდახან ძალიან უყვარს თავისი სხეული, ხანდახან — არა. ხანდახან, უბრალოდ, სძულს და უნდა, რომ სხვა ვინმე ან სხვანაირი იყოს. ხანდახან ბედნიერია, ხანდახან — არა. ხანდახან კი ღმერთს უწყრება: ყველაფერი შენ შემირჩიე — მშობლები, ქვეყანა, სქესი, სხეული.

ვინ იქნებოდა ვიქტორია, სხვა მშობლები რომ ყოლოდა? სხვა ქვეყანაში რომ დაბადებულიყო? კაცი რომ ყოფილიყო? ან უფრო ლამაზი გოგო რომ ყოფილიყო? ანდაც — უფრო უშნო? წარმოდგენა არა აქვს, არ იცის.

ვიქტორიას ახსოვს მამის დარიგება: „ყოველთვის იფიქრე, რამდენი ცუდი რამ აგცდა, კარგი კი თავისით მოდის“.

ვიქტორიას ახსოვს, მამა ამ დარიგების შემდეგ ყოველთვის ამბობდა: „მე გვიან მივხვდი ამას“.

ვიქტორია ყველაფერს წარმოიდგენს: „მე კაცი ვარ, ვიქტორია არ მქვია; რაღაც უშნო სახელი მქვია; ბევრი შვილი მყავს, ანჩხლი ცოლი; სადღაც გადაკარგულ სოფელში ვცხოვრობ, ფული არ მაქვს, სამაგიეროდ, მაქვს დიდი გული და ყველაფერი — ბავშვების ცრემლები, ცოლის ანჩხლობა,

უფულობა, გადაკარგულ სოფელში ცხოვრების სევდა — ამ დიდ გულთან მიმაქვს“. ვიქტორია ხვდება, რომ ეს წარმოდგენა ღრმა ბავშვობაში წაკითხული წიგნებიდანაა და სხვა წარმოდგენაზე გადადის: „მე ბიჭი ვარ, ვიქტორია არ მქვია, ნორმალური სახელი მაქვს. დავდივარ მანქანით. საღამოობით მანქანას გზაზე მდგარ გოგოებს ვუჩერებ. ზოგი უსიტყვოდ მიჯდება, ზოგი — პრანჭვა-ტყლარჭვის შემდეგ. ზოგი საერთოდ არ მიჯდება“. ვიქტორია ხვდება, რომ ამ წარმოდგენას გაგრძელება არ აქვს — არც ცუდი, არც კარგი, და ვიქტორია შემდეგ წარმოდგენაზე გადადის: „მე გოგო ვარ, ძალიან ლამაზი გოგო. ყველა მიცნობს. ჩემი პლაკატები ბიჭებს ოთახებში აქვთ გაკრული. უფროსები ჩემს ჭკუაზე საუბრობენ და ამბობენ, რომ მე ვარ უნიკალური ადამიანი, რადგან არც ერთი ძალიან ლამაზი ქალი არ არის ჭკვიანი. ზოგიერთი შოვინისტი კაცი იმასაც ამბობს, რომ არც ერთი ქალი არ არის ჭკვიანი, რა თქმა უნდა, ჩემ გარდა. მე გამოვდივარ მსოფლიოში ცნობილ პოდიუმებზე. მე მიღებენ ძალიან კომერციულ ფილმებში. ჩემი გაშიშვლება ძალიან ძვირი ღირს. იშვიათად ჩამოვდივარ საქართველოში, თუმცა ყველა ინტერვიუში ვამბობ, რომ ქართველი ვარ. საქართველოში ამით აღფრთოვანებული არიან; სხვაგან აინტერესებთ, რა არის საქართველო, სად არის საქართველო. პრეზიდენტი მხვდება; მე განზრახ თეთრ კაბას ვიცვამ. მეორე დღეს გაზეთები და ჟურნალები აჭრელებულია: „ცნობილი მსახიობი და მოდელი პრეზიდენტს საქორწინო სამოსში გამოწყობილი ესტუმრა...“

ვიქტორიას არ გამოსდის ფიქრი, რამდენი ცუდზე ცუდი რამ ასცდა. ალბათ, ბევრი. მაგრამ ამაზე ფიქრი არ გამოსდის. ვიქტორია ფიქრობს, რამდენი კარგი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში და არ მოხდა. სევდიანია ვიქტორია. ქალწულია ვიქტორია, სპეტაკია ვიქტორია. სიტყვა „სპეტაკი“ ახსენებს სკოლას, თავის კლასს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, რომელიც ამბობდა:

— ადრე უდაბნოებში სპეტაკი ადამიანები ცხოვრობდნენ. უდაბნოები დარჩა, სპეტაკი ადამიანები ცაში ამაღლდნენ, ხოლო ჩვენ უახლოეს მომავალში წავალთ ამ უდაბნოების სანახავად.

— სპეტაკ ადამიანებს როდის ვნახავთ? — იკითხა ვიღაცამ.

— სიკვდილის შემდეგ. მე — უფრო ადრე, თქვენ — გაცილებით გვიან.

ვიქტორიას მაშინ ეწყინა, რომ მასწავლებელი უფრო ადრე წავიდოდა ცაში, ვიდრე თვითონ და გაიფიქრა, რომ უფროსები ძალიან ჩაგრავენ პატარებს. სულელი და გულუბრყვილო იყო იმ დროს ვიქტორია. რაც შეეხება უდაბნოებს: მათი მონახულება არ მოხერხდა, რადგან მასწავლებელი სპეტაკ ადამიანებთან შესახვედრად წავიდა და ახლა უდაბნოების და სპეტაკი ადამიანების უნახავი ვიქტორია დახტის აქეთ-იქით. უფრო სწორად, მისი გონება დახტის.

ვიქტორია ორჯერაა პაემანზე ნამყოფი და პაემნის ფინალში ორივეჯერ ერთი და იმავე მიზეზით დაიძვრინა თავი. მხეცები! მხეცები! სულ იმაზე ფიქრობენ, სულ! ერთმა თაყვანისმცემელმა თმებით ითრია და თავისკენ მიიზიდა. მეორემ მაჯაში წაავლო ხელი და თავისკენ მიიზიდა, ხოლო ვიქტორიამ განზრახ ისეთი სისულელე თქვა, რომ უნებურად, ორივე თაყვანისმცემელი გაშრა. ვიქტორიამ თქვა:

— მამაჩემი მელოდება. ავტობუსის გაჩერებაზე დგას და მელოდება. უნდა წავიდე.

ტყუილი თქვა ვიქტორიამ და თავი დაიძვრინა. არა, თმებში ხელის ჩავლება ან მაჯაში ხელის წავლება არ არის სიყვარული. ვიქტორიასთვის სიყვარული მსუბუქია და უმტკივნეულო. ვიქტორიასთვის სიყვარული სიხარულით აფორიაქებული გულია და არა — შიშით შეკუმშული. ორივე პაემნის ფინალში ვიქტორიას შიშით შეეკუმშა გული. დღის ბოლოს ვიქტორია ხვალინდელ დღეზე ფიქრობს და წუხს. ვიქტორი-

ას უნდა, რომ ცხოვრება ზღაპარი იყოს, ეძინოს, სულ ეძინოს მანამ, სანამ უფლისწული კოცნით არ გააღვიძებს, მაგრამ ცხოვრება ზღაპარი არ არის. ვიქტორია ხვალ გაიღვიძებს და წავა სამსახურში, იჯდება, იჯდება, ხოლო დრო გავა ძალიან, ძალიან ნელა. ხვალ ხუთშაბათია, სამუშაო დღე.

ერთ-ერთ ხუთშაბათს ვიქტორიას ჯიხურთან ლევანიკო დახვდება.

ლევანიკო კითხავს: — გახსოვარ?

ვიქტორია გაიფიქრებს: „ჩემი ნიუ-იორკი“ და ლევანიკოს თავს დაუქნევს: — მახსოვხარ.

ეს ერთ-ერთი ხუთშაბათი ხვალინდელი ხუთშაბათი არ არის.

13

მაკას ძინავს. მე მღვიძავს. ორივე გულაღმა ვწევართ. მაკა სიზმარშია და დროდადრო ლაპარაკობს. მე ვერ ვხედავ მაკას სიზმარს, ამიტომაც მისი ლაპარაკიდან აზრი ვერ გამომაქვს. ნერვებს მიშლის მაკას ლაპარაკი. მინდა, შევანჯღრიო; მინდა, გავაღვიძო და გაღვიძებულს სიზმარი მოვაყოლო. ძლივს ვიკავებ თავს. მაკასკენ წასულ მარჯვენა ხელს მარცხენა ხელით უკან ვაბრუნებ და ორივე ხელს თავქვეშ ვიდებ. მაკა სიზმარშია და დროდადრო ლაპარაკობს. მე ვერ ვხედავ მაკას სიზმარს.

ერთი ძველი, პაციფისტური სახელწოდების და კამერული შინაარსის რომანის ყველაზე ჭკვიანი გმირი ამბობს, რომ ადამიანის საქმე არის საქმე, რომელსაც მის გარდა სხვა ვერავინ გააკეთებს. ასეთი საქმე, მისი აზრით, არის სამი, შეიძლება — ოთხიც. ზუსტად არ მახსოვს, რამდენი, მაგრამ ზუსტად მახსოვს, რომ ამ საქმეებში სიზმრების ხილვა არ შედის. ვინ ნახავს ჩემს სიზმრებს? ვერავინ. ჩემი სიზმრებისთვის მე შეუცვლელი ვარ. მაგრამ თუ გავითვა-

ლისწინებთ, როდის ამბობს ამას გმირი (XX საუკუნის 50-იანი წლები) და როდის არის რომანი გამოქვეყნებული (XX საუკუნის 70-იანი წლები), ყველაფერი გასაგები გახდება. ეს ის დროა, როდესაც ყველა კეთილი სიზმარი ახდენილი იყო და სიზმრებზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. საერთოდ, ამ პერიოდში დაწერილი წიგნების კითხვისას ბევრი რამის გათვალისწინება მიხდება და მხოლოდ ამ გათვალისწინების შემდეგ მომწონს ეს წიგნები. პროზა ძალიან არის დროზე გამობმული. ერთ დროს მინდოდა, მწერალი გავმხდარიყავი. ვწერდი და ვკითხულობდი და თანდათან ცხოვრება ნაწერი გახდა და ნაწერში და ნაწერისთვის დავიწყე ცხოვრება. ჩემი მწერლობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ალბათ, ერთი წელი, შეიძლება — წელიწად-ნახევარი. მერე შევეშვი მწერლობას. მახსოვს, რომ მწერალი მინდოდა გავმხდარიყავი, მახსოვს, რომ შემდეგ მწერლობას შევეშვი. ძალიან ბევრი რამ მახსოვს და ეს ხსოვნა ძალიან მაფერხებს ცხოვრებაში. პირადი ცხოვრების ხსოვნა, ნაწერების ხსოვნა, სამშობლოს ხსოვნა, ღმერთის ხსოვნა, სამოთხის ხსოვნა (რა თქმა უნდა, სამოთხის ხსოვნა ზოგადი ხსოვნაა, სუსტი ხსოვნაა, მაგრამ ეს ზოგადი და სუსტი ხსოვნა გაცილებით მაფერხებს ცხოვრებაში, ვიდრე სხვა ხსოვნები — კონკრეტულები და მკაფიოები). იქნებ სამოთხეში ვარ უკვე? იქნებ ჩემი ცხოვრების წესი, რომელიც სწორი მგონია, არ არის ცხოვრება სამოთხისკენ? და ვარ ასე შეფერხებული.

მაკა სიზმარშია და ლაპარაკობს. მე მაკას სიზმარს ვერ ვხედავ და ამიტომ მაკას ლაპარაკიდან აზრი ვერ გამომაქვს, ნერვებს მიშლის მაკას ლაპარაკი. დღეს მე და მაკამ ვიჩხუბეთ. მაკამ ფეხები ატყაპუნა იატაკზე და სულ „იმპოტენტი“ მეძახა. არა, სულ არა, რამდენჯერმე სიტყვა „უნაყოფოც“ ახსენა. მე არც იმპოტენტი ვარ და არც — უნაყოფო. ამიტომაც მაკასთვის პასუხი არ გამიცია.

მაკა ყვიროდა:

— შვილი, შვილი მინდა, შე იმპოტენტო! ჩუმად ხარ, არა? სიჩუმე რა არის? სიჩუმე თანხმობის ნიშანია, იმპოტენტო!

— სიჩუმე კი არა, დუმილი, და საერთოდ, დუმილი არა მარტო თანხმობის ნიშანია, არამედ — ოქროც! — ძალიან თეატრალური ნათქვამი კი გამომოვიდა, მაგრამ მაინც მომეწონა ჩემი ნათქვამი.

— ჰო, ანდაზები და აფორიზმები იცი. ტაში! ენაც ორმეტრიანი გაქვს. ტაში!

მე წარმოვიდგინე, რომ მართლა ორმეტრიანი ენა მაქვს, პირში ვერ ვატევ და გადმოგდებული მაქვს. საზიზღრობაა ორმეტრიანი ენა...

— რა იცი, რომ ფეხმძიმედ არ ხარ?

მაკამ თავი ჩაღუნა:

— თვიური მაქვს.

თვიური ჩემთვის ისეთივე არარეალური რამეა, როგორიც ორმეტრიანი ენა და ეს არარეალური რაღაც ამ შემთხვევაში არის მტკიცებულება, რომ მაკა ფეხმძიმედ არ არის. უცნაურია.

მაკამ კიდევ ერთხელ გაიმეორა:

— შე იმპოტენტო! შე უნაყოფო!

იმპოტენტი და უნაყოფო სინონიმები არ არის და ამ ახალმა შემკობამ მათქმევინა ის, რაც არ უნდა მეთქვა:

— აუ, შენნაირები დამიფეხმძიმებია, რა! შენს თავში ეძებე მიზეზები. ვინც ეძებს, ის პოულობს! — დავასრულე ჩემი სიტყვა აფორიზმით.

ხოლო მაკამ თქვა ის, რაც არ უნდა ეთქვა:

— აუ, შენნაირებს დავუფეხმძიმებივარ, რა!

ერთხანს ორივე ვდუმდით. დუმილი მე დავარღვიე:

— ყოჩაღ!

მაკას შევატყვე, რომ უნდოდა ეთქვა, ვიხუმრეო, მაგრამ აზრი არ ქონდა ამის თქმას, მიხვდა, რომ ამის თქმა უაზრობა იქნებოდა და სხვა რამე თქვა:

— გთხოვ, რა, არაფერი მკითხო.

მაკა დაწვა. ზეწარი წაიფარა და დაიმალა. დავინახე, როგორ მოიკუნტა ზეწრის ქვეშ. ძვლები დამეწვა. შემეცოდა. მე ზეწრის ქვეშ მოკუნტული მაკას გვერდით დავწექი. არ შევხებივარ, ისე ვკითხე:

— სად არის ბავშვი?

მაკა უფრო მოიკუნტა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მე ავდექი და ოთახიდან გავედი. ჩემს არყოფნაში მაკას ჩაეძინა (ალბათ). ადრე თუ გვიან ყველას ყველა შეკითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა (ალბათ). ეს არც სასჯელია და არც — ნეტარება (ალბათ). ეს აუცილებელია (ალბათ). ჯობია, ადამიანმა დაგისვას ეს შეკითხვები და ადამიანს უპასუხო ამ შეკითხვებზე, ვიდრე... მე ახლა ჩემს თავს იმავე შეკითხვას ვუსვამ, რომელიც რამდენიმე ხნის წინ მაკას დავუსვი: სად არის ბავშვი? ოღონდ ახლა ჩემს ბავშვს ვგულისხმობ. მე ის მილინდას მუცელში დავტოვე. მილინდამ შეიძლება გააწყალა, შეიძლება — გააჩინა. მე არ ვიცი, ის იყო თუ არის. არ ვიცი, ვინ იყო ან ვინ არის, ბიჭია თუ გოგო, ქვეყანაზე დადის თუ ცაში ლოცულობს ჩემთვის. ცაში თავიანთ მიმტოვებლებზე, თავიანთ მკვლელებზე ლოცულობენ. თუ ცაშია, მხედავს, თუ მიწაზეა, საკუთარი თავის მეტს ვერავის ხედავს, რადგან მიწა ცა არ არის.

მილინდა იმ დღეს შიშველი იყო. შიშველი ვიყავი მეც. ჩვენ ვისხედით ნუდისტურ კაფე „ედემში". ჩვენს თავს ზემოთ იყო კრიალა ცა.

ნუდისტური კაფე „ედემი" ძველი კაფეა. შეიძლება ახლა აღარც არსებობს, რადგან კაპიტალისტური სამყარო ცვალებადი სამყაროა და ეს ცვლილებები ადამიანების ბედნიერებისთვის ხდება. ასე წერია სახელმძღვანელოებში. მე და მილინდა ხშირად დავდიოდით ნუდისტურ კაფე „ედემში", რომელიც ახლა, შეიძლება, აღარც არსებობს. იქ ვჭამდით სხვადასხვა ნაყოფს, ვსვამდით სხვადასხვა სასმელს და ვძღე-

ბოდით და ვივსებოდით ერთმანეთის სიყვარულით, მაგრამ ჩვენმა ბოლო შეხვედრამ სულ სხვანაირად ჩაიარა.

ფინანსისტის ერთი თვისება ნამდვილად მაქვს: მიყვარს გათვლილი ცხოვრება და არ მიყვარს მოულოდნელობები. მაგრამ მოულოდნელობების გარეშე არ გამოდის. ამიტომაც დედამიწა სახიფათო ადგილია საცხოვრებლად. ჩვენ, მე და მილინდა, პირისპირ ვისხედით.

მილინდამ თქვა: თვიური შემიწყდა.

ისევ თვიური, ოღონდ ახლა — მილინდას თვიური. მე იმ დროს სრულიად გამოუცდელი ვიყავი და არ ვიცოდი, რომ თვიურის შეწყვეტა ფეხმძიმობის ნიშანია. ამიტომ ვკითხე:

— ავად ხარ?

— ძალიან საყვარელი სულელი ხარ, — გაიცინა მილინდამ, — ავად კი არა, ძალიან, ძალიან კარგად ვარ და ძალიან ბედნიერი, რადგან ფეხმძიმედ ვარ და ჩვენ შვილი გვეყოლება.

არსებობს მოულოდნელობა, რომელიც გულს გიხარებს და არსებობს მოულოდნელობა, რომელიც გულს გიკლავს. არსებობს მოულოდნელობაც, რომელიც, წესით და რიგით, გულს უნდა გიხარებდეს, მაგრამ რატომღაც გულს გიკლავს. აი, ასეთი მოულოდნელობა იყო მილინდას ორსულობა. კიდევ კარგი, რომ ვიჯექი. მუხლები ამიკანკალდა.

— მეგონა, გაგახარებდი.

— რა თქმა უნდა, გამახარე.

მე ვაკოცე მილინდას. ადრე მეც მეგონა, რომ ასეთი რამ ძალიან გამიხარდებოდა. ადამიანებს ხომ გვაქვს სულელური ჩვევა — მომავალი ბედნიერებებით წინასწარ ტკბობა და მეც, რა თქმა უნდა, წინასწარ ბევრჯერ დავმტკბარვარ მომავალი ბედნიერებებით. ერთ-ერთი მთავარი მომავალი ბედნიერება კი იყო (და არის) შვილი. მე ხშირად ვტკბებოდი ასეთი სცენით: ჩემ წინ ჩემი საყვარელი ქალი ზის და მეუბნება, რომ ფეხმძიმედაა; და მე ბედნიერი ვარ და უკვე სხვა მომავალი

ბედნიერებით ვტკბები წინასწარ — ჯერ არშობილი შვილი უკვე ხელში მიჭირავს. რა თქმა უნდა, ბიჭია, გვარის გამგრძელებელი, შეიძლება — გვარის უკვდავმყოფელიც. რატომაც არა. თუმცა, მთავარია, ბედნიერი იყოს და იქნება კიდეც სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ! შვილს პირჯვარს ვსახავ.

ყველაფერი ახდა: ჩემ წინ ჩემი საყვარელი ქალი იჯდა (მე მიყვარდა მილინდა) და მეუბნებოდა, რომ ფეხმძიმედაა. და მე ეს არ მიხაროდა, რადგან ეს ყველაფერი ცხადი იყო, რეალური იყო, ნამდვილი იყო: მილინდა, სიყვარული, ფეხმძიმობა, მუხლების კანკალი, შიში, რომელიც მჭამდა. კიდევ კარგი, რომ ვიჯექი. ხელები მუხლებზე დავიწყე და ხელისგულები მაგრად დავაჭირე მუხლისთავებს. რამდენიმე ხანში მუხლები დაწყნარდნენ, კანკალი შეწყვიტეს.

ხელები მაგიდაზე დავდე და გავიმეორე:

— რა თქმა უნდა, გამახარე, — და კოცნაც გავიმეორე.

მილინდამ შვებით ამოისუნთქა:

— თავიდან მომეჩვენა, რომ გეწყინა, და შემეშინდა.

ჩვენ, ადამიანები, ძალიან სუსტები ვართ, გვირჩევნია, თავიც მოვიტყუოთ და ერთმანეთიც მოვატყუოთ კეთილი სიტყვებით, ვიდრე სიმართლე დავიჯეროთ ან დავაჯეროთ ერთმანეთს. სუსტები, ძალიან სუსტები ვართ.

გაქცევაზე ვფიქრობდი და გამოვიქეცი, უფრო სწორად, გამოვფრინდი. საყვარელ, ფეხმძიმე ქალს გავუფრინდი. მე არ ვიცი, რა ქნა მილინდამ, გააწყალა ბავშვი თუ გააჩინა. ჩემი ბავშვი ცაშია? ჩემი ბავშვი მიწაზე დადის? — არ ვიცი და ეს არცოდნა არ არის სწავლული არცოდნა. ეს არც ის არცოდნაა, რომელიც არის არცოდვა.

მაკას ძინავს. მე მღვიძავს. მაკა სიზმარშია და ლაპარაკობს. მე ჭერს ვარ მიშტერებული. ვფიქრობ: ასე გამოვყრუვდებით. ჩვენი სიზმრებით, ფიქრებით და საერთო დარდით, რომ მაკა ფეხმძიმედ არ არის, დავჭამთ ერთმანეთს. ვინმე გვჭირ-

დება. გვერდზე ვწვები, შემდეგ გვერდს ვიცვლი, მუცელზე ვწვები, შემდეგ კვლავ გულაღმა და კვლავ ჭერს ვაშტერდები:
— ვინმე!

14

მილინდა თაზოს თომასს ეძახის...

ერთხანს მილინდა საკუთარ მუცელს სასაკლაოს ეძახდა, საკუთარ თავს — მესაფლავეს, ხოლო თომასს — გაქცეულ მკვლელს. შემდეგ მილინდა თანდათან დაწყნარდა, მუცელს მუცელი დაუძახა, საკუთარ თავს — მილინდა, ხოლო თომასს — დაკარგული პირველი სიყვარული და მისი ძებნა დაიწყო. ცხადში ეძებდა და სიზმარში პოულობდა. ხშირად ესიზმრებოდა დაკარგული პირველი სიყვარული — თომასი. მშვიდი და კეთილი იყო ეს სიზმრები...

ახლა მილინდას ღვიძავს და ცხადშია. მილინდას ცხადი ასეთია: საწოლზე ზის, მარჯვენა ხელში მობილური ტელეფონი უჭირავს. რეკავს. ძალიან შორს რეკავს — საქართველოში, ბექასთან. იატაკზე, საწოლთან, ორი ჩემოდანი დევს, ჩემოდნებში მილინდას პირადი ნივთებია. მილინდა საქართველოში გასამგზავრებლადაა გამზადებული. სამწუხაროდ, ბექას ტელეფონი გათიშულია. რისი შეტყობა სურს მილინდას ბექასგან? ნახა თუ არა ბექამ თომასი, გადასცა თუ არა მისი დანაბარები, რომ მილინდამ მას ყველაფერი აპატია და ძველებურად უყვარს. თუ გადასცა, როგორი რეაქცია ქონდა თომასს? „ალბათ, ძალიან გაუხარდა“, — ფიქრობს მილინდა და კვლავ ბექასთან რეკავს, კვლავ უშედეგოდ. სამწუხაროდ, ბექას ტელეფონი გათიშულია. „შორი, ძალიან შორი ქვეყანაა საქართველო და ძნელია დაკავშირება“, — ფიქრობს მილინდა. მილინდამ საქართველოს არსებობის შესახებ თომასისგან შეიტყო. თომასი ამბობდა, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, უდიდესი კულტურის ქვეყანაა, ევროპის ორგანული

ნაწილია, უკვდავი პოეზიის და ღვინის სამშობლოა. თომასს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ საქართველო მუდმივი შინაომების ქვეყანაა და რომ კარგა ხანს სახელმწიფო არც იყო, ხან ერთი იმპერიის პროვინცია იყო, ხან — მეორე იმპერიის. მილინდამ ეს ცნობარში წაიკითხა. ეს ცნობარები სარეკლამო ცნობარები არ იყო, ამიტომ საქართველოს ბუნება ერთი-ორი სიტყვით იყო შექებული, საერთოდ არ იყო ნახსენები მინერალური წყალი „ბორჯომი“ და ქართული ჩაი. მილინდა საქართველოს, რა თქმა უნდა, ჯორჯიას ეძახის.

თომასი საკუთარი სამშობლოთი ტრაბახობდა. მილინდა თომასს უსმენდა. ერთად იყვნენ. საუბრისას თომასი ხშირად ადებდა შუბლზე ხელს და მილინდას ეს ძალიან სიამოვნებდა. კარგი დრო იყო ის დრო...

მილინდა დგება. ტელეფონს საწოლზე აგდებს და ჩემოდნებს დასცქერის. ძალიან იწვალა ჩემოდნების ჩალაგებისას. თავიდან გადაწყვიტა, რომ ძველებურად ერთ ზურგჩანთას აავსებდა ჯინსებით, მაისურებით, ტრუსებით და მორჩა, ასე — ერთი გაძეძგილი ზურგჩანთით წავიდოდა საქართველოში. ადრე ასე დაწანწალებდა ქვეყნიდან ქვეყანაში, კონტინენტიდან — კონტინენტზე. მაგრამ მაშინ მოხეტიალე იყო, სენტიმენტალური ანარქისტი იყო, სიყვარულის მაძიებელი იყო და გაძეძგილი ზურგჩანთა, ჯინსები და ბოტასები შეეფერებოდა. მერე გავიდა ხანი და „ხანმა უნდობარმა“ ბევრი რამ შეცვალა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად. ახლა მილინდა ერთ-ერთი ძალიან სოლიდური ბანკის თანამშრომელია. ამ ბანკს მსოფლიოს ყველა კუთხეში აქვს ფილიალი. მსოფლიოში შედის განვითარებადი ქვეყანა საქართველოც — მილინდას დაკარგული, პირველი სიყვარულის სამშობლო. მილინდამ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ ის ბანკის საქართველოს ფილიალში გადაეყვანათ. მისი თხოვნა სამეთვალყურეო საბჭომ დააკმაყოფილა და მილინდა ახლა უკვე მზადაა საქართველოში გასამგზავრებლად... რაც შეეხე-

ბა გარეგნულ ცვლილებებს: მილინდა სულ უფრო და უფრო იშვიათად იცვამს ჯინსსა და ბოტასს. ქუსლებზე დგას, კაბები აცვია ან ნაჭრის შარვლები, უფრო შარვლები, რადგან შარვალი გაცილებით პრაქტიკულია — როგორც გინდა, ისე ჯდები და რა სიგანეზეც გინდა, იმ სიგანეზე შლი ფეხებს, თუმცა კაბები მილინდას გაცილებით უხდება, ყოველ შემთხვევაში, კაცების აზრით.. ორივე ჩემოდანი შინდისფერია. ორივე ჩემოდანს ოქროსფერი საკეტი აქვს. მილინდა ჩემოდნებს რიგრიგობით იღებს და კარადაში დებს.

— თქვენი დანახვა არ მინდა გამგზავრებამდე, — ეუბნება ჩემოდნებს და კარადის კარს ხურავს. შემდეგ საწოლზე დაგდებულ მობილურ ტელეფონს იღებს. მობილური ტელეფონი ყელსაბამზე კიდია, რომელიც მილინდას მაროკოში აჩუქეს. ეს არის ძუაზე ასხმული სხვადასხვა ფერის ხის კოჭები. მილინდა ყელსაბამში ყოფს თავს. ხელჩანთას იღებს. სარკეში იხედება, შემდეგ ოთახს აკლებს თვალს — ყველაფერი წესრიგშია. მილინდა ოთახიდან გადის, ქუჩაში გადასასვლელზე გადადის, კაფეში ჯდება და იწყებს ფიქრს: „რა ვჭამო?“ მილინდა არჩევანის წინაშე დგას. სისულელეა ეს არჩევანი. შეიძლება გაგიჟდე: რა ვჭამო? რა ჩავიცვა? ვისთან დავწვე? როგორ ვიცხოვრო? — სულ არჩევანის წინაშე ხარ და არჩევანის გაკეთების შემდეგ ფიქრობ, რომ მცდარი არჩევანი გააკეთე. შეიძლება გაგიჟდე! შეიძლება თავი მოიკლა! მილინდა ყავას და ფუნთუშას უკვეთავს და ყავისა და ფუნთუშის მოლოდინში თითებს მაგიდაზე აკაკუნებს. მაგიდა ფოლადისფერია და ზედ წითლად აწერია რაღაც-რაღაცები. მილინდა წარწერებს კითხულობს. წარწერები სარეკლამო ხასიათისაა: „გახდი დემოკრატიის ჯარისკაცი!“ „დაიცავი დემოკრატია მთელ მსოფლიოში!“ და ა. შ. მილინდა ფიქრობს: „თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ხასიათის რეკლამებზე მეტად პოლიტიკური ხასიათის რეკლამაა გავრცელებული. თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატია ნებისმიერ პროდუქტზე

პოპულარული პროდუქტია. იყო თავის დროზე კომუნიზმი და ფაშიზმი. დემოკრატიამ კომუნიზმი და ფაშიზმი ჩაანაცვლა. დღეს დემოკრატიისთვის იმავეს აკეთებენ ადამიანები, რასაც ადრე ამ ადამიანების მამები და ბაბუები აკეთებდნენ კომუნიზმისა და ფაშიზმისთვის — ომობენ, იხოცებიან, ხოცავენ სხვებს (რა თქმა უნდა, მანამდე, სანამ თავად დაიხოცებიან).

მილინდას ახსოვს 2001 წლის 11 სექტემბერი. იმ დღეს მილინდამ აბორტი გაიკეთა და გამაყუჩებლითა და საკუთარი ქცევით გაბრუებული დაყიალობდა ქუჩებში. მერე სახლში დაბრუნდა, წამოწვა და ტელევიზორი ჩართო. რეალურად ტყუპი ერთხელ დაინგრა, მაგრამ ტელევიზორი რეალობის დაუძინებელი მტერია. ტელევიზორში ტყუპი უამრავჯერ დაინგრა, უამრავჯერ მოყვნენ ადამიანები ნანგრევებში, უამრავჯერ გადმოხტა ვიღაც საწყალი მაღალი სართულიდან, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გადარჩა. მილინდას ეს ყველაფერი ჯერ შოუ ეგონა, მერე დარწმუნდა, რომ უამრავი გამეორების მიუხედავად, ეს საშინელება ერთხელ, მაგრამ ნამდვილად მოხდა. მილინდა ატირდა. ყველაფერს ერთდროულად დასტიროდა: გაწყალებულ შვილს, დანგრეულ შენობებში მოყოლილ ადამიანებს. „რატომ? რისთვის? რატომ გავიკეთე აბორტი, რისთვის? რატომ დაანგრიეს შენობები, რისთვის? არ შეიძლება, არ შეიძლება, არ შეიძლება მე, ვინც აბორტი გავიკეთე, ვერ შევიდე სამოთხეში, ხოლო ამ შენობების დამანგრეველი თვითმკვლელები და მკვლელები სამოთხეში მოხვდნენ!.. სამოთხე ხომ ერთია და, საერთოდ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოქვეყნდეს სამოთხეში შესვლის წესები ქრისტიანებისთვის, მუსლიმებისთვის, ათეისტებისთვის, ბუდისტებისთვის, კრიშნაიდებისთვის, იეღოველებისთვის, სატანისტებისთვის. ყველასთვის, ყველასთვის, ყველასთვის“. მილინდამ ბალიშში ჩარგო თავი და ტირილი განაგრძო...

— ადამიანის სამოთხეში მოხვედრა ღმერთის ნებაა, — გაიღიმა ბექამ, — ღმერთს რას გაუგებ.

მილინდამ და ბექამ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად გაიცნეს ერთმანეთი. სუპერმარკეტში. მილინდას მაკარონის პაკეტი დაუვარდა, ბექამ მიაწოდა და გამოელაპარაკნენ ერთმანეთს:

— მე ბექა მქვია.

— მე მილინდა მქვია. ბექა უცნაური სახელია, საიდან ხართ?

— საქართველოდან.

მილინდამ შეხედა და სახე გაებადრა. მაშინ მილინდა საკუთარ მუცელს მუცელს ეძახდა, საკუთარ თავს — მილინდას, ხოლო თომასს — დაკარგულ პირველ სიყვარულს.

— მე აქვე ვცხოვრობ, თუ გაქვთ დრო და სურვილი, მესტუმრეთ.

— იქნებ მანიაკი ვარ ან ტერორისტი, ან უბრალოდ, ყაჩაღი ვარ? — გაიღიმა ბექამ.

— თქვენ არც ერთს არ გავხართ და დარწმუნებული ვარ, არც ხართ არც ერთი.

ბექამ გაიფიქრა: „მე არც ერთი არ ვარ. მე ბუნებით წესიერი ადამიანი ვარ. დრომ და გარემომ მაიძულა, ჩამედინა ის, რაც ჩავიდინე“.

ამ დროისთვის ბექას ფინანსური მდგომარეობა გაუარესებული იყო. ბექას იმდენი ფული აღარ ქონდა, რამდენიც ადრე. თბილისიდანაც საიმედო არაფერი ისმოდა. ყველა გამოძვრა, მხოლოდ ბექა დარჩა ძებნილად. ყველა თავის თავზე ფიქრობდა. ბექა არ ამტყუნებდა ეგოისტებს, რადგან თავადაც ეგოისტი იყო, უბრალოდ, აგინებდა სხვა ეგოისტებს. ღამღამობით ბექას დაძინება უჭირდა. ფიქრობდა: „ფული, ადრე თუ გვიან, გამითავდება, მე აქ მუშად და ბარმენად ვერ ვიმუშავებ. ხომ არ დავბრუნდე და ჩავბარდე? ორ-სამ წელში გამოვალ, სასამართლოში ვიტყვი, რომ საზოგადოებისთვის საშიში ადამიანი არ ვარ და რაც ჩავიდინე, დრომ და გარემომ ჩამადენინა“. ღამეს ყოველთვის დღე მოსდევს (ყოველ შემ-

თხვევაში, ნიუ-იორკში ასეა). დილას ბექა ხვდებოდა, რომ არსად ჩამბარებელი არ იყო, რადგან დილით ცხოვრება მშვენიერი იყო...

მილინდამ მაკარონი მოხარშა. ჭამეს. მილინდამ ყავა მოადუღა. დალიეს. შემდეგ პირველად აკოცეს ერთმანეთს. მაკარონის და ყავის გემო ქონდა მილინდას ტუჩებს. მაკარონის და ყავის გემო ქონდა ბექას ტუჩებს. მილინდას ნერწყვი ოდნავ მარილიანი იყო და ბექას ეს სიამოვნებდა. ბექას ნერწყვი ოდნავ მარილიანი იყო და მილინდას ეს სიამოვნებდა. შემდეგ სიგარეტი მოწიეს. ეწეოდნენ ნელა. კვამლს რგოლებად უშვებდნენ, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდნენ, რგოლებად გამოეშვათ.

ბექამ ბავშვობაში გაგონილი ამბავი თქვა:

— იცი, ჩარლი ჩაპლინი ცხრა რგოლს უშვებდა ზედიზედ და მეათეს შიგნით აძვრენდა.

მილინდამ არ დაიჯერა. ჩარლი ჩაპლინის ხსენებაზე ორივეს გაეღიმა. კიდევ აკოცეს ერთმანეთს.

შემდეგ მილინდამ გაიფიქრა: „ეს ბიჭი აქ სულ სხვა რამის გამო ამოვიყვანე, ეს ბიჭი თომასის პოვნის რეალური შანსია, თომასამდე მიმყვანი გზაა. და რა ვქნა ახლა: ვუთხრა, არ მაკოცოს?! რატომ ვუთხრა, როცა მსიამოვნებს“. შემდეგ აღმოჩნდა, რომ არც ერთს პრეზერვატივი არ ჰქონდა.

— ამხელა კაცი უპრეზერვატივოდ როგორ დადიხარ?

— შენ, ამხელა ქალი?!

ორივემ გაიღიმა. ბექა, რა თქმა უნდა, ჯენტლმენი იყო და პრეზერვატივზე თვითონ წავიდა. ხოლო მილინდამ გაიფიქრა: „აი, მე და თომასი არასოდეს, არასოდეს არ გამოვიყენებთ პრეზერვატივს“. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა: „ერთხელ რომ არ გამოიყენეთ, ხომ აყვავდით“. მილინდამ ეშმაკს შეუკურთხა, მერე კი ბექა დაბრუნდა. მილინდამ გაიფიქრა: „სირბილ-სირბილით“, და გაეღიმა. ბექამ ჯიბიდან ერთი მუჭა პრეზერვატივი ამოიღო.

— შენ თუ ამდენჯერ... — თქვა მილინდამ და ორივეს სიცილი აუტყდა. კარგია, როცა ქალი და კაცი ერთმანეთთან სიცილით წვებიან...

მილინდა ბექასთან რეკავს. ტელეფონი გათიშულია. მილინდა კაფეს ათვალიერებს. კაფე თითქმის ცარიელია. მხოლოდ მოპირდაპირე მაგიდასთან სხედან ჩინელები, შეიძლება იაპონელები, შეიძლება კორეელები ან ფილიპინელები. მილინდა ვერ არჩევს ერთმანეთისგან ჩინელებს, იაპონელებს, კორეელებს, ფილიპინელებს. მოსწონს წვრილად გაჭრილი თვალები, იზიდავს მათი ენა, რომლისაც არაფერი გაეგება. მილინდა ფიქრობს: „გიზიდავს ის, რაც არ გესმის, რაც გაუგებარია. ცხოვრებაც ამიტომ გიზიდავს — არ გესმის, გაუგებარია, როდის რა მოხდება, არ იცი...“ მილინდა ზოგადიდან კონკრეტულზე გადადის და თავის დაკარგულ პირველ სიყვარულზე ფიქრობს. ფუნთუშასავით ტკბილია და ყავასავით ცხელი ეს დაკარგული პირველი სიყვარული.

მილინდა კაფეს ტოვებს. კბილებზე ფუნთუშის ნარჩენები აქვს, ენას ისვამს კბილებზე. რამდენიმე წამი კაფეს კართან დგას, ფიქრობს, სახლში დაბრუნდეს თუ გაისეირნოს. მერე გადაწყვეტს, გაისეირნოს, და ქუჩაში მიმავალ ხალხს უერთდება. მილინდა ხშირად კითხულობს მოგზაურთა ჩანაწერებს მშობლიური ქალაქის შესახებ. უკლებლივ ყველა აღნიშნავს, რომ ნიუ-იორკში ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის ტემპი საოცრად ჩქარია. მილინდასთვის ეს სიჩქარე ბუნებრივი სიჩქარეა. ასევე ეს ცათამბჯენები, მოსახლეობის რაოდენობა ბუნებრივია და მშობლიური. მოსახლეობის რაოდენობა განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიზარდა. საბჭოთა კავშირი მილინდასთვის მშობლების ოცნების ქვეყანა იყო. მილინდას მშობლები ამერიკული ყაიდის კომუნისტები იყვნენ. მილინდა პატარა გოგო იყო, როდესაც მისი მშობლები საბჭოთა კავშირში გაემგზავრნენ ტურისტული ვიზით. მილინდა ბიძასთან დარჩა. ბიძა თავისი დისა და

სიძის პოლიტიკურ შეხედულებებს არ იზიარებდა და არც საკუთარი და და სიძე უყვარდა. სამაგიეროდ, ძალიან უყვარდა პატარა მილინდა. მილინდა ამ დროს დიდი ქალივით იცვამდა და იღებებოდა. ეს მილინდას საყვარელი თამაში იყო. ბედნიერი იყო მილინდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მშობლები დაბრუნდნენ და მილინდას საჩუქრად დათუნია ჩამოუტანეს. დათუნიას წელზე ცისარტყელას ფერებში გაწყობილი ქამარი ეკეთა, ქამარს ბალთის ნაცვლად ხუთი რგოლი ჰქონდა.

მამამ თქვა: — ეს დათუნია მოსკოვის ოლიმპიადის სახე და მფარველია.

კომუნისტობის მიუხედავად, მილინდას მამა ხშირად ხმარობდა ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორიცაა: მფარველი, მწყალობელი, ყოვლისშემძლე, ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთის ხელშია ყველაფერი და ასე შემდეგ. ბავშვობაში საეკლესიო სკოლაში სწავლობდა და თავსაც ამით იმართლებდა: „ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ...“ მილინდას დათუნია ახლა საკუჭნაოში დევს სხვა სათამაშოებთან ერთად.

მილინდა სახლში საღამოს ბრუნდება, საკუჭნაოდან დათუნია გამოაქვს და სავარძელში სვამს. მილინდა დათუნიას ეუბნება:

— დაბერებულხარ, იცი?!

დათუნიამ რამე რომ უპასუხოს, მილინდა გაგიჟდება, ძალიან შეეშინდება. დათუნია, რა თქმა უნდა, ჩუმადაა. მილინდა დათუნიას გვერდით ჯდება, სავარძლის სახელურზე და ბექასთან რეკავს. ბექას ტელეფონი გათიშულია. მილინდამ არ იცის, რომ ბექა... თუმცა ყველა ყველაფერს თავის დროზე გაიგებს...

15

ბავშვობაში ბექა ფიქრობდა, რომ დიდები მხოლოდ იმიტომ იყვნენ ბედნიერები, რომ დიდები იყვნენ. ახლა ბექა

თავად არის დიდი. სადარბაზოსთან დგას, სიგარეტს ეწევა, სადარბაზოს წინ მოთამაშე ბავშვებს უყურებს და ფიქრობს: „ბავშვები მხოლოდ იმიტომ არიან ბედნიერები, რომ ბავშვები არიან“. ბავშვები პამპულობანას თამაშობენ. ოთხნი არიან: სამი გამთამაშებელია და ერთი — პამპულა. სამი ერთზე. ბავშვობაში ბექა ხშირად თამაშობდა პამპულობანას. ხან გამთამაშებელი იყო, ხან — პამპულა. ხან პასებს აძლევდა გამთამაშებლებს და ხან გაოფლილი დასდევდა ბურთს. ბურთი (მაშინაც და ახლაც) მრგვალია. ბექას ხელმარჯვნივ მაღაზიაა. მაღაზიის წინ ხის ყუთებში ხილ-ბოსტნეული აწყვია: ვაშლი, მსხალი, ატამი, კომბოსტო, კარტოფილი. მაღაზიის წინ რკინის ლარნაკებში აწყვია ყვავილები — ფერად-ფერადები და უსუნოები, ბუნებრივები და დეკორატიულები. ბექა ფიქრობს, იყიდოს თუ არ იყიდოს ყვავილები. ბექას არასდროს უჩუქებია გოგოსთვის ყვავილები. ადრე ამით ამაყობდა. ახლა ფიქრობს, რომ შეიძლება გოგოსთვის ყვავილების ჩუქება და ამაში სასაცილო არაფერია. მაგრამ ყვავილებს არ ყიდულობს. ბექას რცხვენია ყვავილების ხელში დაჭერის. ბექა სიგარეტის ნამწვს მიწაზე აგდებს და ფეხით სრესს. ბექა სადარბაზოში შედის და უკვე სრულიად სხვა რამეზე ფიქრობს: „ამდენი ხანი გავიდა. ალბათ, ბევრი რამე შეიცვალა; კარგისკენ? ცუდისკენ?“ ბექა კედლებს აკვირდება. კედლები იგივეა, კედლებზე წარწერებიც იგივეა. კიბეებს იგივე მოაჯირი აქვს. ბექას ახსოვს: ერთხელ ეს მოაჯირები ღია მწვანედ შეღებეს, ბექამ ეს ვერ შენიშნა და მარჯვენა ხელისგულით მოაჯირს მიეკრა. ბექამ ხელი აიღო, საკუთარ ღიამწვანე ხელისგულს დააცქერდა და შეიგინა. ბექას იმ დროს სჯეროდა, რომ გინება საქმეს შველოდა, ახლა აღარ სჯერა, მაგრამ მაინც ხშირად იგინება. ბექას ახლა უკვირს: „როგორ ვერ შევნიშნე, შეღებილი რომ იყო, სუნი მაინც როგორ ვერ ვიგრძენი?“ ვერ შენიშნა, ვერ იგრძნო... რაც იყო, იყო. კიბის საფეხურები ალაგ-ალაგ დაზიანებულია.

განზრახ ფეხით ადის, ასე დროს წელავს. მეხუთე სართულზე ჩერდება. ხუთი სართულის ავლა რამდენ ხანს უნდა გაწელო, რამდენ ხანს უნდა ითრიო ფეხი? მით უმეტეს, როდესაც გული იქით გექაჩება. „ბავშვივით ვარ, პატარა ბიჭივით ვარ", — ფიქრობს ბექა. იგივე კარი, იგივე ზარი, ზარის ქვეშ დანის წვერით ამოჩხაპნილი იგივე წარწერა: მაკა. ეს წარწერა ბექამ ამოჩხაპნა. როდის იყო აქ ბოლოს? კარგა ხნის წინ. იმ დროს ბექა ძალიან თამამად რეკავდა ზარს. ახლა მისცა ის ძველი სითამამე! ვინ მისცემს? ბექა მორიდებით რეკავს ზარს. ზარის ხმა რაღაც-რაღაცებს ახსენებს და ბექა იღიმება. გული გამალებით უცემს და კვლავ ფიქრობს: „ბავშვივით ვარ, პატარა ბიჭივით ვარ, ვარ და რა ვქნა". ბექა მეორედ რეკავს ზარს.

წარმოსახვაში უკვე შიგნითაა, სახლში. მაკა გაზრდილია, მაგრამ ერთი შეხედვით, გოგოსავითაა, თუმცა თვალების ქვემოთ უკვე ეტყობა, რომ გოგო აღარაა. მაკას შინაურულად აცვია. ბექას ძალიან მოსწონს, როდესაც გოგოებს, ქალებს შინაურულად აცვიათ. კედელზე ხატებია. სხვა კედელზე — მაკას მამის სურათი.

— მე იმ დროს სხვა კაცი ვიყავი, ახლა სხვა ვარ, — თვალებში უყურებს მაკას, — მე ძალიან მიხარია, რომ მამაშენის მკვლელობას არ შევესწარი. მე ვერაფერს შევძლებდი. დრო, გარემოება. შენ ხომ გწამს, რომ მამაშენი ცაშია?

— მწამს, — და ტირის მაკა. ეს მწარე ცრემლებია, მაკას სურს, რომ მამა მის გვერდით იყოს. ეს ტკბილი ცრემლებია, რადგან ამდენი ხნის შემდეგ ბექა მაკას გვერდითაა, — მამაც რომ იყოს, რა კარგი იქნებოდა, — ამბობს და ტირის, ტირის. შემდეგ ისინი გვერდიგვერდ სხდებიან.

— მე არ ვარ ომის კაცი. მე მშვიდობის კაცი ვარ.

მაკა თან ტირის და თან იცინის:

— პაციფისტი გახდი, ბიჭო?!

— მეღადავები?! — ბექა იცინის და წკიპურტს ურტყამს

თავში. მაკა ცდილობს, ბექას წკიპურტი აიცილოს. უშედეგოდ.

— არა, არ გეღადავები... ახლა მთელი მსოფლიო პაციფისტია და მთელი მსოფლიო ომობს... რისთვის მოხვედი?

— შენთვის, შენს მოსაფერებლად.

წარმოსახვაში მაკას ეფერება, რეალურად კი კარს არაკინ უღებს და ბექა უკვე ბრაზით, დიდხანს აჭერს ზარს ცერს, გაბმულად რეკავს, მაგრამ კარს მაინც არაკინ აღებს. ბექა კიბეზე ჯდება და ფიქრობს: „დამინახა და კარს არ აღებს". ბექა დგება და კვლავ ზარს რეკავს. კარს კვლავ არაკინ აღებს. ბექა კვლავ კიბეზე ჯდება, ჯიბიდან სიგარეტს და ასანთს იღებს, სიგარეტს უკიდებს. მწარეა სიგარეტი, უგემურია. ბექა სიგარეტს აგდებს და ფიქრობს: „არ მინდა, არ მინდა ასეთი ცხოვრება. მწარეა ცხოვრება, უგემურია ცხოვრება, მაგრამ ცხოვრება სიგარეტი არ არის, ვერ გადააგდებ, ფეხით ვერ გასრეს, ვერ მიაფურთხებ. ყველაფერი პირიქით ხდება — ცხოვრება გაგდებს, ცხოვრება გსრესს, ცხოვრება გაფურთხებს"...

ძალიან გაუტია ბექამ. ბექას უნდა, რომ ღმერთი და ეშმაკი არ არსებობდეს და ადამიანი მაიმუნისგან იყოს წარმოშობილი. არა იმიტომ, რომ ბექას მაიმუნები უყვარს ძალიან. არა, ბექას უნდა, რომ სიკვდილის შემდეგ არაფერი მოხდეს, მაიმუნის წინაპრობის შემთხვევაში კი ასეა: არც სამოთხე, არც ჯოჯოხეთი, არამედ — არაფერი. ერთხელ „პლანეტების აღლუმი" ნახა და დარწმუნდა, რომ ამ ყველაფერს ვიღაც მართავს, ვიღაც ძალიან ძლიერი და უხილავი. შემდეგ გავიდა დრო და ბექას დააკიწყდა, რომ ყველაფერს ვიღაც მართავს. ახლა ისევ გაახსენდა.

ერთხელ მილინდამ თქვა:

— ღმერთთან იქნება ის, ვისაც ღმერთთან ყოფნა უნდა.

ბექა ფიქრობს: „ვისაც არსად ყოფნა არ უნდა, სად იქნება ის? არსად? შეუძლებელი რამ მინდა".

ბექა დგება და ნელა ეშვება კიბეზე. სადარბაზოდან გამოსული ბექა შავ ავტომობილს და ავტომობილიდან გამოწვდილ ხელს ხედავს. ხელი ბექას უხმობს. ბექა ავტომობილთან მიდის და ვარლამს ხედავს. ვარლამი ბექას ძველისძველი მეგობარია, ვარლამი და ბექა ერთმანეთს ბაბუების ყაიდაზე ძმაკაცებს ეძახიან. ბექას ახსენდება სამხედრო ფორმები, ავტომატები, ყუმბარები, დაჭრილები და მკვდრები, და ზღვის ხმაური. ვარლამი ავტომობილიდან გადმოდის.

— გამიხარდა, რომ დაბრუნდი, — ეუბნება ბექას და ძმურად ეხვევა (ბექაც ძმურად ეხვევა ვარლამს), — წამო, წამო, დაჯექი.

ვარლამი ბექას ავტომობილზე უთითებს. ისინი ავტომობილში სხდებიან. ავტომობილის საკარძელი რბილია და კომფორტული. ძალიან განსხვავდება კიბის ცივი საფეხურისგან. ვარლამი ავტომობილს ქოქავს. ავტომობილი თახთახს იწყებს. გზაზე თითქმის არ ლაპარაკობენ. შემდეგ ვარლამი და ბექა რესტორნის კუპეში სხედან. თავიდან თითო-თითო ლუდი და მწვადის, ხინკლის და ქაბაბის მოლოდინი. ვარლამი და ბექა საუბრობენ.

— იქ საიდან გაჩნდი?

— გითვალთვალებ, ძმაო.

— მართლა, მართლა.

— მართლა გითვალთვალებ. რომელი არაყი დავლიოთ?

— ღვინო არ ჯობია?

— ღვინო მჭყიპავს და არ მათრობს. შენ თუ გინდა, დალიე.

— კარგი, მეც არაყს დავლევ. რომელ არაყსაც შენ დალევ, მეც იმას დავლევ.

ვარლამი მაგიდის ქვეშ ღილაკს აჭერს თითს და წამში ოფიციანტი შემოდის კუპეში.

— გისმენ, ბატონო.

— ყველაზე კარგი არაყი მოგვიტანე.

— ერთი ბოთლი, ბატონო?

— ჯერჯერობით ერთი. და ჩვენი საჭმელი რას შვრება?

— მზადდება, ბატონო.

ოფიციანტი კუპედან გადის. ვარლამი სიგარეტს უკიდებს, ქაჩავს, კვამლს უშვებს ერთდროულად ცხვირიდან და პირიდან, ბოლავს ვარლამი და ლაპარაკობს:

— შენი საქმე რომ ჩაკვდა, მიხარია.

— მეც მიხარია. და რატომ მითვალთვალებ?

— ვიხუმრე, ბიჭო, გითვალთვალებ არა... მე, ძმაო, რაც შემეძლო, მთელი გულით გავაკეთე მაგ ამბავში.

— ვიცი, და თუ არ მითვალთვალებ, მაშ იქ რა გინდოდა?

— ჰო, კარგი. გითვალთვალებ. შენ მოკვლაში ფული მაქვს აღებული.

ამ დროს კუპეში ოფიციანტი შემოდის, ოღონდ სხვა ოფიციანტი. ახალი ოფიციანტი გოგოა, ხელში ლანგარი უჭირავს. ზედ არყის ბოთლი და არყის ჭიქები აწყვია. ოფიციანტი გოგონა ბოთლს მაგიდაზე დგამს.

ვარლამი: წინა ოფიციანტი სად არის?

ოფიციანტი: სახლიდან დაურეკეს, მამა ჰყავს ცუდად.

ოფიციანტი გოგონა კუპედან გადის და ფიქრობს: „ორივე კარგი, ყურადღებიანი და ფულიანი ბიჭია, ეტყობა, მაგრამ ფული არ არის მთავარი“. საკუთარი თავის მოტყუებას ცდილობს.

ამასობაში კუპეში ბოთლი გაიხსნა, არაყი ჩამოისხა და პირველ სადღეგრძელოს ვარლამი ამბობს:

— დიდება უფალს, ძმაო, ბექა! წარსულში: შენ იქ ყოფნას გაუმარჯოს, ჩემ აქ ყოფნას გაუმარჯოს. დღეს: შენს ჩამოსვლას და ჩემს დახვედრას გაუმარჯოს. მოკლედ, ჩვენს წარსულს გაუმარჯოს, ჩვენს დღევანდელ დღეს, ერთად რო ვართ და სიყვარულით რო ვართ და სიყვარულში რო ვართ. და ჩვენს მომავალს გაუმარჯოს. კიდევ, რო არ ვიცით რა იქნება, მაგრამ იმედი რო გვაქ, რო მაგარი იქნება. დიდება უფალს.

— გაუმარჯოს! — ჭიქებს აჭახუნებენ და სვამენ. ვარლამი ცარიელ ჭიქას მაგიდაზე დგამს და ამბობს:

— კარგი არაყია, დიდება უფალს (ბექაც დგამს ცარიელ ჭიქას მაგიდაზე, მაგრამ არაფერს ამბობს)! ცხოვრებაში, ჩემო ბექა, ღმერთი არის მთავარი, ღმერთი ძალიან მაგარია, ღმერთი არის ყველაფერი და ყოვლისშემძლე. აი, ღმერთმა თქვა, იქმნას ნათელიო და იქმნა. ადამიანს ეს არ შეუძლია. ადამიანი სუსტია. აი, მე ვამბობ: მოვიდეს მწვადი, მაგრამ რო არ...

კუპეს კარი იღება და ოფიციანტი გოგონა მწვადით შემოდის. ვარლამი და ბექა კვდებიან სიცილით. ოფიციანტი გოგონა უხერხულად იღიმება. მწვადს მაგიდაზე დებს. გონია, რომ ეს მხიარული და ფულიანი ბიჭები მას დასცინიან და სწრაფად გადის კუპედან. ოფიციანტი გოგონა ფიქრობს: „მე მინდა, ამ ბიჭებივით მხიარული ვიყო და სხვებს დავცინოდე. როდის ვიცხოვრებ ასე მხიარულად?“ ამასობაში კუპეში კვლავ შეივსო ჭიქები:

— დიდება უფალს, ბექა, ძმაო! ეხლა მინდა მამაშენის ხსოვნის ვთქვა. მე, ძმაო, სულ იქ ვიყავი და, რაც შემეძლო, მთელი გულით და თვალზე ცრემლით ბოლომდე გავაკეთე. მამაშენის სახით კიდევ ყველა წასულის ხსოვნა იყოს! დიდება უფალს.

— იყოს! — ჭიქებს არ აჭახუნებენ (ძველი წესია, ძველი შიშია სიკვდილის წინაშე), ისე სვამენ. შემდეგ ცარიელ ჭიქებს მაგიდაზე დგამენ და მწვადს ჭამენ. მწვადი გემრიელია. ხორცი ოდნავ ქონიანია და კარგადაა შემწვარი. ორივეს ტუჩები ულაპლაპებს ქონისგან.

ვარლამი ტუჩებს იწმენდს და ბექას ეკითხება:

— ჩიტებისთვის პური დაგიყრია ოდესმე?

ბექაც ტუჩებს იწმენდს და ვარლამის შეკითხვას პასუხობს:

— ბავშვობაში კი, მაგრამ სანამ ლაპარაკს შევყვები, ბავშვების ვთქვათ, სიცოცხლის. მიცვალებულებზე გაჩერება,

ხომ იცი, არ შეიძლება (ესეც ძველი წესია, ესეც ძველი შიშია სიკვდილის წინაშე).

ბავშვებისას სვამენ, საერთოდ, სიცოცხლისას სვამენ. მერე ბექა ამბობს:

— გაუგრძელოთ ჩიტებზე ლაპარაკი.

— პურს რომ დაყრი, მოდიან და მოდიან ჩიტები. ოღონდ შენ არ უნდა ჩანდე. ჩიტებს პური თავის საკუთრება ჰგონიათ, როგორც კი გამოჩნდები, ჩიტები აიყრებიან და მიფრინავენ. მხოლოდ რჩეულ ჩიტებს შეუძლიათ შენი თანდასწრებით პურის კენკვა. ღმერთის და ადამიანის ურთიერთობაც ეგრეა, ძმაო. მე მინდა, რომ ჩვენ რჩეულები ვიყოთ. მე მინდა, ღმერთის თანდასწრებით ვკენკოთ პური, გესმის?

ბექა ფიქრობს: „ესეც ღმერთზე ლაპარაკობს, ლევანიკოც ღმერთზე მელაპარაკა, მეც ღმერთზე ვფიქრობ ხშირად. რაღაც ხდება, მაგრამ ეს რაღაც ჯერჯერობით ცხოვრებას ვერ ცვლის. აი, ვჭამ მწვადს. რამდენიმე ხანში ეს მწვადი იცვლის სახეს, სუნს, გემოს და წავა მიწაში და კიდევ უფრო აყროლდება მიწა, მერე ამ აყროლებული მიწიდან ამოვა კეთილსურნელოვანი ყვავილები. არსებობს, არსებობს რა, ღმერთი“...

— მე მინდა, რომ რჩეულები ვიყოთ. მე მინდა, რომ ჩვენ ღმერთის თანდასწრებით ვკენკოთ პური, გესმის?! — და ვარლამი არაყს ასხამს, — დიდება უფალს, ძმაო! მაკას გაუმარჯოს!

— შენ მაკას საიდან იცნობ?

— რა საიდან ვიცნობ, ჩემთან მუშაობს, ბანკში. სხვათა შორის, შენი რეკომენდაციით.

ადამიანებს ხანდახან ჩვენ მიერვე გადადგმული ნაბიჯები გვაკიწყდება. ასე დაემართა ახლა ბექას, თუმცა ბექას ყველაფერი უსწრაფესად ახსენდება — როგორ სთხოვა ვარლამს მაკას დასაქმება ახლად გახსნილ ბანკში, როგორ დაურეკა მაკას და შესთავაზა ახლად გახსნილ ბანკში მუშაობის დაწყება.

— ახლა სადაა მაკა? — ბექას გონია, ვარლამი და მაკა საყვარლები არიან. აბა, საიდან გაჩნდა ვარლამი მაკას სახლთან? მაგრამ ვარლამი ისეთ რაღაცას ამბობს, ბექა პირდაღებული რჩება.

— მაკა გათხოვდა. ახლა თავის ქმართან ერთად არის საქორწინო მოგზაურობაში ოქროს ქვიშებზე, თაფლობის თვე, აქეთურ-იქეთური.

— ყოჩაღ, მაკა. ვის გაყვა?

— დიდება უფალს და კაი ბიჭს. ჩვენთან მუშაობს. განათლება ავსტრალიაში აქვს მიღებული.

— რა ქვია?

— ქვია თაზო, გვარადაა ბერიძე.

და წავიდა არეულობა და გადარეულობა ბექას თავში: „მილინდა, მაკა. ბარიბარში ვართ". მაგრამ იქნებ სხვა თაზო ბერიძეა. ბექა ჯიბიდან ფოტოს იღებს.

— ესაა?

— ჰო, ოღონდ ეგ ძველი ფოტოა. შენ რა, იცნობ თაზოს?

— კი, ბავშვობიდან.

ამ დროს კუპეში ოფიციანტი გოგონა შემოდის.

— რამეს ხომ არ ინებებთ კიდევ?

— არა, მგონი არაფერი, — ვარლამი ბექას უყურებს.

— არა, არაფერი.

— მაშინ ანგარიშს მოგიტანთ.

ოფიციანტი გოგონა კუპედან გადის. ვარლამი და ბექა კიდევ რამდენიმე სადღეგრძელოს სვამენ...

ღამით ბექა მილინდას ურეკავს. აპირებს, უთხრას, რომ მისი ძვირფასი თომასი ახლა საქორწინო მოგზაურობაშია, მაგრამ ესმის თუ არა მილინდას ხმა ყურმილში, გადაწყვეტილებას ცვლის:

— ჰო... ახალი ჯერ არაფერი... ვეძებ... ეს ჩემი აქაური ნომერია, დაიმახსოვრე.

შემდეგ აქეთურ-იქეთურზე ლაპარაკობენ.

იმ ღამესვე ვარლამი ლევანიკოს ურეკავს:

— ვნახე. სულ ღმერთი-ღმერთი, ღმერთის სახელით და ღმერთზე ველაპარაკე. შენც ხომ აწვეთებ. ერთ კვირაში უკვე საქმეზე უნდა დაველაპარაკო. ო'კეი?

— ო'კეი.

ვარლამი ყურმილს დებს და ფიქრობს: „ეს ქაჯი ლევანიკოც რო ო'კეებით მელაპარაკება. არა, არ არი ამ ქვეყნის საშველი". ყურმილს დებს ლევანიკოც და ფიქრობს: „ეს ქაჯი ვარლამაც რო ო'კეებით მელაპარაკება. არა, არ არი ამ ქვეყნის საშველი".

16

„უძილობა ავადმყოფობაა, მე ავად ვარ", — ფიქრობს ნათია. ავტომობილში უკანა სავარძელზეა გაწოლილი და თვალებგაშტერებული ფიქრობს: „მე ავად ვარ. რამდენი დღეა, არ მძინებია? სამი? არა, ოთხი". ნათიას ეცოდება საკუთარი თავი. ავტომობილში დაბალ ხმაზე მაგნიტოფონია ჩართული. ალე უცნაური მძღოლია. საერთოდ, მძღოლებს მოსწონთ ბაიათები იეთიმ-გურჯის ლექსებზე, „კარგი იყო, არ გამეცან თავიდან"... „სასაცილო სიმღერაა", — ფიქრობს ნათია. ბაიათები, ნუ, ძალიან ჩაშვებულ კატეგორიას მოსწონს, ძირითადად, მძღოლებს მოსწონთ იდიოტური — ვერ იტანს, ვერ იტანს, ვერ იტანს ნათია — თბილისური სიმღერები". „მოდი ალვის ხესთან, წელზე მოეხვიე", „შენი საქართველო აქ არის", „აქ ხომ გვირილებიც მღერიან", „აღარც გაბნეული მძივი ვარ და აღარც მარცვალ-მარცვალ ვიკრიფები"... ნათიას ახსენდება ასეთი სიმღერების შემსრულებლები: „ორერა", „ვია 75", „ივერია". ვერ იტანს! ვერ იტანს! ვერ იტანს! აი, ალე კი უცნაური მძღოლია; ალეს ჯაზი უყვარს. ნათიას ესმის ჯაზი დაბალ ხმაზე და ფიქრობს: „ალე კარგი ადამიანია, თანამიგრძნობს. ხედავს, რომ ამოღამებული მაქვს თვალები,

ხედავს, რომ ავად ვარ და ძალიან დაბალ ხმაზე აქვს მაგნიტოფონი ჩართული“. ნათია თვალებს ხუჭავს. „საწყალი უსინათლოები სულ ასე არიან სიბნელეში. საწყლები“, — ნათიას უსინათლოები ეცოდება.

ნათიას ალეს ხმა ესმის: — ლამაზი ქვეყანაა საქართველო, ძალიან ლამაზი.

ნათიას გონია, რომ როგორც იქნა, ჩაეძინა და ახლა სიზმარს ხედავს, უფრო სწორად, ჯერჯერობით ვერაფერს ხედავს, ჯერჯერობით მხოლოდ ალეს ხმა ესმის და ეს ხმა რაღაც სისულელეს ამბობს: — ლამაზი ქვეყანაა საქართველო, ძალიან ლამაზი. ასეთი რამ ნათიას ცხადში, კარგა ხანია, არავისგან გაუგონია, თუ არ ჩავთვლით დეგენერატ პოლიტიკოსებს; და, რაც მთავარია, თავად ნათიას არ უფიქრია ასეთი რამ, კარგა ხანია. ავტომობილი ორმოში არტყამს, ნათია ძალაუნებურად თვალს ახელს და ხედავს, რომ ლამაზი, ძალიან ლამაზი საქართველო ცხადია. „მე უფრო ლამაზი ვარ თუ ეს მთები? მე უფრო ლამაზი ვარ თუ ეს ტყე? მე და მთები, მე და ტყე“... — ნათია ბავშვობაში მთებზე ოცნებობდა, ნათია ბავშვობაში ტყეზე ოცნებობდა. ნათია ოცნებობდა მთების ზედიზედ დალაშქვრასა და ტყეში შეყვარებულთან ერთად განმარტოებით ცხოვრებაზე; ამას ნათია რომანტიკულ ცხოვრებას ეძახდა. იყო ასეთი დრო, მაგრამ დრო გავიდა. და შემდეგ, უკვე სულ სხვა დროს, ნათია ტყუილებს თხზავდა საკუთარ ბავშვობაზე და ყოველთვის ახსენებდა მთებს და ტყეს. ნათიას ერთხელ ხეები შეეცოდა: „საწყალი ხეები, ნახშირორჟანგს ისრუტავენ, ჩვენი ფილტვებიდან ამოსული ამ სიბინძურით ბინძურდებიან და ჩვენ ჟანგბადად გვიბრუნებენ, საწყალი ხეები, გმირი ხეები“... მერე ნათიამ გაიფიქრა: „ხეებისთვის ნახშირორჟანგი ისევე აუცილებელია, როგორც ადამიანებისთვის ჟანგბადი და არც არავინ არის საწყალი და არც არავინ არის გმირი და ძალიან გადაბმულები არიან ერთმანეთზე ადამიანები და ხეები. ვინ ქნა ასე? ვინ მოაწყო ასე? ვინ

ჩახლართა ასე საქმე? რა თქმა უნდა, ჩემმა მეგობარმა იესო ქრისტემ. ის არის ძე, ის არის მამა, ის არის სულიწმინდა“.

ნათია კვლავ თვალებს ხუჭავს. სამი არა, ოთხი დღეა, ნათია თავის მეგობარ იესო ქრისტეს უხმობს, ოთხი დღეა, მხარს სთხოვს ან კალთას, სულერთია, ოღონდ დაიძინოს ნათიამ. მხარი, კალთა — სულერთია. რამდენიმე ხნის წინ ნათია ცუდად მოიქცა — შვილის ბედნიერება, პაწაწინა ლეკვი, აივანზე გაიყვანა და გაგუდა. ნათია გუდავდა და თან თვალებში უყურებდა ლეკვს, რომელსაც სამი სახელი ქონდა: პლუტო-ჯეკ-ფინია; პლუტოს შვილი ეძახდა, ჯეკს — ლევანიკო („მოდი აქ, ჯეკ; შენი დედაც, ჯეკ; შენი პატრონი დედაც, ჯეკ!“), ხოლო ფინიას — ნათია. ლეკვი სამივე სახელზე რეაგირებდა. თუ ერთდროულად სამივე სახელით მიმართავდნენ, სამჯერ რეაგირებდა, სამჯერ სწევდა თავს მაღლა და ასე ყელმოღერებული ელოდა, რას ეტყოდა დამძახებელი. ნათიამ გაგუდული ლეკვი თავის სახლში შეაბრუნა. სახლი ლეკვს ლევანიკომ უყიდა. ლევანიკოს ლურსმნის დაჭედებაც არ შეუძლია, ამიტომ წავიდა ზოობაზრობაზე და ლეკვს სახლი უყიდა. ასეთ სახლებს ნათია ბავშვობაში ფანქრებით ხატავდა. ასეთ სახლზე (რა თქმა უნდა, ადამიანისთვის მისაღები მასშტაბის) ოცნებობდა. ასეთი სახლი უნდა მდგარიყო ტყეში, სადაც ნათია და მისი შეყვარებული იცხოვრებდნენ განმარტოებით. იყო ასეთი დრო... შემდეგ დრო გავიდა. ნათია გათხოვდა, შვილი გააჩინა და მიხვდა, რომ ბავშვობაში სისულელეზე ოცნებობდა. მიხვდა, რომ მიბმულია თბილისზე და სადმე თუ წავა, მხოლოდ თბილისზე დიდ ქალაქში, რადგან ბავშვს წრე, განათლება, დასაქმება ჭირდება. იყო დრო, როდესაც ნათიას ასეთ რაღაცებზე ეცინებოდა, მაგრამ დრო გავიდა. „დრო წავიდა და რადგან დრო ადამიანის მეგობარი არ არის, ის არასდროს ბრუნდება. დროს არ სწყდება გული არაფერზე, რადგან დროს გული არა აქვს“, — ფიქრობს ნათია და ჰგონია, რომ სწორად ფიქრობს. გაგუდული ლეკვი

თავად ნათიამ აღმოაჩინა დილით და ბავშვთან ერთად ბევრი იტირა, ხოლო ლევანიკომ მხრები აიჩეჩა და შვილს დაჰპირდა, ახალ ლეკვს გიყიდიო.

ბავშვმა თავი გააქნია:

— არ მინდა ახალი ლეკვი, ეს გამიცოცხლე.

ლევანიკომ კვლავ მხრები აიჩეჩა:

— მე როგორ? მე არ შემიძლია, მე შემიძლია ახალი გიყიდო.

ბავშვმა დედას თხოვა:

— მაშინ, შენ გამიცოცხლე!..

ნათიამ ცრემლები მოიწმინდა:

— მე არ შემიძლია. მე შემიძლია, რომ მამას ვუთხრა, ახალი გიყიდოს.

— აბა, ვის შეუძლია?

ნათიამ მხრები აიჩეჩა:

— არ ვიცი.

ხოლო ლევანიკომ მკვდარი ლეკვი პარკში ჩააგდო, პარკს თავი მოუკრა, ამოიოხრა და ნათიას უთხრა:

— არ იცი? ძალიან კარგად იცი.

— რა ვიცი? ვის? — ვერ მიხვდა ნათია.

— შენ ძმაკაცს, — გაიცინა ლევანიკომ.

— ვინ ჩემ ძმაკაცს? მე ძმაკაცები არ მყავს. ძმაკაცები გყავს შენ. კაცისმაგვარი არსებები.

ლევანიკომ ნათიას ნათქვამი გაატარა და თქვა:

— ვინ შენ ძმაკაცს და იესო ქრისტეს.

და ბავშვი ატყდა:

— ვთხოვოთ, რა, დედა, იესო ქრისტეს, ვთხოვოთ, რა!..

ნათიამ შვილს ლოყაზე აკოცა და აუხსნა, რომ მამამ იხუმრა, უნიჭოდ და უკბილოდ. ლევანიკოს არაფერი უთქვამს, უხმოდ გავიდა ოთახიდან. ხელში პარკი ეჭირა. შემდეგ ბავშვი სკოლაში წავიდა. სკოლაში დაავიწყდა, რომ ლეკვი აღარ ყავდა. ბავშვებთან გაერთო. ხოლო ნათია მარტო დარ-

ჩა სახლში. ბღაოდა ნათია: „მე ლევანიკოს მოკვლა მინდოდა და ლეკვი მოვკალი!.. პატარა, უდანაშაულო ფინია, უმწეო ფინია... საშინელებაა უმწეობა!..“ ნათიამ გუშინ გამოცადა, როგორია, იყო უმწეო. გუშინ ლევანიკომ ნათია გააუპატიურა. ნათია ფიქრობს, რომ გააუპატიურა. ლევანიკომ ძალა გამოიყენა, სილა გააწნა. ნათიას თვალები ჰქონდა დახუჭული და ლევანიკოს ქშენა ესმოდა, ლევანიკოს ხმა ესმოდა:

— არ გიყვარვარ? არც მე მიყვარხარ! მკიდიხარ, უბრალოდ, გხმარობ!..

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ნათიამ გაბედა და ლევანიკოს უთხრა, აღარ მიყვარხარო. ნათიამ ბალიში აიღო და საძინებლიდან გასვლა დააპირა. კართან ლევანიკო წამოწია, თმაში ხელი წაავლო, მოქაჩა, მერე იატაკს მიაკრა და გააუპატიურა: — არ გიყვარვარ? არც მე მიყვარხარ!.. შემდეგ იატაკზე დაგდებული ბალიში აიღო და თვითონ გავიდა საძინებლიდან. ნათიას მარტო ძილი არ შეუძლია. არ ეგონა ასე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეა. ნათია შვილს მიუწვა გვერდით, ზურგზე მიადო თავი, მაგრამ მალევე წამოდგა. საბრალო ნათია, ფროიდის წიგნებზე გაზრდილი და ფროიდით შეშინებული. გაიფიქრა: „დიდი ბიჭია უკვე, რაღაც საშინელი კომპლექსები არ განუვითარდეს. ვერც დედასთან მივალ, თავი არ მაქვს, დაიწყებს ჩხუბს და ჯაჯღანს...“

ნათიას საკუთარი თავი ეცოდება.

— მალე მივალთ? — ეკითხება ნათია ალეს.

— ნახევარ საათში, შეიძლება, ორმოც წუთში, ვნახოთ.

ალექსი შტაბში, მესამე სართულზე დგას ღია ფანჯარასთან და ხედავს, როგორ აჩვენებს ნათია სადარაჯოდ მდგომ ჯარისკაცებს საბუთს, რომ შტაბში შეუშვან. ალექსის უხარია ნათიას დანახვა. ალექსის ნათია ერთხელ ყავს ნანახი. იმ დღიდან დღემდე ბევრი დღე გავიდა. იმ დღიდან დღემდე ბევრი რამ შეიცვალა ალექსის ცხოვრებაში. ალექსი მარტო დარჩა, ალექსი საცოლემ მიატოვა, ალექსიმ წვერი მო-

უშვა. ზოგმა უთხრა, რომ უხდება, ზოგმა უთხრა, რომ — არა. თაზომ (თაზო აქაური ნაცნობია, კლიენტია, მეგობარია. ალექსი თაზოს მეგობრად თვლის, ის ერთადერთი აქაურია, რომელიც ალექსის მოსწონს და ალბათ, ალექსიც ერთადერთი მშვიდობისმყოფელია, რომელსაც თაზო პატივს სცემს. დღეს საღამოს ალექსი თაზოსთანაა მიწვეული და ეს მიწვევა პატივისცემის ნიშანია. ასე ფიქრობს ალექსი) უთხრა, რომ წვერის ტარება მადლია და ყველა კაცი უნდა ატარებდეს წვერს. ალექსი თაზოს არ ეთანხმება, მაგრამ არაფერს ეუბნება, რადგან ალექსის აზრით, არანაირი ჭეშმარიტება არ იბადება კამათში და, საერთოდ, კამათი სისულელეა, მით უმეტეს — წვერზე: არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ წვერი მადლია და არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ წვერი სიბინძურეა და ეს ადამიანები ვერასდროს შერიგდებიან. ალექსი ხედავს, როგორ ამოწშებს ნათიას საბუთს ყარაული და როგორ ატარებენ ნათიას. ნათია საბუთს ჩანთაში იდებს და შტაბისკენ მიდის; ღია ფანჯარასთან მდგარ „საიმედო წყაროს“ ხედავს, ხელის აწევით ესალმება და იმავე ხელით ანიშნებს, ჩამოდიო. ნათია ღია ფანჯარასღა ხედავს. ნათიას არ აინტერესებს ღია ფანჯარა და თავს ხრის. რამდენიმე წუთში ისინი ერთმანეთს ხვდებიან, ხელს ართმევენ ერთმანეთს და უღიმიან. ნათია თავს იკავებს, რომ არ დაამთქნაროს.

საუბარს ალექსი იწყებს:

— ინტერვიუზე ხართ?

— არა, — უარის ნიშნად თავს აქნევს ნათია.

— აბა, მე მოგენატრეთ? — ხუმრობს „საიმედო წყარო“.

ნათია თავს ველარ იკავებს და ამთქნარებს:

— გავისეირნოთ ცოტა.

— გავისეირნოთ.

— მოდი, რომ არ დავითარსოთ, მარჯვენა ფეხით დავიწყოთ გასეირნება. ერთი, ორი, სამი. აი, ასე.

ათი ნაბიჯის შემდეგ (ნაბიჯები ნათიამ დათვალა) ნათია „საიმედო წყაროს“ მკლავზე კიდებს ხელს და ეუბნება: — იცით, წვერი არ გიხდებათ.

ალექსი იშმუშნება:

— იცით, შეიძლება არ მიხდება, მაგრამ მე საცოლემ მიმატოვა და ვგლოვობ. მე სულ არავინ აღარ მყავს ამ ქვეყანაზე. არის მამიდა, მაგრამ მამიდას ხომ არ შევიყვარებ?! მე სიყვარული მჭირდება.

ნათია ფიქრობს: „ყოჩაღ, მეც მჭირდება, მაგრამ სად არის? სად არის სიყვარული, არა ზოგადი და უსასრულო, არამედ სიყვარული, რომელიც მე მჭირდება — კონკრეტული და მცირე, ჩემი სამყოფი სიყვარული“. და ნათია კვლავ ამთქნარებს. როგორ ძალიან უდროოდ და როგორ ძალიან უადგილოდ, თხუთმეტი ნაბიჯის შემდეგ (ნაბიჯები ნათიამ დათვალა. რედაქციაში ამბობენ, რომ ნაბიჯების თვლა, წუთების თვლა, საფეხურების თვლა ნევროზია. და ფულის თვლა? — იკითხა მაშინ ნათიამ. რედაქციაში გაიცინეს და თქვეს, რომ თუ ფული ბევრია, მაშინ ფულის თვლა არის სასიამოვნო ნევროზი) ნათია ჩერდება და „საიმედო წყაროს“ ეკითხება:

— აი, ამ სკამზე რომ დავსხდეთ, შეიძლება?

რა თქმა უნდა, შეიძლება და ნათია და „საიმედო წყარო“ სკამზე სხდებიან. სკამი ხისაა და მწვანეა. სკვერებში დგას ასეთი სკამები. ნათია და „საიმედო წყარო“ ერთმანეთს უყურებენ.

— რაღაც, ვერ ხართ.

— ქმარს ვუთხარი, რომ აღარ მიყვარს... ოთხი დღეა, არ მძინავს, გადაჩვეული ვარ მარტო ძილს, ცუდად ვარ, — ნათიას თავად უკვირს, ისეთი გულწრფელია.

— აი, მხარი, აი, კალთა, დადეთ თავი და დაიძინეთ, — სთავაზობს „საიმედო წყარო“.

ასარჩევად აქვს ნათიას საქმე. ნათია ალექსის კალთაში. დებს თავს და რამდენიმე წუთში იძინებს. გამვლელ-გამომ-

ვლელი მშვიდობისმყოფელები ალექსის ანიშნებენ, მაგარი გოგოაო. ნათია საყვარლად ფშვინავს. ალექსი ნათიას უყურებს. ლამაზია მძინარე ნათია. ნათია მძინარე მზეთუნახავია. ალექსი გრძნობს, რომ ვიღაც ადგას თავზე, ალექსი თავს სწევს მაღლა და შტაბის უფროსს ხედავს. ღმერთმა უშველოს შტაბის უფროსს — ხელით ანიშნებს ალექსის, არ ადგეო. ალექსი თვალებში უყურებს შტაბის უფროსს, ხოლო შტაბის უფროსი ჩურჩულით ამბობს:

— ეს ჟურნალისტი, და ალბათ, აგენტიც, პირველ რიგში, უბედური ქალია, ძალიან საწყლად ძინავს. ეჰ, ცოდოები ვართ ადამიანები, ცოდოები!

შტაბის უფროსი მიდის. ნათიას საღამომდე ძინავს. გაღვიძებული ნათია ამთქნარებს. გაღვიძების შემდგომი მთქნარება სულ სხვაა, გაღვიძების შემდგომი მთქნარება სასიამოვნო მთქნარებაა — აი, მიწაზე დაბრუნდი და ასე უშნოდ პირდაღებული ესალმები მიწას.

— მე მეგობართან ვარ დაპატიჟებული, წამოხვალ?

— წამოვალ. კაი საჭმელები იქნება?

— ალბათ, იქნება, შენ აქ დამიცადე, მე წვერს გავიპარსავ და მოვალ, — ალექსი მიდის და მალე გაპარსული ბრუნდება.

17

ვარლამი ერთი არ არის. ვარლამი ბევრია: ვარლამი, რომელსაც ძალაუფლება და ფული უყვარს; ვარლამი, რომელიც მარად ბავშვია; ვარლამი, რომელიც ჯარისკაცია, დისციპლინა უყვარს და დიდ ბრძოლებში დიადი გამარჯვების მოპოვებაზე ოცნებობს; ვარლამი, რომელიც ბანკის მმართველია. ვარლამი ერთი არ არის, ვარლამი ბევრია. სამწუხაროდ, ბევრ ვარლამს ერთადერთი სხეული აქვს. — ეს ვარლამის შეხედულებაა საკუთარ თავზე.

ომში დამარცხების შემდეგ ვარლამი თბილისში დაბრუნ-

და. შემოდგომა იდგა. ყვითელი, გამხმარი ფოთლები ხრაშუ-ნობდა ფეხქვეშ. ზოგს უკვე თბილად ეცვა, ზოგს ჯერ არ ეცვა თბილად. ზამთრამდე აღმა-დაღმა იარა ვარლამმა, ხოლო ზამთარში ვარლამი უდაბნოში გავიდა. არის ვარლამი ღმერთის და სიმშვიდის მაძიებელი, არის მორჩილი. ვარლამი ერთი არ არის, ვარლამი ბევრია და, სამწუხაროდ, ბევრ ვარლამს ერთადერთი სხეული აქვს. უდაბნოში ვარლამი მამა დავითს შეხვდა. თენდებოდა. მამა დავითს ანაფორა, ქურთუკი და შავი ჩექმა ეცვა. ქურთუკი გახსნილი ქონდა და ვარლამი მამა დავითის წელზე შემორტყმული ქამრის ოქროსფერ ბალთას უყურებდა. თვალს ვერ უსწორებდა ვარლამი მამა დავითს. არის ვარლამი, რომელიც მარად ბავშვია და უფროსების რიდი აქვს და უფროსებს თვალს ვერ უსწორებს. თავად ვარლამს სამხედრო ფორმა, თასმიანი შავი ჩექმა, შარვალი და შეკრული ქურთუკი ეცვა. ჩექმა ორივეს დასვრილი ჰქონდა. ვარლამმა გაიფიქრა: „ორივე ფორმაში ვართ. ცივა". სიცივისგან გამომშრალ და დახეთქილ ტუჩებზე გაისვა ენა. აცივდება თუ არა, ვარლამს ტუჩები უშრება და უსკდება. ასეა ბავშვობიდან. ხოლო დედა, სანამ ლაპარაკს აზრი ქონდა, სანამ ვარლამი მცირეწლოვანი იყო, სულ ტუქსავდა და თხოვდა:

— ნუ ისვამ ენას ტუჩებზე, ნუ ისვამ ენას ტუჩებზე. გთხოვ, ნუ ისვამ ენას ტუჩებზე, — და საჩვენებელი თითით მალამოს უსვამდა ტუჩებზე. ტუჩებზემალამოწასმულ ვარლამს ყველა ძულდა: დედა, რომელმაც ეს საზიზღრობა წაუსვა, ამ საზიზღრობის დამამზადებელი და გამომშვები ხალხი, თანაკლასელები, უბნელები, რომლებიც წამდაუწუმ, რიგრიგობით ეკითხებოდნენ, ტუჩებზე რა გისვიაო. მიუხედავად ამისა, ვარლამი არასდროს იცილებდა ტუჩებიდან მალამოს. შეეძლო და არ იცილებდა. შეეძლო, ცხვირსახოცი (რომელიც მუდამ სუფთა და მუდამ ოთხად გაკეცილი ედო ჯიბეში) ამოეღო, ტუჩებზე გაესვა და ასე მოეცილებინა; შეეძლო, ძალიან ბრა-

ზიანად გაესვა სახელო ტუჩებზე და — ასე; შეეძლო, მოებანა ტუჩები; შეეძლო და არ აკეთებდა (ჩემი ძალიან მაგარი დედა ვატირე, — ფიქრობს ხოლმე ვარლამი). წაუსვამდა ტუჩებზე მალამოს დედა თუ არა, იმწამსვე შივდებოდა ვარლამს, მაგრამ არ ჭამდა; წაუსვამდა ტუჩებზე მალამოს დედა თუ არა, იმწამსვე წყურვილი ახრჩობდა ვარლამს, მაგრამ არ სვამდა, ითმენდა, რადგან ვარლამი მშიშარა ბავშვი იყო და ეშინოდა, რომ მალამოს მოცილებისთვის დაისჯებოდა. დღეს ეს მშიშარა ბავშვი თანაარსებობს ბანკის მმართველთან. „თანაარსებობა“ ვარლამის საყვარელი სიტყვაა. ბანკში, კრებებზე, ვარლამი ხშირად ამბობს ამ სიტყვას, ხშირად მოუწოდებს თანაარსებობისკენ კოლეგებს.

შიშის ბრალია, რომ არც ერთ საქმეში ვარლამი პირდაპირი არ არის. ყოველთვის კომბინაციებს მიმართავს, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით. ახლა უდაბნოში დავბრუნდეთ. თენდებოდა. ვარლამმა გაიფიქრა: „ორივე ფორმაში ვართ. ცივა“. და სიცივისგან გამომშრალ და დახეთქილ ტუჩებზე ენა გაისვა. ვარლამი თვალებს ვერ უსწორებდა მამა დავითს, ვარლამმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო სასულიერო პირთან. მამა დავითმა შენიშნა, რომ ვარლამი დაბნეული იყო და უთხრა:

— ნუ ღელავ, რა გქვია?

ვარლამს თავი არ აუწევია, ისე თქვა:

— ვარლამი.

— ვარლამ, რა გიჭირს?

— ცხოვრება, — და ამოიოხრა.

— მოყვები შენი ცხოვრება.

ვარლამმა ძალიან ჩაღუნა თავი და იკითხა:

— ეხლა მე ღმერთი მისმენს?

— ღმერთი ყოველთვის გისმენს.

— და სად არის ღმერთი?

— ყველგან.

ვარლამმა გაიხედა მარცხნივ, ვარლამმა გაიხედა მარჯვნივ, ვარლამმა გაიხედა წინ, ვარლამმა გაიხედა უკან, ახედა ცას. თენდებოდა. დახედა მიწას. ვარლამმა გაიფიქრა: „უდაბნო, უდაბნო, უდაბნო, უდაბნო. და ამ უდაბნოში არის ღმერთი“.

— მე სასწაული მჭირდება, მე მინდა, რომ სასწაული მოხდეს. თბილისში თქვენზე ბევრს ლაპარაკობენ. თბილისში ამბობენ, რომ თქვენ სასწაულებს ახდენთ. მე სასწაული მჭირდება.

მამა დავითს გაეღიმა:

— სასწაული არ არის გამოსავალი, და მით უმეტეს — გადარჩენა. წყალი ღვინოდ იქცა, ბრმებს თვალები აეხილათ, ხეიბრებმა გაიარეს და რა მოხდა შემდეგ: თვალებახელილები და ფეხადგმულები მიეძალნენ ღვინოს (ღვინოს, რომელიც იყო წყალი და რომლის უზომოდ სმა წყალწაღებულთა საქმეა), სვეს უზომოდ. თვალთ დაუბნელდათ და ფეხები წაერთვათ და დაეყარნენ მიწაზე. ჩვენ, ადამიანები, ძალიან, ძალიან სუსტები ვართ და ამიტომ გველანდება, რომ ღმერთი გამოცდებს გვიწყობს და რომ არჩევანის უფლება ცდუნებაა და მეტი არაფერი.

— მე ეს ზოგადი რაღაცრუღაცები არ მაინტერესებს. მე სასწაული მჭირდება. მე მინდა, რომ კარგად ვიცხოვრო და თან სამოთხეშიც მოვხვდე.

მამა დავითს კვლავ გაეღიმა:

— ვარლამ, რას ეძახი კარგ ცხოვრებას?

ვარლამმა გულწრფელად უპასუხა:

— ბევრ ფულს, ბევრ ქალს, ბევრს, ყველაფერს კარგს. ეხლა მე ძალიან ღარიბი ვარ. აქლემი უფრო გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მე შევალ სამოთხეში. ღარიბი ვარ და სულ სიმდიდრეზე ვფიქრობ, სულ ვიღაცების დაყაჩაღებაზე და მოკვლაზე ვფიქრობ. ხომ ცოდვაა ასეთი ფიქრი, მამაო?

— ცოდვაა. ყველაფერი ცოდვაა, რაც სულის ცხონებას უშლის ხელს.

— რა ვიცი მე სულის შესახებ? არაფერი. მით უმეტეს, სულის ცხონება რა არის, არ მესმის. უვიცი ვარ, მამაო, უვიცი, რომელსაც უნდა, იყოს მდიდარი. ამავე დროს, მშიშარა ვარ და შიში მკარნახობს, რომ სამოთხეში მოხვედრა მინდა, თუმცა ზუსტად არც კი ვიცი, არსებობს თუ არ არსებობს სამოთხე. ხომ შეიძლება ერთხელ, ერთადერთხელ მაინც ცხოვრება ისე, როგორც მე მინდა და არა ისე, როგორც საჭიროა ან როგორც უკეთესია. ხომ შეიძლება, წარმოსახვებმა მომაყენოს ტკივილი და არა ორშაბათებმა, სამშაბათებმა, ოთხშაბათებმა, ხუთშაბათებმა, პარასკევებმა, შაბათებმა, კვირებმა.

ვარლამი უცებ გაჩუმდა. ამით მამა დავითმა ისარგებლა:

— პირადად მე ვეღარ ვარჩევ, რა წარმოსახვაა და რა — რეალობა. ან რა მნიშვნელობა აქვს, რა მოგაყენებს ტკივილს — წარმოსახვა თუ ყოველდღიურობა. თუ ფიქრობ, რომ წარმოსახვით მოყენებული ტკივილი წარმოსახვითი ტკივილია?

ვარლამმა მხრები აიჩეჩა:

— არ ვიცი. ჰო, ალბათ, ეგრე ვფიქრობ.

ამ დროს ქარმა წამოუბერა. მამა დავითმა და ვარლამმა ზურგი აქციეს ქარს და ქურთუკები წაიფარეს თავზე. ქარმა გადაიარა და ჩადგა. მამა დავითმა და ვარლამმა ქურთუკებიდან თავები ამოყვეს. ერთმანეთს შეხედეს და გაუღიმეს.

— ეს ქარი ეხლა ღმერთმა გამოგვიგზავნა, არა?! დაგვაშოშმინა, გაგვაჩუმა?!

მამა დავითმა გაიღიმა:

— არ ვიცი.

მამა დავითმა ინატრა და ვარლამი დაეთანხმა:

— ნეტავ აღარ დაბრუნდეს ქარი.

შემდეგ მამა დავითმა ვარლამს კითხა:

— ხალხზე რას ფიქრობ?

— რომელ ხალხზე?

— აი, ვინც ჩემზე თბილისში ბევრს ლაპარაკობს.

— განსაკუთრებულს არაფერს.

— შენ გინდა, იყო მდიდარი და იყო შენთვის, შენ გინდა, იყო მდიდარი და ხალხისთვის იყო, თუ გინდა, იყო მდიდარი და ხალხს მართავდე? გულწრფელად მიპასუხე.

— მე მინდა, ვიყო მდიდარი და ხალხს ვმართავდე. მე მინდა, რომ ხალხი სულ ჩემზე ფიქრობდეს. მე მინდა, რომ ხალხი აღფრთოვანებული იყოს ჩემით. მე მინდა, რომ...

მამა დავითმა ვარლამს სიტყვა გააწყვეტინა:

— სისულელეა ეგ ყველაფერი. შენ სისულელე გინდა. ხალხის დასაბრმავებლად გინდა იცხოვრო, მაგრამ ხალხი ისედაც ახლომხედველია. შენ გინდა, ხალხმა თქვას შენზე, რომ ბედნიერი კაცი ხარ, მაგრამ მიპასუხე, ვინ უფრო ბედნიერი იყო ხალხის თვალში: საკლე, რომელიც დევნიდა, კარგს ჭამდა და კარგს სვამდა, ღრეობდა და ქალებში დადიოდა, თუ პავლე, რომელიც ერთ დროს საკლე იყო, რომელსაც სდევნიდნენ, მშიერი იყო და მწყურვალი იყო? რა თქმა უნდა, ხალხის თვალში ბედნიერი იყო საკლე და ზოგიერთი იმასაც ამბობდა, ალბათ, რა დღეში ჩაიგდო ამ სულელმა თავი, ვინ იყო და ვინ გახდაო; ყველაფერი მისცა ღმერთმა და ვერაფერი გამოიყენაო.

ვარლამი ყურადღებით უსმენდა მამა დავითს. მაშინ ვარლამს ბიბლია არ ქონდა წაკითხული, მაგრამ ვარლამმა იცოდა, ვინც იყო პავლე, რომელიც ერთ დროს საკლე იყო. მამა დავითმა ვარლამს კითხა:

— აი, ახლა, ამწუთას, რას ფიქრობ? გულწრფელად მითხარი.

— ვოცნებობ ორ ჩემოდან ფულზე.

— ოცნება და ახდენილი ოცნება, დამიჯერე, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. აი, ოდესღაც მე ვოცნებობდი, ცაში შემძლებოდა სიარული. ვფიქრობდი, როგორც კი შევძლებდი ამას, გავხდებოდი თავისუფალი, ბედნიერი, ნეტარი... დამიჯერე, ოცნება და ახდენილი ოცნება არ არის

ერთი და იგივე. არც ორ ჩემოდან ფულზე ოცნება და ორი ჩემოდანი ფულია ერთი და იგივე... — მოულოდნელად მამა დავითი ცაში აიწია, გაიარ-გამოიარა და გაჩერდა, — ადამიანებს გვინდა ფრენა, ცაში სიარული, ორი ჩემოდანი ფული, გარანტიები, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ გვინდა, ერთმანეთი ვმართოთ. ჩვენ ერთმანეთს ვეძახით უამრავ სახელს, რეალურად კი მხოლოდ შვილები ვართ გზაზე, შვილები გზაზე... ეს ყველაფერი ზევიდან უნდა მეთქვა, უფრო დაგამახსოვრდებოდა.

მამა დავითი მიწაზე დაეშვა. ვარლამი ხმას ვერ იღებდა, ენა ქონდა ჩაკარდნილი. გაოცებული იყო. ამ დროს ქარმა კვლავ წამოუბერა, მამა დავითმა და ვარლამმა კვლავ ზურგი აქციეს ქარს და ქურთუკები თავზე წაიფარეს. ასე იყვნენ თავზექურთუკებწაფარებულები ქარის გადავლამდე. ქარმა გადაიარა. ქარი ჩადგა. მამა დავითმა და ვარლამმა ქურთუკებიდან თავები გამოყვეს, ერთმანეთს შეხედეს და გაულიმეს.

— დაბრუნდა ქარი. ნატვრა არ აგვისრულდა, — ვარლამს უხაროდა, რომ ისევ შეეძლო ლაპარაკი.

მამა დავითმა კი ეს თქვა:

— მიუხედავად იმისა, რომ თვალმა ნახა და გონებამ დაიმახსოვრა, გული რასაც გიკარნახებს, ის გააკეთე.

ვარლამს გულმა თბილისში დაბრუნება უკარნახა და ვარლამი თბილისში დაბრუნდა. თბილისში ერთ მშვენიერ დღეს ვარლამთან უცნობმა მამაკაცმა დარეკა...

18

უცნობ მამაკაცს ბოხი ხმა ქონდა და დინჯად ლაპარაკობდა. უცნობი მამაკაცი ვარლამს მიესალმა და ბანკის მმართველობა შესთავაზა. ვარლამს გაეცინა. უცნობმა მამაკაცმა აცნობა:

— ხვალ სამ საათზე გამსახურდიასა და ყაზბეგის გაშზი-

რების გადაკვეთაზე იდგება შავი „მერსედესი“. შიგ ვიჯდები მე. გელოდებით.

და ტელეფონი გაუთიშა. რა თქმა უნდა, ეს ზარი ვარლამმა ცუდ ხუმრობად ჩათვალა და შეხვედრაზე არ წავიდა. მეორე საღამოს უცნობმა ისევ დარეკა და ვარლამს იგივე გაუმეორა:

— ხვალ სამ საათზე გამსახურდიასა და ყაზბეგის გამზირების გადაკვეთაზე იდგება შავი „მერსედესი“. შიგ ვიჯდები მე. გელოდებით.

და ტელეფონი ისევ გაუთიშა. ვარლამმა, რაც იქნება იქნებაო, და შეხვედრაზე დანიშნულ დროს მივიდა. დანიშნულ ადგილას შავი „მერსედესი“ იდგა. ვარლამმა, რაც არის არისო, და მანქანის კარი გამოაღო. მანქანაში ახალგაზრდა კაცი იჯდა.

— დაბრძანდით.

ვარლამი დაბრძანდა. ახალგაზრდა კაცმა ვარლამს ხელი გაუწოდა:

— მე ლექსო ვარ.

ვარლამმა ლექსოს ხელი ჩამოართვა:

— ჩემი სახელი იცით, სასიამოვნოა.

— ვიცი. სასიამოვნოა. საერთოდ, მე ბევრი რამ ვიცი თქვენ შესახებ. თქვენ აქაური ხართ და ამ გამზირებს ძველ სახელებს, პეკინისა და პავლოვის ქუჩებს, ეძახით. მე ფოთელი ვარ და ამიტომ მეპატიება ეს ახალი სახელები: „გამსახურდია“, „ყაზბეგი“. საერთოდ, საქართველოში წიგნების კითხვა არ უყვართ, სამაგიეროდ, უყვართ ქუჩებისთვის მწერლების სახელების დარქმევა. ეს შეიძლება იმის ბრალია, რომ საქართველოში ყველა გამოჩენილი ადამიანი წერდა ლექსებს, პროზას, ანონიმურ წერილებს და ასე შემდეგ. მაგრამ, ჩემო ვარლამ, პოეტის არ იყოს: „ჩვენ უნდა ვდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“, თუ როგორც არის... არ დაგავიწყდეთ, რომ პოეტი, რომელიც მხედველობაში მყავდა, შეთავსებით ბანკირი იყო... ახლა მოგახსენებთ ჩემი დიადი გეგმის ერთ მცირე ნაწილს.

ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ეს მაუნე ტრადიცია მოვსპოთ საქართველოში. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ქუჩებს ჩვენი სახელი დაარქვან. ჩემი სახელი, თქვენი სახელი: „ბანკირთა ხეივანი“... „ბიზნესმენთა მოედანი“... ჩვენ უნდა შევცვალოთ საქართველო.

ლექსომ მანქანა დაქოქა. ვარლამმა გაიფიქრა: „ვინ არის ეს გიჟი, ე?“ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. ლექსომ განაგრძო:

— რუსთაველზე მივდივართ. ვარლამ, არ გეწყინოთ, მაგრამ რუსთაველი ჩემთვის მინდა.

— არა, არ მწყინს, — გაიღიმა ვარლამმა და გაიფიქრა: „გიჟია, გიჟი“.

თბილისი ალაგ-ალაგ ფართო, მაგრამ ძირითადად, ვიწრო ქალაქია, ამიტომაც გზებზე ყოველთვის დომხალია. ჭყიპინებენ მანქანები და იგინებიან მძღოლები. ლექსომ და ვარლამმა გზაზე იწვალეს. ლექსომ ნერვებიც მოიშალა.

— ამას რა, ეს რკინაა, ამისთვის სულერთია. მე ადამიანი ვარ, ნერვები მაქვს!.. — ყვიროდა და საჭეს ურტყამდა ხელს. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწიეს დანიშნულების ადგილს.

ლექსომ თქვა:

— აი, ეს არის ჩვენი მომავალი ოფისი. ოფისის ცნება იცით, ალბათ. ეს შენობა ჩვენი მამების და დედების აშენებულია. „პატივი ეცი მამას და დედას“. ამიტომ ფასადს არ ვცვლით. ამით მათ შრომას ვცემთ პატივს, ხოლო შიგნით შეიცვლება აბსოლუტურად ყველაფერი.

ვარლამი ფიქრობდა: „გიჟი არ არის. აფერისტია, მაგრამ რაში ჭირდება ჩემი მოტყუება? არაფერში. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხვდები“.

ლექსო კი არ ჩერდებოდა:

— შიდა რემონტს დაჭირდება ორი წელი. ამ შენობაში ჩვენი სათავო ოფისი განთავსდება. ცნობისათვის, ჩვენი ორგანიზაცია ქარცეცხლიან 1992 წელს დაარსდა და დღემდე

წარმატებით ფუნქციონირებს. დღემდე, რადგან ღმერთი ჩვენთანაა.

ლექსომ ვარლამს უთხრა:

— ორ წელიწადში დაგირეკავ.

— დაგელოდებით, — თავი დაუქნია ვარლამმა და გაიფიქრა: „ოღონდ ეხლა მომცილდი და დაგელოდები“.

დამშვიდობებისას ლექსომ ორი შეკითხვა დაუსვა ვარლამს და ორი გულწრფელი პასუხი მოსთხოვა.

პირველი შეკითხვა: თქვენ ომობდით, ხომ?

ვარლამმა თავი დაუქნია.

მეორე შეკითხვა: ბიბლიას კითხულობთ?

ვარლამმა გაიფიქრა: „რა უნდა, რა?“ და თავი უარყოფის ნიშნად გააქნია.

— გთხოვთ, იკითხოთ. ჩვენი მომავალი საქმიანობისთვის ეს აუცილებელია. ჩვენ უნდა უარვყოთ საზოგადო შეხედულება, რომ ბანკი ეშმაკის სახლია.

დაიშალნენ. მხოლოდ ორი წლით. ორი წლის შემდეგ ლექსომ ვარლამს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა:

— სამ საათზე სათავო ოფისთან. ადგილი ხომ გახსოვთ?

ვარლამმა, რაც იქნება იქნებაო, და წავიდა შეხვედრაზე. ლექსომ ვარლამს მისი სამუშაო ოთახი აჩვენა. ვარლამს მოეწონა. ლექსომ ფურცელი გაუწოდა:

— ეს კონტრაქტია. გთხოვთ, ხმამაღლა წაიკითხოთ. მაინტერესებს, გამოთქმით კითხვა გეხერხებათ თუ არა.

ვარლამმა კონტრაქტი ხმამაღლა და გამოთქმით წაიკითხა. პირობები მისაღები იყო. ვარლამმა საკონტრაქტო ფურცელზე ხელი მოაწერა. იქვე მოაწერა ხელი ლექსომაც და ამ დღიდან ლექსოს და ვარლამს ერთმანეთისადმი უფლება-მოვალეობანი გაუჩნდათ. ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. შემდეგ ლექსომ ვარლამი ბატონ ტობიას ჰილთან წარადგინა. ბატონმა ტობიას ჰილმა თქვა, რომ მოხარულია ვარლამის გაცნობით. შემდეგ საკუთარი ბიოგრაფიის ზოგიერთი ეპიზო-

დი გაიხსენა, აღნიშნა, რომ ოცდარვა წლამდე თვითმკვლელობის ოთხი მცდელობა ქონდა. ოცდარვა წლის შემდეგ — არც ერთი, რადგან ბატონი ტობიას ჰილი ოცდარვა წლის იყო, როდესაც მის ცხოვრებაში გაჩნდა ბანკი.

ლექსომ ვარლამს უთხრა:

— შენ იქნები აქაურობის მმართველი. არაფერს არ გააკეთებ. ხანდახან იქნები მკაცრი, თანამშრომლებს უყვირებ. ხანდახან იქნები სენტიმენტალური, თანამშრომლებს მოეფერები. სხვა საქმეებს ბატონი ტობიასი მიხედავს.

ვარლამმა აქეთ-იქით მიმოიხედა და გაიფიქრა: „ეს ბანკი მართლა ბანკია თუ რაღაც საიდუმლო ორგანიზაცია? ისე, რა ჩემი საქმეა, კარგ ხელფასს კი მპირდებიან და!..“ და ვარლამმა შეწყვიტა ამ საკითხზე ფიქრი.

დღესდღეობით ვარლამი და ბატონი ტობიას ჰილი ერთმანეთს სახელებით მიმართავენ — ვარლამი და ტობი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მეგობრები არიან. ტობიმ ვარლამს ოთხივე თვითმკვლელობის მცდელობა დეტალურად უამბო — რა როგორ მოხდა. ვარლამმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გაეცინა? არ გაეცინა? ოთხივე მცდელობა აშკარად სასაცილო იყო, მაგრამ ვარლამი არ იცინოდა, რადგან ვარლამმა არ იცოდა, მის სიცილს როგორ მიიღებდა ტობი. მეოთხე მცდელობის მოყოლისას თავად ტობიმ გაიცინა, ხოლო ვარლამმა ოთხივე მცდელობაზე ერთად იცინა, ამიტომაც მისი სიცილი იყო მჭექარე და ხანგრძლივი.

ვარლამის ცხოვრება უცებ შეიცვალა. ერთი, მთლიანი, განუყოფელი და უაზრო კვირა ორად გაიყო. პირველი, სამუშაო ნაწილი (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი) და მეორე, საყვარელი და ძვირფასი დასვენების ნაწილი — კვირადღე. ვარლამი ფიქრობდა, რომ ასეთი გაყოფა უსამართლო იყო, მაგრამ ყოველთვის ახსოვდა საკუთარი ხელმოწერა კონტრაქტზე.

შემდეგ დადგა ის დღეც, როდესაც ყველაფერი გაირკვა.

ლექსომ ვარლამს კითხა: ბიბლია წაიკითხე?

ვარლამმა თავი დაუქნია: წავიკითხე, კი.

ლექსომ თქვა: ძალიან კარგი.

ლექსოს არ უკითხავს ვარლამისთვის, რა გაიგო ვარლამმა წაკითხულიდან, რა დაიჯერა, რა ვერ და რა — არ; ბოლომდე წაიკითხა თუ არა; საერთოდ, რატომ წაიკითხა, რატომ შეასრულა ლექსოს თხოვნა, დავალება თუ მოთხოვნა.

ერთ მშვენიერ დღეს ვარლამი ამ შენობასთან მივიდა. ნახა, რომ შენობაში მართლა მიდიოდა სამუშაოები და გაიფიქრა: „იქნებ არც აფერისტია, არც გიჟი, იქნებ სასწაული ხდება და ამ სასწაულის შედეგად ვარლამი ბანკის მმართველი ხდება. სასწაულის მთავარი თვისება ხომ მოულოდნელობაა“. ვარლამმა გონებაში აღადგინა თავისი და ლექსოს შეხვედრა. ლექსოს არ უკითხავს: აქვს თუ არა ვარლამს გამოცდილება, იცის თუ არ იცის უცხო ენები, მართავს თუ ვერ მართავს თანამედროვე ტექნიკას. ლექსომ ვარლამს სულ სხვა რამე ჰკითხა: — კითხულობს თუ არ კითხულობს ის ბიბლიას?

იმ საღამოს ვარლამმა პირველად გადაშალა ბიბლია და წაიკითხა: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იყო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაყარა ნათელი და ბნელი. ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო, იყო დილა — პირველი დღე“.

ვარლამმა თავი ასწია და მიხვდა, რომ წაკითხული მოეწონა. ვარლამმა თავი დახარა და კითხვა განაგრძო. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება ვარლამზე იესო ქრისტეს ამბავმა მოახდინა. ვარლამმა გაიფიქრა: „რამდენნაირი ადამიანი არსებობს, არა?!“ ვარლამი ვერ მიხვდა, რომ იესო ქრისტე არის უფალი ჩვენი. ღმერთზე ვარლამის წარმოდგენა არსებითად არ შეცვლილა, ვარლამისთვის ღმერთი დარჩა

ნატვრისთვალად. ერთხელ ვარლამს დაესიზმრა, რომ ყველა ნატვრა აუხდა. ყვირილით გამოეღვიძა. შეშინებული იყო, მაგრამ სიზმარი ვერ გაიხსენა. ბიბლიის წაკითხვის შემდეგ ვარლამმა დაასკვნა, რომ ისეთი რამ წაიკითხა, რისი გამოყენებაც ცხოვრებაში შეიძლება.

და კვლავ ის დღე, როდესაც ყველაფერი გაირკვა: ლექსო ოთახიდან გავიდა. ვარლამი დოკუმენტების თავმოყრას და დალაგებას შეუდგა. ლექსო სწრაფად დაბრუნდა. ხელში ორი ჩემოდანი ეჭირა. ორივე ჩემოდანი მაგიდაზე დადო და თქვა:

— აქ ბევრი ფულია, ძალიან ბევრი ფული (ვარლამი ქაღალდებს შეეშვა და ლექსოს შეხედა), ათი წლის წინ მამაჩემი მოკლეს (ვარლამს თვალები გაუფართოვდა). არა, შენ არაფერ შუაში ხარ, — მხარზე დაარტყა ვარლამს ხელი, — დაწყნარდი (ვარლამმა შვებით ამოისუნთქა). მე ზუსტად ვიცი, როგორ მოხდა ყველაფერი. მამაჩემი, აი, ამ ორ ჩემოდანს სთავაზობდა, ოღონდ არ მომკლათო, მაგრამ ერთ-ერთმა მოკლა. ტყეში მოხდა ეს ყველაფერი. მე ზუსტად ვიცი, რა ხალხი იყო იქ, და ისიც ზუსტად ვიცი, ვინ მოკლა მამაჩემი. მე მინდა, რომ მამაჩემის მკვლელი მოკვდეს.

ვარლამმა მხრები აიჩეჩა:

— და მე რა შუაში ვარ, ბატონო ლექსო? — პირველად მიმართა ასე.

— შენ იცნობ მამაჩემის მკვლელს. ის ეხლა ნიუ-იორკშია, შენ შეგიძლია მისი აქ ჩამოყვანა; შენ შეგიძლია, ძალიან მდიდარი კაცი გახდე. ჩამოყვანაში — ერთი ჩემოდანი, ჩამოყვანაში და განადგურებაში — ორივე.

— ვინ არის მკვლელი?

— ეხლა ეგ ძებნაშია, ნიუ-იორკში აგდია და ფულში თანდათან იჯდება. გეგმა ასეთია: ძებნის მოხსნას ჩემ თავზე ვიღებ. შენ ურეკავ მაგის ძმაკაც ლევანიკოს — ჩემს მეორე ფირმაში მუშაობს მენუჯერად და პურის ფული აქვს, მეტი არაფერი. ამიტომ იოლად ითანხმებ, გარკვეული თანხის სა-

ნაცვლოდ ზარი გაუშვას ნიუ-იორკში და უთხრას, რომ ძებ-ნა მოხსნილია და შეუძლია, ჩამოვიდეს. ჰო, იმასაც ეტყვის, რომ თბილისში რაღაც ფულის შოვნა შეიძლება.

ვარლამს თვალწინ ბექას სახე დაუდგა და პირი გაუშრა:

— თქვენ ყველაფერი იცით მაგ ხალხზე, ბატონო ლექსო?

— მაგათზე კი არა, მაგათ დედ-მამაზეც ყველაფერი ვიცი, რა თქმა უნდა, იმის გარდა, ვინ სამოთხეში მოხვდა და ვინ — ჯოჯოხეთში.

— კიდევ ერთი შეკითხვა შეიძლება, ბატონო ლექსო?

— მკითხე.

— ბიბლიის წაკითხვა რატომ მირჩიეთ, ბატონო ლექსო?

— მე ბიბლია წავიკითხე, მაგრამ რა ნაგავიც ვიყავი, იგივე დავრჩი. შენც იგივე დაგემართა, ესე იგი, ჩემიანი ხარ. ჩემი პრინციპი ასეთია: არასდროს გარიო საქმეში ის, ვისაც ბიბ-ლია არა აქვს წაკითხული, ასეთი ადამიანი ნედლია, ჯერ სიარული არ იცის... — ლექსომ ჩემოდნები ვარლამის ოთახ-ში სეიფში შეინახა და სეიფს ლუქი დაადო, — ჰა, ერთი თუ ორივე?

— ერთი შეკითხვა კიდევ, თუ შეიძლება, ბატონო ლექსო?

— შეიძლება, შეიძლება.

— ასე ვთქვათ, მამათქვენის (ღმერთმა აცხონოს მისი ნა-თელი სული იმ ქვეყანაში) მკვლელის მოკვლა ადგილზევე ხომ შეიძლება, ანუ იქვე, ნიუ-იორკში?

— ეს ყველაფერი უნდა მოხდეს საქართველოში. მე ასე მინდა. აბა, ერთი თუ ორივე?

— ორივე, ბატონო ლექსო, — ვარლამმა მორცხვად დახა-რა თავი.

— მაშინ მოიფიქრე გეგმა და გამაცანი, — დაუალა ლექ-სომ.

ერთი თვე იფიქრა ვარლამმა. ვარლამი ხომ არც ერთ საქ-მეში პირდაპირი არ არის და ხომ სულ კომბინაციებს მიმარ-თავს. ვარლამმა საქმეში ლევანიკოც ჩართო.

ერთ დღეს ვარლამი, ლევანიკო და ბატონი ლექსო სანაპიროზე იაფ, მაგრამ გემრიელ სამწვადეში შეხვდნენ ერთმანეთს. მწვადი, შემწვარი კარტოფილი, სალათა, ლუდი და ვარლამის კეთილი გულით შეთავაზებული კომბინაცია. ჩასხდნენ. თითო კათხის შემდეგ ვარლამმა ბატონ ლექსოს თავისი კომბინაცია წარუდგინა:

— ვიფიქრე, ვიფიქრე, ბატონო ლექსო, და აი, რა მოვიფიქრე: ამ საქმეში ქრისტიანული მოტივები უნდა გამოვიყენოთ.

— საინტერესოა.

— გასანადგურებელი სუბიექტი (თქვენი ნებართვით, ასე ვუწოდებ, ბატონო ლექსო, რადგან მაგის ნამდვილი სახელის ხსენებაც არ მინდა, მაგ მკვლელის), ლევანიკოს ჩამოყავს თბილისში. ლევანიკო და ის ერთად მოძრაობენ და შენ, ჩემო ლევანიკო, დროდადრო გასანადგურებელ სუბიექტს ღმერთზე ელაპარაკები. ამისთვის საჭიროა ბიბლიის წაკითხვა, მაგრამ სანამ შენ მაგას იზამ, ბევრი დრო გავა, ამიტომ მე გჩუქნი (ვარლამმა ჯიბიდან ამოიღო ბროშურა) აი, ამ თხელ წიგნს. ეს არის ბიბლიის მოკლე შინაარსი. ძალიან პრესტიჟული გამოცემა. პოლიტიკოსები, ესტრადის ვარსკვლავები ძალიან აქებენ... ერთხელ მეც შევხვდები გასანადგურებელ სუბიექტს და ვახსენებ ღმერთს, შემდეგ ლევანიკო ეტყვის გასანადგურებელ სუბიექტს, რომ საქმეა, რომელშიც დიდ ფულს იხდიან, და რომ საქმე არის ასეთი: ჩამოსატანია შავი ყუთი, რომელშიც დევს ბომბი და რომ საჭიროა საქმეზე ანაფორით წასვლა. ჰო, ჩამოსვლისთანავე გასანადგურებელ სუბიექტს თხოვ, რომ წვერი მოუშვას, უსაფრთხოებისთვის, ეჭვი რომ არ აიღონ ორგანოებმა. დაარიგებ: თუ ვინმე გააჩერებს, უთხრას, რომ ღმერთის სახლში მიდის.

— რაღაც საინტერესოა, — თქვა ლექსომ, — მეც არ ვარ მომხრე, რომ ტრადიციული მეთოდებით მოკვდეს, მაგრამ ეს საუბრები ღმერთზე საჭიროა?

— აუცილებელია, ბატონო ლექსო, — გაიღიმა ვარლამმა,

— თქვენ ბევრ ინფორმაციას ფლობთ გასანადგურებელ სუბიექტზე, მაგრამ პირადად არ იცნობთ მას. ის ძალიან ჭკვიანი ადამიანია. ის არავის ენდობა. ასეთ ადამიანებთან ყველაზე კარგი ტყუილი სიმართლეა. საუბრები ღმერთზე მას ეჭვებს გაუჩენს. რა თქმა უნდა, საქმეზე არ იტყვის უარს, რადგან ფული სჭირდება. იფიქრებს, რომ შავ ყუთში არანაირი ბომბი არ დევს. გასანადგურებელი სუბიექტი აუცილებლად გახსნის შავ ყუთს, ხოლო იქ მართლა ბომბი დახვდება.

— და თუ ამ ყველაფერმა არ იმუშავა?

— ჩემი ხელით მოვკლავ, ბატონო ლექსო.

— შევთანხმდით.

ამასობაში მწვადი გაცივდა. ხელახლა შეუკვეთეს.

19

მაკა და ნათია მაგიდის ალაგებას იწყებენ. ბევრი არაფერია ასალაგებელი — რამდენიმე თეფში და რამდენიმე დანა-ჩანგალი, ჭიქები. მაკა ნათიას ჭიქებზე უთითებს, თავად თეფშებს აწყობს ერთმანეთზე. მაკა და ნათია ონკანთან მიდიან, მაკა თეფშებს ნიჟარაში აწყობს და ონკანს ხსნის. წყალი თქრიალით მოდის. ნათია ჭიქებს წყლისქვეშ ალაგებს და მაკას ეკითხება:

— ბიჭები სად არიან?

— არ ვიცი, შეიძლება გარეთ გავიდნენ.

— ვიჭორაოთ?!

— ჯერ ჭურჭელი გავრეცხოთ და მერე ვიჭორაოთ.

მაკა და ნათია ჭურჭელს რეცხავენ. თეფშები რაკუნობს, ჭიქები წკრიალებს. ხოლო თაზო და ალექსი გარეთ, რაკუნისა და წკარუნისგან შორს, აივანზე დგანან და სიგარეტს ეწევიან. მაკასა და ნათიასგან განსხვავებით, ისინი უკვე ჭორაობენ. მთვრალები არიან თაზო და ალექსი. თაზოს კარგი და ალალი სიმთვრალე აქვს, არასდროს ჩხუბობს. ალექსი,

რაც ფხიზელია, ის არის მთვრალიც. კონფლიქტის ზონაში სამსახურმა ალექსის სმენის კულტურა განუვითარა, ამიტომაც ვერ შეატყობ, აინტერესებს თუ არ აინტერესებს თაზოს ლაპარაკი.

— ადამიანს ცხოვრებაში გჭირდება ღმერთის რწმენა, საჭმელი, სასმელი, ქალი და კარგი საშობლო, წარსული და აწმყო რომ აქვს, მომავალი კიდევ მხოლოდ თავში არსებობს, — თაზო გრძნობს, რომ ჩქარა უცემს გული. სასმელის ბრალია. მთვრალი თაზოს სუსტი წერტილი საშობლოა, მოაღებს პირს და ალალად ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, — საქართველო იყო და არის გზა. თავდაპირველად ადამიანებმა ფეხით სიარული ისწავლეს და საქართველო გზა იყო, ადამიანებმა ცურვა ისწავლეს და საქართველო გზა იყო, მერე ადამიანებმა ფრენა ისწავლეს და საქართველო გზა იყო, დღეს ადამიანები დადიან, დაცურავენ, დაფრინავენ და საქართველო გზაა. გზა მხოლოდ გზა არის და გზა არ არის მიზანი. საქართველო არ იყო და არ არის მიზანი. ერთ მშვენიერ დღეს ეს გზა ჩაკეტეს და ჯერ დაიხუთა, მერე ჩალპა, მერე ჭაობად იქცა საქართველო. სხვა მშვენიერ დღეს ეს ჭაობი გახსნეს და რადგან ადამიანებმა უკვე ჭაობშიც იცოდნენ სიარული, ატყდა მოძრაობა, ხოლო ჩვენ, ამ ჭაობში გაზრდილმა ბაყაყებმა, ვერაფერი გავიგეთ, გაუგებრობა კი იწვევს შიშს. რა შეუძლიათ შეშინებულ ბაყაყებს? მხოლოდ და მხოლოდ ყიყინი. და ჩვენც ვყიყინებთ და ვყიყინებთ. ხანდახან მგონია, რომ ამ ჭაობის ამოშრობას მოვესწრები, ხანდახან მგონია, რომ ვერ მოვესწრები, — თაზო სიგარეტს ეზოში ისვრის. მიწაზე დაცემისას სიგარეტი ნაპერწკლებს ყრის, — აი, ასე ანათებს და ქრება ჩემი იმედი, ერთხელ გაანათებს და შემდეგ დიდხანს ჩამქრალია. ვბოდავ, არა?

— არა, პირიქით, საინტერესო რაღაცებს ამბობ, — ამბობს ალექსი.

— მაშინ გაუგრძელებ: საქართველოსთვის სახელმწი-

ფოებრივი მდგომარეობა მონატრებული მდგომარეობაა და ამიტომ ჩვენ არ ვებრძვით სახელმწიფოს, თუმცა თანდათან ვხვდებით, რომ სახელმწიფო ჩვენს ტრადიციებს ეწინააღმდეგება. რა მოსწონდათ საქართველოში მოგზაურებს, ავანტიურისტებს, დიპლომატებს? რა თქმა უნდა, თბილისი პარიზზე ან ლონდონზე ლამაზი ქალაქი არასდროს არ იყო. ვერც შავი ზღვა შეედრება ოკეანეს, არც ჩვენი ტყეები ჯობია ჯუნგლებს და არც იალბუზია ევერესტი. მიზეზი სხვა რამე იყო. საქართველოში ადამიანებს პირადი ცხოვრება ქონდათ. სახელმწიფო პიროვნების და პირადულობის მტერია. არ იყო სახელმწიფო და იყვნენ პიროვნებები და იყო პირადული ცხოვრება, გაჩნდა სახელმწიფოს ჩანასახი და შეირყა ადამიანების პირადი ცხოვრება. რაში გამოიხატებოდა ეს პირადი ცხოვრება? ფულისა და დროის ერთდროულად ფლობაში. ასეთი რამე სახელმწიფოში წარმოუდგენელია (თაზო ახალ სიგარეტს იღებს ჯიბიდან). აი, მე და მაკა ბანკში ვმუშაობთ, გვაქვს ხელფასი, ესე იგი ფული, და გვაქვს შაბათ-კვირა, ესე იგი დრო, მაგრამ ცოტაა ორივე და ვაზივართ ორივეს, ვუფრთხილდებით. მოვახერხეთ და აქ გამოვიქეცით, ბაბუაჩემის სახლში. ვფიქრობდით, რომ აქ ერთმანეთისთვის ვიცხოვრებდით. აქედან შორია ყველაფერი ის, რაც თბილისში ყელში გვქონდა ამოსული, ყველაფერი ის, რაც გულზე გვადგა თბილისში. გვეგონა, ამოვისუნთქავდით, მაგრამ ჩვენ ჩანასახოვანი სახელმწიფოს ჩანასახოვანი მოქალაქეები ვართ და რეალურად პირადი ცხოვრება არ გვჭირდება. თავისუფლება გვაშინებს. ჩვენი საქმე არის პირად ცხოვრებაზე ოცნება, თავისუფლებაზე ოცნება.

თაზო სიგარეტს უკიდებს, ხოლო ალექსი ამბობს:

— არა ხარ მართალი.

თაზოს ჯერ უკვირს: რატომ? შემდეგ ფიქრობს, რომ შეიძლება მართლაც არ არის მართალი; შეიძლება მართლაც სისულელეები ილაპარაკა.

— არა, შეიძლება მართალიც ხარ. ამას არა აქვს ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა, — და თაზოსთვის მოულოდნელად ალექსი მას სევდიანად ეკითხება:

— გინდა, ჩემი პირადი ცხოვრება მოგიყვე?

თაზოს, გულზე ხელის დადებით რომ თქვას, ალექსის პირადი ცხოვრება არც ისე ძალიან აინტერესებს, მაგრამ ზრდილობა? თაზო ამბობს: — მინდა.

და ალექსი მოყოლას იწყებს:

— მე საცოლე მყავდა, რომელიც, აი, ასეთ წერილებს მწერდა... — ალექსი ჯიბიდან ფურცელს იღებს და გამოთქმით კითხულობს: „განა, ჩვენს ბაზაზე ათასობით ქართველი არ მუშაობს? განა, ჩვენი ბაზის გასვლის შემთხვევაში ეს ათასობით ქართველი ულუკმაპუროდ არ რჩება?“ ალექსი ფურცელს კეცავს, — ბოდიში, შემეშალა. ეს ჩემი ხვალინდელი გამოსვლის ტექსტია. ხვალ ტელევიზიით გამოვდივარ, — ალექსი ფურცელს ჯიბეში იდებს, ხოლო მეორე ჯიბიდან მეორე ფურცელს იღებს, შლის და აკვირდება, — ჰო, აი, ასეთ წერილებს მწერდა, — და ალექსი გამოთქმით კითხულობს: „ალექსი! ჩვენი ქალაქის დროით ცხრა საათია, სადა ხარ? მენატრები. მიყვარხარ. როცა გნახავ, აღარასოდეს დაგცილდები, აღარასოდეს, ალექსი! ძალიან მიყვარხარ! ჩემი სინათლე ხარ. ვტირი. ძალიან მიყვარხარ, ძალიან. ისე მენატრები, შენი ყველაფერი მენატრება, ალექსი! აღარასოდეს, აღარასოდეს დაგშორდები, აღარასოდეს, აღარასოდეს გაგიშვებ სადმე! სულ მუდამ ერთად ვიქნებით! ჩემი პირველი და უკანასკნელი ამოსუნთქვა ხარ. შენი ფოტო წინ მიდევს, შენი სუნი მენატრება, შენი კოცნა, შენი მოფერება... და შენი თითების ტკაცუნიც, უზრდელო. აღარასოდეს დამტოვო. აღარასოდეს გაემგზავრო. მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ! ძალიან მინდა, რომ აქ იყო. მაკოცე, ალექსი! ძალიან ვტირი, გუშინდელი დღე მინდა ვიყო. მიყვარხარ! გელაპა-

რაკები, ყოველდღე გელაპარაკები, ყოველ წუთს, ყოველ წამს. ყველაზე კარგი ხარ, ვისაც კი ვიცნობ“.

ალექსი ფურცელს კეცავს და ჯიბეში იდებს:

— აი, ამის მსგავს წერილებს მწერდა, მერე, ერთ მშვენიერ დღეს მომწერა, რომ გათხოვდა და ბედნიერია, და მე ასეთი რამე დავწერე, — ალექსი უკანა ჯიბიდან იღებს ფურცელს, შლის და გამოთქმით კითხულობს: — „ოთახი დგას, მე ვდგავარ ოთახში და ვხედავ ცას. ცაში დგანან ღრუბლები და ვხედავ მიწას. მიწაზე დგანან ხეები. ცა — ღრუბლები, მიწა — ხეები. არ მიხარია. ყველაფერი სულერთია. შტაბის ეზოში ადამიანები არიან და მანქანები. მე ორივე ვარ: ადამიანიც და მანქანაც. უფრო ხშირად — ადამიანი. ადრე ეს მიხაროდა, ეხლა სულერთია. ადრე სულ ადამიანი მინდოდა ვყოფილიყავი, ეხლა მინდა, მანქანა ვიყო, თუმცა ეხლა სულერთია, ორივე შემთხვევაში მოძრაობა ჩემი თვისებაა და მე ოთახში ვიწყებ მოძრაობას. წინ და უკან ვმოძრაობ. კედლიდან კედლამდე ვმოძრაობ. მოძრაობა ჩემი თვისებაა. მე, რა თქმა უნდა, ასე არ ვლაპარაკობ, მე ასე ვწერ, რაც იმას ნიშნავს, რომ მე ეხლა კი არ ვლაპარაკობ, არამედ ვწერ, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მუნჯი ვარ. მუნჯი არ ვარ, უბრალოდ, ნაწყენი და გაბუტული ვარ. მე საცოლემ მიმატოვა. მე საცოლე მივატოვე. მივატოვე მისი კეთილდღეობისთვის, ჯერ მე მივატოვე, მერე — საცოლემ. ჩვენ სამი წელია, ვიცნობთ ერთმანეთს და სამი წელია, ის ოცდაოთხი წლისაა. აქედან გამომდინარე, რაღაც-რაღაცებს სხვანაირად აღიქვამს, ვიდრე მე, ეს რაღაც-რაღაცები კი ქმნიან ჩვენ მხოლობით ცხოვრებას. გაცნობისას მე მასზე სამი წლით ვიყავი უფროსი, ახლა ექვსი წლით ვარ მასზე უფროსი, რადგან ის სამი წელია, რაც ოცდაოთხი წლისაა“, — ალექსი კითხვას წყვეტს, — ამის შემდეგ ჩვენი შეხვედრებია აღწერილი, საინტერესო არ არის. პირადი რაღაცებია.

თაზო ფიქრობს, რომ ალექსის ძალიან წვრილი კალიგრა-

ფია აქვს, სხვანაირად ერთ ფურცელზე ამდენ სიტყვას ვერ დაატევდა. ალექსი კი აგრძელებს:

— როდესაც საცოლე წერილს მწერდა და სიყვარულს მიხსნიდა, ხომ იყო გულწრფელი? იყო. როდესაც საცოლემ მომწერა, რომ გათხოვდა და ბედნიერია, მაშინაც ხომ გულწრფელი იყო? კი. როდესაც მე ვწერდი ჩემს ჩანაწერებს, მეც ხომ გულწრფელი ვიყავი? დიახ. და როდესაც ახლა ვამბობ, რომ მძინარე ნათია ძალიან ლამაზია, ხომ ვარ გულწრფელი? ვარ, — შემდეგ ალექსი ყვება, როგორ ნახა პირველად ნათია, — მე მაშინ თვითკმაყოფილი, ამაყი შეყვარებული ვიყავი...

თაზო აღარ უსმენს ალექსის. თაზო ცას უყურებს. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი, ვარსკვლავებით ცდილობს გართობას თაზო, მაგრამ ვერ ერთობა. ორი რამ ვერ ართობს თაზოს — ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მორალური კანონი საკუთარ თავში. ამ კანონის კარნახით დგას თაზო ალექსის გვერდით, თორემ თაზოს ალექსი მოსწყინდა თავისი ყოფილი საცოლით და წერილებით და ჩანაწერებით. ხოლო ალექსი ისევ ლაპარაკობს ნათიასა და ყოფილ საცოლეზე, სიყვარულსა და მიტოვებაზე. ამასობაში გადის დრო, ალბათ, წუთები. თაზოსთვის ეს უკვე აუტანელი წუთებია და თაზო ძალიან ზრდილობიანად ეკითხება ალექსის:

— ალექსი, ხომ არ შევსულიყავით შინ?

— როგორც შენ იტყვი.

— მაშინ შინ შევიდეთ.

და ისინი შინ შედიან.

20

მაგიდა ალაგებულია. ჭურჭელი დარეცხილია. მაკა და ნათია ერთმანეთის პირისპირ სხედან. მაკა სიგარეტს ეწევა. ნათია ბოთლიდან ურტყამს კონიაკს და ამბობს:

— მიყვარს აი, ესე ბიჭურად სმა. შენ რაღაც არ სვამ, არა?!

— ვსვამ, მაგრამ ძალიან იშვიათად. ძალიან მალე ვთვრები და ძალიან ცუდი სიმთვრალე მაქვს.

— ჩხუბობ? ლეწავ რაღაცებს? იგინები?

— არა, უბრალოდ, ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. მთვრალი კიდევ სულ ერთსა და იმავე რაღაცაზე ვფიქრობ.

— ჭედავ, ესე იგი?

— ჰო, ვჭედავ, — და ორივენი იცინიან.

მაკა სიგარეტს საჩვენებელი თითით ფერთხავს. ნათია კონიაკს ურტყამს.

— ისე, შენ ყოჩაღ, მაგრად სვამ, — ამბობს მაკა.

ნათია ბოთლს მაგიდაზე დგამს. კონიაკმა მოქმედება დაიწყო. ნათია აქეთ-იქით იხედება და თავის ერთ-ერთ ასასრულებელ სურვილს ამბობს:

— ასეთი სახლი მინდა მქონდეს, ოღონდ სადმე მთაში, — მერე ბოთლს ითრევს და სვამს. მაკას უკვირს, როგორ სვამს ნათია ამხელა ყლუპებით კონიაკს. ნათია ბოთლს მაგიდაზე დგამს და ლაპარაკს აგრძელებს, — ჰო, მთაში ან ზღვისპირა პაწაწინა სოფელში. აღარ მინდა თბილისში ცხოვრება, რაღაც მედებილება ამ ბოლო დროს თბილისი.

მაკას ეღიმება. თავად მაკა ასეთი სურვილის მსხვერპლია — თავად ეძახის მაკა საკუთარ თავს ასე: მსხვერპლი. სიგარეტს საფერფლეში აქრობს, საფერფლეს განზე სწევს და ამბობს:

— ასეთი სახლის ქონა მთაში, ზღვისპირა, პაწაწინა სოფელში ან აქ, სადაც ახლა დგას ეს სახლი, არ არის გამოსავალი.

— აქ არა, აქ არ მინდა. არ გეწყინოს და აქ ძალიან სოფელია. აქ არც დიდი და ლურჯი მთებია და არც ზღვა. თან კონფლიქტის ზონასთან ახლოსაა. ომი რომ დაიწყოს უცებ, რა ვქნა? აქ არ მინდა.

— რაც არ გინდა, ღმერთმა არ მოგცეს, — ძალიან ბებრულად ამბობს მაკა და იღიმის.

ნათია ასეთ დალოცვაზე თანახმა არაა, რადგან იცის, რომ რაც მას არ უნდა, შეიძლება მისთვის ძალიანაც სასარგებლო და ძალიანაც სასიკეთოა და, პირიქით, რაც მას უნდა, — მაგალითად, ასეთი სახლი მთაში ან ზღვისპირა, პაწაწინა სოფელში, — მისთვის უბედურების მომტანია. ამიტომაც მაკას ეუბნება:

— ეგრე არ უნდა მითხრა. უნდა მითხრა, ღმერთმა ის მოგცეს, რაც შენთვის სასიკეთოა და კარგიაო.

— და იქნებ უკვე მოგცა ის, რაც შენთვის სასიკეთოა და კარგია?

— და მე ვერ ვხვდები? შეიძლება.

— კარგი, ღმერთმა ის მოგცეს, რაც შენთვის სასიკეთოა და კარგია, — და მაკა სიგარეტს უკიდებს.

ნათია კონიაკს სვამს, ბოთლს მაგიდაზე დგამს და ამბობს:

— ახლა მთვრალი კაცივით ვილაპარაკებ და არ გეწყინოს.

— რატომ უნდა მეწყინოს? არ მეწყინება, — მხრებს იჩეჩავს მაკა.

ნათია ბიჭურად მხარზე ადებს მაკას ხელს და მთვრალი კაცივით ლაპარაკობს:

— რა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას. ის არ ვიცი, რაა ჩემთვის სასიკეთო და კარგი და რა — არა, მაგრამ ვცხოვრობ, რომ ეს გავიგო. ჰო, გავიგო. გაგება მთავარია ცხოვრებაში, ჩემო ლამაზო (ნათია მაკას სახეზე ეფერება. ნათია როლშია). ძალიან ლამაზი და კარგი გოგო ხარ შენ.

ამასობაში მაკა სისულელეს ფიქრობს: „რომ მაკოცოს, რა ვქნა? ვეჩხუბო? ხელი ვკრა? ხმა არ ამოვიღო? არ გავინძრე? მეც ვაკოცო?“

— რაზე ფიქრობ?

მაკა იტყუება:

— კონფლიქტის ზონასთან რომ ვცხოვრობთ მე და თაზო და უცებ ომი რომ დაიწყოს, რა ვქნათ? ვფიქრობ და მეშინია, მართლა არ დაიწყოს ომი. არ ვფიქრობ და არ მეშინია. ახლა ვფიქრობ.

— აიკრავთ გუდა-ნაბადს და წახვალთ თბილისში. თუ თბილისამდე ჩამოაღწია ომმა, წახვალთ მოსკოვში ან ბერლინში, ან ლონდონში, ან ნიუ-იორკში... ან ჯანდაბაში. სამ ომს მოვესწარით და მეოთხე ომის დაწყების გვეშინია. ჩვენ ვიცით, რა არის ომი. ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ მცოდნე ადამიანს არაფრის ეშინია. სისულელეებს გვასწავლიდნენ. ჩვენი აღზრდა და ყოველდღიურობა ერთმანეთის მტრები არიან. ცოდნა შიშია. არ ვიცოდით, რა იყო ომი და სამი ომი გავიჩალიჩეთ ზედიზედ. თან რა სწრაფად მოხდა ყველაფერი, — ნათია თვალებს ხუჭავს და იხსენებს, როგორ სწრაფად მოხდა ეს ყველაფერი, და გაოცებულია, — აი, გაიხსენე, რა სწრაფად და გაოცდები, — ნათია თვალებს ახელს და მაკას მუხლზე უტყაპუნებს ხელისგულს, — მიდი, მიდი, გაიხსენე. გაიხსენე, რა. გაოცებული მინდა გნახო, როგორი ხარ.

ახლა რა დღეშია მაკა: ზის, ნათიას უყურებს და ფიქრობს, რომ ცოდნა, რომელიც უშიშარს ხდის ადამიანს, სულ სხვა ცოდნაა და არა ის, რომელიც სამი ზედიზედ გაჩალიჩებული ომით მიიღეს ნათიამ და თავად მაკამ. მაკას ახსოვს, რომ მთელი ეს ფილოსოფიური მიდებ-მოდება მისმა ტყუილმა გამოიწვია. სისულელეს ფიქრობდა და შერცხვა ეთქვა, რომ სისულელეს ფიქრობდა. ამიტომაც თქვა ტყუილი. მაკა დამნაშავეა. და აი, ახლა ნათია მაკას სთხოვს, გაიხსენოს, როგორ სწრაფად მოხდა ყველაფერი, და გაოცდეს. მაკა მასპინძელია და შეძლებისდაგვარად, სტუმრის ყველა თხოვნა უნდა შეასრულოს. მაკა ამ და ამის მსგავს ადათ-წესებზე აღზრდილი გოგოა და იხსენებს, როგორ სწრაფად მოხდა ყველაფერი. როგორ სწრაფად მოყვა ომს ომი. მაკა იხსენებს, როგორ

სწრაფად მოკლეს მამა; დიდი ხანია, მამა არ გახსენებია, არ უფიქრია, არ დასიზმრებია. მაკას სიზმრებს სხვა ვერ ნახავს, მაგრამ თავად მაკა ვერ მართავს საკუთარ სიზმრებს; შემდეგ მაკა იხსენებს, რომ დიდი ხანია, რაც მამის მკვლელი არ გახსენებია. დიდი ხანია, არ უფიქრია მამის მკვლელზე. დიდი ხანია, არ დასიზმრებია მამის მკვლელი. მაკას სიზმრებს სხვა ვერ ნახავს, მაგრამ თავად მაკა ვერ მართავს საკუთარ სიზმრებს. მაკა მძიმდება და იძირება წარსულში.

ხოლო ნათია ამბობს:

— ვაიმე, ძალიან ლამაზი ხარ გაოცებული.

მაკა გაოცებული არ არის, დამძიმებულია და საკუთარ წარსულშია ჩაძირული. თუმცა ნათიას არ ეუბნება ამას. ჩუმადაა და იხსენებს, როგორ ძალიან სურდა მამის მკვლელის სიკვდილი. მაკა იხსენებს, რა ძლიერი იყო ეს სურვილი, და აჟრჟოლებს.

— მაკა, ცუდად ხარ?

— არა.

— აი, მე მემართება ხოლმე. უცებ რაღაცა გამახსენდება და მაჟრჟოლებს... საშინელებაა. ვიფიქრე, შენც ეგეთი რამე ხომ არ გჭირს-მეთქი.

მაკა იხსენებს, როგორ გადაუარა ამ სურვილმა. ეს მოხდა თანდათან. დღეს მაკასთვის სულერთია, მამის მკვლელი ცოცხალია თუ მკვდარი. მაკამ იცის, რომ ადრე თუ გვიან ყველა კვდება, ადრე თუ გვიან მაკაც უნდა მოკვდეს. აჟრჟოლებს მაკას, ეს ჟრჟოლა არარსებობის შიშია. ეს ჟრჟოლა ხორცის შიშია.

— შენ რაღაც გჭირს. მითხარი რა, ჩემო ლამაზო, — ნათია თავზე, სახეზე ეფერება მაკას.

ხოლო მაკა კვლავ სისულელეს ფიქრობს: „რომ მაკოცოს, რა ვქნა? ვეჩხუბო? ხელი ვკრა? ხმა არ ამოვიღო? მეც ვაკოცო?“

— მაკა, რაზე ფიქრობ?

მაკას შანსი აქვს, თავისი დანაშაული გამოასწოროს და თქვას სიმართლე, მაგრამ მაკა ტყუის:

— ისევ ომზე.

— ძალიან, ძალიან ცუდი და მძიმე რაღაცები გადავიტანეთ. ყველას ძალიან ცუდი და მძიმე რაღაცები გვახსოვს. და რამდენი მოკვდა? რამდენი აღარ არის? ძალიან, ძალიან ბევრი. მამაჩემი ამბობს, ეგ ომები რა ომები იყო, ნაღდი ომი მეორე მსოფლიო ომი იყოო. ის ომი არ უნახავს, ეს ომები კი თავისი თვალით ნახა. რაღაცნაირი კაცია, ვერ ვუგებ, მაგრამ ძალიან მიყვარს. ნებისმიერი ომი ხომ ომია, მაგრამ არ ესმის. მამაჩემი ამბობს, სად მეორე მსოფლიო ომში სიკვდილი და სად ამ ომებში სიკვდილიო, მსოფლიოს უცნობილესი ქალაქები ცეცხლის ალში იყო გახვეული, მკვდრების გორები იყო ყველგან, ახლა ნახე ეს ომები — ქართველები დასდევენ ერთმანეთს... — და უცებ ნათია მაკას ეკითხება: — შენ თვალწინ მოუკლავთ ვინმე?

მაკას სუნთქვა უხშირდება, გული ეკუმშება, ხმას არ იღებს.

ნათია თავის თავზე ამბობს:

— ჩემ თვალწინ არავინ მოუკლავთ. ისე, ალბათ საშინელებაა, ალბათ, სამუდამოდ გამახსოვრდება, — ნათია კონიაკის ბოთლს ითრევს და სვამს, შემდეგ კონიაკის ბოთლს მაგიდაზე დგამს, — რა ვუშველო მამაჩემს, არ ვიცი. ბევრს სვამს ამ ბოლო დროს...

მაკას მამა ახსენდება და ტირის. ნათია ცრემლებს წმენდს მაკას და უღიმის. ეფერება:

— ნუ, ნუ ტირი. რატომ ტირი, ლამაზო?

მაკა კვლავ სისულელეს ფიქრობს: „რომ მაკოცოს, რა ვქნა? ვეჩხუბო? ხელი ვკრა? ხმა არ ამოვიღო? მეც ვაკოცო?“ მაგრამ ნათია არ კოცნის მაკას.

— გინდა, ბიჭებზე ვილაპარაკოთ? „ბიჭებო, ბიჭებო, ბიჭებო...“ — მღერის ნათია. მაკა იღიმის. ნათია კმაყოფილია,

— აღარ ტირი. მიხარია, ჩემო ლამაზო... მოდით, ბიჭებო, დამიპყარით. ბევრნი მოდით, ბევრნი.

და ნათია და მაკა სიცილით იგუდებიან. შემდეგ ნათია კატეგორიულად აცხადებს:

— ყველა ბიჭი დებილია.

— ალექსიც?

— ალექსიც, ოღონდ ალექსი საყვარელი დებილია, — ნათიას ახსენდება, როგორ ტკბილად ეძინა ალექსის კალთაში და სითბო ეღვრება სხეულში, — მიდი, მომიყევი, თაზო როგორია?

— თაზო კარგი ბიჭია.

— მოდი, ჩვენს ბიჭებს შეეშვათ და სხვა ბიჭებზე ვილაპარაკოთ. მე დავიწყებ...

მაგრამ სხვა ბიჭებზე ჭორაობა ფლავდება, რადგან ამ დროს თაზო და ალექსი ბრუნდებიან. „და რადგან ღმერთმა ესენი მოგვცა...“ — ჩურჩულებს ნათია და ეღიმება. მაკასაც ეღიმება. თაზო და ალექსი ერთმანეთს უყურებენ და მხრებს იჩეჩავენ:

— მგონი, დაგვცინიან.

— მგონი, მართალი ხარ.

განთიადზე თაზოს წყურვილი აღვიძებს. თავი გასივებული აქვს, პირი — გამომშრალი და მძლავრად უცემს გული. წევს, გმინავს და ოცნებობს მჟავე კიტრის ცივ-ცივ წვენზე, ხილის ცივ-ცივ წვენზე, ცივ-ცივ მინერალურ წყალზე; სიკვდილზე ოცნებობს, რადგან იცის, რომ სახლში არც ერთი არ არის და ჩვეულებრივი წყლით უნდა გაიჭყიპოს. თაზო დგება და თავის ქექვით და ენის წკლაპუნით ეზოში გადის. ონკანს აღებს. წყალი თქრიალით მოდის, თაზო წყალს სვამს და მჟავე კიტრის ცივ-ცივ წვენზე, ხილის სხვადასხვა ცივ-ცივ და ნაირფერ წვენზე, ცივ-ცივ მინერალურ წყალზე ფიქრობს და უბრალო წყლით იჭყიპება. თაზო ონკანს კეტავს და სახლში ბრუნდება. წევა და ჩაძინებამდე ფიქრობს, რომ ალექსის

სისულელეები ელაპარაკა, საქართველო რომ გზაა და ა. შ. ასეთი საკითხებისთვის ახლა თაზოს ტვინი და გული მკვდარია. თაზოს გვერდით მაკას ტკბილი ძილით ძინავს. წრიალის შემდეგ თაზოც ტკბილი ძილით იძინებს და თაზოს და მაკას ტკბილი ძილით სძინავთ.

სულ სხვაგან ტკბილი ძილით ძინავს ალექსისაც. ნათია ალექსის გვერდით წევს და ტკბილი ღვიძილით ღვიძავს, რადგან ახლა, გათუნებისას, დაასკვნა, რომ ალექსისთან სიყვარულით წევს და არა — სხვადასხვა საპატიო და არასაპატიო მიზეზის გამო. ესე იგი: თაზოს და მაკას და სულ სხვაგან — ალექსის ტკბილი ძილით ძინავთ. ალექსის გვერდით არის და ტკბილი ღვიძილით ღვიძავს ნათიას... მაგრამ ქვეყანაზე ხომ არსებობენ სხვა ადამიანებიც? არსებობს, მაგალითად, ლევანიკო...

21

ის ახლა მარტოა. ბავშვი ნათიას მშობლებთანაა. ნათია სად არის, ლევანიკომ არ იცის. ლევანიკო ახლა სამზარეულოში ზის მაგიდასთან, მაგიდაზე ყავით სავსე ფინჯანი და ბექასთვის გადასაცემი ფორმა — ანაფორა და ოქროსფერი ჯვარი დევს. ჯვარი ლევანიკოს უცნობმა ჯარისკაცმა აჩუქა ომში და უთხრა, რომ ეს ჯვარი ნაღდია, რადგან მღვდელს აართვა, აბა მღვდელს ტყუილი ჯვარი ხომ არ ექნებოდა!.. ლევანიკო ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა „ნაღდი“ და „ტყუილი“ ჯვარი, მაგრამ უცნობი ჯარისკაცისგან საჩუქარი მაინც მიიღო. ლევანიკო ვერც იმას მიხვდა, რატომ აჩუქა უცნობმა ჯარისკაცმა ჯვარი. ომი სავსეა მოულოდნელობებით.. ლევანიკო ბექას ელოდება, ყავას სვამს და ბექასთან მომავალ შეხვედრაზე ფიქრობს, უფრო სწორად, ამ შეხვედრისთვის ემზადება. მაცივრის თავზე მდგარ საათს უყურებს. შვიდის ნახევარია. ლევანიკოს უყვარს ზაფხული, რადგან ზაფხულში ად-

რე თენდება და გვიან ღამდება. ბექა რვა საათზე მოვა, ყოველ შემთხვევაში, შეთანხმებული ასე არიან — რვა საათზე ლევანიკოსთან. ლევანიკო, თავისთავად, უკვე აქ არის, საკუთარ სახლში. მარტოა ლევანიკო. ბავშვი ნათიას მშობლებთანაა, თავად ნათია სადაა, ლევანიკომ არ იცის. მარტოა ლევანიკო და ფიქრობს, უფრო სწორად, მომავალი შეხვედრისთვის ემზადება. მაგიდაზე ფინჯანი და ბექასთვის გადასაცემი ფორმა დევს — ანაფორა და ჯვარი. ანაფორა ლევანიკოს ვარლამმა მისცა. ერთმანეთს ვარლამის კაბინეტში შეხვდნენ. მათ შორის ხანმოკლე საუბარი შედგა.

— ლევანიკო, გამარჯობა.

— გამარჯობა.

ვარლამმა პარკი გაუწოდა ლევანიკოს:

— პარკში ანაფორაა.

ლევანიკომ პარკი გამოართვა ვარლამს:

— გასაგებია.

— აბა, კარგად. შენ იცი.

— აბა, კარგად.

ლევანიკო ჯვარს ანაფორაზე დებს, დგება, ფანჯარასთან მიდის და რადგან დილაა, რადგან მარტოა და რადგან ფანჯრიდან უსასრულო ცა ჩანს, ლევანიკო ზოგადად სამყაროზე იწყებს ფიქრს: „რა არის სამყარო? როგორ არის სამყარო მოწყობილი?“ თუმცა, ზოგადად სამყაროზე ფიქრი არ არის ლევანიკოს საქმე და ლევანიკო სვამს კითხვას: „რა არის ჩემთვის სამყარო? — აი, ეს ცის ნაგლეჯი, რომელიც ჩემი სახლის ფანჯრებიდან ჩანს, ასევე მეორე ცის ნაგლეჯი, რომელიც ჩემი ოფისის ფანჯრებიდან ჩანს; კიდევ, აი, ეს ეზო, რომელიც ჩემი სახლის ფანჯრებიდან ჩანს და მეორე ეზოც, რომელიც ჩემი ოფისის ფანჯრებიდან ჩანს და სულ მანქანებითაა სავსე. ეზოებს მეორენაირად შეიძლება მიწის ნაგლეჯები ვუწოდოთ; კიდევ, აი, ეს სახლი და ოფისი; მაგრამ ადამიანების გარეშე მკვდარია ყველაფერი“. ლევანიკოს სამ-

ყაროში ადამიანები შემოდიან და მკვდარი სამყარო ცოცხლდება. სამყაროს ცენტრი ლევანიკოსთვის მისი შვილია, შემდეგ ნათია, მაგრამ ნათია წავიდა და დატოვა ლევანიკოს სამყარო — ცისა და მიწის ორ-ორი ნაგლეჯი, სახლი და ოფისი, რომელსაც ვერასდროს იტანდა, თუმცა იქ ნაშუენ ფულს ყოველთვის სიამოვნებით ხარჯავდა. სად არის ახლა ნათია, ლევანიკომ არ იცის. მარტოა ლევანიკო, მარტოკაცი. ნათიას ბავშვიც გაყვა თავისთავად, რადგან არსებობს კანონები, რომლებიც არც ლევანიკოს მოუგონია და არც ნათიას. წლების შემდეგ ბავშვი დაბრუნდება, უკვე გაზრდილი, და მამას გზაზე დაყენებას მოსთხოვს. ლევანიკოს ეშინია ამ დღის... კიდევ, არსებობენ კოლეგები, გამოლაპარაკებები, „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ და „კარგად-ნახვამდის“. არსებობს მიმდინარე საკითხები პოლიტიკასა და ბიზნესში. მარტოა ლევანიკო. ტუჩს იჭამს, სუნთქვა უჭირს და სუნთქვაშეკრულს ხსნად და შვებად, უკვე მერამდენედ, მკვდარი მეგობრები ევლინებიან. „შენ ცოცხალი მაინც ხარ, შენ რა გიჭირს“. მკვდრები ყოველთვის ჩვენთან არიან, წვანან მიწაში და ბრუნავენ დედამიწასთან ერთად. დგას ლევანიკო ფანჯარასთან და ფიქრობს ახლა უკვე მკვდარი მეგობრების მშობლებზე: რამდენი ხანია, არ უნახავს ისინი? რამდენი ხანია, არ დაურეკავს მათთან? საწყლები. აი, ბარემ ბექაც მოკვდება და შემდეგ ყველას ერთიანად ჩამოუვლის.

მაგრამ ჯერჯერობით ბექა ცოცხალია და ახლა გზაშია. ბექა ახლა ლევანიკოს სახლისკენ მიდის, უფრო სწორად, მისეირნობს. დღეს უთუნია გაიღვიძა. ადგა, ღია ფანჯარასთან მივიდა და ღრმად ამოისუნთქა. ცას შეხედა, მიწას დახედა, არც ერთს არ მისალმებია და არც ერთი არ მისალმებია. რა იქნება, ერთხელ მაინც რომ მიესალმოს ცა ან მიწა? წავა და ვიღაც-ვიღაცებს მოუყვება, რომ ცა მიესალმა, მიწა მიესალმა. ვიღაც-ვიღაცები, რა თქმა უნდა, არ დაუჯერებენ და ბექას შეეცოდება ისინი. ბექას უნდა, რომ ვიღაც-ვიღაცები

ეცოდებოდეს, მაგრამ არ გამოსდის. ბავშვობაში ზღაპრების გმირებს ბაძავდა. ცას ელაპარაკებოდა, მიწას ელაპარაკებოდა. ზღაპრებში ცაც ლაპარაკობდა და მიწაც, მაგრამ ბექას ცხოვრება არ იყო და არ არის ზღაპარი. როდესაც პირველად მოკლა ადამიანი, გაახსენდა, რომ ადამიანებს ზღაპრებშიც ხოცავდნენ და შემდეგ მკვლელები მზეთუნახავებთან ერთად ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად... ბექა ღია ფანჯარას მოსცილდა და აბაზანაში შევიდა. წყალქვეშ ბოლომდე გამოფხიზლდა და ბოლომდე გამოფხიზლებულმა გადაწყვეტილება მიიღო: „ფეხით წავალ, რამდენი ხანია, არ მისეირნია“. ბექას სახლიდან ლევანიკოს სახლამდე ფეხით ოცი წუთის სავალია. ბექა აბაზანიდან გამოვიდა, ჩაიცვა, კარი გამოაღო და გარეთ გამოვიდა. გარეთ ღრმად ამოისუნთქა და გზას დაადგა. ახლა ბექა გზაშია და სამსახურში მიმავალ გოგოებს უყურებს. გოგოები ჩქარობენ. ბექას აზრით, გოგოები ცოდოები არიან, გოგოები არ უნდა მუშაობდნენ. რა არის ამ გოგოების ცხოვრება? — სამსახური, სამსახური, სამსახური; საუბრები, საუბრები, საუბრები მობილურ ტელეფონებზე და სიმპათიურ, შორეულ ბიჭებზე... ცოდოები არიან გოგოები. ბექა უკვე ლევანიკოს სახლის კართან დგას და ზარს რეკავს — ერთხელ, მეორედ. კარს იქიდან ფეხის ხმა ესმის. „ჩუსტები აცვია და მოფლატუნობს, ეს ჩემისა“, — ფიქრობს ბექა და იღიმება. კარი იღება. ლევანიკო და ბექა ერთმანეთის პირისპირ დგანან.

— შემო, შემო, — ლევანიკო ხელს უწვდის ბექას.

ბექა სახლში შედის და ხელს ართმევს ლევანიკოს.

— როგორ ხარ?

— მაგრად, შენ?

— არა მიშავს.

ლევანიკო და ბექა სამზარეულოში გადიან, ლევანიკო წინ მიდის, ბექა უკან მიყვება. ბექა ბალანს ხედავს ლევანიკოს კისერზე: „რა ბინძურია. გაიპარსე, რა“, — მერე თავს ხრის და

ლევანიკოს ვარდისფერ ქუსლებს ხედავს: „ქუსლები სუფთა აქვს, კიდევ კარგი“. სამზარეულოში მაგიდასთან სხდებიან. პირდაპირ საქმეზე გადასვლა და პირდაპირ საქმეზე ლაპარაკი არ იქნება სწორი, საჭიროა ზოგადი შესავალი, რომელიც ბექასა და ლევანიკოს საერთო მოგონებებზე იქნება აგებული. რა საერთო მოგონებები აქვთ ბექას და ლევანიკოს? ძირითადად, ვიღაცებს ჩეხავდნენ, წეწავდნენ, ჩაგრავდნენ. იარაღით ჭრიდნენ და სიტყვით კერავდნენ ან საერთოდაც, ხოცავდნენ. კიდევ იყო ომი. ომშიც ისროდნენ, მაგრამ გაუაზრებლად და დაუმიზნებლად. განზრახ არავინ მოუკლავთ, არც კი გაუკაწრავთ ვინმე. პირიქით, ერთხელ მოხუცები გადაარჩინეს ცეცხლში დაწვას. მერე გაირკვა, რომ მოხუცები მკვდრები იყვნენ და მკვდრები გადაურჩენიათ.

— იცი, რაზე ვფიქრობ, ლევანიკო?

— რაზე?

— ომზე. რომ მოგვეგო ეგ ომი, მე იქვე დავრჩებოდი. ოღონდ სოხუმში არა, სადმე სხვაგან — გაგრაში ან ბიჭვინთაში, კიდევ რა ქალაქებია მანდ?

— ოჩამჩირე, ტყვარჩელი...

— ჰო, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, მაგრამ არც მანდ. როგორ წავაგეთ, არა, ომი?

— ახალი ომი რომ დაიწყოს, მე აღარ წავალ.

— რატომ?

ადრე ლევანიკოს ამ შეკითხვაზე მზა პასუხი ჰქონდა: „ოჯახი მყავს, ძმაო“. ახლა ნათია წავიდა და ლევანიკოს ოჯახი აღარ ყავს, მაგრამ ახალი ომი თუ დაიწყო, ლევანიკო აღარ წავა. მიზეზი არ იცის, მაგრამ იცის, რომ აღარ წავა:

— რატომ, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ არ წავალ.

ბექა თვლის, რომ შესავალი დასრულდა და დროა, საქმეზე ილაპარაკონ.

— ეს ფორმაა? — ბექა ანაფორასა და ჯკვარზე უთითებს.

ლევანიკო ბექას თავს უქნევს:

— ჰო, ფორმაა.

ბექა დგება, ანაფორას იცვამს, ჯვარს იკეთებს:

— როგორია?

ლევანიკო ბექას ღიმილით უტყაპუნებს მხარზე ხელს:

— გიხდება.

ბექამ იცის, რომ არსებობს საქმისწინა და საქმის შემდგომი ლაი-ლაი; რომ რა თქმა უნდა, ლევანიკოს და ნათიას ურთიერთობა სერიოზული თემაა, მაგრამ სხვა თემას ვერ პოულობს. ლევანიკოს ეკითხება:

— ნათიასგან რა ისმის?

— ყველაფერი კარგი.

ბექა ხვდება, რომ ლევანიკოს ამ თემაზე საუბარი არ უნდა. არ უნდა და ნუ უნდა.

— წავედი. გავივლ-გამოვივლი. ფორმას შევეჩვევი.

ბექა მიდის. სადარბაზოდან გამოსული აქეთ-იქით იხედება: „ნაცნობი რომ შემხვდეს, რა ვუთხრა?“ მაგრამ სადარბაზოდან გამოსულს ნაცნობი არ ხვდება, ხვდება მოხუცი ქალი და ეკითხება:

— მამაო, შვილად მეკუთვნი და შვილოთი მოგმართავ, თუ შეიძლება?

— შეიძლება! — თავს უქნევს ბექა.

— შვილო, სამოთხე როგორია?

— შვილო, დედად მეკუთვნი და ქალბატონოთი მოგმართავ.

— მომმართე, — მოხუცი ქალი თავს უქნევს ბექას.

— ქალბატონო, არ ვიცი, — ბექა მოხუც ქალს ძველებურ ყაიდაზე თავის დაკვრით ემშვიდობება და გზას აგრძელებს. მიდის და ფიქრობს. არ იცის, როგორია სამოთხე, სამაგიეროდ, იცის, რომ სამოთხე დაკარგულია და სამოთხეში დაბრუნება ოდესღაც მოხდება. როგორ? როდის? რა გზით? — ბექამ ეს არ იცის, სამაგიეროდ, იცის გზა შინისაკენ. ბექამ იცის, რომ ფეხით მიდის და დაახლოებით თხუთმეტ-ოც წუთში შინ იქნება...

22

აეროპორტის ფოიეში ლევანიკო და ვიქტორია ერთმანეთის პირისპირ დგანან.

— გახსოვარ?

ვიქტორია ფიქრობს: „ჩემი ნიუ-იორკი“.

— მახსოვხარ.

ლევანიკოს უხარია, ვიქტორიას რომ ახსოვს.

— გცალია?

ვიქტორიამ უნდა იმუშაოს, მაგრამ შეუძლია, არც იმუშაოს. ვიქტორიას შეუძლია, ყველაფერი მიაგდოს, დაიკიდოს; გააჩნია, რას სთავაზობს ლევანიკო.

— რას მთავაზობ?

— გავისეირნოთ.

— ფეხით? მანქანით? თვითმფრინავით? — ვიქტორიას თავადვე უკვირს, ისე ძალიან თამამია ამ უცხო ბიჭთან და მოსწონს, რომ თამამია.

— გავისეირნებთ ჯერ ფეხით, შემდეგ მანქანით და, თუ ერთმანეთი ძალიან მოგვეწონება და ერთმანეთს ძალიან გავუგებთ, თვითმფრინავითაც გავისეირნებთ. ვცადოთ?

— რა უნდა ვცადოთ?

— ერთმანეთის ძალიან მოწონება და გაგება.

ლევანიკო იღიმება, ვიქტორია აქეთ-იქით იხედება. აი, მიდგა საქმე საქმეზე და თამამი ვიქტორია ისევე უცებ გაქრა, როგორ უცბადაც გაჩნდა, აორთქლდა, ფა-ფუ. არსადაც არ გაყვება ამ უცნობ ბიჭს, გააღებს ჯიხურს და იმუშავებს, შემდეგ გავა წლები, შეგროვებული ფულით თავად შეიძენს ჯიხურს და კერძო მესაკუთრე გახდება. კერძო საკუთრება საკუთრების ერთადერთი ფორმაა, რომელსაც თანამედროვე კაცობრიობა აღიარებს და ეთვისება (ასე ამბობენ ჰალსტუხიანი ყოვლისმცოდნე ბიძიები ტელევიზორში). შემდეგ ვიქტორია შეიძენს კიდევ ერთ ჯიხურს და თუ ყველაფერი

კარგად წავა, ჯერ მაღაზიას, მერე — მაღაზიებს შეიძენს. ამასობაში გავა დრო და დაბერდება. ვიქტორია ცდილობს წარმოიდგინოს, სიბერეში როგორი იქნება. არ გამოსდის. ხომ შეიძლება, საერთოდ ვერ მიაღწიოს სიბერემდე, საშინელებაა, მაგრამ სიბერეც ხომ საშინელებაა. სიბერემდე მიღწევა ხომ არ არის იმის გარანტია, რომ ვიქტორია არ მოკვდება, სისულელეა სიკვდილი... მოკლედ, გადის დრო და ვიქტორია მოხუცია, მაღაზიების პატრონია, საქმეები კარგად მისდის, მაგრამ აუცილებლად, აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ვიქტორიას დღევანდელი დღე გაახსენდება და ინანებს, რომ არ გაყვა ამ უცნობ ბიჭს. მეხსიერება უცნაური რამ არის... ხოლო ლევანიკო დგას და ელის მის პასუხს, იმ იმედით, რომ პასუხი გასეირნებაზე თანხმობა იქნება... უცნაური რამ არის მეხსიერება. ხანდახან ისეთი რამე გაგახსენდება და თან ისე უადგილოდ. მაგალითად, მიდიხარ ქუჩაში და უცებ გახსენდება საბავშვო ბაღი, სკოლა ან სულაც რომელიღაც ფილმი ან ფრაზა ფილმიდან. სწორედ ასე გაახსენდება ვიქტორიას ეს დღე სიბერეში — უცებ და უადგილოდ; და ინანებს, რომ არ გაყვა სასეირნოდ უცნობ ბიჭს. ვიქტორია იმასაც ხვდება, რომ ამ უცნობ ბიჭთან გასეირნებითაც შეიძლება ინანოს, მაგრამ სიბერეში სინანულს ახლა, ახალგაზრდობაში სინანული ჯობია, რადგან ახალგაზრდა ვიქტორიას ყველაფერი წინ აქვს, ყველაფერს გამოასწორებს, ხოლო მოხუც ვიქტორიას რა ექნება წინ?

— გავისეირნოთ, — და ვიქტორია ამ „გავისეირნოთ“-ს აუცილებელ წინადადებას აყოლებს, — ოღონდ, მე მალე უნდა დავბრუნდე.

— ესე იგი, დროში შეზღუდულები ვართ, არა?! — ეღიმება ლევანიკოს.

— დიახ, — ვიქტორია ხვდება, რომ სისულელეა ეს ოფიციალურობა და ლევანიკოს უღიმის.

— აუცილებლად დროულად დაგაბრუნებ.

— ერთმანეთი ძალიან რომ მოგვეწონოს და ერთმანეთს ძალიან რომ გავუგოთ, მაშინაც?

— ნებისმიერ შემთხვევაში.

ლევანიკო ფიქრობს, რომ ძალიან ხშირად ილიმის დღესაც და საერთოდაც, უფრო ხშირად ზრდილობისთვის ან ხათრით (ხათრი სენტიმენტალური ზრდილობაა). ლევანიკოს ვიქტორიას ხმა ესმის:

— გადაიფიქრე...თ?

ლევანიკო კელავ ილიმის, ამჯერად დაბნეულობისგან, მაგრამ სწრაფადვე აყავს თავი ხელში და ამბობს:

— არა. რა თქმა უნდა, არა.

ლევანიკო და ვიქტორია აეროპორტის ფოიედან გადიან.

რამ მოიყვანა ვიქტორიასთან? რამ გაახსენა ვიქტორია? ნათიას გაქცევიდან რაღაც დროის შემდეგ მარტო დარჩენილი ლევანიკო მიხვდა, რომ ნათია აღარ დაბრუნდებოდა. ჰოდა, აიღო თავისი ძველი ბლოკნოტი და მიყვა ანბანის მიხედვით: ზოგი გათხოვილი დახვდა, ზოგი — საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული. ლევანიკო ურწმუნო თომაა და მათი სწავლისა არ სჯერა: „ისინი საზღვარგარეთ ძიძებად და სტრიპტიზის მოცეკვეებად მიდიან და მალავენ; ყველაფერს მალავენ; ჩქმალავენ, რაც არ აწყობთ, საიდანაც ჭამენ. ასი წელი არ ეშველება არაფერი აქაურობას. ასი წელი მე ვერ ვიცხოვრებ, უნდა წავიდე აქედან“. წასვლამ ლევანიკოს მსოფლიო რუკა გაახსენა. აი, ლევანიკო ბავშვია, გეოგრაფიის გაკვეთილზეა, მსოფლიო რუკასთან დგას, ხელში პლასტმასის საჩვენებელი ჯოხი უჭირავს, უნდა, რომ ეს ჯოხი ჯადოსნური იყოს, მაგრამ ჩვეულებრივი, პლასტმასის, საჩვენებელი ჯოხია. ლევანიკო ასახელებს სახელმწიფოებს, მათ დედაქალაქებს და ჯოხით უთითებს რუკაზე. მასწავლებელი ეკითხება: — ნიუ-იორკი სად არის? — პატარა ლევანიკომ იცის, რომ ნიუ-იორკი არც ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი არ არის, რომ ნიუ-იორკი პირსისხლიანი კაპიტალისტების ცენ-

ტრია, რომლებიც ჩვენს დიად სამშობლოს ებრძვიან. პატარა ლევანიკომ არ იცის, ვინ არიან პირსისხლიანი კაპიტალისტები, ალბათ, სისხლიანი პირები აქვთ... „ეს იყო ადრე, აქ ასი წელი არაფერი არ იქნება. მე ასი წელი ვერ ვიცხოვრებ. უნდა წავიდე აქედან, მაგრამ სად? რა თქმა უნდა, პირსისხლიანი კაპიტალისტების ცენტრ ნიუ-იორკში". ნიუ-იორკმა ლევანიკოს გაახსენა ერთადერთი შეხვედრა ვიქტორიასთან. გაახსენდა და მალევე დაავიწყდა...

რადგან თავის „ყოფილებთან" არაფერი გამოუვიდა, ლევანიკო ნათიას დაქალებს მიადგა. დაურეკა ხუთს, კონტაქტზე გამოვიდა ერთი — მაია.

— მარტო ვარ. ხმის გამცემი არ მყავს.

— შემიძლია მოვიდე.

— მოდი.

მაია ლევანიკოსთან მივიდა. გვერდიგვერდ დასხდნენ. სიგარეტი მოწიეს, თითო ჭიქა კონიაკი დალიეს, ერთმანეთს შეხედეს და გაულიმეს, ორივემ ნერწყვი ჩაყლაპა.

— ძალიან მაგრად გამოიყურები.

— დიდი მადლობა.

ისევ სიგარეტი მოწიეს. თითო ჭიქა კონიაკი დალიეს, ერთმანეთს შეხედეს და გაულიმეს, ორივემ ნერწყვი ჩაყლაპა. მაიამ ჩანთა გახსნა და საღეჭი რეზინი ამოიღო. ლევანიკოსაც შესთავაზა. ლევანიკომ გამოართვა და მაიამ მეორე საღეჭი რეზინი ამოიღო ჩანთიდან. მაიამ და ლევანიკომ საღეჭი რეზინი დაღეჭეს და პირში გემო შეეცვალათ. ისხდნენ, ერთმანეთს უყურებდნენ და ღეჭავდნენ. შემდეგ ლევანიკომ საღეჭი რეზინი პირიდან გამოიღო და ტუჩებით მაიას ტუჩებისკენ წაიწია, მაიამ, რასაკვირველია, ტუჩები განზე გასწია:

— უხერხულია, რა, ჩემი საუკეთესო დაქალის ქმარი ხარ!

მაიამ წამოდგომა სცადა, ლევანიკომ მკლავზე წაავლო ხელი:

— ჯერ ეს ერთი — ქმარი კი არა, ყოფილი ქმარი; მეორეც,

უხერხული არის ის, რომ ორი ამხელა ადამიანი გვერდიგვერდ ვსხედვართ და ნერწყვებს ვყლაპავთ.

ლევანიკომ ტუჩებით კვლავ წაიწია მაიას ტუჩებისკენ და მაიამ ტუჩები კვლავ განზე გასწია, ამჯერად სულ სხვა მიზეზით — საღეჭი რეზინი გამოიღო პირიდან. ლევანიკომ და მაიამ ერთმანეთს აკოცეს. მაიას ტუჩებს პიტნის გემო ქონდა, ლევანიკოს ტუჩებს — ფორთოხლის. ბევრი იკოცნავეს, ტუჩები დაუწვეს ერთმანეთს, მერე დამწვრები საძინებელში გავიდნენ, გაშიშვლდნენ და რამდენიმე ხანში ერთდროულად გაათავეს. ერთდროული გათავება ნიშნად მიიღეს და ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდნენ (რა ჯობია სიყვარულს? რა ჯობია, როდესაც გოგო და ბიჭი ერთმანეთის გვერდით წვანან და ხორცდამშვიდებულები საუბრობენ? — არაფერი. აბა, ვიღაც-ვიღაცების ცისფერი ოცნებები აქ რა მოსატანია). მაიას ლევანიკოს მკერდზე ედო თავი, დროდადრო ლევანიკოს მკერდზე კოცნიდა, რაზედაც ლევანიკო თავზე კოცნით პასუხობდა. მაია ფიქრობდა: „მსოფლიოში ეხლა რამდენ ქალს უდევს ჩემნაირად თავი კაცის მკერდზე? ალბათ, ბევრს, და რამდენი ოცნებობს, რომ ედოს? უფრო ბევრი. საწყლები". ერთხანს ჩუმად იყვნენ.

— ყოველთვის ვიცოდი, აი, დარწმუნებული ვიყავი, რომ გაგცილდებოდა.

— საიდან? — დაინტერესდა ლევანიკო.

მაიამ ჯერ თავი ასწია, შემდეგ მუცელზე დაწვა, ლევანიკოს თვალებში შეხედა და თქვა:

— აი, ჩვენ, ადამიანები, ხომ სულ ვიცვლებით და არა ერთხელ და სამუდამოდ — აი, დღეიდან სულ კარგი ვარ ან სულ ცუდი; ეგრე ხომ არ არის? ნათია კი ვერ იტანს ცვლილებებს.

— რა შეიცვალა ახლა ჩემში ისეთი, რომ...

მაია თავზე ეფერება ლევანიკოს და იცინის:

— მაგალითად, გამელოტდი. ვგიჟდები შენს სლიპინა თავზე.

ლევანიკომ ახალი ძალა იგრძნო საკუთარ თავში, ოდნავ წამოიწია და მოულოტუნა მაიას. მაია აკისკისდა. მერე ერთმანეთს ჩაეხუტნენ. მაიამ ფეხები გაშალა, ლევანიკომ ჯერ მუცელზე დაუსვა ხელი, მერე ქვევით ჩაუცურა:

— სულ სველი ხარ.

მაიამ თვალები დახუჭა და ჩაიჩურჩულა:

— მიყვარხარ.

იმ ღამეს მაია ლევანიკოსთან დარჩა. ტკბილად ეძინათ. დილით ჯერ მაიამ გაიღვიძა. სიგარეტს მოუკიდა. შემდეგ გაიღვიძა ლევანიკომ და მანაც სიგარეტს მოუკიდა. ეწეოდნენ, ჭერს უცქერდნენ და ჩიტების გალობა ესმოდათ.

დილა შეყვარებულების მტერია და საქმიანი ადამიანების მეგობარი. აბაზანაში შესვლამდე ისინი ჯერ კიდევ შეყვარებულები იყვნენ და ამიტომ დილა მათი მტერი იყო. წუწუნებდნენ. აბაზანაში ერთად შევიდნენ და წყალს ერთად შეუდგნენ. შხაპის შემდეგ ისინი უკვე საქმიანი ადამიანები იყვნენ, სწრაფად გაამშრალეს ერთმანეთი, სწრაფად ჩაიცვეს და სწრაფად ისაუზმეს ჩაით და ბუტერბროდებით.

— სამსახურში მე მიგიყვან, — შესთავაზა ლევანიკომ.

— არა, არა, — იუარა მაიამ, — სადარბაზოდან ჯერ მე გავალ, შენ ასამდე დაითვალე და მერე გამოდი.

ლიფტში ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ. მაია თავდახრილი იდგა, ლევანიკო მაღლა იყურებოდა. ლიფტი რომ გაჩერდა, მაიამ ლევანიკოს ლოყაზე აკოცა. კარი გაიღო და მაია შეთანხმებისამებრ სადარბაზოდან პირველი გავიდა, ხოლო ლევანიკომ თვლა დაიწყო: ერთი, ორი, სამი. თვლაში კიდევ ერთი ღერი სიგარეტი მოწია: „ბევრს ვეწევი, უნდა შევეშვა, შევამცირო მაინც“. ლევანიკომ სიგარეტი დააგდო, ფეხსაცმლის ცხვირით მოსრისა და თქვა: სამოცდათვრამეტი. პატიოსნად დაითვალა ასამდე და სადარბაზოდან გამოვიდა. მაია აღარსად ჩანდა.

სამსახურში მყოფმა ლევანიკომ რამდენჯერმე გაიფიქრა:

„დავურეკავ, მოვიკითხავ“. სამსახურში მყოფმა მაიამ რამდენჯერმე გაიფიქრა: „დავურეკავ, მოვიკითხავ“ (ერთხელ ერთდროულადაც გაიფიქრეს), მაგრამ ორივემ სხვადასხვა მიზეზის გამო შეიკავა თავი. ლევანიკოს მიზეზი: „ყოფილია თუ რაც არის, ჩემი შვილის დედაა, უხერხულია, ჩემი ბავშვის დედის საუკეთესო დაქალთან სიყვარულობანა და აქეთ-იქით ქროლვა. ბავშვის მრცხვენია, არ გამოდის“. მაიას მიზეზი იყო ამპარტავნება: „კაცია და თვითონ დამირეკოს“. ლევანიკო და მაია აღარ დაკავშირებიან ერთმანეთს. ლევანიკო საწყის წერტილს დაუბრუნდა: „ასი წელი აქ არაფერი გამოვა, ასი წელი მე ვერ ვიცხოვრებ, აი, ფულს ავიღებ და წავალ აქედან“. წასასვლელი ადგილი არ შეცვლილა: ნიუ-იორკი. ლევანიკომ ინფორმაციის შეგროვება დაიწყო ნიუ-იორკზე, შეიძინა წიგნები, ქექა ინტერნეტში. რაღაც-რაღაცებმა, მაგალითად, ნიუ-იორკის უბნურმა დაყოფამ, ძალიან დააინტერესა, რაღაც-რაღაცებმა, მაგალითად, ნიუ-იორკის წარსულმა, საერთოდ არ დააინტერესა; ალაგ-ალაგ წაიკითხა.

„წარსული ტვირთია, ყელზე აქვს ადამიანს მოდებული და ექაჩება და ახრჩობს ნელ-ნელა. აი, მე რამდენჯერ მიამაყია, რომ თბილისი მეხუთე საუკუნეში დაარსებული ქალაქია და რამდენჯერ დამწყვეტია გული, რომ თბილისი ახალთახალი ქალაქი არ არის; მიამაყია იშვიათად, ძირითადად, მთვრალს, გული კი თითქმის ყოველდღე მწყდება“.

ინფორმაციის დაგროვების შემდეგ ლევანიკომ ნიუ-იორკის ასი წლის შემდგომი მომავლის განჭვრეტა სცადა: „ასი წლის შემდეგ ნიუ-იორკი ოფიციალურად ქალაქი-სახელმწიფო გახდება, ნიუ-იორკს მიბაძავს პარიზი, ბარსელონა, მადრიდი, მოსკოვი, რომი, მილანი, ბერლინი, მიუნხენი და დაბრუნდება ქალაქ-სახელმწიფოების ერა, მაგრამ მე ასი წელი ვერ ვიცოცხლებ, ასი წლის შემდეგ შეიძლება აღარ იარსებონ ამ ქალაქებმაც, სულელური საქმეა მომავლის ჭვრეტა“.

ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად და როგორღაც, თავისთავად, გაახსენდა ვიქტორია. ადამიანის შესაძლებლობები შეზღუდულია. ნებისმიერ ადამიანს ადამიანების შეზღუდულ რაოდენობასთან აქვს ურთიერთობა და ამ შეზღუდული რაოდენობით მსჯელობს და აფასებს მთლიანად კაცობრიობას. ლევანიკო ერთ-ერთი ჩვეულებრივი ადამიანია და ადამიანების შეზღუდულ რაოდენობასთან აქვს ურთიერთობა; ლევანიკოსთვის მთელი კაცობრიობა ერთი ნაგავია. ნებისმიერი ახალი ადამიანის გაცნობა ლევანიკოს უჩენს და რამდენიმე ხანში უკლავს იმედს, რომ მთელი კაცობრიობა ერთი ნაგავი არ არის. ლევანიკო საწოლში იწვა, ვიქტორია რომ გაახსენდა. ლევანიკო საწოლზე წამოჯდა: ხვალვე ვნახავ. მთლად ხვალვე ვერ მოახერხა (სამსახურში საქმეები ქონდა), მაგრამ ერთი კვირის შემდეგ კი ნახა ვიქტორია.

ახლა ლევანიკო და ვიქტორია მანქანაში სხედან. საჭესთან, რასაკვირველია, ლევანიკოა. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ლევანიკო ვიქტორიას მანქანის მართვას ასწავლის, რა თქმა უნდა, თუ უკვე არ იცის ვიქტორიამ მანქანის მართვა. ლევანიკოს შეუძლია კითხოს ვიქტორიას, იცის თუ არა მანქანის მართვა, მაგრამ ეს მათი პირველი შეხვედრაა და გაცილებით ზოგადი და ღრმა თემები აქვთ სასაუბროდ.

— დედამიწა პატარა, მრგვალი ბურთია. ყოველ შემთხვევაში, ციდან ასე ჩანს, მაგრამ ჩვენ ციდან ხომ არ ვიხედებით, ჩვენ მიწაზე ვართ და მიწიდან ვხედავთ დედამიწას. როგორ ვხედავთ და რას ვხედავთ? ჩვენ ვხედავთ, რომ დედამიწა პატარა მრგვალი ბურთი კი არაა, უსასრულო ველია; ზოგი ფიქრობს, რომ ეს უსასრულო ველი ბრძოლის ველია, ზოგი ფიქრობს, რომ ეს უსასრულო ველი ღმერთმა შექმნა და ეს უსასრულო ველი სალოცავი ადგილია.

ვიქტორია აწყვეტინებს:

— შენ როგორ ფიქრობ?

ლევანიკო ახველებს და ამბობს:

— მე მგონია, რომ ეს უსასრულო ველი სიყვარულისთვის არის შექმნილი.

ლევანიკო ცალი თვალით გზას უყურებს, ცალით — ვიქტორიას, მისი რეაქცია აინტერესებს. მისი სახის გამომეტყველებით უნდა გაარკვიოს, რას ფიქრობს ვიქტორია — მოწონს თუ არ მოწონს, ეთანხმება თუ არ ეთანხმება ლევანიკოს აზრს. ვიქტორიას მშვიდი სახე აქვს. ლევანიკო ფიქრობს: „ვიქტორია ვერ ჩაწვდა ჩემი ნათქვამის აზრს. ან ფრიგიდულია და სიყვარული არ აინტერესებს, ან მე არ ვაინტერესებ; მაშ, რატომ არის ჩემთან ერთად?“ ლევანიკომ საცაა უნდა გაიფიქროს, რომ ყველა ქალი ერთი ნაგავია, მაგრამ ვერ ასწრებს. მანქანა ღრმულში არტყამს ცხვირს და ლევანიკოს აზრი ეფანტება. ახლა უკვე ორივე თვალით გზას უყურებს, გულში იგინება და გინების შემდეგ ფიქრს აგრძელებს: „ასი წელი აქ არაფერი არ იქნება, ასი წელი მე ვერ ვიცოცხლებ“. ერთხანს ჩუმად არიან.

— ღმერთის გწამს? — ეკითხება ვიქტორია.

ლევანიკომ წესით მხრები უნდა აიჩეჩოს და თქვას, არ ვიციო, მაგრამ არ შეუძლია ამის თქმა. ეშინია ამის თქმის, ცუდ ტონად მიაჩნია ამის თქმა. ამიტომ ამბობს:

— მწამს! — და სიჩქარეს ცვლის.

— შენ როგორ გგონია, ღმერთი როგორ ხედავს დედამიწას — როგორც პატარა, მრგვალ ბურთს თუ როგორც უსასრულო ველს?

ვიქტორია ფიქრობს: „აი, ხომ კარგი შეკითხვა დავუსვი. ამას მგონი დებილი ვეგონე და მაბოლებდა რაღაცებით, თუმცა ვერ გაამტყუნებ, მე ხომ გამყიდველი ვარ. ვერ გაამტყუნებ“. გული წყდება ვიქტორიას, რომ გამყიდველია და ამის გამო ვილაც-ვილაცებს ჰგონიათ, რომ არაფერზე ფიქრობს, რომ შტერია, რომ დებილია. გულდაწყვეტილი ვიქტორია გზას უყურებს.

ლევანიკო ერთხანს ჩუმადაა. ვიქტორიას შეკითხვაზე პა-

სუხს ეძებს. სად არის ეს პასუხი? ლევანიკოს ირგვლივ? ლევანიკოში? ლევანიკო ვერ პოულობს პასუხს და აკეთებს იმას, რაც, წესით და რიგით, ცოტა ხნის წინაც უნდა გაეკეთებინა — მხრებს იჩეჩავს და ამბობს:

— არ ვიცი.

ვიქტორიას მოსწონს ლევანიკოს პასუხი, რადგან გრძნობს, რომ ეს პასუხი გულწრფელია, თუმცა იქვე აფრთხილებს საკუთარ თავს, რომ შეიძლება არასწორად გრძნობს და, საერთოდაც, ამ ბიჭზე დასკვნების გამოტანა ჯერჯეროობით ადრეა.

— გითხრა, მე როგორ ვფიქრობ?

— მითხარი.

— მე ვფიქრობ, რომ ღმერთის თვალი უნიკალური თვალია და ხედავს დედამიწას ისე, როგორიც თავად ღმერთისთვისაა დედამიწა, ხედავს, როგორც ადამიანი (მე მგონია, რომ ორივე ხედვა ადამიანურია) — პატარა, მრგვალ ბურთს და უსასრულო ველს; ხედავს, როგორც ცხოველები, ფრინველები, მწერები. მე მგონია, რომ ჩვენ, ადამიანებს, ძალიან მცირე საერთო გვაქვს ცხოველებთან, ფრინველებთან, მწერებთან. ისე, ხშირად ვიქცევით ცხოველებივით, ხშირად ფრინველებივით დავფრინავთ (ოღონდ თავში), და გამეტებით, მწერებივით ვშრომობთ, — შემდეგ მოულოდნელად ვიქტორია ლევანიკოს სთხოვს: — დავბრუნდეთ.

ლევანიკო უსიტყვოდ ატრიალებს მანქანას.

მეორე დღეს ისინი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. მესამე, მეოთხე, მეხუთე დღესაც ხვდებიან. ისინი სულ ერთად არიან. ლევანიკო და ვიქტორია წყვილია.

23

ბატონი ტობიას ჰილი ოდესღაც პატარა ტობი იყო: ქონდა სათამაშოები, ოცნებები, შეხედულებები და დასკვნები. სათა-

მაშო და ოცნება ბევრი ქონდა, შეხედულებები — მკაფიო, დასკვნები კი — მყარი. პატარა ტობის ზოგიერთი სათამაშო, ოცნება, შეხედულება და დასკვნა ბატონ ტობიას ჰილს კარგად ახსოვს, ზოგიერთიდან ზოგიერთზე ელიმება, ზოგიერთიდან ზოგიერთს იზიარებს. ელიმება ყველა სათამაშოზე, ზოგიერთ ოცნებაზე, შეხედულებასა და დასკვნაზე; იზიარებს ზოგიერთ ოცნებას, შეხედულებას, დასკვნას. ბატონ ტობიას ჰილს არ ჭირდება, პატარა ტობის სათამაშოებში შეეზიაროს, რადგან ახლა ახალი სათამაშო აქვს — საკუთარი თავი. ხოლო თამაშს, რომელსაც ბატონი ტობიას ჰილი თამაშობს, ჰქვია „ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოცადო". თავიდან ეს იყო ოცნება, მერე — ცხოვრებისეული შეხედულება, შემდეგ — საბოლოო დასკვნა და ბოლოს — თამაში. როგორ მოხდა ეს?

პატარა ტობი დაიბადა პარიზში და იქვე გაატარა თავისი ცხოვრების პირველი ოთხი წელი. პატარა ტობის მამა მეორეხარისხოვანი დიპლომატი იყო და საელჩოში მუშაობდა ერთ-ერთ რიგით თანამდებობაზე. მისთვის ეს ოთხწლიანი ერთ ადგილზე ყოფნა ბედნიერი გამონაკლისი იყო, რადგან პატარა ტობის მამა მუდმივ გადასვლა-გადმოსვლაში იყო. ბატონ ტობიას ჰილს თავი ხუთი წლის ასაკიდან ახსოვს და რაც თავი ახსოვს, სულ გადასვლა-გადმოსვლაშია. ამ გადასვლა-გადმოსვლებმა მას თავისებური დაღი დაასვა: თვლის, რომ არანაირი სამშობლო არ გააჩნია, სამაგიეროდ, აქვს მშობლიური საწოლი, რომელშიც მშვიდად და კარგად ძინავს (მშობლიური საწოლი იდეაა, თორემ ბატონ ტობიას ჰილს ცხოვრების გზაზე, რა თქმა უნდა, უამრავ, ერთმანეთისგან ხარისხით, ზომით და ა. შ. განსხვავებულ საწოლებზე ძინებია). ამჟამად მისი მშობლიური საწოლი თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე, უზარმაზარი სახლის ერთ-ერთ ოთახში დგას და ბატონი ტობიას ჰილი გულხელდაკრეფილი წევს. ასე წვანან მიცვალებულები, მაგრამ ბატონი ტობიას ჰილი მიცვალებული არ არის, ჯერ-

ჯერობით ცოცხალია. პატარა ტობის ძალიან ეშინოდა მიცვალებულების. ვერ უყურებდა, ახლოს მისვლაზე და ხელით შეხებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. პირველი მიცვალებული, რომელთანაც ახლოს მიჯიდა და შეეხო პატარა ტობი, მამამისი იყო. მაშინ პატარა ტობი ცამეტი წლის იყო.

ბატონი ტობიას ჰილი ახლა გულხელდაკრეფილი წევს და მამასა და საკუთარ წარსულზე ფიქრობს. ახსენდება: თორმეტი წლისა, მამის სამსახურის გამო, ფილიპინებზე ცხოვრობდა... ოცდაერთი წლის შემდეგ ბატონი ტობიას ჰილი ფილიპინებზე დაბრუნდა და წითელ პარასკევს ცნობილ რიტუალში მიიღო მონაწილეობა — სხვა მსურველებთან ერთად ჯვარს ეცვა. ეს თამაშის „ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოცადო“ ნაწილი იყო. ჯვრიდან ახსნილი ბატონი ტობიას ჰილი იმავე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ოცდაერთი წლის წინ მამამისს უთხრეს, რომ კიბო ქონდა და, მხოლოდ ერთ წელს თუ იცოცხლებდა. მამამ განცხადება დაწერა და სამსახურიდან გათავისუფლება ითხოვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (მამას უნდოდა, განცხადებაში პირდაპირ ჩაეწერა, ერთი წლის სიცოცხლე დამრჩაო, მაგრამ განცხადების ფორმა ვერ იტანს ასეთ სუბიექტივიზმს). სამ დღეში ვაშინგტონიდან დეპარტამენტის ორი წარმომადგენელი ჩამოვიდა. მამამ წარმომადგენლებს აუხსნა, რომ კიბო აქვს და დიდი-დიდი ერთი წელი იცოცხლოს.

ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჰკითხა:

— ტკივილები გაქვთ?

მამამ უპასუხა:

— ჯერჯერობით არა, უბრალოდ, სუსტად ვგრძნობ თავს.

მამა მეორეხარისხოვანი დიპლომატი იყო და არავის აღელვებდა მისი პერსონა. წარმომადგენლებმა შესთავაზეს, დარჩენილი ერთი წელიც სამსახურში გაეტარებინა.

— ტკივილების დაწყებამდე მაინც დარჩით! სამშობლოსთვის ტანჯვას და სიკვდილს ნუ გაექცევით!

მამამ თავი დაიძვრინა:

— სამშობლოსთვის სიკვდილი ხმაურიანი სიკვდილია, მე კი ჩუმად მინდა მოვკვდე ჩემს ქალაქში.

წარმომადგენლებს წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ, მამას განცხადება დააკმაყოფილეს.

გამომშვიდობებისას ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჰკითხა:

— თქვენი ქალაქი რომელია?

— ნიუ-იორკი.

მამა, დედა და პატარა ტობი ნიუ-იორკში გემით ჩავიდნენ.

ბატონი ტობიას ჰილი იხსენებს: მამა და დედა გემბანზე დგანან. დედას მამას მხარზე უდევს თავი და ოკეანეს გასცქერის. ოკეანე უზარმაზარია. ბატონი ტობიას ჰილის ყურებს ოკეანის ხმები ახსოვს: მისი შხუილი და ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა; ბატონი ტობიას ჰილის გულს შიში ახსოვს: მამას ხელში აყავს პატარა ტობი (მამას უხარია, რომ ჯერჯერობით სწევს, ჯერჯერობით ერევა, ჯერჯერობით ძალა აქვს, ჯერჯერობით შვილის ხელში აყვანა შეუძლია) და სიცილით ეუბნება:

— ოკეანეში უნდა ჩაგაგდო და თევზებთან დაგტოვო... — მამა ყალბ მოძრაობას აკეთებს, პატარა ტობის გონია, რომ სადაცაა, ოკეანეში ჩავარდება, მაგრამ ჯერ კიდევ მამას ხელებშია. ბატონი ტობიას ჰილის გულს ბედნიერება ახსოვს, მამის ხელებში ყოფნის ბედნიერება.

ჩავიდნენ. დაბინავდნენ. მილაგ-მოლაგდნენ, გამოიძინეს. დილით მამა და პატარა ტობი სასეირნოდ გავიდნენ.

— აი, ეს ქალაქი, — მამამ ხელები გაშალა, — შენი სამშობლოა და აქაურობა გამორჩეულად უნდა გიყვარდეს.

პატარა ტობიმ არაფერი თქვა, მაგრამ ვერ მიხვდა, სხვა ქალაქებზე მეტად რატომ უნდა ყვარებოდა ქალაქი, რომელშიც პირველად იყო.

პირველ ხანებში მამა კვირაში ორჯერ მართავდა წვეულე-

ბებს. სვამდა ცოტას და ცეკვავდა დაცემამდე. სხვები ბევრს სვამდნენ და მამასავით დაცემამდე ცეკვავდნენ, თუმცა იმის გამო, რომ ბევრს სვამდნენ, მამაზე ადრე ეცემოდნენ და მამა მარტო აგრძელებდა ცეკვას. მამა ფიქრობდა: „ასე ცეკვა-ცეკვაში უნდა გავატარო ეს ერთი წელი, თუ ტკივილები არ დამეწყო. თუ ცეკვა-ცეკვაში, უმტკივნეულოდ მოვკვდები, კარგი იქნება“. მაგრამ ორი თვის შემდეგ ტკივილები დაეწყო და ტკივილებმა (რადგან ექიმებისგან იმედი აღარ იყო) ეკლესიაში მიიყვანა. ეკლესიაში სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეზე ლაპარაკობდნენ: „ღმერთი ცოცხალი და ღმერთი ცოცხალთა. თესლი უნდა მოკვდეს, რათა ნაყოფი აღმოცენდეს, ხორცი თესლია, მხოლოდ და მხოლოდ თესლი“. თავიდან მამას ამის დაჯერება გაუჭირდა, შემდეგ დაიჯერა და შეწუხდა: „რა ნაყოფი უნდა აღმოცენდეს ჩემი ავადმყოფი სხეულისგან?“ აუხსნეს, რომ ეს ღმერთმა იცის. თავიდან ვერ გაიგო, რა იცის ღმერთმა და რა არის ღვთის ნება, მაგრამ ეკლესიაში სიარული და სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეზე საუბრები მისთვის მისწრება იყო. და მამამ გაიგო, რა იცის ღმერთმა და რა არის ღვთის ნება.

ბატონი ტობიას ჰილი თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე, უზარმაზარი სახლის ერთ-ერთ ოთახში მდგარ მშობლიურ საწოლზე გულხელდაკრეფილი წევს და არ იცის, რა იცის ღმერთმა, რა არის ღვთის ნება. სამაგიეროდ იცის, რომ „ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოცადო“.

მამის გარდაცვალებამდე იყო ოჯახური გასვლა ბუნებაში. დედა ყვავილებში იჯდა, პატარა ტობი — კალათბურთის ჭრელ, წარწერებიან ბურთზე. მამა იდგა და სხვადასხვა უმნიშვნელო საკითხზე ლაპარაკობდა. ცა იყო კრიალა და ჰაერი — სუფთა. მამა ხარბად ისუნთქავდა სუფთა ჰაერს. მამამ პატარა ტობის უთხრა:

— ადექი და ბურთი გადმომიგდე, — პატარა ტობი ადგა და მამას ბურთი გადაუგდო. მამამ ბურთი საჩვენებელ თითზე და-

ატრიალა, — აი, ასეთი მრგვალია დედამიწა და ასე ბრუნავს, რა თქმა უნდა, ასე სწრაფად არა (მამას ბურთი საჩვენებელი თითიდან ჩამოუვარდა) და არც ასე ხანმოკლედ. ასე გაიგო პატარა ტობიმ, რომ დედამიწა მრგვალი იყო და ბრუნავდა.

ბატონი ტობიას ჰილი გულხელდაკრეფილი წევს და ფიქრობს: „როგორ არ გავგიჟდი მაშინ, ბრტყელ დედამიწაზე, მრგვალიაო, მამამ რომ მითხრა; ან მაშინ, პირველად მიწის ქვეშ რომ ჩავედი, პირველად ცაში რომ აფრინდი თვითმფრინავით? რამდენი რამე მაქვს გადატანილი და არ გავგიჟებულვარ“.

მამის სიკვდილის შემდეგ დედამ პატარა ტობის ხელი დაავლო და ავსტრალიაში წაიყვანა. დედა იქაური იყო. პატარა ტობის ავსტრალიელი ბაბუა სამოცი წლის ბიზნესმენი იყო. სამოცი წლისამ წილები გაყიდა, ჭამდა და სვამდა, ფიქრობდა და ეძინა, იჯდა აივანზე, აქეთ-იქით მიმავალ ხალხს უყურებდა და ფიქრობდა: „თავის დროზე მეც ერთი ამათგანი ვიყავი. ბედნიერი ვარ, რომ ახლა ცალკე ვარ; ბედნიერი ვარ, რომ აივანზე ვზიავარ და არსად მეჩქარება — არც საქმეებზე, არც საიქიოში“. სწორედ ამ კაცმა ასწავლა პატარა ტობის, რომ „ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოცადო“.

ერთ მშვენიერ დღეს ბაბუა და პატარა ტობი სასეირნოდ წავიდნენ. ბაბუა მოულოდნელად ერთ მაღალ ხესთან გაჩერდა. შეჩერდა პატარა ტობიც და ბაბუას თვალებში შეხედა.

ბაბუამ უბრძანა:

— აძვერი.

პატარა ტობი ცელქი იყო და როგორც თავად ფიქრობდა, უშიშარიც. პატარა ტობი ხეზე აძვრა.

ბაბუამ თქვა:

— ბოლომდე.

პატარა ტობი კენწეროზე მოექცა.

ბაბუამ თქვა:

— გადმოხტი.

ასვლისას უშიშარ პატარა ტობის შეეშინდა. შორი იყო მიწა.

ბაბუამ გაიმეორა:

— გადმოხტი.

პატარა ტობიმ ბაბუას ჩასძახა:

— მეშინია.

ბაბუამ იყვირა:

— გადმოხტი!

პატარა ტობი გადმოხტა. ბაბუას ყვირილმა უფრო შეაშინა, ვიდრე შორმა მიწამ. ეს იყო წამიერი შიში და დაბნეულობა. საერთოდ, პატარა ტობის ბაბუასი არ ეშინოდა, პატარა ტობის ბაბუა უყვარდა და მასთან ყოფნა მოწონდა. ყოველ შემთხვევაში, ბატონ ტობიას ჰილს ასე ახსოვს, რომ პატარა ტობის ბაბუა უყვარდა და მასთან ერთად ყოფნა მოწონდა.

პატარა ტობი გადმოხტა და ორივე ფეხი მოიტეხა. ბაბუამ პატარა ტობი ხელში აიყვანა:

— შენ ახლა რამდენიმე რამ ერთად გამოცადე: უშიშრად აძვერი ხეზე, შიშით გადმოხტი, ორივე ფეხი მოიტეხე, გტკივა და ტირი.

პატარა ტობის ფეხები თაბაშირში ჩაუსვეს. ექვსი თვის შემდეგ დედას ინგლისში სამსახური შესთავაზეს და დედამ და პატარა ტობიმ ავსტრალია დატოვეს. ამ დროს პატარა ტობის უკვე გადაწყვეტილი ქონდა, რომ ცხოვრებაში ყველაფერს გამოცდიდა. ხიდან გადმოხტომასა და ფეხის მოტეხაზე საშიში და მტკივნეული რა უნდა იყოს ცხოვრებაში? — არაფერი. გულუბრყვილო იყო პატარა ტობი.

ბატონი ტობიას ჰილი ოცდახუთი წლის იყო, როდესაც მიხვდა, რომ ყველაფრის გამოსაცდელად საჭირო იყო სქესის შეცვლა. საოპერაციო მაგიდაზე დაწვა და ოცდახუთი წლის ტობიას ჰილი გოგოდ გადაიქცა. თავიდან ნაწნავებს ატარებდა, შემდეგ ნაწნავები გაიშალა და თმაგაშლილი გოგო გახდა. გოგოების პირველი მტერი ხომ მოწყენილობაა, მოწყ-

ენილობა მოდის ერთფეროვნებისგან, ხოლო ერთფეროვნება მუდმივად ნაწნავების ტარება ან მუდმივად თმაგაშლილი სიარულია. ამიტომ, უბრალოდ, მრავალფეროვნებისთვის (ორფეროვნებისთვის მაინც) ხან ნაწნავებიანი და ხან თმაგაშლილი გოგო იყო. ასე გაგრძელდა ხუთ წელიწადს. დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, სახელმწიფოდან სახელმწიფოში, მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებაში. კარგად გათხოვდა, მაგრამ მაინც უღალატა ქმარს, რადგან ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოეცადა. დადგა პანელზე, გაირყვნა წინიდან და უკნიდან, გარეთ და შიგნით. ყველაფერს ცდიდა და კმაყოფილი იყო. რამდენჯერმე ცემეს, რამდენჯერმე სიყვარული აუხსნეს, რამდენჯერმე თავად აუხსნა ვიღაცებს სიყვარული. გაუგეს და ბედნიერი იყო, ვერ გაუგეს და იტირა, იტირა ბევრი, და სისულელე, სისულელე უწოდა ცხოვრებას.

ხუთი წლის შემდეგ კვლავ საოპერაციო მაგიდაზე დაწვა და კაცი გახდა. ბატონ ტობიას ჰილს არ მოეწონა ქალობა. ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების ეს პერიოდი მისი სასიამოვნო მოგონება არ არის...

ბატონ ტობიას ჰილს გულზე ხელები დაუწყვია, ფეხები შეუტყუპებია და მშობლიურ საწოლზე გაშოტილა. ირგვლივ კედლებია, კედლებს იქით — თბილისი, ძველი ქვეყნის ძველი დედაქალაქი. ბატონმა ტობიას ჰილმა იცის ამ ქალაქის დაარსების ლეგენდა — მეფე, ნადირობა, მიმინო, ხოხობი, თბილი წყალი... და რა არის ამაში საამაყო ან თუნდაც საინტერესო? ბატონ ტობიას ჰილს ახსენდება სულ სხვა ქვეყანა, რომელიც ამაყობს ისეთი დიდი სისულელეებით, როგორიც არის (იყვნენ. იქნებ არ არიან და არც არასდროს არსად ყოფილან, ადამიანთა წარმოსახვის გარდა): ზევსი, ჰერა და მრუში, ლოთი, ინტრიგანი ღმერთების ამალა. ბატონი ტობიას ჰილი ერთი წელი საბერძნეთში ცხოვრობდა. ეს ახალი, არაფრის მაქნისი ქვეყნები ძველ, ლეგენდარულ ქვეყნებთან იჩემებენ კავშირს: ახალი საქართველო — ძველ სა-

ქართველოსთან, ახალი საბერძნეთი — ძველ საბერძნეთთან, ახალი ეგვიპტე — ძველ ეგვიპტესთან, ახალი ისრაელი — ძველ ისრაელთან. თუმცა, ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ბატონმა ტობიას ჰილმა გადაწყვიტა, რომ თამაშს „ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოცადო“ სწორედ აქ, თბილისში დაასრულებს, ესე იგი, საერთოდ ცხოვრებას დაასრულებს აქ. ამის მიზეზი ის არ არის, რომ ბატონი ტობიას ჰილი გიჟდება თბილისზე და სურს აქ დაიმარხოს, უბრალოდ, ბატონმა ტობიას ჰილმა აქ იგრძნო, რომ მზად არის.

ბატონ ტობიას ჰილს ორი რამ დარჩა გამოსაცდელი: მკვლელობა და თვითმკვლელობა. თავიდან ბატონი ტობიას ჰილი ფიქრობდა, რომ თვითმკვლელობა შეიცავდა მკვლელობას და საკუთარი თავის გარდა არავის მოკვლა არ მოუწევდა, მაგრამ შემდეგ გაარკვია, რომ სამართალი და ეკლესია განასხვავებს მკვლელობას და თვითმკვლელობას, გაეცნო განსხვავებებს, ჭკუაში დაუჯდა და ახლა ორი რამ აქვს ჩასადენი: მკვლელობა და თვითმკვლელობა. ბატონი ტობიას ჰილი ფიქრობს: „უცნაურია ცხოვრება. სად დაიწყო და სად მთავრდება ყველაფერი... ძალიან უცნაურია...“

ბატონმა ტობიას ჰილმა ლექსო ღამის ორი საათისთვის დაიბარა.

ლექსოს ბატონ ტობიას ჰილის წინადადება არ ესიამოვნა, მაგრამ ღიმილით დათანხმდა. მოხუცს ვითომ ხათრი არ გაუტეხა, თუმცა მთავარი ამ შემთხვევაში ბიზნესურთიერთობა იყო.

ქართველები შინაურობაში არაპუნქტუალურები ვართ, მაგრამ არამც და არამც — უცხოელებთან. ზუსტად ღამის ორ საათზე ლექსო ბატონი ტობიას ჰილის სახლთან აჩერებს ავტომობილს. ბატონი ტობიას ჰილი სახლის შესასვლელთან დგას, ავტომობილთან მიდის, კარს აღებს და ავტომობილში ჯდება. ავტომობილში დაბალ ხმაზე რადიოა ჩართული.

— მცხეთაში წავიდეთ.

ლექსო თავს უქნევს ბატონ ტობიას ჰილს და ავტომობილს ძრავს. ერთხანს ჩუმად არიან, შემდეგ ლექსო ამბობს:

— თქვენ რაღაც სიურპრიზს მიმზადებთ, ვგრძნობ, — და ლექსო და ბატონი ტობიას ჰილი იცინიან.

— დიახ, ძალიან დიდ სიურპრიზს, ამ სიურპრიზის შემდეგ ახალ ცხოვრებას დაიწყებთ.

ლექსო საჭეს მარცხნივ ატრიალებს:

— ვნახოთ, ვნახოთ, ბატონო ჰილ, — ლექსო ავტომობილს ერთ ადგილზე აქვავებს, რადგან გზაზე ძაღლი გადარბის. მერე გზას აგრძელებენ, — ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან, ბატონო ჰილ, შეიძლება?

— მკითხეთ, ლექსო.

ლექსოს აინტერესებს, რას ფიქრობს ბატონი ჰილი თავის შემცვლელზე:

— მილინდა, მილინდა, სამწუხაროდ, გვარს ვერ ვიხსენებ...

— მე მასზე ინფორმაცია არ მაქვს, ალბათ, ახალგაზრდაა, პროფესიონალი; კარგად აქვს ათვისებული თანამედროვე ტექნოლოგიები; როგორც ყველა ქალს, მასაც, ალბათ, მოწონს, კომპლიმენტებს რომ ეუბნებიან; როგორც ყველა ადამიანი, ალბათ, ისიც მარტოა. ქალი გაცილებით მძაფრად განიცდის მარტოობას, ვიდრე მამაკაცი. დამიჯერეთ, ასეა, ლექსო, — ბატონ ტობიას ჰილს ახსენდება დრო, როდესაც ქალი იყო. ბატონი ტობიას ჰილი ქურთუკის ჯიბეებში იყოფს ხელებს, მარცხენა ჯიბეში ის იარაღი უდევს, რომლითაც ლექსოს მოკვლას აპირებს, მარჯვენაში ის, რომლითაც — თვითმკვლელობას. ორივე იარაღი ადგილზეა, — ახლა მე მაქვს ერთი შეკითხვა თქვენთან, შეიძლება?!

— მკითხეთ, ბატონო ჰილ, ბრძანეთ.

— უსიამოვნო შეკითხვაა.

ლექსოს გონია, რომ ბიზნესშია რაღაც პრობლემები, სახე ელრიცება, მაგრამ სხვა რა გზა აქვს.

— მკითხეთ, ბატონო ჰილ, ბრძანეთ.

— რა არის თქვენთვის სიკვდილი?

ლექსო ბედნიერია. ესე იგი, ბიზნესში პრობლემები არ არის.

— იცით, ბატონო ჰილ, მე ჩემს სიკვდილზე არასდროს ვფიქრობ, სამაგიეროდ, განუწყვეტლივ ვფიქრობ სხვების სიკვდილზე, ზოგიერთის სიკვდილის მეშინია, ზოგიერთის — მინდა, უფრო სწორად, მინდოდა. ახლა ამ სურვილისგან თავისუფალი ვარ. ისე მოხდა, რომ გავთავისუფლდი.

— სამოთხის და ჯოჯოხეთის თუ გწამთ?

— სამოთხე და ჯოჯოხეთი ღმერთი ხომ არ არის, რომ მწამდეს ან არ მწამდეს? — ღიმილით პასუხობს ლექსო.

— პედანტი ხართ, ლექსო, — ეღიმება ბატონ ტობიას ჰილსაც.

ავტომობილში რადიოა ჩართული დაბალ ხმაზე. თანამედროვე მუსიკა ჟღერს. ბატონი ტობიას ჰილი თანამედროვე მუსიკის შემსრულებელიც იყო წარსულში და კლასიკური მუსიკის შემსრულებელიც. ბატონი ტობიას ჰილი ჯიბეებში იარაღს სინჯავს.

— გააჩერეთ ავტომობილი, ლექსო.

— ცუდად ხართ, ბატონო ჰილ?

— არა, არა, — იღიმება ბატონი ტობიას ჰილი, — ბუნება საუკეთესო საპირფარეშოა, ლექსო, შემომიერთდით.

ლექსო ავტომობილიდან გადადის და ფიქრობს: „ეხლა რომ მითხრას, დამიჭირეო, რა ვქნა? ღამეა, მარტო ვართ. ის სტუმარია, მე — მასპინძელი, სტუმრის სიტყვა კანონია, თან ამერიკელია, თან — მალე მიდის აქედან, დავუჭერ, ეს არ იქნება პოლიტიკურ-იდეოლოგიური შეცდომა“. ლექსო მზად არის დასაჭერად.

ბატონი ტობიას ჰილი სულ სხვა რამეს ამბობს:

— თქვენც მოფსით, ლექსო.

ლექსო შარვალს იხსნის. ორივე ფსამს. ბატონი ტობიას

ჰილი ფიქრობს: „შიშისგან, შიშისგან ვფსამ, ძალიან, ძალიან მეშინია, რომ მოკლა; ძალიან, ძალიან მეშინია, რომ თავი მოიკლა“. ლექსო ფსმას მშვიდად აგრძელებს. ბატონი ტობიას ჰილი ფიქრობს: „ან ახლა, ან არასდროს“. ბატონი ტობიას ჰილი იარაღს იღებს და ლექსოს პირდაპირ თავში — ბუჰ! ლექსო მიწაზეა გაშხლართული. ბატონი ტობიას ჰილი მეორე იარაღს იღებს და საკუთარ თავში — ბუჰ! არაფერი, საერთოდ არაფერი ახსენდება ბატონ ტობიას ჰილს გასროლის წინ. ბატონი ტობიას ჰილიც მიწაზეა გაშხლართული.

ისე, პატარა ტობი ხომ მაინც იმსახურებს ცას?

24

ბექა დარწმუნებულია, რომ დამკვეთები ლევანიკოს ატყუებენ, ხოლო ლევანიკო უნებურად მას ატყუებს. ბექას აზრით, ლევანიკოს ცუდი, ბოროტი განზრახვა არ აქვს. ბექა დარწმუნებულია, რომ არანაირი ბომბი არ დევს შავ ყუთში. ბექამ არ იცის, ზუსტად რა დევს შავ ყუთში. შეიძლება ოქრო, ალმასები, ნარკოტიკები, მნიშვნელოვანი ქაღალდები, შეიძლება... ბევრი რამ შეიძლება, ყველაფერი შეიძლება, ბომბის გარდა. ბექასთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რა დევს შავ ყუთში, ის პატიოსნად შეასრულებს შეკვეთას, აიღებს კუთვნილ ჰონორარს და ფრიიი... ნიუ-იორკში. ჯერ იქამდე შორია, ბექა ჯერ შავ ყუთამდე უნდა მივიდეს.

უთენია ბექა სადარბაზოდან გამოდის. ფორმაშია — ანაფორა და ჯვარი. მანქანაში ჯდება, მანქანას ქოქავს და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობს: „მეძინება, ძალიან მეძინება...“

განთიადია. მაკას ღვიძავს.

„დავლევ! დავლევ! ყელში ამომივიდა ყველაფერი“! — მაკა ძალიან, ძალიან ფრთხილად დგება საწოლიდან. არ უნდა, რომ საწოლმა გაიჭრიალოს და თაზომ გაიღვიძოს. საწოლი ოდნავ

ჭრიალებს და თაზოს არ ეღვიძება. მაკას გონია ასე, რომ თაზოს არ ეღვიძება, თორემ თაზოს ღვიძავს, უბრალოდ, თვალის გახელა ეზარება. მაკა ფეხის წვერებზე გამოდის საძინებლიდან. თაზოს მისი ფეხის ხმა ესმის და ფიქრობს: „კარგი გოგოა მაკა, არ უნდა, რომ გამაღვიძოს, მიფრთხილდება. მიყვარს მაკა“. საძინებლიდან გამოსული ფეხშიშველა მაკა ფეხისწვერებზე აღარ დგას, ფეხისგულებით გრძნობს, რომ იატაკი ცივია და მტვრიანი, უცივდება და უმტვრიანდება ფეხისგულები. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ჩერდება, ჯერ მარჯვენა ფეხს სწევს და ფეხისგულს უყურებს, შემდეგ — მარცხენას. ორივე ფეხისგული მტვრიანი აქვს, ფიქრობს: „ეს იატაკის მოწმენდის ახალი ხერხია, ჩემი ფეხები ცოცხებია... საშინელებაა მტვრიანი ფეხისგულები“. მაკა კარადასთან მიდის, სადაც თაზოს რეზინის ჩექმები აწყვია. მაკა რეზინის ჩექმებში ყოფს ფეხებს. ძალიან დიდი აქვს მაკას თაზოს რეზინის ჩექმები, სასაცილოა მაკა. კარადიდან კონიაკის ბოთლს და ჭიქას იღებს...

„ტანსაცმელი და აქსესუარები გავლენას ახდენს ადამიანზე. როგორ იქცევიან ანაფორიანი ადამიანები მანქანაში? როგორი მძღოლები არიან მღვდლები?“ — ფიქრობს ბექა. ბექას აზრით, ისინი ნელა მოძრაობენ, არ უსმენენ მუსიკალურ რადიოტალღებს და განუწყვეტლივ „მამაო ჩვენოს“ ბუტბუტებენ. ბექაც ასე იქცევა — რადიო გამორთული აქვს, მაგრამ „მამაო ჩვენოს“ არ ბუტბუტებს. ფიქრობს, რომ მისი ამ წამს მაინც არავის ესმის. ხანდახან ბექა ფიქრობს, რომ ღმერთს ყველაფერი შეუძლია, მაგრამ ახლა ფიქრობს, რომ მისი მაინც არავის ესმის და „მამაო ჩვენოს“ ბუტბუტი ზედმეტია. რაც შეეხება რადიოს, გამორთული უნდა იყოს, რადგან რადიოდან წამოსული მუსიკა აიყოლიებს და ბექა დაბალი სიჩქარიდან მაღალ სიჩქარეზე გადავა, ილუზიები, ოცნებები, ფიქრები აიდღლიზება ერთმანეთში და ბექა მაღალი სიჩქარით წავა ჯოჯოხეთში. ბექას არ უნდა ჯოჯოხეთში, ამ წამს არც სამოთხეში უნდა, ბექა მიწაა... ბექა ფიქრობს: „სა-

მოთხე, ჯოჯოხეთი... არ შეიძლება, რომ ასე მარტივად იყოს ყველაფერი მოწყობილი, ასე ყველამ ყველაფერი იცოდეს და ასე არავის ჯეროდეს, რომ ყველაფერი იცის. არა, ასე მარტივად არ შეიძლება იყოს მოწყობილი სამყარო".

დაბალი სიჩქარით ცარიელ გზაზე მგზავრობს ბექა...

კონიაკის ბოთლს და ჭიქას იატაკზე დგამს მაკა და თავადაც იატაკზე ჯდება, ფეხმორთხმული. რეზინის ჩექმებს უცქერის და შეშინებული ფიქრობს: „სინამდვილეში რომ ამხელა ფეხები მქონდეს, რა საშინელება იქნებოდა".

ერთხელ, ზუსტად ასე ფეხმორთხმული იჯდა წყნეთში ერთ-ერთ ფეშენებელურ სახლში კოლეგებთან ერთად და თეფშს ატრიალებდა. მაშინ პირველად ატრიალებდა თეფშს, რადგან განსხვავებული ბავშვობა ჰქონდა...

მაკა კონიაკს ისხამს, ჭიქას იღებს:

— ჩემს ბავშვობას გაუმარჯოს, — ამბობს და სვამს. რაც შეეხება წყნეთს, იქ ერთ-ერთი კოლეგის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ, კარგად შეთვრნენ და იუბილარის თხოვნას, მოდი, ბავშვობა გავიხსენოთ და თეფშით სპირიტული სეანსი ჩავატაროთო, სტუმრები ტაშით შეხვდნენ. დაიწყეს გამოსაძახებელი სულის შერჩევა. ხალხს უყვარს დიქტატორები: კალიგულა, ნერონი, სტალინი, ჰიტლერი, ლენინი, მუსოლინი.

— ჯოჯოხეთს შეევშვათ, სამოთხეში გადავინაცვლოთ, — თქვა მაკამ.

მაკამ იცოდა (იცის): ადამიანს არა აქვს უფლება, სხვა ადამიანები რომ დაახარისხოს და დაანაწილოს ჯოჯოხეთ-სამოთხეში, მაგრამ ეს მაინც თქვა და კოლეგებმა ეს წინადადება მოიწონეს, ოღონდ დროებით.

— სამოთხეში სულ მოსაწყენი ხალხია და მათ სულებთან საუბარი არ არის საინტერესო, — თქვა ერთ-ერთმა კოლეგამ.

— მართალია, მართალია, მართალია, — დაუმოწმეს სხვა კოლეგებმა და კვლავ ჯოჯოხეთს დაუბრუნდნენ.

„რა სისულელეები მახსენდება“, — ფიქრობს მაკა, ცარიელი ჭიქა უჭირავს ხელში, ერთმა ჭიქამ შეახურა. „ორ ჭიქას კიდევ დავლევ და გავჭედავ“, — ფიქრობს და ჭიქას ღიმილით ავსებს.

ტანსაცმელი და აქსესუარები გავლენას ახდენს ადამიანზე, მაგრამ ეს დროებითი გავლენა — ტანსაცმელი და აქსესუარები — საბოლოოდ ვერ ცვლის მას. რაც იყო, ის არის ბექა ანაფორაში და ჯვრით ტრასაზე დიდი სიჩქარით მიდის და რადიოც ჩართული აქვს. თბილისის გასასვლელს უახლოვდება...

მაკას კონიაკით სავსე ჭიქა უჭირავს ხელში. თვალწინ ისევ „ერთხელ წყნეთში კოლეგებთან ერთად“ უდგას. გათენებამდე გაერთნენ. შემდეგ დაეყარნენ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და დაიძინეს ერთად, ჩაცმულებმა. კარგად ეძინა იმ „ერთხელ წყნეთში კოლეგებთან ერთად“.

ძილის გახსენებაზე მაკა ამთქნარებს:

— მეძინება, მე-ძი-ნე-ბა, — და კვლავ ამთქნარებს, — მაგრამ რაც არის, არის...

მაკა მეორე ჭიქა კონიაკსაც სვამს. იღვრება სხეულში სითბო და თვალებიდან — ცრემლი. რა არის ცხოვრება? ერთფეროვანი, მოსაწყენი დღეები. მაკა უკმაყოფილოა საკუთარი ცხოვრებით. პატარ-პატარა ბედნიერებები, ნათელი წამები ჩაიკარგა ერთფეროვან მოსაწყენ დღეებში. მაკა ტირის, რადგან ახლა თვალწინ საკუთარი ერთფეროვანი, მოსაწყენი დღეები უდგას:

— გაუმარჯოს ჩემს ერთფეროვან, მოსაწყენ ცხოვრებას! — ტირილით ამბობს და კონიაკს პირდაპირ ბოთლიდან სვამს.

თბილისის გასასვლელთან ბექა გასართობს იგონებს. რა ქნას, მარტოა და თავადვე უნდა გაირთოს თავი. ვინმე რომ

იყოს მის გვერდით, ძალიან კარგი იქნებოდა, ისაუბრებდნენ, ერთმანეთს გაართობდნენ და გავიდოდა დრო და გაილეოდა გზა. მაგრამ ბექა მარტოა, ეს ფაქტია; ფაქტი არ არის უმაღლესი რეალობა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. გასართობი ასეთია: ბექა გაცდება თუ არა თბილისს, ამბობს: „მშვიდობით, თბილისო“ და თბილისს ჭორავს, ზურგს უკან ამბობს იმას, რასაც სინამდვილეში ფიქრობს თბილისზე. შეიძლება დებილური გართობაა, მაგრამ რა ქნას, მარტოა. რას ფიქრობს ბექა თბილისზე? — იყო დრო, როდესაც სერიოზულად სჯეროდა, რომ თბილისი ლამაზი ქალაქია. რას ნიშნავს ბექასთვის თბილისი? — დაბადების ადგილს, საპასპორტო მონაცემს, სახლს, რომელიც შორიდან უყვარს და ახლოდან აშინებს; სახლს, რომელიც წლების განმავლობაში ენატრებოდა; სახლს, რომელშიც დაბრუნდა და ახლა ის დრო ენატრება, როდესაც ეს სახლი შორს იყო და ენატრებოდა. ახლა ბექას რომ ჰკითხონ, რატომ დაბრუნდიო, უპასუხებს: — ფულის გამო. მაგრამ ხომ ენატრებოდა კიდეც აქაურობა? არა, არა გვაქვს ადამიანებს ჩამოყალიბებული მკაფიო პასუხები მცირე კითხვებზეც კი. აქედან გამომდინარე, ყველა მცირე კითხვა მარადიული კითხვაა. მაღალი სიჩქარით, ჩართული რადიოს თანხლებით მიქრის ბექა: — მშვიდობით, თბილისო!..

მაკას გაუგია, რომ ადამიანს თავის მუშტისოდენა გული აქვს, მაგრამ ზუსტად არ იცის, ასეა თუ არა. მხოლოდ და მხოლოდ გაუგია. მაკა საკუთარ მუშტს უყურებს და ფიქრობს: „პატარა, ძალიან პატარა გული მაქვს“. მაკას თაზოს მუშტები ახსენდება. თაზო ხშირად ულერებდა მაკას მუშტებს და ემუქრებოდა, თავს გაგიხეთქავო. რა თქმა უნდა, თაზო ხუმრობდა. მაკას თაზოს ხუმრობით მოღერებული მუშტები ახსენდება და ფიქრობს: „თაზოს დიდი გული აქვს, მე მთელი ჩემი ცხოვრება თავშესაფარს ვეძებ ჩემი გულისთვის. მეგონა, რომ ჩემი პატარა, ძალიან პატარა გულის თავშესაფარი თა-

ზოს დიდი გული გახდებოდა; მეგონა, რომ თაზოს დიდ გულში ჩემი პატარა, ძალიან პატარა (მაკა საკუთარ მუშტს უცქერს) გული მოთავსდებოდა და თაზოს გული შეიკუმშებოდა ჩემი გულის მაგივრად, თაზოს გულს შეეშინდებოდა ჩემი გულის მაგივრად და ყველა საზიზღრობა და საშინელება თაზოს გულს დაემართებოდა ჩემი გულის მაგივრად. ჩემს გულს კი მარტო ეყვარებოდა, ეყვარებოდა, ეყვარებოდა ვინმე, თუნდაც თაზო. სისულელეა ყველაფერი, სი-სუ-ლე-ლე!..“ მაკა კონიაკს ბოთლიდან სვამს...

— მცხეთა, მშვიდობით! — რადიოში სულელური სიმღერებია და ბექა ტალღიდან ტალღაზე გადადის. ბოლოს რადიოს თიშავს. რა არის ბექასთვის მცხეთა? — დღესასწაული, რომელიც დამთავრდა. აღარც ბექაა ბავშვი და მცხეთაც უფრო პირქუში ქალაქი გახდა. ყოველ შემთხვევაში, ბექას ასე ეჩვენება. ბავშვობაში ბექა მამას დაყავდა მცხეთაში, მცხეთობაზეც და ისეც: მწვადებზე, ხინკალზე, მცხეთურ ლობიოსა და მცხეთურ ღვეზელებზე. ბექა ჭამდა და წყაროს წყალს სვამდა. გემრიელი იყო წყაროს წყალი, ყოველ შემთხვევაში, ასე ახსოვს, რომ აქაური წყაროს წყალი ლიმონათს ერჩივნა. მცხეთობაზე გაჭედილი იყო ქალაქი. ბექას მამას ხელი ეჭირა და ბექა და მამა აქეთ-იქით დადიოდნენ. ელიმება ბექას. კიდევ რას ნიშნავს ბექასთვის მცხეთა? — ბექას სკოლიდან ახსოვს, რომ მცხეთა საქართველოს დედაქალაქიც იყო, ადრე, ძალიან, ძალიან ადრე, თბილისის დაარსებამდე, საუკუნეების, საუკუნეების წინ. მცხეთა, მშვიდობით!..

მაკა დგება. ადგილზე ნაბიჯით იარ: ერთი, ორი. ჩექმა ფეხიდან ძვრება, ძალიან დიდი აქვს ჩექმა. მაკა მთვრალია და აი, გაშლილი ნაბიჯით იარ, ერთი, ორი. მძიმეა ჩექმა, მაგრამ მაკას უკვე ყველაფერი ჰკიდია: ჩექმის სიმძიმე, ეს სახლი, ეს ცა, ეს მთები, ეს ხეები, ეს მიწა. ერთი, ორი, ერთი, ორი... მაკა

უკვე გარეთაა, წინ! ერთი, ორი! სასაცილოა მთვრალი მაკა თაზოს რეზინის ჩექმაში...

— მშვიდობით! მშვიდობით! მშვიდობით პაწაწკინტელა ქალაქებო, დასახლებებო, სოფლებო! — რას ნიშნავს ისინი ბექასთვის? არაფერს, სრულიად არაფერს. შემდეგ არის გორი. „პატარა გორი დიდია. დიდი სტალინის მშობელი!“ — ღიღინებს ბექა. მისი ბებია მღეროდა ხშირად ამ სიმღერას და ახსოვს. ბექა, რა თქმა უნდა, ხმამაღლა ამას არ ამბობს, მაგრამ ფარულად სტალინისტია, სტალინური მიდგომები მოწონს: „არის კაცი, არის პრობლემა; არ არის კაცი, არ არის პრობლემა. ყველაფერი საქმიდან გამომდინარე ხდება, ყველაფერი საქმისთვის კეთდება, ახლა მე საქმეზე ვარ. ხელს თუ შემიშლის ვინმე, გავაქრობ...“ — ფიქრობს ბექა. ლევანიკოს რჩევა ახსენდება, რომელიც, რა თქმა უნდა, დამკვეთის რჩევაა. ლევანიკო დამკვეთის ქვევრია: თუ ვინმე გაგაჩერებს, ეტყვი, რომ ღმერთის სახლში მიდიხარ. „ვეტყვი“, — ფიქრობს ბექა, მაგრამ ჯერჯერობით არავინ აჩერებს...

ჩექმა მიწაში ეფლობა, ჩექმები მიწით ითხვრება. მაკა ბრაზობს, მაკა მთვრალია, მაკა ირგვლივ იხედება — გარშემო ხეებია, მაკა ტყეშია. იცის, რომ ტყეში ყოფნა საშიშია, ტყიდან გამოსვლას იწყებს, ჩექმა მიწაში ეფლობა, ჩექმა მიწით ითხვრება. მაკა ტყეში უნებურად შევიდა: გაუტია, გაუტია და ტყეში აღმოჩნდა. ახლა მაკა ტყიდან გამოსვლას ცდილობს. ეს შეგნებული ნაბიჯია და ეშინია, რომ ვერ გავიდეს ტყიდან, რა ეშველება? „რატომ მეშინია? რისი მეშინია? ამ მაღალი, გრძელტოტებიანი ხეების? ხეები მე არ მერჩიან, ხეები თავისთვის დგანან“. მაკას კონიაკი აწვება ყელში. „რატომ ვთვრები ასე მალე? ასე უაზროდ? მე მჭირდება ადამიანი, რომელიც ჩემ მაგივრად დათვრება, მე დავლევ და ის დათვრება; მჭირდება ადამიანი, რომელიც ჩემ მაგივრად იცხოვრებს მი-

წაზე, მე კიდევ ცაში ვიფრენ. თაზო არ არის ის ადამიანი, რომელიც ჩემ მაგივრად დათვრება, ჩემ მაგივრად იცხოვრებს მიწაზე. თაზო არ არის ასეთი ადამიანი", — ფიქრობს მაკა და წყინს, რომ ასეა. მაკა ტყიდან გამოდის, გორაზე ადის, ტრასაზე გადის და პირველივე შემხვედრ მანქანას უდგება წინ. მანქანა ჩერდება. „აღარ შემიძლია სიარული, ჩავუჯდები მანქანაში და, სულერთია, სად წამიყვანს", — მაკა მანქანის კარს აღებს. მძღოლს არ უყურებს სახეზე. ჯდება და კარს კეტავს. მძღოლის ხმა ესმის მაკას:

— მე ღმერთის სახლში მიუდივარ.

— წამიყვანე.

მაკა და მძღოლი ერთმანეთს თვალს უსწორებენ, ერთმანეთს უყურებენ, ერთმანეთს ცნობენ.

— შენ მღვდელი გახდი?

— არა, საქმეზე ვარ, — ბექა მაკას თავიდან ფეხებამდე ათვალიერებს, — შენ? რა დღეში ხარ?

— მერე გეტყვი. ახლა ცუდად ვარ. გამოვიძინებ, კარგად გავხდები და მერე გეტყვი.

არც ერთს არ ეგონა, რომ მათი შეხვედრა ასეთი იქნებოდა. ბექას თავში დომხალი აქვს, აბა, გათხოვდაო, აბა, საქორწინო მოგზაურობაშიაო?! ბექა მაკას უყურებს, მაკას ძინავს. ბექა არ აღვიძებს. „ეძინოს, აზრზე მოვიდეს და მერე დაველაპარაკები, მანამდე საქმეს გავაკეთებ". მიწის და კონიაკის სუნი ასდის მძინარე მაკას. დანიშნულების ადგილამდე მშვიდობით მიდის ბექა. მანქანიდან გადადის. მაკას ისევ ძინავს. სიზმარს ხედავს. სიზმარი არ არის საშიში და მაკას მშვიდად ძინავს. ბექამ მშვიდობით მოიპოვა შავი ყუთი. მანქანაში ჩაჯდა. შავი ყუთი მაკასა და თავის შუა ჩადო და მანქანა დაქოქა.

მაკა გორში იღვიძებს. იქამდე ბექა ფიქრობდა, ანგარიშობდა: „გეგმა შეიცვალა. მე ამ შავი ყუთის თბილისში ჩატანაში ფულს მიხდიან. ესე იგი, შავი ყუთი ამ ფულზე მეტი ღირს, ალბათ, გაცილებით მეტი. შავი ყუთი უნდა გავხსნა.

ტვინი ამირია ამ გოგოს ნახვამ“. სწორედ ამ დროს გაიღვიძა მაკამ.

— ყუთში საჩუქარია? — მაკა კითხულობს.

— საჩუქარია. დავიწყოთ ყველაფერი თავიდან?

— ჯერ ვნახავ, რა საჩუქარია და მერე გეტყვი. გავხსნა?

— გახსენი, — ბექა ნატრობს რომ ყუთში ოქრო იყოს ან ალმასები, ან ორივე ერთად, და რომ ნარკოტიკები არ იყოს. მაკა ბავშვივით იქცევა. თვალებს ხუჭავს და თვალდახუჭული ხსნის ყუთს...

ამ დროს თაზო ოთახებში დადის „მაკას“ ძახილით.

პირველი კუდი

აფეთქდნენ, ააფეთქეს, გარდაიცვალნენ, ცაში ამაღლდნენ, უბედური შემთხვევის მსხვერპლნი გახდნენ, პროვოკაციას ემსხვერპლნენ, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპნენ — ნათია შესაფერის გამოთქმას ეძებს, გაოცებულია: ბექა და მაკა ერთად? საიდან, როგორ, რანაირად?

ნათიამ ამ საქმის ის იცის, რომ არაფერი იცის და ვერაფერს ხვდება, მაგრამ სტატიას მაინც წერს და შესაფერის, ნეიტრალურ გამოთქმას ეძებს. ტვინი ორ ნაწილად აქვს გაყოფილი. ერთი ნაწილით ბექაზე, მაკასა და სტატიაზე ფიქრობს, მეორით — საკუთარ ქორწილზე. ქორწილი ორი კვირის შემდეგ არის დანიშნული, მანამდე ნათია და ალექსი ცალ-ცალკე არიან. ასე შეთანხმდნენ. ნათიას ტვინი ორ ნაწილად აქვს გაყოფილი, ეს ორი ნაწილი არათანაბარია. მეორე ნაწილი გაცილებით დიდია პირველზე...

25

მაია და ნათია ბავშვობის დაქალები არიან და, რასაკვირველია, მაიამ ნათიას შესახებ ბევრი რამ იცის, თუმცა იხსე-

ნებს და ამბობს ცოტას, რაც, მისი აზრით, პირდაპირ, ირიბად ან თუნდაც სახიფათოდ არის დაკავშირებული დღევანდელ დღესთან. ნათია და მაია (შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება) ბავშვობის დაქალები არიან და, რასაკვირველია, ნათიამ მაიას შესახებ ბევრი რამ იცის, თუმცა არაფერს ამბობს, დღეს არ სცალია ამისთვის, დღეს ჯვარს იწერს, დღეს ღვთის მხევალია თეთრ კაბაში, დღეს არავისზე არაფერს ამბობს, დღეს ყველა მასზე ლაპარაკობს, დღევანდელი დღე მისი დღეა.

დღევანდელი დღე, რა თქმა უნდა, ალექსის დღეც არის. შავი სმოკინგი აცვია და პეპელა-ჰალსტუხი უკეთია. იღიმება. მიწა, რომელზეც ალექსი დგას, არ არის მისი მშობლიური მიწა; ენა რომელიც ესმის, არ არის მისი მშობლიური ენა. ამიტომ ალექსი, ცოტა არ იყოს, უცხოდ გრძნობს თავს. და კიდევ: სმოკინგით და პეპელა-ჰალსტუხითაა შეზღუდული, შეუჩვეველია ასეთ ტანსაცმელს ალექსი. ნათია და ალექსი ეკლესიაში დგანან. მაია — უდაბნოში.

დგას მაია უდაბნოში და ფიქრობს: „ბავშვობიდან ასეთია, სკოლიდან რომ გავიპარებოდით, ვთხოვდი, ვაკის პარკში ან მზიურში წავიდეთ, ნამცხვრები ვჭამოთ, ან ზოოპარკში მაინც ჩავიდეთ-მეთქი... ვერ ვიტან ზოოპარკს, საშინელი სუნი დგას. ამას წინათ ნათიას ბავშვი მყავდა წაყვანილი, ჩემი ბავშვობისდროინდელი მაიმუნები, დათვები, აქლემი (ოღონდ დაბერებულები, მიხრწნილები) სხედან იმავე საშინელებებში და ყარან, ყარან. აქლემი, ალბათ, მალე მოკვდება, საწყალი, ძლივს დაათრევს კუზს და ქშინავს... რა კარგია, რომ კუზიანი არ ვარ!.. რაებზე ვფიქრობ? რატომ უნდა ვიყო კუზიანი? ეგღა მაკლია, კუზიანი ვიყო“. მაია წელში იმართება, რწმუნდება, რომ კუზი არა აქვს და იღიმება: „არც ვაკის პარკი, არც მზიური, არც ნამცხვრები და არც ზოოპარკი. სულ ტყე-ღრე, უცნაური, საშიში ადგილები. სკოლიდან გაპარულს ისედაც მეშინოდა და კიდევ ტყე-ღრე, უცნაური, საშიში ადგილები...

ბავშვობიდან უცნაური გოგოა ნათია.... აი, ახლაც, ხომ შეეძლო ნორმალურად, ადამიანურად, ცივილიზებულად გაეკეთებინა ყველაფერი? რამდენი ეკლესიაა თბილისში? უამრავი. კაი, ბატონო, არ გინდა, რომ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა შენს ცხოვრებაში თბილისში მოხდეს: თბილისში დაიბადო, პირველად კაცთან თბილისში დაწვე, თბილისში გათხოვდე, თბილისში იმშობიარო, თბილისში დაბერდე და თბილისში დასაფლავდე, მაგრამ ხომ არსებობს მცხეთა — ეკლესიების ქალაქი. სხვა ქალაქებიც არსებობს. რაღა მაინცდამაინც ამ უდაბნოში მოგვათრია? საშიშ ადგილზე, პაწაწინა ეკლესიაში... არ მინდა გარეთ დგომა, მაგრამ ეკლესიაში ადგილი არ არის. თვითონ, რა თქმა უნდა, კარგად გრძნობს თავს, ეგოისტია. სხვებზე არ ფიქრობს და არც არასდროს ფიქრობდა... ერთხელ ხომ გათხოვდი, დაეტიე რა, ქმართან. არა, გამოთხოვდა და ახლა მეორედ თხოვდება. ასე არ შეიძლება, სხვასაც ხომ უნდა გათხოვება?! სხვასაც ხომ უნდა აცადო?! ეგოისტია...“ — კი არ ფიქრობს, ჩივის მაია.

ერთხელ ნათიამ თქვა: შვილი რომ გაჟაჩინე, პირველი სამი წელი ჭკუაზე არ ვიყავი, არავინ და არაფერი მაინტერესებდა შვილის გარდა. ძალიან მაგარი და დიდი აზრი მიეცა ცხოვრებას, მაგრამ სამი წლის შემდეგ — ფა-ფუ ეს ძალიან მაგარი და ძალიან დიდი აზრი! სამი წლის შემდეგ ისევ მარტო დავრჩი, სულ მარტო. ვიჯექი და ვხედავდი: შვილი თავისთვის თამაშობდა, ქმარი ტელევიზორს იყო მიშტერებული. ვიჯექი და ვხედავდი შვილს და ქმარს და მარტო ვიყავი, სულ მარტო.

მაშინ მაიასთან იყვნენ სახლში. მოკუნტულ ნათიას მაიას კალთაში ედო თავი და ტიროდა. მაია თავზე ეფერებოდა და აწყნარებდა: ყველაფერი გამოსწორდება, ყველაფერი კარგად იქნება. აი, ასეთი მოკუნტული, ატირებული ნათია უყვარს მაიას და არა — ბედნიერი, წელში გამართული, გაღიმებული. „მეც რომ მყავდეს შვილი...“ — ფიქრობს კი არა, შვილზე

ოცნებობს მაია: „კარგი იქნებოდა. უნდა წავიდე აქედან, მეზიზღება ეს დებილური ქვეყანა, დებილი არ ვარ და აქ არაფერი გამომივა. უნდა წავიდე. ჰოპა-ჰოპა-ჰოპა, ამერიკა, ევროპა, აზია... სად?“

ნათია და ალექსი გვერდიგვერდ დგანან, ალექსის ხელებში ნათიას მარჯვენა ხელი აქვს მოქცეული, მსუბუქი მარჯვენა აქვს ნათიას. ალექსი ნათიას თვალებში უყურებს და თავის ყოფილ საცოლეს ადარებს. ალექსიმ იცის, რომ კარგად არ იქცევა. ალექსიმ იცის, რომ დღეს მხოლოდ და მხოლოდ ნათიაზე უნდა იფიქროს, იცის, მაგრამ არ გამოსდის. ალექსი ნათიას თვალებს ყოფილი საცოლის თვალებს ადარებს, ნათიას უფრო ჭკვიანური მზერა აქვს, მაგრამ თვალის ჭრილი ყოფილ საცოლეს უფრო ლამაზი აქვს. „ალბათ ისეთივეა, ჰო, ალბათ, ისეთივეა“, — ფიქრობს ალექსი. ალექსი ნათიას მარჯვენას ყოფილი საცოლის მარჯვენას ადარებს — ნათიას მსუბუქი მარჯვენა აქვს, მაგრამ ყოფილ საცოლეს უფრო მსუბუქი ქონდა. ეს არ არის მონატრება ყოფილი საცოლის მარჯვენის, ეს ფაქტია. ალექსი ყოფილ საცოლეს ხანდახან დისტროფიკს ეძახდა, რა თქმა უნდა, ხუმრობით და, რა თქმა უნდა, მოფერებით, შეყვარებულები ხომ მრავალფეროვნად ეფერებიან ერთმანეთს. სინამდვილეში ყოფილი საცოლე ჩვეულებრივად გამხდარი იყო...

ხდება ხოლმე: ადამიანი წყლიდან ამოყვინთავს, თავს აქეთ-იქით გაიქნევს, წყლის წვეთებს მოიცილებს და ცოტა ხნით ივიწყებს, რომ ყელამდე წყალშია. ასეთ დღეშია ახლა ალექსი, თავს აქეთ-იქით იქნევს, ყოფილ საცოლეზე ფიქრებს წყლის წვეთებივით იცილებს და რამდენიმე ხნით ავიწყდება, რომ ყელამდე იქ არის, საკუთარ წარსულში, ყოფილ საცოლესთან.

ნათიას ალექსის თავის ქნევა აშინებს:

— ცუდად ხომ არ ხარ, საყვარელო?

ალექსი ნათიას შუბლზე ღიმილით კოცნის:

— ბედნიერი ვარ. ყველაფერი თავიდან იწყება...

ნათია საყვარლად ახამხამებს თვალებს, ალექსი ნათიას თვალებში კოცნის.

— თვალებში კოცნა არ შეიძლება, დავშორდებით.

— ეგ ვინ თქვა, ადგილობრივი ფოლკლორია თუ კონკრეტული ავტორი არსებობს? — ღიმილით ეკითხება ალექსი.

— ზუსტად არ ვიცი, მგონი, უფრო ფოლკლორია, — ნათია ალექსის მხარზე ადებს თავს და ჩურჩულებს, — მეც ბედნიერი ვარ. ყველაფერი თავიდან იწყება და ბედნიერი ვარ.

ნათია უკან იხედება და საკუთარ გულშემატკივრებს და სტუმრებს ხედავს, ყველა უყვარს და ყველას უყვარს, ყოველ შემთხვევაში, ახლა, ამ წამს ასე ფიქრობს ნათია: „ყველა მიყვარს, ყველას ვუყვარვარ. ნეტავ, როგორ ჩაივლის ქორწილი? ნეტავ, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს, კაცებმა ბევრი არ დალიონ, არ დათვრნენ, არ გადათვრნენ და შუა ქორწილში ჩხუბი არ ატეხონ. აი, ასე მშვიდობიანად იჩურჩულონ სულ“.

ეკლესიაში მამა დავითი შემოდის და ჩურჩული წყდება. „გაისუსნენ“. — ფიქრობს მამა დავითი. არ მოსწონს, მის დანახვაზე რომ ისუსებიან. მამა დავითი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის მსახურია, ამათ კი თავად მამა დავითი გონიათ ღმერთი. მამა დავითი პირჯვარს ისახავს: „ღმერთო, დამიცავი ყოველგვარი ამპარტავნებისაგან“. ნერწყვს ყლაპავს, ჯვარდასაწერ წყვილთან მიდის და სთხოვს:

— სახელები შემახსენეთ.

— მე ვარ ნათია, ეს არის ალექსი, — ამბობს ნათია და ფიქრობს: „მე ვარ და ეს არის ზედმეტი იყო. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რაებზე ფიქრით ვიფუჭებ ხასიათს, ბედნიერი უნდა ვიყო!“ ნათია იღიმება და ალექსის ადებს მხარზე თავს, ალექსი თავს თავზე ადებს ნათიას და ასე ელიან ჯვრისწერის დაწყებას.

ნათიას ვიდეოკამერიანი ნათესავი ამ მოლოდინს აღფრთოვანებული იღებს:

— ძალიან ლამაზები ხართ! ძალიან უხდებით ერთმანეთს.

მამა დავითი ზურგით დგას და ყველაფერი ესმის: „ახლა მოეტრიალდები, შეეხედავ და გაისუსება“. მამა დავითი ტრიალდება. ვიდეოკამერიანი ისუსება, მამა დავითი იღიმება, გულში ჯვარდასაწერთა სახელებს იმეორებს და ჯვრისწერას იწყებს:

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა...

რამდენიმე ხნის შემდეგ ისმის ალექსის ხმა: თანახმა ვარ... შემდეგ ისმის ნათიას ხმა: თანახმა ვარ.

ნათია გაკვირვებულია, ეგონა, რომ „თანახმა ვარ“-ის შემდეგ რაღაც ძალიან განსაკუთრებულს იგრძნობდა, რაღაც ძალიან ამაღლებულს (ზუსტ სიტყვას ეძებს)... ნუ, განსაკუთრებულად ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ ნათია ზუსტად ისევეა ბედნიერი, როგორც „თანახმა ვარ“-ის თქმამდე. „განსაკუთრებული ბედნიერება, ალბათ, არ არსებობს. ეს, ალბათ, ცუდია“, — ფიქრობს ნათია.

მეორე კუდი

მაია უდაბნოში დგას და ხედავს: ჯვარდაწერილი ნათია და ალექსი ეკლესიიდან გამოდიან. ნათიას მარჯვენა ხელით ალექსის ხელი უჭირავს, მარცხენით — საქორწინო კაბის კალთა. მაია უნებურად საკუთარი კაბის კალთას ითრევს. ხვდება, რომ სისულელეს აკეთებს და კაბის კალთას ხელს უშვებს. რადგან ჩვენი ზრახვები მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს აინტერესებს, ხოლო ჩვენ, ადამიანები, ერთმანეთს სიტყვებით და საქმეებით ვაფასებთ, ჩვენ ერთმანეთის ზრახვები არ ვიცით და ამიტომ ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაია კი ერთ-ერთი ჩვენგანია; ის ეკლესიიდან გამოსულ ნათიას ხელს უქნევს, ჰაეროვან კოცნას უგზავნის, უღიმის და ეუბნება:

— ძალიან ლამაზი ხარ, ძალიან მიყვარხარ.

ნათიაც ჰაეროვან კოცნას უბრუნებს მაიას. ნათია და ალექსი ავტომობილში სხდებიან.

მაიას წინ მისი და ნათიას საერთო, ძველისძველი ნაცნობი დგას. მაიას, დიდი ხანია, არ უნახავს ის და ზუსტად ვერ იხსენებს, რა ქვია: შეიძლება ხათუნა, შეიძლება — შორენა... რა მნიშვნელობა აქვს.

ძველისძველი ნაცნობი მაიას ეკითხება:

— ის იდიოტი სად არის?

მაია ვერ ხვდება:

— ვინ იდიოტი?

ძველისძველი ნაცნობი აკონკრეტებს:

— ვინ და ლევანიკო.

— არ ვიცი.

შემდეგ, მთელი დღე — ქორწილში, გზაზე, საწოლში ამაზე ფიქრობს: „სად არის ლევანიკო?"

26

(ნიუ-იორკში)

თვალებით ჭამენ...

ვიქტორია ბედნიერია და ამას ყველანაირად გამოხატავს, გამოხატავს სიტყვებით: ბედნიერი ვარ! გამოხატავს ქცევებით: ბავშვივით დახტის, ტაშს უკრავს, ცათამბჯენების სართულებს ითვლის, უფრო სწორად, ცდილობს, დათვალოს: ერთი, ორი, სამი, ოთხი... ორმოცზე იჭედება, ორმოცზე ერევა. ლევანიკო ავტომობილში ზის, ვიქტორიას უყურებს და იღიმება. ლევანიკოს მეტი საქმე არა აქვს, ცათამბჯენების სართულები ითვალოს: „ვიქტორია გოგოა, სულელია და ეპატიება. მე კაცი ვარ, თან სერიოზული კაცი, სერიოზული საქმეები მაქვს საკეთებელი". ზოგიერთი უკვე მოაგვარა: ჯერ მოძებნა სახლი და დაიქირავა (ვიქტორიას სახლი მოეწონა), შემდეგ ავტომობილი იყიდა; გაგებული ჰქონდა, ამერიკაში ნახმარი ავტომობილები გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე საქართველოშიო. ლევანიკო დარწმუნდა კიდეც ამაში — ავტო-

მობილი თითქმის აჩუქეს (ვიქტორიას ავტომობილიც მოეწონა). ახლა ლევანიკო ავტომობილში ზის, სიგარეტს ეწევა და გაღიმებული ვიქტორიას უყურებს. ბედნიერია ლევანიკო — ყავს ვიქტორია და ავტომობილი და აქვს სახლი. ლევანიკო ვიქტორიას უსიგნალებს, ანიშნებს, რომ თამაში დასრულდა და წასვლის დროა.

— ცოტაც მაცადე რა, სულ ცოტა, — და ვიქტორია კვლავ ცათამბჯენს უყურებს და ხმამაღლა იწყებს სართულების თვლას. ათის შემდეგ ჩუმდება და თვლას გულში განაგრძობს. კვლავ ორმოცზე იჭედება, კვლავ ორმოცზე ერევა, ვიქტორია მსუბუქად წუხს:

— აუ, არ გამომდის, ცუდია...

ვიქტორია ტრიალდება, მანქანისკენ მიდის, ჯდება და ლევანიკოს მხარზე კოცნის:

— ძალიან ბედნიერი ვარ! მიყვარხარ!

— მეც ბედნიერი ვარ! მეც მიყვარხარ! — ლევანიკო თვალს უკრავს ვიქტორიას.

მიდიან. გზები გადაჭედილია, ამიტომ ნელა მიდიან, ლევანიკო წუხს და ძალიან ხშირად ასიგნალებს, ხან გრძლად, ხან მოკლედ და მწარე-მწარედ იგინება. ვიქტორიას ლევანიკოს მწარე-მწარე გინებებზე ეცინება:

— ჩემი ბრაზიანი ლევანიკო, — და კვლავ მხარზე კოცნის.

გაიელის დრო და ლევანიკო ყველაფერს შეეჩვევა: გადაჭედილ გზებს, ღოღვას („იღოღე ჩქარა" — გახდება ლევანიკოს დევიზი), ვიქტორიას კოცნას. ყველაფერი ეს თანდათან მოხდება, ჯერჯერობით კი ლევანიკო ასიგნალებს და მწარედ იგინება.

სულ სხვა მდგომარეობაა სახლში. სახლი ძალიან დიდი არ არის; ვიქტორიას აზრით, შიგ ცხენი ვერ გაჭენდება (ეს იდიომი ვიქტორიას დედისგან აქვს გაგონილი. ვიქტორიას დედა ენატრება და დედის მსგავსად ლაპარაკობს), მაგრამ ნორმალური სახლია, ოროთახიანი. აქაურ ოროთახიანს კი

ყველაფერი ორი აქვს: ტუალეტი, აბაზანა, საძინებელი, სამზარეულოს გარდა. სახლში ხალვათობაა: დგას ერთი დიდი საწოლი, ერთი გარდერობი, ერთი ტუმბო, ტუმბოზე — ტელევიზორი. ტელევიზორში, ძირითადად, სისულელეებს აჩვენებენ, სისულელეები უხარიათ, სისულელეებზე ტირიან, გამოსათიშია ტელევიზორი, მაგრამ არავინ თიშავს. ლევანიკო და ვიქტორია სულელებივით მისჩერებიან ეკრანს, ლევანიკო და ვიქტორია ადამიანები არიან, ადამიანებს გვიყვარს სხვა ადამიანების თვალთვალი, ტელევიზორი კი ამის საშუალებას იძლევა. თუმცა ადამიანების უპირველესი მოთხოვნილება მაინც ჭამაა, ამიტომ ლევანიკოს და ვიქტორიას სახლში საშზარეულო გულდასმით არის მოწყობილი: მაცივარი, ელექტროქურა, ჭურჭელი, დიდი, მრგვალი მაგიდა, სკამები. ყველაფერი ვიქტორიას გემოვნებით არის გაკეთებული. ნორმალური გემოვნება აქვს ვიქტორიას, მოსწონს სადა დიზაინი და არამყვირალა ფერები...

დავბრუნდეთ საძინებელში. დიდ საწოლზე დიდი ამბები ხდება, ძირითადად, ღამით, მაგრამ ვიქტორია ქალია და კრიტიკული დღეებიც აქვს. ასეთ დღეებში ლევანიკო და ვიქტორია უბრალოდ წვანან და საუბრობენ. ძირითადად ვიქტორია ლაპარაკობს. დღეს ვიქტორიას კრიტიკული დღე აქვს, ის და ლევანიკო უბრალოდ წვანან და საუბრობენ, ძირითადად ვიქტორია ლაპარაკობს:

— გინდა გითხრა, პირველად რომ გნახე, ვინ მეგონე?

— მინდა.

ვიქტორია ლევანიკოს მუცელზე ნაზად უტყაპუნებს ხელს და ამბობს:

— ვინ მეგონე და... არა, არ გეტყვი. გეწყინება.

— თუ მეწყინება, არ მითხრა, — ლევანიკო თვალებს ხუჭავს და ფიქრობს: „ვინ ვეგონე? რა ვეგონე? რა აზრი აქვს ახლა ამ ყველაფერს? მთავარი ის არის, ახლა ვინ ვგონივარ!“ — თვალებს ახელს და ვიქტორიას ეკითხება:

— ეხლა ვინ გგონიარ?

ვიქტორია ლევანიკოს მუცელზე კოცნის და ამბობს:

— ახლა მიყვარხარ, — მერე ისევ მუცელზე კოცნის და იმეორებს, — მიყვარხარ.

ლევანიკო ისევ თვალებს ხუჭავს და ფიქრობს, ოღონდ სულ სხვა, ზოგად საკითხზე: „ადამიანები ერთმანეთს არ ვიცნობთ, ადამიანებს ერთმანეთი გვგონია. ცოდნა სიმშვიდეა, მაგრამ ჩვენ ცოდნა არ გვაქვს და ამიტომაა, რომ მშვიდად ვერ ვართ. ცუდია... ეს მუცელზე კოცნები მომწონს". ლევანიკოს ვიქტორიას ხმა ესმის და თვალებს ახელს. ვიქტორია ამბობს:

— გინდა გითხრა, რა გამახსენდა?

— თუ არ მეწყინება, მითხარი.

— არ გეწყინება, — და ვიქტორია ამბობს რაც გაახსენდა, — თბილისში პირველად რომ ამიყვანე შენს სახლში.

— კი არ აგიყვანე, ამოხვედი.

— არა, ამიყვანე. ძალიან, ძალიან ვნერვიულობდი, ქალიშვილი ვიყავი და მეგონა, რომ პირდაპირ დამეტაკებოდი. ძალიან, ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ შენ პირდაპირ არ დამეტაკე, მითხარი, ყავა დავლიოთო; მე თავი დაგიქნიე და ღრმად ამოვისუნთქე.

თვალღია ლევანიკო ფიქრობს: „ახლა გაიხსენებს, როგორ დაკარგა ქალიშვილობა". სწორად ფიქრობს ლევანიკო, ვიქტორია იხსენებს:

— მე ქალიშვილი ვიყავი, მაგრამ აღარ მინდოდა ქალიშვილობა, სულ ვეჩხუბებოდი, ვეჩხუბებოდი საკუთარ თავს პირველ პირში: რატომ ვარ ქალიშვილი, რა-ტომ? მეორე პირში: რატომ ხარ ქალიშვილი? რა-ტომ?.. რა დებილი ვიყავი, არა?

— ჰო, — ეცინება ლევანიკოს.

— ჩემი ლაპარაკით ხომ არ გაწუხებ?

— არა.

რადგან არა, ვიქტორია ლაპარაკობს:

— მერე ის დღეც დადგა. შენთან სახლში ავედით. მომეწო-

ნა შენი სახლი და უკვე შინაურულად ვგრძნობდი თავს. აი, ახლაც, რომ ვიხსენებ შენს სახლს და იმ დღეს, ვთბები. არ ველოდი, რომ პირდაპირ დამეტაკებოდი და მშვიდად ვიყავი, არ ვნერვიულობდი, მოშვებული ვიყავი.

ლევანიკო ამთქნარებს, პირი გახევაზე აქვს.

— გეძინება? გავჩუმდე?

ლევანიკოს ეძინება; უნდა, რომ ვიქტორია გაჩუმდეს, მაგრამ ყოველთვის ხომ არ ვამბობთ იმას, რაც გვინდა?!

— არა, ილაპარაკე.

და ვიქტორიაც ლაპარაკობს:

— შენ მოულოდნელად დამეტაკე, მე მინდოდა და არ მინდა-მეთქი, ვკიოდი. მერე ვიწექით ერთად და ვფიქრობდი: „ქალიშვილი აღარ ვარ, ქალიშვილი აღარ ვარ, რა კარგია... ლევანიკო მყავს, რა კარგია“.

ლევანიკოს ძილი ერევა. ვიქტორია ლევანიკოს ცხვირზე კოცნის, დგება და აივანზე გადის. აივანზე მდგომი ვიქტორია ათას ფერს ხედავს, ბრწყინავს ყველაფერი. „სამოთხეში ვარ. სამოთხეში არსებობს დღე და არსებობს ღამე, დგას შენობები, ანათებს მზე, მთვარე, ქრის ქარი, წვიმს. ხან ისე, ხან ასე. სამოთხეში ცხოვრობენ ადამიანები, ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი. ამდენი ადამიანი არ მინახავს ერთად აქამდე. სამოთხეში ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე და, რაც ყველაზე უცნაურია, ღმერთი სამოთხიდანაც არ ჩანს. სამოთხეში ვარ“, — ფიქრობს ვიქტორია, სახლში ბრუნდება, წვება და იძინებს. ადამიანებს სამოთხეშიც ძინავთ, ძინავს ვიქტორიას, ძინავს ლევანიკოს. „ნაზია ღამე“. დროდადრო ორივე ლაპარაკობს ძილში. მშვიდი სახეები აქვთ, ეტყობა, ორივე კარგ სიზმარს ხედავს.

„გაღვიძება სამოთხეშიც უსიამოვნოა“, — ფიქრობს ახლად გაღვიძებული ვიქტორია, თვალებს იფშვნეტს, ამთქნარებს, თავს სწევს, მერე ისევ ბალიშზე დებს, თვალებს ხუჭავს და ძილს იბრუნებს. რამდენიმე საათის შემდეგ ისევ იღვიძებს

და ეს გაღვიძება ნაკლებად უსიამოვნოა, რადგან ვიქტორია კარგად გამოძინებულია. კვლავ თვალებს იფშვნეტს, კვლავ ამთქნარებს. მარტოა საწოლში: „საქმეებზე წავიდა, ალბათ, ძალიან საქმიანი ბიჭია ლევანიკო, მიყვარს“. ვიქტორია მზეს ხედავს (მზე ფანჯრის მიღმაა) და მოულოდნელად ხმები ესმის სამზარეულოდან.

ვიქტორია შეშინებული კითხულობს:

— შენ ხარ, ლევანიკო, ჩემო მზეო?

პასუხი არ არის სამზარეულოდან.

ვიქტორია შეშინებული კითხულობს:

— შენ ხარ, ლევანიკო, ჩემო მზეო?

პასუხი სამზარეულოდან:

— ჰო, მე ვარ, აბა, ვინ იქნება...

ვიქტორია გრძნობს, რომ შიში გაუქრა:

— მე საქმეზე მეგონე წასული და ხმები რომ გავიგონე, კინაღამ გული გამისკდა.

ვიქტორია სამზარეულოში გადის. ლევანიკო ჩაის სვამს. ვიქტორია ლევანიკოს პირისპირ ჯდება და უღიმის.

— ჩაი თუ გინდა, წყალი მადუღარაშია.

— არ მინდა.

ლევანიკო ჩაის სმას აგრძელებს. ვიქტორიას სკოლაში ასწავლიდნენ, რომ ადამიანი ყველაზე ლამაზი შრომის დროსაა, „ჩაის სმის დროსაც ლამაზია ადამიანი, თუ ეს ადამიანი გიყვარს. ისე, ერთხელ შრომის დროსაც უნდა დავაკვირდე“, — ფიქრობს ვიქტორია. ამასობაში ლევანიკო ჩაის სმას ამთავრებს, დგება, ჭურჭელს წყალს უდგამს, წყალს ხელებს უშვერს, ერთხანს ასეა, შემდეგ ჭურჭელს რეცხავს (ჭურჭლის რეცხვას ლევანიკო ნათიას წასვლის შემდეგ შეეჩვია), მერე ონკანს კეტავს და ხელებს ტილოზე იმშრალებს.

ვიქტორია ლევანიკოს წელზე ხელებს ხვევს და ეხუტება:

— იცი, რა გამახსენდა? აი, თვითმფრინავის ბილეთები

რომ მოიტანე, ძალიან, ძალიან გამიხარდა, შენ ორი ბილეთი გეჭირა და მე ვფიქრობდი, რომ ეს ორი ბილეთი ორი ფრთა იყო.

ლევანიკო შუბლზე კოცნის ვიქტორიას და ფიქრობს: „რა ტუტუცი გოგოა“.

ვიქტორიამ არ იცის, რომ ლევანიკოს აზრით (თუნდაც სიყვარულით), ტუტუცი გოგოა, და ამბობს:

— გუშინ მივხვდი, რომ სამოთხეში ვართ.

— რომელ სამოთხეში? გარდაცვალების შემდეგ რომ ხვდებიან ადამიანები თუ მიწიერ სამოთხეში?

— ლევანიკო, სამოთხე ერთია.

— სამოთხე საბოლოო ცრდნაა, სამოთხე ყველაფრის გარკვევის შემდეგაა, მაგრამ ჩვენთვის — ჩემთვის და შენთვის, ბევრი რამაა გასარკვევი და ამიტომ ჩვენთვის არ არის სამოთხე, ჯოჯოხეთი, სიკვდილი, ჩვენთვის სამოთხეები, ჯოჯოხეთები, სიკვდილებია. ერთადერთი, რაც ერთადერთია (მაგარი წინადადებაა, არა?), არის სიცოცხლე.

ვიქტორია ტირის.

— რა გატირებს? — ეკითხება ლევანიკო.

— რატომ არის ყველაფერი ასე რთულად, ლევანიკო? რაღაცებს მეუბნები და ვიბნევი; ხომ შეიძლება უბრალოდ მითხრა, რომ სამოთხეში ვართ.

— კაი, გეუბნები: სამოთხეში ვართ! — და ლევანიკო ვიქტორიას ეთამაშება, — სამოთხეში ყველაფრის კეთება შეიძლება?

— დედას ვფიცავარ, ერთად თუ არ ვიწვებით, არ მინდა სამოთხეში, — ცრემლს იწმენდს ვიქტორია.

ლევანიკო იცინის, გრძნობს, რომ უყვარს ეს ტუტუცი გოგო და თამაშს განაგრძობს:

— უნდა გავიგოთ, რა არ შეიძლება ჩვენ სამოთხეში.

— ვისგან გავიგოთ, ლევანიკო?

ლევანიკოს პასუხი ძალიან მარტივია:

— პირველივე შემხვედრს ვკითხოთ, საღამოს სასეირნოდ რომ წავალთ.

— როგორ ვკითხოთ, ლევანიკო?

ლევანიკოს პასუხი ისევ ძალიან მარტივია:

— ადამს და ევას არ შეეძლოთ ერთ-ერთი ხის ნაყოფის ჭამა. ჩვენ კი, რადგან ადამისა და ევას მსგავსად, სამოთხეში ვართ და არ გვინდა, რაც მათ დაემართათ, ის დაგვემართოს, პირველივე შემხვედრს ვკითხავთ, რისი ჭამა არ შეიძლება აქ?

— ოღონდ, შენ კითხავ.

— კარგი, მე ვკითხავ. საქმეზე გავალ და მოვალ, მანამდე შენ გაემზადე.

— კარგი, — და ვიქტორია თავისთვისაც მოულოდნელად ამბობს, — იცი, მგონია, რომ ყველაფერი თავიდან იწყება.

— მეც მგონია, რომ ყველაფერი თავიდან იწყება, — ლევანიკო შუბლზე კოცნის ვიქტორიას და სამზარეულოდან გადის. მარტო დარჩენილ ვიქტორიას კარის გაღება-ჩაკეტვის ხმა ესმის, ფიქრობს, რომ ბედნიერია და აბაზანაში შედის.

საღამოს ლევანიკო და ვიქტორია სასეირნოდ გამოდიან. პირველი შემხვედრი ანგოლელი ლტოლვილია. მან ინგლისური ძალიან ცუდად იცის, ამიტომ ლევანიკოს შეკითხვას „რისი ჭამა არ შეიძლება აქ?“ ვერ იგებს, რატომღაც გონია, რომ აქაურობის ხალხურ მეტსახელს ეკითხებიან (შეიძლება ამის მიზეზი ისაა, რომ ამ ხალხურ მეტსახელს სწორად გამოთქვამს) და ამბობს:

— Big Apple.

ლევანიკო თარგმნის: — დიდი ვაშლი.

ვიქტორია დაბნეულია: — მერე, სად არის ის დიდი ვაშლი?

ლევანიკომ არ იცის. აქეთ-იქით იყურებიან, დიდ ვაშლს ეძებენ, მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან, თვალებით ეძებენ...

მესამე კუდი

სამი კვირის შემდეგ ლევანიკოს და ვიქტორიას მდგომარეობა იცვლება. ისინი იძულებული არიან, საცხოვრებელი შეიცვალონ. მიზეზი მარტივია: ვიქტორიას ონკანი დარჩა ღია და ქვედა მეზობელი ჩარეცხა, სახლის პატრონმა თქვა, რომ ასეთი უყურადღებო მდგმურები არ ჭირდება და ლევანიკოს და ვიქტორიას ერთკვირიანი ვადა მისცა ასაბარგებლად და გადასაბარგებლად. სახლის პატრონი მოხუცი ქალია, რომელსაც მუდამ ჭრელი ხალათი აცვია და პირში სიგარეტი აქვს გაჩრილი. ლევანიკო და ვიქტორია იბარგებიან, თან ახალ საცხოვრებელს ეძებენ, ეცნობიან განცხადებებს პრესასა და ქუჩებში. ბოლოს ვიქტორია სასურველ განცხადებას პოულობს და წითელ ფანქარს აკლებს, განცხადებას ლევანიკოს აკითხებს და ლევანიკო და ვიქტორია განმცხადებელს ხვდებიან. განმცხადებელი საყვარელი, ღიპიანი კაცუნაა. ეტყობა, ჭამა უყვარს. ღიპიანი კაცუნა ლევანიკოს და ვიქტორიას სახლს უჩვენებს. ნორმალური სახლია. ღიპიანი კაცუნა და ლევანიკო ფასზე თანხმდებიან. ორივე კმაყოფილია და ზოგადი საუბარი იწყება.

ღიპიანი კაცუნა ლევანიკოს ეკითხება:

— თქვენ საიდან ხართ?

ლევანიკოს მუდამ ახსოვს, რომ ის და ვიქტორია აქ არალეგალურად ცხოვრობენ. აკვიატებული აქვს, რომ ამ შეკითხვაზე მართალი პასუხის გაცემისთანავე მას და ვიქტორიას შეიპყრობენ ჯერჯერობით უჩინარი მაძებრები და აქედან გაყრიან. ამიტომ ლევანიკო ღიპიან კაცუნას ატყუებს:

— მილანიდან.

ჯერ ერთი, ლევანიკო კვალს ურევს ჯერჯერობით უჩინარ მაძებრებს და, მეორეც (ძალიან სამწუხარო რამ), ქალაქი მილანი გაცილებით სოლიდურად და საიმედოდ ჟღერს, ვიდრე სრულიად საქართველო. საქართველო გაკოტრებული მილიონერივითაა — ყველა წარსულში სცემს პატივს. მაგრამ საქართველოს თავად ღიპიანი კაცუნა ახსენებს:

— ისე, უცნაური სახლია, სულ ორჯერ მქონდა გაქირავებული და აქედან ორივე მდგმური საქართველოში გაემგზავრა. საქართველო პატარა ქვეყანაა ყოფილ საბჭოთა კავშირში, პირველი მდგმური ქართველი იყო და აქ რომ უბედურება მოხდა თერთმეტ სექტემბერს, აიბარგა და სამშობლოში დაბრუნდა; მეორე ქალი იყო, უფრო სწორად, გოგო, ადგილობრივი. საქართველოში ერთ-ერთი ბანკის ფილიალი ჩააბარეს და წავიდა. სევდიანი გოგო იყო. მოკლედ, ამ სახლიდან შეიძლება საქართველოში მოხვდეთ, — ღიპიანი კაცი ღიმილით უწვდის გასაღებს ლევანიკოს.

...ექვსი თვის შემდეგ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ფოიეში ლევანიკო და ვიქტორია გვერდიგვერდ იდგებიან, ნამგზავრები, დაღლილები და ერთმანეთისადმი გაცივებულები, მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა...

ლევანიკო ღიპიან კაცუნას გასაღებს ართმევს. ვიქტორია ფანჯარასთან დგას. ლევანიკო და ღიპიანი კაცუნა ვიქტორიასთან და ფანჯარასთან მიდიან, ფანჯრის მიღმა ცაა, ცაში თვითმფრინავი მიფრინავს. ღიპიანი კაცუნა ამბობს:

— შეიძლება ამ თვითმფრინავში მილინდა ზის, მეორე მდგმური. შეიძლება, არც ზის. სევდიანი გოგო იყო.

27

მილინდა ტაქსიში ზის. ტაქსის მძღოლი აღმოსავლელი ემიგრანტია, მაგრამ მშვენივრად საუბრობს ინგლისურად. თავად ამბობს, რომ სამშობლოში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორი იყო. კითხულობდა ლექციებს და იყო მშვიდად, მაგრამ შემდეგ დაიწყო სამოქალაქო ომი და ის იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა.

— მე სროლაც კი არ ვიცი, — ამბობს ტაქსის მძღოლი, — ბრძოლის ტაქტიკაზე აღარაფერს ვამბობ.

მილინდას ყველაფრის სჯერა. სჯერა, რომ ეს კაცი, ახ-

ლა საჭეს რომ ატრიალებს, ოდესღაც საშშობლოში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორი იყო; სჯერა, რომ ეს კაცი ლექციებს კითხულობდა და მშვიდად იყო; სჯერა, რომ შემდეგ სამოქალაქო ომი დაიწყო და ის იძულებული გახდა, საშშობლო დაეტოვებინა, რადგან მან სროლაც კი არ იცის, ბრძოლის ტაქტიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. „მაგრამ ჩემი დაჯერებით რა?“ — მილინდა წუხს, რომ მისი დაჯერება არაფერს ნიშნავს. ოდნავ წუხს, მსუბუქად წუხს და აქეთ-იქით იხედება. ქუჩები გადაჭედილია ანტიტერორისტული პლაკატებით. მილინდამ იცის, რომ ანტიტერორისტების უკან, ისევე, როგორც ტერორისტების უკან, დგანან მონოპოლისტები, ხოლო მონოპოლისტების უკან დგას ეშმაკი და ყველანი — ტერორისტებიც და ანტიტერორისტებიც, ეშმაკის კერძები არიან.

— მეც, — დუდღუნებს ანტიტერორისტი მილინდა და პლაკატების შინაარსს ეცნობა, — ერთი და იგივე, ერთი და იგივე, — მილინდა უკმაყოფილოა პლაკატების ერთი და იმავე შინაარსით. „მაგრამ ჩემი უკმაყოფილებით რა?“ — ფიქრობს მილინდა და წუხს, ოდნავ უფრო მეტად, ოდნავ უფრო სერიოზულად, ვიდრე პირველად. მილინდა თვალებს ხუჭავს და პირობას დებს საკუთარ თავთან, რომ აეროპორტში მისვლამდე თვალებს არ გაახელს, და არის მილინდა ასე თვალებდახუჭული კიდევ ნახევარ საათს. მძღოლს გონია, რომ მგზავრს ჩაეძინა, ცდილობს, წყნარად ატაროს მანქანა, ესე იგი, რაც შეიძლება, ნაკლებად ასიგნალოს, მაგრამ ძნელია ამ ქალაქში სიგნალების გარეშე გზის გაკვლევა. ტაქსის მძღოლს მშობლიური ქალაქის ვიწრო, წყნარი ქუჩები ახსენდება. ტაქსის მძღოლი სენტიმენტალური კაცია და როგორც ნებისმიერ ჭეშმარიტ აღმოსავლელ მამაკაცს, საკუთარი ცრემლების არ რცხვენია.

აეროპორტში მილინდა რეგისტრაციას გადის, ტრაპზე ადის, სტიუარდესას ესალმება, თვითმფრინავის სალონში შედის და საკუთარი ადგილის ძებნას იწყებს. მგზავრები კან-

ტიკუნტად სხედან. „ეტყობა, ჯერ ადრეა“, — ფიქრობს მილინდა და მიუყვება საკარძლების რიგს. მგზავრებს ყურადღებას არ აქცევს და ეს მისი შეცდომაა.

— მილინდა, — საკუთარი სახელი ესმის, თავს აბრუნებს და ბიჭს ხედავს, გული ბიჭის სახელს კარნახობს: თომასი.

თაზო ოდნავ წამოწეულია, იღიმება და ხელით უხმობს მილინდას. მილინდა თაზოსთან მიდის.

— დაჯექი, — სთხოვს თაზო.

მილინდა სისულელეს ამბობს, ალბათ, დაბნეულობისგან:

— ვერ დავჯდები, ეს ჩემი ადგილი არ არის.

თაზო იცინის, მილინდასაც ეცინება.

მილინდა ფიქრობს: „რა უცნაურია ცხოვრება, თვითმფრინავში თომასი ამდენი ხნის შემდეგ, ამდენი ფიქრის შემდეგ და რაღაც სისულელეებს ვამბობ და გაშეშებული ვარ...“ მილინდას თომასის ხმა ესმის:

— დაჯექი, დაჯექი. ადგილის მფლობელი რომ გამოჩნდება, ვთხოვ და ბილეთებს გაცვლით. თუ ჩემ გვერდით ჯდომა არ გინდა?

„მცდის“, — ფიქრობს მილინდა. სისულელეა ცხოვრება, ხარ მარტო და წუხხარ, ფიქრობ, რომ ყველაფერს გააკეთებ, რომ მარტო არ დარჩე. და აი, შანსი არის, მაგრამ ფეხს ითრევ, იმიტომ, რომ არსებობს თავმოყვარეობა და ეს თავმოყვარეობა გკარნახობს, რომ არ დაჯდე, ეს თავმოყვარეობა გირჩევს: „კიდევ ახვეწნინე, კიდევ ახვეწნინე...“

— არ ჯდები?

მილინდა ჯდება და თავს კარგად გრძნობს. თავმოყვარეობა გაყუჩებულია.

— როგორ ხარ?

— კარგად. შენ?

— მეც კარგად, — ამბობს მილინდა და ფიქრობს: „არ ვატყუებ, მართლა კარგად ვარ“, — მომიყევი, როგორ ცხოვრობ, სად ცხოვრობ?

— ხან როგორ და ხან როგორ; ხან სად და ხან — სად. განსაკუთრებული არაფერი. ისე, ძირითადად, საქართველოში ვარ, შენ ჩემს სანახავად ხომ არ მოფრინავდი? — თაზო იღიმება და ხელს ხელზე უსვამს მილინდას, ეფერება.

— არა (გაყუჩებული თავმოყვარეობა ალაპარაკდა), სამსახური შემომთავაზეს და დავთანხმდი.

— აა, — თაზო კვლავ იღიმება, — დემოკრატიის მშენებლობაში უნდა დაგვეხმარო?

— არა, კერძო ბიზნესია, — და მილინდა ვერ ითმენს, — ცოლი გყავს?

— არა, — თაზოს მაკა ახსენდება, უფრო სწორად, მაკას აფეთქებული, დამწვარ-დაგლეჯილი სხეული, — არა, არ მყავს.

თაზო აფეთქების ადგილზე რომ მივიდა, ხალხი უკვე შეკრებილი იყო; წრე ქონდათ გვამების ირგვლივ შეკრული. თაზომ წრე გაარღვია. არსებობს წინათგრძნობა, არსებობს აკვიატება. ეს წინათგრძნობა იყო. შეკრებილი ხალხისკენ მიმავალმა თაზომ უკვე იცოდა, რომ მაკა აფეთქდა, რომ მაკა აღარ იყო. ამიტომაც თაზომ ხმისამოუღებლად გაარღვია ხალხის წრე და წინათგრძნობა აუხდა — აფეთქებული, დამწვარ-დაგლეჯილი მაკა მიწაზე ესვენა უცნობ მღვდელთან ერთად. მოშორებით აფეთქებული მანქანის ნარჩენები მოჩანდა. „ეტყობა, ვიღაცებმა გადმოასვენეს“, — გაიფიქრა თაზომ და მაკასთან ჩაცუცქდა. მაკას სისხლიანი, გაგლეჯილი ხელი თავის ხელებში მოაქცია და ატირდა. ხოლო შეკრებილი ხალხი მომხდარის გარჩევას შეუდგა: — რა თქმა უნდა, საქართველოს მტრებმა გააკეთეს ეს, მტრები კი ყველგან გვყავს: შინ და გარეთ. უფრო შინაური მტრების გაკეთებულია, რა თქმა უნდა, გარეთ მყოფი მტრების ბინძურ დაკვეთას ასრულებენ შიდა მტრები...

დიდხანს იყო თაზო მაკასთან ჩაცუცქული, დიდხანს ეჭირა მისი სისხლიანი, გაგლეჯილი ხელი. შემდეგ თაზო პოლიცი-

ამ დაკითხა. თაზომ თქვა ყველაფერი, რაც იცოდა, დაბრუნდა სახლში, ჩაალაგა ბარგი და თბილისში გაემგზავრა. ბანკში უკვე იცოდნენ, რაც მოხდა, თაზოს უსამძიმრებდნენ და თაზო სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. თაზომ ბანკის მმართველს განცხადება ჩააბარა: მე აქ მუშაობა აღარ შემიძლია.

ბანკში თაზოს გაუგეს და მისი განცხადება დააკმაყოფილეს. პირველი კვირა თაზო სახლიდან არ გასულა. იწვა და ჭერს იყო მიჩერებული. ცოტას ჭამდა. შემდეგ თაზო სახლიდან გავიდა, მივიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და გამომძიებელს კითხა:

— ვინ იყო მაკასთან ერთად დაღუპული მღვდელი?

გამომძიებელმა აუხსნა, რომ მაკასთან ერთად მღვდელი არ დაღუპულა, რომ ის იყო ცნობილი კრიმინალი, რომლის სახელსა და გვარსაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ ეტყოდა.

— სხვა რამის თქმა მე არ შემიძლია, — გამომძიებელმა თაზოს ხელი გაუწოდა და ასე ანიშნა, რომ საუბარი დამთავრებული იყო.

თაზომ დამოუკიდებელი გამოძიება დაიწყო. გაიკითხ-გამოიკითხა რაღაცები, გაიგო დაღუპული ფსევდომღვდლის სახელი, გაარკვია ისიც, რომ ფსევდომღვდელი დიდი ხნის განმავლობაში ნიუ-იორკში ცხოვრობდა. თაზო თავის ყოფილ სამსახურში მივიდა, ბინა დააგირავა და კრედიტი გამოიტანა. ვარლამმა (ის ადრე იყო შეფი, ახლა, უბრალოდ, ვარლამი გახდა) თაზოს უთხრა:

— მაგ ფულს, თუ გინდა, მე გასესხებ. ბინას ნუ დააგირავებ.

— გმადლობ, არ მინდა, — თაზომ გაიფიქრა: „არ არის ცუდი კაცი ვარლამი. გვერდით დადგომა იცის, მაკა მაგის ფულით დაკრძალეს“, — სხვა რამეში დამეხმარე.

— გისმენ.

— ამერიკის ვიზა მჭირდება, ძალიან სწრაფად.

— სამ დღეში შემოიარე.

თაზომ ვარლამთან სამ დღეში შეიარა.

— მზადაა, აუცილებელი ფორმალობებიღა დარჩა.

თაზომ აუცილებელი ფორმალობები გაიარა და ბილეთი უახლოეს რეისზე აიღო. თვითმფრინავში მჯდომი თაზო ფიქრობდა, რომ კარგი კაცი იყო ვარლამი.

ნიუ-იორკში ჩასულმა თაზომ ფსევდომღვდლის საცხოვრებელი მოინახულა. „რა მაგრად ცხოვრობენ ეს ბანდიტები", — გაიფიქრა, გამოელაპარაკა მეზობლებს, მის რამდენიმე მეგობარსაც. ფსევდომღვდელს ყველა დადებითად ახასიათებდა. ერთ-ერთმა მეგობარმა უთხრა:

— საქართველოდან დაურეკეს და წავიდა.

და, აი, ახლა თაზო საქართველოში ბრუნდება, რომ გაიგოს, ვინ დაურეკა საქართველოდან ფსევდომღვდელს. ყველაფერი ეს შეიძლება უთხრას მილინდას, მაგრამ რა საჭიროა, ტყუილად დაღლის და დაამწუხრებს.

თაზოსა და მილინდასთან ვიღაც მოდის და ჩერდება.

— დიდი ბოდიში, ეს ჩემი ადგილია, — მილინდას მიმართავს უცნობი. მილინდა უხერხულად გრძნობს თავს, ხან თაზოს უყურებს, ხან — უცნობს. შემდეგ წამოიწევა. წამოწეულ მილინდას თომასის ხმა ესმის. თომასი უცნობს მიმართავს:

— ერთი წუთით, თუ შეიძლება დაგელაპარაკოთ?

— გისმენთ.

თაზო დგება და თაზო და უცნობი მილინდასგან ოდნავ მოშორებით ჩუმად საუბრობენ. მილინდას არ ესმის მათი საუბარი, არადა უნდა, რომ ესმოდეს.

— ეს გოგო, — ამბობს თაზო, — ჩემი შეყვარებულია, ძალიან დიდი ხანია, არ შევხვედრივართ ერთმანეთს. თუ შეგიძლიათ, რომ ადგილი გაუცვალოთ?

— პრობლემა არ არის, — ელიმება უცნობს.

თაზო და უცნობი მილინდასთან ბრუნდებიან, უცნობი და მილინდა ბილეთებს ცვლიან და მილინდა გრძნობს, რომ

ბედნიერია: „მიყვარს თომასი, ვეტყვი, რომ მიყვარს“, მაგრამ თავმოყვარეობა კარნახობს: „არა, ჯერ იმან!“

თაზო ჯდება და ფიქრობს. ეცინება: „ჩემი შეყვარებული. არის, რატომაც არა? ოღონდ ჯერ ადრეა, ცოტა ხნის შემდეგ ვეტყვი, რომ მიყვარს“.

თვითმფრინავი თანდათან ოსება, სალონში ზუზუნია. მგზავრები ერთმანეთს ეცნობიან და ბედნიერ მგზავრობას უსურვებენ, თავ-თავიანთ ადგილებს იკავებენ. რამდენიმე წუთის შემდეგ სტიუარდესა მგზავრობის წესებს აცნობს მგზავრებს, უფრო სწორად, ახსენებს, რადგან თვითმფრინავის მგზავრებს შორის გამოუცდელი არავინაა, ყველანი რეგულარულად მგზავრობენ თვითმფრინავით, ესე იგი, დაფრინავენ. სტიუარდესა მგზავრებს თხოვს ღვედების შეკვრას, რადგან თვითმფრინავი აფრენას იწყებს. მერე სტიუარდესა კვლავ მადლობას უხდის მგზავრებს იმისთვის, რომ ისინი მათი კომპანიის სერვისით სარგებლობენ. თვითმფრინავი ცაში ადის.

— მშვიდობით ავფრინდით, — ამბობს თაზო, — კარგია.

— წინ გრძელი გზა გვაქვს, — ამბობს მილინდა.

ზოგადი საუბარი აქვთ. თაზომ იცის, რომ საჭიროა ერთი წინადადება, რომელიც ზოგადი თემებიდან მას და მილინდას პირად საკითხებზე გადაიყვანს და რადგან წინ გრძელი გზა აქვთ, თაზო არ ნერვიულობს, რომ ასეთი წინადადება ჯერ-ჯერობით მოფიქრებული არა აქვს: „თავისით მოვა, თავისით მომაფიქრდება“, — ფიქრობს თაზო.

— რატომ არ მკითხე? — ნაწყენ გოგოს თამაშობს მილინდა.

— რა არ გკითხე? — ვერ ხვდება თაზო.

— გავთხოვდი თუ არა.

თაზო ეშმაკია, პასუხი მზად აქვს:

— საქორწინო ბეჭედი არ გიკეთია და მივხვდი, რომ არ ხარ გათხოვილი. ჩემი დაკვირვებით, ამერიკელი, ავსტრალიელი და ევროპელი ქალები ყოველთვის ატარებენ საქორწინო

ბეჭედს, ქართველები — იშვიათად. აი, ჩაკალთ და ნახავ, რომ იშვიათად.

— დავაკვირდები, — პირობას დებს მილინდა.

მოულოდნელად ისეთი რამ ხდება, რომ თაზო მილინდას იხუტებს. ორნი იარაღით მფრინავების კაბინაში შედიან, ოთხნი, ასევე იარაღით, სალონში მყოფ მგზავრებს იყვანენ მძევლებად.

— ტერორისტები, — ყვირის ერთ-ერთი მგზავრი და ერთ-ერთი ტერორისტი მას პისტოლეტის ტარით აჩუმებს. ტერორისტებს ხელმძღვანელობს სწორედ ის უცნობი მამაკაცი, რომელსაც მილინდამ ბილეთი გაუცვალა. „მომკლავს. ალბათ, არ ესიამოვნა, ბილეთი რომ გავუცვალე. მომკლავს", — ფიქრობს, შიშობს თაზოზე მიხუტებული მილინდა.

ტერორისტების ხელმძღვანელი უცნობი მამაკაცი თაზოსა და მილინდასთან მიდის.

— ადექით!

ეს ბრძანებაა.

თაზო და მილინდა დგებიან. ტერორისტების ხელმძღვანელი უცნობი მამაკაცი ხელით ანიშნებს, მომყვითო.

ესეც, რა თქმა უნდა, ბრძანებაა.

თაზო და მილინდა მიყვებიან.

— თქვენ თვითმფრინავიდან უნდა გადახტეთ.

— რატომ? — თაზო კითხულობს. თრთის.

— ჩვენ ამერიკის მთავრობას ვებრძვით, მათ უნდა დაინახონ, რომ ჩვენი ბრძოლა სერიოზული და დაუნდობელია. თუ არ გადახტებით, შუბლებს გაგიხვრეტთ და მკვდრებს გადაგყრით.

— რატომ მაინცდამაინც ჩვენ, თვითმფრინავში ხომ სხვებიც არიან, — თვითგადარჩენის ინსტინქტი ალაპარაკებს თაზოს.

— მაშინ შენ გვითხარი, ვინ?

თაზო გაშეშებულია, ხმას არ იღებს. ტერორისტების ხელ-

მძღვანელი იცინის. შემდეგ სხვა ტერორისტებს მიმართავს თაზოსა და მილინდასთვის გაუგებარ ენაზე. ტერორისტებში ერთ-ერთი ნამდვილი გიგანტია, სწორედ ის სწვდება თაზოს და მილინდას ქეჩოებში. თაზოს უნდა, რომ გიგანტს რაღაც უთხრას, მაგრამ გიგანტს იმდენად შეუვალი სახე აქვს, თაზო ხმას ვერ იღებს. ტერორისტების ხელმძღვანელი უცნობი მამაკაცი თვითმფრინავის კარს აღებს.

— ერთმანეთისთვის თუ გაქვთ რამე სათქმელი, უთხარით, — ერთი წინადადების თქმის უფლებას აძლევს თაზოს და მილინდას ტერორისტების ხელმძღვანელი უცნობი მამაკაცი.

— მიყვარხარ! — ამბობს თაზო.

— მეც მიყვარხარ! — ამბობს მილინდა.

და გიგანტი მათ თვითმფრინავიდან ყრის.

იქნებ სიყვარულმა იხსნას თაზო და მილინდა? იქნებ სიყვარულმა შეასხას მათ ფრთები? ჯერჯერობით იმედი არის, რომ ასე მოხდება. ჯერჯერობით ცაში არიან, ჯერჯერობით მიწამდე შორია...

მოთხრობები

1:3

1

საწოლზე წამოვჯექი, დავამთქნარე, გავიზმორე, ტუმბოდან მობილური ტელეფონი ავიღე, ხმას ავუწიე, შემდეგ საათს დავხედე. ადგომის დრო იყო. ავდექი და სააბაზანოსკენ წავედი, გადავწყვიტე, რომ შხაპის ქვეშ მოვფსავდი, ასე უფრო ნაკლები მოძრაობის გაკეთება დამჭირდებოდა...

2

საწოლზე წამოვჯექი. დავამთქნარე. გავიზმორე. ოთახში მიმოვიხედე, ოთახი არეული იყო. ბალიში გავასწორე, შემდეგ კვლავ დავამთქნარე და ჩემ პირდაპირ მდგარ წიგნების კარადას მივაჩერდი. „მსოფლიო ლიტერატურის საღორე", — გავიფიქრე, — „საღორე ამ შემთხვევაში ერთდროულად რეალობაცაა და მეტაფორაც", — დავასკვენი... დღე ფილოსოფიურად დაიწყო...

3

საწოლზე წამოვჯექი. დავამთქნარე. გავიზმორე. ფანჯრისკენ გადავიხარე, ფარდა ოდნავ გავწიე, ქუჩაში მიმავალი ადამიანები და მანქანები დავინახე, შემდეგ ფარდა კვლავ უკან გამოვწიე, საბანი გადავიძრე და ავდექი, ლოგინი შევასწორე და ისევ დავწექი...

1

შხაპის მიღებისას ბოლომდე გამოვფხიზლდი. გავიხსენე, ვინ ვარ, რას ვაკეთებ და კონკრეტულად რა მქონდა გასაკე-

თებელი იმ დღეს... ონკანი დავკეტე, ფეხები ჩუსტებში ჩავყავი და პირსახოცი საკიდიდან ჩამოვხსენი, თავი და ტანი შევიმშრალე და სააბაზანოდან გამოვედი...

2

რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გამოვტოვე ცხოვრებაში, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ვერ გავაკეთე ცხოვრებაში... ყოველთვის ვიცილებდი თავიდან პასუხისმგებლობას. ამას ფილოსოფიურად ვამართლებდი, ვფიქრობდი, რომ პასუხისმგებლობა სუბიექტური კატეგორიაა და არავის აქვს უფლება, მიმითითოს ან მიწოდოს უპასუხისმგებლო — ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ მე შემიძლია საკუთარი თავისთვის, მაგრამ ასეთი რამ არასდროს გამიკეთებია. საკუთარი თავის დასჯა შეუძლებელია ჩემ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის, ჩემი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანისთვის, რადგან ჩემთვის ერთადერთი რეალობა, სინამდვილე მე თვითონვე ვარ.. მოკვდები და ყველაფერი დამთავრდება, ჩემი სიკვდილი ჩემი აპოკალიფსია, ჩემი სიკვდილი ჩემთვის მეორედ მოსვლაა...

3

ჩაძინებისთანავე დამესიზმრა ზღვა. გამახსენდა, რომ წყალი სიზმარში ცვლილებებს ნიშნავს, შემდეგ გამახსენდა, რომ სიზმრების მაგიური ძალის არ მჯეროდა და მათი ახსნა შეუძლებლად მიმაჩნდა, ამიტომ ზღვას მშვიდად გავხედე. ზღვა ბინძური იყო. ზღვისკენ წავედი.

1

სამარშრუტო ტაქსიში უკანა რიგში დავჯექი. ყოველთვის ასე მირჩევნია — უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს, როდესაც

ჩემ უკან არავინაა, როდესაც ჩემ უკან მყარი საზღვარია. სამარშრუტო ტაქსიდან ვხედავდი უკვე ათასჯერ დანახულ შენობებს, სარეკლამო ბანერებს, საგზაო ნიშნებს. ვხედავდი გზაზე მიმავალ მანქანებს. მძღოლებს, მგზავრებს, ავტომობილის ნომრებს. ამასობაში სამარშრუტო ტაქსიში მგზავრები ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ.

2

აქ ბედნიერება შეუძლებელია. სივრცეა ისეთი, თავისთავად არასრულყოფილი, უფრო სწორად, თავად მე ვარ არასრულყოფილი, ეს თავისთავად მოხდა და აქედან გამომდინარე, ჩემი მხრიდან რაღაცის სრულად შემეცნება, რაღაცის მყარად დაჯერება გამორიცხულია, არა, გამორიცხული არ არის, მაგრამ ფანატიკოსობა არასდროს ყოფილა ჩემი ხელობა, თუმცა გამუდმებით იმის მტკიცება, რომ ფანატიკოსი არ ხარ, უკვე ფანატიკოსობაა, ამიტომაც არაფერს ვამტკიცებ. დიდი ხანია უკვე, მეთვალყურე ვარ, უბრალოდ, თვალს ვადევნებ, როგორ ებრძვიან ერთმანეთს ფანატიკოსი ლიბერალები რელიგიურ ფანატიკოსებს, როგორ წოვენ საქმოსნები საკუთარ თანამშრომლებს, როგორ უმახინჯებენ ცხოვრებას მშობლები და მასწავლებლები ბავშვებს... მეთვალყურე ვარ და წარმოდგენა არ მაქვს, რატომ არ ვხუჭავ (თუნდაც მეტაფორულად) თვალებს, რაში მჭირდება ეს გამოცდილება? სად გამომადგება ეს გამოცდილება?

3

ზღვაში შევედი, ზღვამ უცებ გასუფთავება დაიწყო, ჩავყვინთე; თევზებსა და მცენარეებს შორის მივცურავდი, მივცურავდი სწრაფად, ღონივრად ვუსვამდი ხელებს და ფეხებს, შემდეგ დავინახე წყალქვეშა სახრჩობელა, რომელზედაც

ჯარისკაცები იყვნენ ჩამოკიდებული. „წყალქვეშ ჩამოხრჩობა, ალბათ, სიახლეა“, — გავიფიქრე და ამოვყვინთე...

ზღვის მაგივრად აუზში ვიყავი... გამიხარდა და კვლავ ჩავყვინთე. აუზის ფსკერი სუფთა იყო... ამოვყვინთე, შემდეგ აუზიდან ამოვედი, უზარმაზარი თეთრი სასახლე დავინახე...

1

სამსახურში ჩემი ყოფილი ცოლი დამხვდა... გამახსენდა, რომ 7 რიცხვი იყო, ალიმენტის გადახდის დღე... ჩემმა ყოფილმა ცოლმა თავიდანვე უარი თქვა ყოველგვარ ცივილიზებულ ურთიერთობებზე, ბანკში ფულის ჩარიცხვაზე და ასე ყოველი თვის 7 რიცხვში სამსახურში მადგება, თუ, რა თქმა უნდა, 7 რიცხვი შაბათ-კვირას არ ემთხვევა... სახეზე არასოდეს ვუყურებ... ფული მოვეცი. ვიგრძენი, როგორ შეეხო ჩემი ხელი მის ხელს და ცუდად გავხდი. ერთმანეთი დაქორწინებიდან ერთ კვირაში შეგეძულდა... ბავშვი მოვიკითხე, მითხრა, რომ კარგად არის... დავიშალეთ...

2

როდის დავიჯერე (სისულელე), რომ ჩემი ცხოვრება განსაკუთრებული იქნებოდა, არ ვიცხოვრებდი სხვებივით მოსაწყენად, სიცარიელეში, არ ვიქნებოდი სხვებივით უინტერესო და დინებას წაყოლილი... ალბათ, ბავშვობაში, როდესაც ჩემს მშობლებს ვუყურებდი, როგორ ითვლიდნენ შემოსავალ-გასავალს და ვფიქრობდი, რომ ასეთი არ გავხდებოდი, არც ფიზიკურად და არც შინაგანად. იმ დროს სიტყვა „სულიერების“ მნიშვნელობა არ ვიცოდი, ზუსტად არც დღეს ვიცი, რა არის სულიერება — წაკითხული წიგნები, ნანახი ფილმები, მოსმენილი მუსიკა, ან იქნებ ამ ყველაფერზე მეგობრებთან პირის აქაფება, ან იქნებ საზოგადო-

ებრივი აქტიურობა რაღაც იდეებისთვის... დიდი ხანია არც ერთი იდეის განხორციელების შესაძლებლობის აღარ მჯერა, ნებისმიერი განხორციელების მცდელობა იდეის მნიშვნელობას ამცირებს...

3

თეთრ სასახლეში შევედი. შიგნიდან თეთრი სასახლე ზუსტად ისე იყო მოწყობილი, როგორც ჩემი ბავშვობის პატარა სახლი და გავიფიქრე, რომ ამ სახლს სიზმარშიც კი ვერ ვაღწევდი თავს. შემდეგ ნივთებმა მოძრაობა დაიწყეს, საძინებლიდან დედაჩემი გამოვიდა, კმაყოფილმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, ნივთებმა საკუთარი თავის მოვლა რომ ისწავლეს, შემდეგ მე შემომხედა და ინატრა: „ნეტავ, შენ როდის შეძლებ იმავეს?“ თავი კარადისკენ მივატრიალე. კარადის შუშაზე საკუთარი ანარეკლი დავინახე. პატარა ვიყავი. „შუშა ტყუის, ან გაფუჭებულია“, — გავიფიქრე...

1

მეორე სართულზე მთავარი რედაქტორის მოადგილე შემხვდა. ერთმანეთს მივესალმეთ, შემდეგ მან მოულოდნელად მკითხა: „შენ მშობლებს სიყვარულის ჯეროდათ?“ დავაკვირდი, თვალებში შევხედე, თან ვფიქრობდი, ჯეროდათ ჩემ მშობლებს სიყვარულის თუ არა, უფრო სწორად, ვიხსენებდი, ჯეროდათ თუ არა... „ყველაფერი მაგის ბრალია...“ — მითხრა მთავარი რედაქტორის მოადგილემ... „მე ხომ არ მითქვამს, ჯეროდათ, თუ არ ჯეროდათ...“ „რა მნიშვნელობა აქვს? ყველაფერი ჩვენი მშობლების ბრალია...“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ გზა განაგრძო. რაღაც, ვერ იყო ხასიათზე. დავამთქნარე... მარცხენა ხელისგული პირთან მივიტანე...

2

რატომ დავიბადე მაინცდამაინც აქ, რატომ მაინცდამაინც კაცად, რატომ მყავდა მაინცდამაინც ეს მშობლები, რატომ მყავდა ორი უფროსი და, და არა — თუნდაც ორი უმცროსი და, რა განსაკუთრებული აზრი იყო ამ ყველაფერში... ამ და რამდენიმე მსგავს შეკითხვაზე ერთადერთი პასუხი მქონდა; „ნებისმიერი ადამიანი მისთვის საუკეთესო გარემოში იბადება და ეს გარემო სხვა ყველა გარემოზე უკეთესია“... ეს პასუხი, ძირითადად, მაკმაყოფილებდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მსოფლმხედველობა რამდენიმე საუკუნის წინ ვოლტერმა გენიალურად გაიდო ფეხქვეშ... ვოლტერი ადამიანი იყო, ადამიანის შეხედულება შეიძლება იყოს გენიალური, მაგრამ გენიალურობა არ ნიშნავს აბსოლუტურობას. ჩემი ბუნებრივი წყობა სამყაროში ყოველგვარი შემთხვევითობის არსებობას გამორიცხავდა. როდის გაუხდი ასეთი? იქნებ 5 წლამდე? 5 წლამდე ცხოვრება უსასრულო, ბნელი გვირაბია, სადაც მოძრაობა მხოლოდ ხელის ცეცებით არის შესაძლებელი. ეს ცხოვრების ერთადერთი რომანტიკული მონაკვეთია, რადგან მხოლოდ ის შეიძლება იყოს რომანტიკული, რაც არ გახსოვს...

3

საძინებლის კარი შევაღე და შევედი... საძინებლის მაგივრად მატარებლის ვაგონის დერეფანში აღმოვჩნდი... მატარებელი მოძრაობდა. ვირწეოდი და მატარებლის მოძრაობის ხმა მესმოდა... შემდეგ ვაგონის დერეფანში ჩემი ატირებული დები გამოჩნდნენ. ერთდროულად მითხრეს, რომ მამა დაიკარგა... მამა ჩემი ატირებული დების უკან იდგა და მიღიმოდა, ან უბრალოდ, თავისთვის იღიმებოდა... ვაგონის ერთერთი, ყველაზე ახლო ფანჯარა ჩამოვწიე და მატარებლიდან

გადმოვხტი... გავიფიქრე, რომ დაცემამდე აუცილებლად გავიღვიძებდი...

1

კომპიუტერთან დავჯექი. ფოსტა შევამოწმე. 3 წერილი მქონდა, სამივე — სპამი. ავდექი და მოსაწევ ოთახში გავედი... იქ სპორტის განყოფილების უფროსი დამხვდა, მარცხენა ხელში სიგარეტი ეჭირა, მარჯვენაში – ყავის პლასტმასის, ერთჯერადი ფინჯანი. სიგარეტი ამოვიღე და ასანთი ვთხოვე. მომცა. ზოგადად, სპორტი ყოველთვის ნაკლებად მაინტერესებდა, ამიტომაც სპორტულ ჟურნალისტებთან მეგობრობა ნაკლებად, უფრო სწორად, უინტერესოდ გამომდიოდა... სიგარეტს მოვუკიდე და ასანთი დავუბრუნე, ზრდილობისთვის ვკითხე: „ახალი არის რამე?“ მან ასანთი ჯიბეში ჩაიდო და მითხრა: „ალბათ, ომი დაიწყება, გაატრაკეს საქმე...“ „ვინ?“ — ვკითხე და ყავის აპარატისკენ წავედი...

2

ადამიანი, რომელმაც ღმერთი გამოიგონა, შექმნა ფიზიკა და მეტაფიზიკა, აქაური და იქაური ცხოვრება, პროგრესი, უკვდავება — ღირსეული და ძლიერი არსებაა, მაგრამ მისი ცხოვრება სრულიად უაზროა. რაც შეეხება ადამიანს, რომელიც შექმნა ღმერთმა, მიცა მას სამყარო, ფიზიკა და მეტაფიზიკა, აქაური და იქაური ცხოვრება, განვითარების საშუალება და გარანტირებული უკვდავება, რა თქმა უნდა, ნაკლებად ღირსეული არსებაა, მაგრამ მისი ცხოვრება აზრიანია, რადგან ამ ადამიანის ირგვლივ ყველაფერი ნამდვილია, შექმნილია და არა — გამონაგონი, ყოველთვის, როდესაც ღირსებასა და აზრს შორის ვირჩევ აზრს, ცხოვრება ასა-

ტანია, მისაღებია... ყოველთვის, როდესაც ვირჩევ ღირსებას, სიცარიელეში ვრჩები, მაგრამ ძირითადად, უბრალოდ, ვცხოვრობ ღირსებისა და აზრის გარეშე...

3

ჰაერში ამიტაცეს... არ ვიცი, ანგელოზები იყვნენ თუ ეშმაკები — თვალები დახუჭული მქონდა; ფეხები ერთმანეთზე მოვატყუპე, ხელები გულზე დავიკრიფე და გავიტრუნე. ვის ხელში ვიყავი — ანგელოზების თუ ეშმაკების? ჰაერი იყო სუფთა, კამკამა, ან თავს ვაჯერებდი, რომ ჰაერი იყო სუფთა და კამკამა. მეშინოდა... შემდეგ ვიღაცამ მხარზე ხელი დამიტყაპუნა. თვალები უნებურად გავახილე და ცა დავინახე. „ცა არ არის ყოველთვის ცისფერი", — გამახსენდა სადღაც წაკითხული წინადადება. ამჯერად ცა ცისფერი იყო, შემდეგ აქეთ-იქით მიმოვიხედე: მინდორზე ვიწექი, მინდორზე გველები დაცურავდნენ, გავიფიქრე: „გველები სამოთხეში დადიოდნენ, ესე იგი, სხვაგან ვარ..."

1

შუადღეს მთავარმა რედაქტორმა დამირეკა და მასთან კაბინეტში ასვლა მთხოვა. მთავარი რედაქტორი საკარძელში იჯდა, მარცხენა ხელში ტელევიზორის პულტი ეჭირა, მარჯვენაში – სიგარეტი. მანიშნა, დავმჯდარიყავი. დავჯექი. „ყველა ვარიანტში ომი იწყება", — თქვა მთავარმა რედაქტორმა და ტელევიზორისკენ გაიშვირა პულტიანი ხელი. ტელევიზორში ჯარისკაცები მოძრაობდნენ აქეთ-იქით. მთავარმა რედაქტორმა განაგრძო: „ექსკლუზივი გვჭირდება შტაბის უფროსთან, შენ უნდა მოახერხო. ჩვენი გაზეთი ყველანაირად მხარს უჭერდა შტაბის სამხედრო-პატრიოტულ პროგრამას, ასე რომ, ჩვენდამი დადებითი განწყობა არსე-

ბობს და ეს განწყობა უნდა გამოვიყენოთ“. მთავარმა რედაქტორმა სიგარეტი მოქაჩა, შემდეგ მაგიდაზე მდგარ საფერფლეში დაფერფლა.

2

ცხოველების მიხედვით ადამიანებზე მსჯელობა მცდარია, ასევე მცდარია ადამიანზე ღმერთის მიხედვით მსჯელობაც, ძალიან დიდი ხანია, რაც ადამიანები ორივეს დაშორდნენ ცხოველებსაც და ღმერთსაც, თუმცა დღემდე ერთმანეთს ხან ცხოველს ეძახიან, ხან ღმერთს, გააჩნია განწყობას. გააჩნია კონტექსტს, მიუხედავად ამისა, ადამიანებზე ცხოველების და ღმერთის მიხედვით მსჯელობა მცდარია. ასევე მცდარია ცხოველების გაადამიანება, რაც შეეხება ღმერთის გაადამიანებას, ეს ერთხელ მოხდა და ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. ადამიანებს აღიზიანებთ, როდესაც ღვთაებრივი და ადამიანური ერთმანეთში ირევა და ამ ნარევს ადამიანური სახე აქვს, სამაგიეროდ, იმავე ნარევს სხვა, არაადამიანური სახით ყოველთვის უპრობლემოდ იღებს.

3

ერთ-ერთი გველი ხელში ავიყვანე... ძალიან ლამაზი იყო. არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია და არც მე მეშინოდა და რაც მთავარია, არ მიკვირდა, რომ არ მეშინოდა, არადა, უნდა გამკვირვებოდა. გველი ყელზე შემოვიხვიე. ყელზე შემოხვეული გველი ულამაზეს კაშნედ გადაიქცა, ხოლო ციდან თოვლი წამოვიდა. მიხაროდა, რომ პირველად ცხოვრებაში ულამაზესი კაშნე მქონდა. მივდიოდი, მათოვდა და მიხაროდა, რომ ულამაზესი კაშნე მქონდა, განსაზღვრება „პირველად ცხოვრებაში“ ამოვაგდე, რადგან შეუფერებლად ჩავთვალე. პირველივე სახლის კარზე დავაკაკუნე. „ვინ არის

ამ შუალამისას...“ — გავიგონე კაცის ხმა. ცისკენ ავიხედე, ღამე იყო.

1

გენშტაბში დავრეკე და შტაბის უფროსი მოვიკითხე. „შტაბის უფროსი ერთი საათის წინ კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა“, — მიპასუხეს. გენშტაბის თანამშრომელს დაევმშვიდობე და ყურმილი დავკიდე. გავიხედ-გამოვიხედე, შემდეგ ყურმილი ავიღე და მთავარ რედაქტორთან გადავრეკე, ვუთხარი, რომ გენშტაბის უფროსი კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა. „მერე დაედევნე, ექსკლუზივი გვჭირდება!..“ მანქანა მოვითხოვე. ჩემი თხოვნა მთავარმა რედაქტორმა რამდენიმე წუთში დააკმაყოფილა. რედაქციას სულ სამი მანქანა ემსახურებოდა, ამიტომ ჟურნალისტებს სხვადასხვა რესპონდენტთან მისვლა და ღონისძიებებზე სიარული, ძირითადად, სამარშრუტო ტაქსებით გვიწევდა. მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მთავარი რედაქტორისთვის ექსკლუზიური ინტერვიუ გენშტაბის უფროსთან. რედაქციის ეზოში ჩავედი. კახა, რედაქციის ერთ-ერთი მძღოლი, მელოდებოდა. მანქანაში ჩავჯექი. კახას ვუთხარი, სადაც მივდიოდით. არ ესიამოვნა, ზანტად გადაატრიალა გასაღები. რადიო ჩავრთე.

2

განმარტოება არჩევანია, სიმარტოვე — მონაცემი. განმარტოებას სიმშვიდე მოაქვს, უფრო სწორად, უნდა მოქონდეს სიმშვიდე. სიმარტოვე მტკივნეულია, ადამიანები ძირითადად მარტო არიან. განმარტოებული ადამიანები ჩვეულებრივი ადამიანები არ არიან, უფრო სწორად, სხვა ადამიანების მიერ ჩვეულებრივ ადამიანებად ვერ აღიქმებიან.

არის მათში რაღაც არამიწიერი, რაც ერთდროულად შიშს და მოწიწებას იწვევს. ყველა განმარტოებულს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი, მაგრამ განმარტოებულია და ვერ ამბობს, ყველა მარტომყოფს იმდენად უმნიშვნელო ეჩვენება საკუთარი განცდები და ფიქრები, რომ მათ შესახებ ვერ ლაპარაკობს, აქედან გამომდინარე, ყველაფერი მნიშვნელოვანი ჩვენს თავსა და გულში ხდება.

3

ღია კარში შევედი. გავიხედე მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ. არავინ არ იყო, არაფერი არ იყო. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი წინ, ფეხქვეშ სიმყარე ვიგრძენი და გავიფიქრე: „ცაში არ ვარ...“ დავიხედე... ავტომობილების რამდენიმე მწკრივი დავინახე. მწკრივები დავთვალე — სამი მწკრივი იყო. შემდეგ მანქანებს დავუწყე ყურება. მამაჩემის მანქანა დავინახე. დავაკვირდი. მანქანაში მამა, დედა და მე ვისხედით. ექვსი წლის ვიყავი. გავიფიქრე: „მამა კიდევ ჩვიდმეტ წელს იცოცხლებს და მერე გულის შეტევით მოკვდება“. ახლობელ ადამიანზე ძნელია იმის თქმა, რომ გარდაიცვალა, რადგან ზუსტად არავინ იცის, უფრო სწორად, მტკიცედ არავის ჯერა, რომ ყველაფერი ისე ხდება სიკვდილის შემდეგ, როგორც წერია, ამიტომ ახლობლები ყოველთვის კვდებიან. რაც შეეხება უცხოებს, მათზე იმის თქმა, რომ გარდაიცვალნენ და მათი ცოცხალი ახლობლების მომავალი, სიკვდილის შემდგომი შეხვედრით დაიმედება ადვილია. მამამ საჭე მარცხნივ გადაატრიალა. მე გზა განვაგრძე. მივხვდი, ხიდზე გადავდიოდი...

1

კახა გუშინ ნანახი ფილმის შინაარსს მომიყვა. აღფრთოვანებული იყო. ერთადერთი, რაც გავიგე, ის იყო, რომ ფილ-

მის პერსონაჟები ერთმანეთის სიზმრებს ხედავდნენ. როგორ ახერხებდნენ ამას, ვერ გავიგე, არც მიკითხავს, სულ სხვა რამ ვკითხე კახას:

„შენ გინდა, სხვის სიზმრებს ხედავდე?“

კახამ თავი დამიქნია „კი, აბა რა, მაგარია...“

გამეღიმა: „და შენს სიზმრებს რომ სხვები ხედავდნენ?“

კახამ ერთი წამით გამომხედა, შემდეგ თავი კვლავ გზისკენ მიატრიალა: „ხანდახან მგონია, რომ ხედავენ...“

„ვინ?“ — დავინტერესდი.

კახამ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მანქანის ჭერისკენ აიშვირა. თავი ფანჯარაში გავყავი და ცას შევხედე...

2

წამოვდექი, წიგნებთან მივედი, წიგნები შევათვალიერე... გვარები. სახელები. ფსევდონიმები. ეს ყველაფერი ათი წლის წინ ჩემზე ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ათი წლის წინანდელი ჩემი თავი დამიდგა თვალწინ — თვითკმაყოფილი ბიჭი, რომელიც მხოლოდ იმიტომ უნდა ეღიარებინათ გენიოსად, რომ ბევრი ღრმაშინაარსიანი წიგნი ქონდა წაკითხული. გამახსენდა, რომ ათი წლის წინ ვაჟიშვილი ვიყავი და გამეღიმა. მარკო პოლოს წიგნი გადმოვიღე, შემდეგ ფანჯარასთან მივედი და გარეთ გავიხედე.

3

ხიდზე ასფალტი ახალი დაგებული იყო. მივდიოდი. ფეხები ცხელ ასფალტში მეფლობოდა, მაგრამ არანაირ დისკომფორტს არ ვგრძნობდი. ხიდი გადავიარე. ჭაობისფერ კარავთან აღმოვჩნდი. კარავში შევედი. არ მინდოდა, მაგრამ მაინც შევედი. კარავში სამხედროები ისხდნენ. ერთ-ერთი წამოდგა, კარადასთან მივიდა (კარავში რომ შევედი, კარა-

და არ იდგა, უცებ გაჩნდა), სამხედრო ფორმა გამოიღო და გამომიწოდა.

„მე, მე...“ — ვთქვი მე.

„შენ, შენ!..“ — თქვა მან.

1

ერთი საათის შემდეგ გორის ცენტრალურ მოედანზე ვიდექი. ხელში მობილური ტელეფონი მეჭირა და შტაბის უფროსის ნომერს ვკრებდი. შტაბის უფროსის ტელეფონი მომსახურების ზონიდან იყო გასული. გორის ცენტრალურ მოედანზე ადამიანები იყვნენ შეკრებილი. ერთდროულად შეშინებული და გახარებული სახეები ქონდათ. მანქანაში ჩავჯექი და კახას ვუთხარი, რომ სამხედრო ბაზაში უნდა წავსულიყავით. კახამ მანქანა დაქოქა, აშკარად არ მოწონდა, რაც ხდებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

2

ფანჯარაში გავიხედე. „ადამიანებს ზევიდან უნდა უყურო“, — გამახსენდა რომელიღაც წიგნში წაკითხული ფრაზა. „რა აზრი აქვს?“ — გავიფიქრე, — „ხან შენ უყურებ ვიღაცებს ზემოდან, ხან ვიღაცები გიყურებენ ზევიდან, რა აზრი აქვს?“ რაფას ხელისგულებით დავეყრდენი, დავაწექი და რაფაზე შევხტი. ჩემი სისხარტე თვითონვე გამიკვირდა. უაზრობა გვამსუბუქებს.

3

სამხედრო ფორმა თავისით ჩამეცვა. შემდეგ ავტომატი წამოვიდა ჩემკენ და ხელებში შემომეჩეჩა. აქეთ-იქით გავიხედე. ჯარისკაცებს შორის ვიდექი. სამ მწკრივად ვიდექით. გა-

დავთვალე — მეორე მწკრივში მეხუთე ვიყავი. ჩვენ წინ ოფიცერი იდგა და ჩვენს მომავალ მისიაზე გველაპარაკებოდა, ლაპარაკობდა ლათინურად. ამაზე უფრო უცნაური ის იყო, რომ მისი საუბრის შინაარსი მშვენივრად მესმოდა. ჩვენ უნდა აგვეღო მტრის მიერ წლების წინ დაპყრობილი ქალაქი.

1

სამხედრო ბაზის ჭიშკართან მივედი. კაბინიდან მორიგე ჯარისკაცი გამოვიდა და მკითხა, ვინ ვიყავი და რა მინდოდა. მე ამომწურავად ვუპასუხე, რა მინდოდა, რაც შეეხება შეკითხვას, ვინ ვიყავი, ამ კითხვაზეც შეძლებისდაგვარად ამომწურავად ვუპასუხე, თან საკუთარ თავს ვკითხე: „სინამდვილეში ვინ ვარ?“ ერთი ძველი სკეტჩი გამახსენდა, რომელშიც ეს შეკითხვა გაპაროდირებული იყო. მეგონა, გამეცინებოდა (ადრე ყოველთვის მეცინებოდა ამ სკეტჩის გახსენებაზე), მაგრამ არ გამეცინა. გაკვირვებული ვუყურებდი მორიგე ჯარისკაცს. მიკვირდა, რომ არ მეცინებოდა.

2

ფანჯრის რაფაზე ვიდექი, მარცხენა ხელი ფანჯრის ჩარჩოზე მქონდა მიდებული და ქუჩას ვუყურებდი. ვხედავდი მანქანებს, შენობებს, ადამიანებს, მესმოდა ხმაური. თვალები დავხუჭე. ვხედავდი ყვითელ წერტილებს შავ ფონზე და მესმოდა ხმაური. ერთ ადამიანად არასდროს ვთვლიდი თავს, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ერთდროულად რამდენიმე ადგილზე ვიყავი, მაგრამ ერთი სიკვდილი მქონდა, აქედან გამომდინარე — ერთი სიცოცხლე! ოდნავ წინ გადავიხარე, თვალები არ გამიხელია, ალბათ, თავს თვალდახუჭულები იკლავენ, შემოვიწიე და თვალები გავახილე. დავინახე ქუჩა, შენობები, ადამიანები, მანქანები და კიდევ — საკუთა-

რი თავი ჰაერში. გაშეშებული ვიყავი. ხმაური მესმოდა, შემდეგ ორივე ხელი დავიქნიე და უკან გადმოვფრინდი, იატაკზე ტრაკით მოვჯექი. სწრაფად წამოვდექი და ცას შევხედე. ცა ცარიელი იყო. სად გავქრი?

3

ვიდექი. ყველაფერი თავისით მოდიოდა ჩემთან — მდინარე, ნაპირი, ტყე, მტერი. აქეთ-იქით ვიხედებოდი. „ეს სიზმარი აღარ არის", — გავიფიქრე და შემეშინდა. თვალების გახელა დავაპირე, მაგრამ თვალები უკვე გახელილი მქონდა და კიდევ უფრო შემეშინდა, „თვალები ჯერ რომ დავხუჭო და მერე გავახილო... მაგრამ რომ ვერ გავახილო, ან ვერ დავხუჭო?" გამახსენდა, რომ ომში ვიყავი. ვიდექი. ყველაფერი თავისით მოდიოდა ჩემთან, ომიც. თვალები დავახამხამე.

1

მორიგე ჯარისკაცმა მითხრა, რომ შტაბის უფროსი მოლაპარაკებზე იყო წასული. წარმოვიდგინე მაგიდა, აქეთ-იქით ხალხი. რაღაცებს ლაპარაკობენ, წინასწარ იციან, რომ ვერაფერზე შეთანხმდებიან. ნებისმიერ ადამიანურ საქმეში უკვე იმდენი არასწორი არჩევანია გაკეთებული, რომ ადამიანური სამყარო ფატალური გახდა. ყველაფერი ისტორიის ბრალია, უფრო სწორად, ისტორიიდან გამოუსვლელობის, ისტორიაში დარჩენის სურვილის. მანქანაში ჩავჯექი. კახა მიყურებდა, ელოდა, რას ვეტყოდი, საით მოვთხოვდი წასვლას. რადიოს ოდნავ ჩავუწიე, კახას შევხედე და ვუთხარი:

„დაიკიდე, ყველაფერი დაიკიდე..."

„რამდენი ხნით?" — მკითხა კახამ.

2

წიგნების თაროსთან მივედი, რამდენიმე წიგნი გამოვიღე, ფანჯარასთან მივედი და გადავყარე. კვლავ წიგნების თაროსთან დავბრუნდი, წიგნები გადმოვიღე და ისევ ფანჯარასთან მივედი, წიგნები გადავყარე. გავჩერდი, ამოვისუნთქე და... თაროსთან მივედი.

3

ვიდექი, ყველაფერი თავისთავად დამშვიდდა... ვიდექი და მშვიდად ვფიქრობდი: „გაღვიძება მინდა...“

ტატო და ელენე — მელოდრამა

ვაგზლის კაფეში

ელენე ვაგზლის კაფეში იჯდა. ჩაის სვამდა, სიგარეტს ეწეოდა და თავი კინოში ეგონა. გვერდით მაგიდასთან აზერბაიჯანელები ისხდნენ, ქალი და კაცი. ქალი ლეპტოპის ეკრანს იყო მიჩერებული, კაცი ჭამდა. ელენემ სიგარეტი დაფერფლა და ჩაი მოსვა. ელენეს არ უყვარდა მოსაწყენი ფილმები, დუნე, უსაშველოდ გაწელილი კადრებით. ახლა სწორედ ასეთი ფილმის პერსონაჟი ეგონა თავი. „საერთოდ რატომ დავიბადე?“ — გაიფიქრა ელენემ და საათს დახედა. პირველის ნახევარი იყო. მატარებელი განრიგის მიხედვით თხუთმეტ წუთში უნდა მოსულიყო. „საერთოდ რატომ დავიბადე?“ — კვლავ გაიფიქრა ელენემ და სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო. შეკითხვაზე პასუხი არ ქონდა. „რა უაზრობაა ყველაფერი!“ ელენე თავჩაღუნული იჯდა.

— შეიძლება? — ელენემ თავი აწია. მის წინ უცნობი კაცი იდგა, უცნობ კაცს მარჯვენა ხელში ჩაის ერთჯერადი ჭიქა ეჭირა, მარცხენაში — ერთჯერადი თეფში, რომელზეც ოთხად დაჭრილი პიცა იდო. ელენეს არ უყვარდა პიცა. ელენემ მიიხედ-მოიხედა. რამდენიმე თავისუფალი მაგიდა იყო და მას რატომ მოადგა ეს კაცი მაინცდამაინც... „მოვეწონე?“ — გაიფიქრა ელენემ და უცნობი კაცი უკვე ყურადღებით შეათვალიერა.

— დაბრძანდით, — უთხრა ელენემ უცნობ კაცს. უცნობმა კაცმა ჯერ ჭიქა და თეფში დადო მაგიდაზე, შემდეგ დაჯდა. ჭიქა და თეფში თავისკენ მიიწია და ჭამა დაიწყო.

„არა, არ მოვწონებივარ, ასეთ კარგ ბიჭებს მე არ მოვწონვარ. საერთოდ, რატომ დავიბადე...“ — გაიფიქრა ელენემ და ნერვიულად წამოდგა. მაგიდიდან ჩანთა აიღო.

— მე აქ თქვენ გამო დავჯექი, თქვენ კი მიდიხართ...

ელენემ უცნობ კაცს შეხედა:

— ბატონო?

— მე ტატო ვარ, დაბრძანდით.

ელენე დაჯდა და ჩანთა მუხლებზე დაიდო.

— არა, ვერ დავჯდები, მეჩქარება, — თქვა ელენემ და წამოდგომა დააპირა.

— ჰო, უკვე ვზივარ, მაგრამ ხომ შემიძლია, ავდგე, — თქვა ელენემ და ჩანთა მაგიდაზე დადო. „მთავარია, მანიაკი არ იყოს", — გაიფიქრა ელენემ და ჩანთას ყურში მოკიდა მარჯვენა ხელი.

— მანიაკი არ ვარ, — თქვა ტატომ და გაიღიმა, — ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით, ისე, ზოგადად, ალბათ, ნებისმიერი ადამიანი ცოტათი მაინც მანიაკია.

„მაბავს", — გაიფიქრა ელენემ და ჩანთის ყურს ხელი გაუშვა.

გვერდით მაგიდასთან მსხდომი აზერბაიჯანელი კაცი და ქალი შელაპარაკდნენ. ქალი რაღაცას უმტკიცებდა კაცს, კაცი უარის ნიშნად თავს აქნევდა. ელენე აზერბაიჯანელ ქალს და კაცს უყურებდა და ფიქრობდა: „ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი ბოლოს მაინც ჩხუბით მთავრდება".

ელენემ ტატოს შეხედა:

— ესე იგი, ცოტათი ყველანი მანიაკები ვართ?

ტატომ პიცის ნაჭერი თეფშზე დადო.

— კი, ცოტათი ყველანი მანიაკები ვართ, — თქვა ტატომ და სახე დაჯღანა.

ელენეს შეეშინდა და შიშისგან გაიცინა, შემდეგ თქვა:

— მე მართლა უნდა წავიდე, სადაცაა ჩემი მატარებელი მოვა, — ელენემ საათს დახედა, — ხუთ წუთში.

— მატარებელი თვლემს, როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა... — წაჩურჩულა ტატომ და ჩაი მოსვა.

ელენეს არ უყვარდა პოეზია, უფრო სწორად, გაურბოდა.

— ბათუმში მიდიხართ? — კითხა ტატომ.

— კი.

— ერთად წავიდეთ, — თქვა ტატომ, ხელსახოცი აიღო და ხელები გაიწმინდა.

ელენემ დაბნეულობისგან ნერწყვი გადაყლაპა.

ვაგონ-რესტორანში

ტატოს მარჯვენა ხელში დანა ეჭირა და ვაშლს ფცქვნიდა. „ახლა უცებ რომ წამოდგეს და ყელი გამომჭრას, ყველაფერი დამთავრდება“, — გაიფიქრა ელენემ და რამდენიმე წამით თვალები დახუჭა. ყელგამოჭრილი საკუთარი თავი დაინახა და გააჟრჟოლა. თვალები გაახილა. „არ მინდა სიკვდილი“, — გაიფიქრა ელენემ.

ტატომ გაფცქვნილი ვაშლი შუაში გაჭრა. ელენემ თეფშზე დადებულ, ორ ნაწილად გაჭრილ ვაშლს დახედა. ტატომ თეფში აიღო და ელენეს გაუწოდა. ელენემ ვაშლი აიღო და ჩაკბიჩა. ტატომ თეფში მაგიდაზე დადო.

— თქვენ არ გინდათ ვაშლი? — კითხა ელენემ და მოკბეჩილი ვაშლის ნაჭერი პირისკენ წაიღო.

ტატომ კვლავ დანა აიღო, ელენემ უნებურად თავისუფალი ხელი ყელზე გაისვა.

— მე ვაშლის დაჭრა მიყვარს, — თქვა ტატომ და ვაშლის ნაჭერი შუაში გაჭრა, — იყო ძველად ასეთი ფილოსოფოსი, თალესი, რომელიც ამტკიცებდა...

— თალესი... — გაიმეორა ელენემ, — არ გამიგია და რას ამტკიცებდა ეს ფილოსოფოსი თალესი?

— ისეთს არაფერს, — ტატომ ორად გაჭრილი ვაშლი ოთხ ნაჭრად აქცია, — ბავშვობაში ძალიან მიყვარდა მატარებლით მგზავრობა, შენ?

— მეც, ბორბლების ხმა მომწონდა, შენ მოგწონდა ბორბლების ხმა?

ტატო და ელენე შენობით ფორმაზე გადავიდნენ. ბავშვობის გახსენება სხვანაირად შეუძლებელი იყო.

— მეც ძალიან, დგნ-დგნ, დგნ-დგნ... — ტატომ გაიღიმა, — მატარებლის ხმა არ შეცვლილა, ჩვენ შევიცვალეთ.

ელენეს თვალწინ ერთ-ერთი ძველი ფოტო დაუდგა — სკვერში რამდენიმე დაქალთან ერთად გრძელ სკამზე იჯდა და იღიმოდა.

— კი, ჩვენ შევიცვალეთ, — თქვა ელენემ სევდიანად, — შენ რამდენი წლის ხარ?

— ოცდათხუთმეტის, — ტატომ დანა მაგიდაზე დადო და ელენეს შეხედა, — შენ?

— ოცდაათის, — თქვა ელენემ და გაიფიქრა: „კიდევ ერთი ამდენი და ალბათ, არავინ აღარაფერს მკითხავს, ისე მოვკვდები“.

ვაგონ-რესტორნის კარი ხმაურით გაიღო. ვაგონ-რესტორანში თინეიჯერები შემოვიდნენ. რამდენიმე გოგო და ერთი ბიჭი. ხმაურით მიუსხდნენ მაგიდას, ხმაურით აირჩიეს საჭმელი, ხმაურით შეუკვეთეს არჩეული საჭმელი ოფიციანტს, შეკვეთის მოლოდინში ხმაურით გაჭორეს ვიღაც ლაშუნა და სოფკა.

— აურზაური არაფრის გამო, — ჩაილაპარაკა ტატომ.

ელენემ გაიღიმა.

— შექსპირი ვიცი, ვინც იყო, — ელენეს მოერიდა და აღარ თქვა, რომ შექსპირი მისი საყვარელი მწერალი იყო. ელენეს არ უყვარდა მატრაბაზი ადამიანები. ელენეს რამდენიმე გაგონილი იდიოტიზმი გაახსენდა: „ვგიჟდები ტარკოვსკიზე და ბერგმანზე“, „ო, მარსელ პრუსტი!..“ „ჩვენი თაობა დოსტოევსკიზეა გაზრდილი“.

„ღმერთო, რატომ დავიბადე ესეთ სისულელეში?“ ელენემ უნებურად ზევით აიხედა. ვაგონ-რესტორნის ჭერი თეთრი იყო. ადრე თეთრი ფერი ელენეს ამშვიდებდა, ადრე.

ელენემ თავი დაწია, ტატოს შეხედა.

— ჩემგან რა გინდა?

შემწვარი კალმახის ქვეშ მწვანე ფოთლები ეწყო, კუთხეებში — ლიმონის თითო ნაჭერი. ელენეს უყვარდა შემწვარი კალმახი, მწვანე ფოთლებიც, ლიმონი — ნაკლებად. ბავშვობაში დედა აძალებდა ლიმონის ჭამას, რაღაცისთვის იყო ლიმონი ძალიან სასარგებლო, შეიძლება სისხლის მიმოქცევისთვის, ელენეს ზუსტად აღარ ახსოვდა.

— მამაჩემს ძალიან უყვარდა სათევზაოდ სიარული, — თქვა ტატომ, — ერთხელ მეც წამიყვანა. მამა მდინარესთან იდგა, ხელში ანკესი ეჭირა და ღმერთს სთხოვდა, რომ თევზი დაეჭირა, მე ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორი იყო ღმერთი და როგორ უსმენდა მამას. შენი აზრით, როგორია ღმერთი?

— ამბობენ, რომ კეთილი, — გაიღიმა ელენემ და გაიმეორა, — ამბობენ...

— ფიზიკურად როგორი გგონია?

— ძალიან სიმპათიური, — თქვა ელენემ და ორივემ გაიცინა.

ბავშვობაში ელენეს ღმერთი ეგონა დიდწვერებიანი კაცი, ფართო თვალებით და შუბლით.

— ღმერთი და ფიზიკურობა რთული ამბავია, — თქვა ტატომ და შემწვარ კალმახს დანა დაუსვა.

— დაიჭირა მამამ თევზი? — კითხა ელენემ ტატოს და მარჯვენა ხელი თმაზე გადაისვა.

— კი, დაიჭირა, მე დავიწყე ტირილი, ცოდოა, ცოდოა-მეთქი, ვეუბნებოდი მამას. მამამ ამიხსნა, რომ თევზი ცოდო არ შეიძლება იყოს, რომ თევზები მშვენივრად ჭამენ ადამიანებს.

ელენემ წარმოიდგინა, როგორ იწვა ზღვის ფსკერზე და როგორ ჭამდნენ თევზები, როგორ აწიწკნიდნენ პატარა ნაწილებად ხორცს.

ტატომ ელენეს კალმახის ნაჭერი დაუდო თეფშზე. ელენემ დაუნდობლად დაუსვა კალმახს დანა. კალმახი გემრიე-

ლი იყო. ელენეს უხაროდა, რომ მას კი არ ჭამდნენ თევზები, არამედ თვითონ ჭამდა. „უკანა კბილები მაქვს გასაკეთებელი“, — დაასკვნა ელენემ.

რესტორანს დიდი ფანჯრები ქონდა. ფანჯრებზე ლურჯი ფარდები იყო ჩამოფარებული. ტატო წამოდგა. ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადაწია და განათებულ ქალაქს გახედა. მარჯვენა ხელი მინას მიადო და რამდენიმე ხანს ასე იყო. შემდეგ მაგიდასთან დაბრუნდა. ელენეს უნდოდა, ტატოსთვის ეკითხა, რატომ ადგა, მაგრამ ვერ კითხა, შეეშინდა. „რატომ ვარ ამ ადამიანთან ერთად?“ — კითხა შეშინებულმა საკუთარ თავს, სხვა ბევრი შეკითხვის მსგავსად, არც ამ კითხვაზე ქონდა პასუხი.

ტატომ მარჯვენა ხელი შუბლზე მიიდო...

ზღვისპირას, მიტოვებულ კაფეში

ზღვა იყო მშვიდი. ელენე და ტატო ზღვისპირას მიტოვებულ კაფეში იდგნენ, რადგან სკამები არ იყო. ელენეს ხელში მზესუმზირით ნახევრად სავსე პატარა პარკი ეჭირა. ელენე და ტატო მზესუმზირას აკნატუნებდნენ, თავად მზე სულ სხვა მხარეს ანათებდა და ათბობდა ამ დროს.

— ამ ადგილს ალბათ ვინმე იყიდის, — თქვა ელენემ.

— ნაყიდი თუ არ აქვს უკვე ვინმეს, კი, აუცილებლად იყიდის...

ელენემ მიტოვებული კაფეს ადგილზე წარმოიდგინა ახალი შენობა, ხალხი და მოეწონა. პარკში ჩაყო მარჯვენა ხელი და მზესუმზირას მოურია, შემდეგ რამდენიმე ცალი ამოიღო პარკიდან და სათითაოდ გაფცქვნა. ტატო ჩენჩოებიანად ჭამდა მზესუმზირას. ელენეს ეს არ მოწონდა, მაგრამ შენიშვნას არ აძლევდა ტატოს.

— არ მეტყვი, მაინც რას ამბობდა ის ძველი ფილოსოფოსი, რა ერქვა?

— თალესი..

— ჰო, თალესი, რას ამბობდა...

— ისეთს არაფერს, — თქვა ტატომ და პარკიდან ნახევარი მუჭა მზესუმზირა ამოიღო, — ნოემბერში ზღვაზე რა გინდა?

— ისეთი არაფერი, — ელენემ გაიცინა, — კაი, გეტყვი: ორდღიანი კონფერენციაა „ომი და კავკასია“ და მოხსენება უნდა წავიკითხო.

— და რა უნდა თქვა? — ტატომ მზესუმზირა პარკში ჩაყარა, — აღარ მინდა.

— არც მე, — ელენემ პარკს თავი მოუკრა.

ოდნავ მოშორებთ ძაღლმა ძუნძულით ჩაიარა.

— დავიღალე და მეძინება, — თქვა ელენემ.

— სასტუმროში წავიდეთ, — შეთავაზა ტატომ.

— შენ სად დაიძინებ?

— შენს ნომერში, — თქვა ტატომ და ზღვას გახედა.

გზაზე ელენემ მზესუმზირიანი პარკი ნაგვის ყუთში ჩააგდო.

ელენეს ნომერში

ელენე ფანჯრის რაფასთან იდგა. თეთრი ჭიქა ორივე ხელით ეჭირა და ჩაის სულ უბერავდა.

ტატო ელენეს პირდაპირ, მაგიდასთან იჯდა. მაგიდაზე თეფში იდო, თეფშზე — ორცხობილები.

— შენ, არა მგონია, ყველა კაცი ამოგყავდეს შენს ნომერში, — თქვა ტატომ, ორცხობილა აიღო, შეათვალიერა და უკან დადო.

— რა გაინტერესებს, ბოზი ვარ თუ არა? — ელენემ გაიღიმა და ჩაი მოსვა.

— მოგწონვარ თუ არა...

— გინდა ჩემი მოხსენების დასაწყისი წაგიკითხო?

ტატომ გაიღიმა:

— წამიკითხე.

ელენემ ჭიქა მაგიდაზე დადო, ტუმბოსთან მივიდა. უჯრა გამოაღო, ფურცლები გამოიღო და უჯრა მიხურა, ფურცლებს დახედა. „რა სისულელეა ეს ყველაფერი“, — გაიფიქრა ელენემ და კითხვა დაიწყო:

— კავკასია ყოველთვის რთული რეგიონი იყო, აქ იშვიათად იყო მშვიდობა, კავკასიელი ხალხებისთვის... — ელენემ კითხვა შეწყვიტა, ტატოს შეხედა, — აღარ წავიკითხავ, არ მინდა, — ელენემ ფურცლები საწოლზე დაყარა.

— შენ რას აკეთებ ცხოვრებაში, იმის გარდა, რომ ქალებს ეკიდები...

— შენ პირველი ხარ, არასდროს არავის ავკიდებივარ.

— ყველას ეგრე ეუბნები, ხომ?!

— თუ არ გჯერა, ნუ გჯერა...

— არ მჯერა...

— არადა გჯერა, უფრო სწორად, გინდა, რომ გჯეროდეს.

— რაღაც გკითხე.

— ვყიდულობ, ვყიდი, როგორც ყველა... განსაკუთრებულს არაფერს, შენგან განსხვავებით.

— რატომ დამცინი? — ელენემ მაგიდიდან ჭიქა აიღო და ჩაი მოსვა.

— არ დაგცინი, — ტატო წამოდგა და ელენესთან მივიდა. ტატო ოდნავ მაღალი იყო ელენეზე, თვალებში ჩახედა და გაიმეორა: — არ დაგცინი.

ელენემ ორი ნაბიჯი გადადგა უკან.

— შენ იატაკზე დაწვები, — თქვა ელენემ, ჭიქა ტუმბოზე დადგა და საწოლიდან ფურცლები წამოკრიფა.

— უაზრობაა ცხოვრება, — თქვა ტატომ.

— რომ მოგცე, აზრიანი მაინც ვერ გახდება.

— შენ მომეცი დაა...

ორივეს სიცილი აუტყდა. სიცილი პირველმა ელენემ შეწყვიტა.

— შენ წვები იატაკზე.

შუალამისას

— გღვიძავს? — ელენე საწოლზე წამოჯდა.

— კი, — ტატომ დაამთქნარა, — მღვიძავს.

ტატო იატაკზე იწვა. მარცხენა ხელი თავქვეშ ქონდა ამოდებული. ტატომ მეორედ დაამთქნარა.

საკონფერენციო დარბაზში

ელენემ მოხსენების ტექსტი წაიკითხა, რამდენიმე შეკითხვას უპასუხა და გაითიშა. კონფერენციის მონაწილეების ჟესტებს ხედავდა, თუმცა რას ამბობდნენ ეს ადამიანები, არ ესმოდა. ასეთი რამ ერთი წლის წინაც დაემართა, როდესაც დაბომბილ ქალაქში ჩავიდა. ხედავდა ადამიანებს, მათ ჟესტებს, მაგრამ არ ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ. დიქტოფონი ქონდა ჩართული და მათ ხმებს იწერდა, რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ელენე თბილისში დაბრუნდა და ჩაწერილი ხმები გაშიფრა, დაასკვნა — მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ყველაფერი ომისკენ მიდიოდა, ადამიანებისთვის ომის დაწყება მაინც მოულოდნელი იყო. ეს ომი სიკვდილივით იყო, ყველაფერი სიკვდილისკენ მიდის, მაგრამ სიკვდილი მაინც ყოველთვის მოულოდნელად მოდის.

ელენემ აქეთ-იქით გაიხედა. ამ სახეებს უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ხედავდა... „ნეტავ, ტატო რას აკეთებს?“ — გაიფიქრა ელენემ და უნებურად მხრები აიჩეჩა, შემდეგ მოულოდნელად გაიაზრა, რომ ტატოსთვის თავისი სახელი არ უთქვამს და არც ტატოს უკითხავს. „იქნებ საერ-

თოდ არ ქვია ტატო?“ ელენეს შეეშინდა. „რა უნდა ჩემგან?“ ელენეს ამ შეკითხვაზე პასუხი არ ქონდა.

კონფერენციაზე შესვენება გამოცხადდა. ელენე მოსაწევ ოთახში შევიდა. სიგარეტს მოუკიდა. „მშია“, — გაიფიქრა ელენემ. სიგარეტი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა.

ტატო ელენეს ნომერში

ტატო ელენეს საწოლზე იწვა. ხელები გაშლილი ქონდა. ტატომ თვალები დახუჭა და ორი ჯარისკაცი დაინახა, ხელში უროები და დიდი ლურსმნები ეჭირათ. ლურსმნები ჯერ ხელისგულებზე დაადეს, შემდეგ უროები კარგად მოიმარჯვეს. ტატომ თვალები გაახილა. საწოლზე წამოჯდა, ტელეფონი აიღო და ნომერი აკრიბა. ყურმილი მეოთხე ზარზე აიღეს, ტატომ ყურმილი დაკიდა და კვლავ თვალები დახუჭა. ჯარისკაცები აღარ ჩანდნენ. მინდორზე იდგა. მარტო იყო. ხელში კომბალი ეჭირა. „სად არიან ჩემი ცხვრები?“ — ეკითხებოდა საკუთარ თავს.

ტატომ თვალები გაახილა, წამოდგა და სააბაზანოში შევიდა. რამდენიმე წამით სარკის წინ გაჩერდა. გაიღიმა, დაიმანჭა, ენა გამოუყო საკუთარ ანარეკლს, შემდეგ გაიხადა და კაბინაში შევიდა, წყალი მოუშვა, მარჯვენა ხელი შეუშვირა წყალს, შეამოწმა, რამდენად ცხელი იყო — ზედმეტად. წყლის ტემპერატურა დაარეგულირა და წყლის ქვეშ დადგა. თვალები დახუჭა და გაშეშდა.

ა-ლა-ფურშეტი

ელენემ თეფში აიღო და მაგიდასთან მივიდა. ერთი ყველიანი ბლინი გადაიღო, ერთი ნაჭერი შემწვარი ქათამი, ერთი ნიგვზიანი ბადრიჯანი. იგრძნო, რომ უკნიდან ვიღაც მი-

უხლოვდა. მიიხედა. ელენეს უკან ჯაბა იდგა, მისი კოლეგა-კონკურენტი და თაყვანისმცემელი. ელენე და ჯაბა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ფონდის ოფისებში. ჯაბა ელენეს ყოველთვის სტანდარტულ კომპლიმენტებს ეუბნებოდა და სადღაც პატიჟებდა. ელენეს არ მოწონდა ჯაბა.

— ძალიან საინტერესო მოხსენება იყო, — უთხრა ჯაბამ ელენეს.

ელენემ გაიღიმა.

— დიდი მადლობა, — ელენემ ქათმის ხორცი აიღო და განზრახ ველურად გაძიძგნა. „მკიდია ამათი ვითომ ზრდილობა, ისე იქცევიან, გეგონება, ტუალეტში არ დადიოდნენ და ფრთიანი არსებები იყვნენ, სულ მკიდია ამათი ვითომ ზრდილობა, ვითომ წესრიგი, ვითომ ცხოვრება, დავიღალე!..“

— კარგად გამოიყურები, — უთხრა ჯაბამ ელენეს და მაგიდიდან ორი ჭიქა წითელი ღვინო აიღო. ერთი ელენეს გაუწოდა.

— არ მინდა, — უთხრა ელენემ ჯაბას, — და საერთოდ, არასდროს შეგხვდები და მით უმეტეს, არასდროს დავწვები შენთან, — ელენეს არც შეუხედავს ჯაბასთვის, ისე გაეცალა. პირველივე ჯგუფს შეუერთდა. სამნი იყნენ, სამივე — კონფლიქტოლოგი და თანამედროვე ომების შესახებ საუბრობდნენ.

— თანამედროვე ომი ლოკალურია, — ამტკიცებდა ერთ-ერთი.

— და რა არ არის ლოკალური? — გააწყვეტინა ელენემ. — ყველაფერი ლოკალურია — ცხოვრება, ურთიერთობები... და იცით რატომ? — კონფლიქტოლოგები დაბნეულად უყურებდნენ ელენეს. — უმრავლესობაში თქვენნაირი ტიპები რომ არიან, იმიტომ, არაფერზე ფიქრობთ, გაზუთხული ფრაზებით ლაპარაკობთ, გრანტის დამტკიცების გარდა არაფერი გაინტერესებთ.

ელენეს ცრემლები მოაწვა. რომ არ ეტირა, პირი საჭმლით გამოიტენა.

ტატო ზღვისპირას პურით ხელში

ტატო მარკეტში შევიდა, პური იყიდა, ნაყიდ პურს დახედა. „წავალ, თოლიებს ვაჭმევ", — გაიფიქრა და მარკეტიდან გამოვიდა. თმა ცუდად ქონდა გამშრალი. გაახსენდა, როგორ უმშრალებდა ბავშვობაში დედა თმას, გაელიმა. „დე, ცოტა ნელა, თავი მომძვრება", — ჩაესმა თავისი ბავშვობისდროინდელი ხმა. მოგონება იმდენად სრულყოფილია, რამდენადაც სპონტანური. ტატოს გაახსენდა, როგორი იყო მაშინ — პატარა გამხდარი ბიჭი, გაახსენდა, როგორი იყო დედა, როგორ სახლში ცხოვრობდნენ.

ზღვა ღელავდა, ზღვის თავზე თოლიები ფარფატებდნენ. ტატომ პურს პატარა ნატეხი მოატეხა და ზღვაში გაისროლა. ერთ-ერთი თოლია ზღვისკენ დაეშვა. ტატომ მეორე ნატეხი მოატეხა პურს. შეცივდა. ქურთუკის საყელო გახსნა, კაპიუშონი გამოიღო და თავზე წაიფარა, შემდეგ პურის ნატეხი ზღვაში ისროლა. ჰორიზონტს გახედა. „მგონი, იქაც არაფერი არ არის", — გაიფიქრა და კენჭებიან ნაპირს დახედა. ერთი კენჭი აიღო, დააფურთხა. „ზღვა თუ..." კენჭი ამოატრიალა: „ხმელეთი?" კითხა საკუთარ თავს. „სულერთია", — იღრიალა და კენჭი მთელი ძალით ცისკენ აისროლა. თვალი ვერ მიადევნა და ჩათვალა, რომ კენჭი ცაში დარჩა. გაეღიმა, სწორედ ამ დროს იგრძნო, რომ თავში რაღაც დაეცა. ტატოს პური ხელიდან გაუვარდა.

ელენე სასტუმროს ნომერში

ელენემ იბანავა და ტანსაცმელი გამოიცვალა. საღამოს კაბა ჩაიცვა. სარკესთან დადგა. ჩაიხედა. ელენეს იშვიათად

მოწონდა საკუთარი თავი, არც ახლა მოეწონა. საწოლზე ჩამოჯდა. „უშნო ვარ“, — გაიფიქრა ელენემ.

ბავშვობაში ელენეს დედა თმას უწნავდა და ნაწნავზე ცისფერ ბაფთას უკეთებდა. „რა ლამაზი გოგო მყავხარ!“ — ეუბნებოდა დედა ელენეს და ელენეს ჯერეროდა, რომ ლამაზი იყო, უხაროდა, რომ ლამაზი იყო, თუმცა წარმოდგენა არ ქონდა, რას ნიშნავდა სილამაზე და რაში შეიძლებოდა მისი გამოყენება.

ელენე წამოდგა. ხელები კაბაზე ჩამოისვა. საათს დახედა. „ტატო, ალბათ, აღარ მოვა“, — გაიფიქრა ელენემ. ელენე ვახშამზე კონფერენციის მთავარი კოორდინატორის აგარაკზე იყო დაპატიჟებული.

ელენემ მაგიდიდან ჩანთა აიღო და კარისკენ წავიდა. კართან გაჩერდა, მოტრიალდა. საწოლთან მივიდა, მუხლებზე დადგა და საწოლის ქვეშ შეიხედა: „არ არის და აღარც მოვა!“

ელენე წამოდგა და სწრაფად გავიდა ნომრიდან. დერეფანში კაბა მარჯვენა ხელით ჩამოიფერთხა.

კაფეში

ტატო კაფეში იჯდა და ჩაის სვამდა. დროდადრო თავზე იკიდებდა ხელს და თითებს კოპზე ფრთხილად ისვამდა. კოპი თანდათან დიდდებოდა. ტატომ სიგარეტს მოუკიდა. გააბოლა. ტატო ფანჯარასთან იჯდა. გამვლელებს უყურებდა. ჩაი უგემური იყო. კოპი დიდდებოდა. გამვლელები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. ტატომ სიგარეტი საფერფლეში ჩაფერთხა.

— ზაფხული სულ სხვაა, — უთხრა ერთმა ოფიციანტმა მეორეს.

— ჰო, — თქვა მეორემ.

— კიდევ ერთი ჩაი, — უთხრა ტატომ ორივე ოფიციანტს. მხოლოდ ერთი გაინძრა.

ვახშამი აგარაკზე

ელენე განზრახ ჯაბას გვერდით დაჯდა. ჯაბას ერთდროულად გაუკვირდა და ესიამოვნა ელენეს საქციელი. ჯაბამ ელენეს წითელი ღვინო დაუსხა. ელენემ ჭიქა აიღო და ღვინო მოსვა.

— შენი აზრით, ეს ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი, თუ შემთხვევით ხდება? — კითხა ელენემ ჯაბას.

ჯაბა დაიბნა:

— რა ყველაფერი?

— ცხოვრება.

— არ ვიცი, — თქვა ჯაბამ და მხრები აიჩეჩა, — არ მიფიქრია.

— არც მე ვიცი, — თქვა ელენემ, — გაგიმარჯოს.

ელენემ ჯაბას ჭიქა მიუჭახუნა. ჯაბას უხაროდა ელენეს არცოდნა. დალიეს. ჯაბამ ბოსტნეულის სალათიანი თეფში აიღო.

ტატო ავტობუსში

ტატო პირველივე მოსულ ავტობუსში ავიდა. ტატოს არ აინტერესებდა, საით მიდიოდა ავტობუსი. ტატო ბავშვების წინ დაჯდა. ბავშვები დედასთან ერთად იყვნენ. დედა დაღლილი იყო. უაზროდ იყურებოდა ფანჯარაში. ტატოს ერთხელ შეხედა. ბავშვები ხმას არ იღებდნენ, ერთმანეთს ფეხს ფეხზე ურტყამდნენ. ორნი იყვნენ. ბიჭები.

— ბავშვებო, რატომ დაიბადეთ თუ იცით? — კითხა ტატომ ბავშვებს.

ბავშვებმა და დედამ დაბნეულად შეხედეს ტატოს. უფრო სწორად, ბავშვებმა მორცხვად და დაბნეულად, დედამ — გაკვირვებით და დაბნეულად.

— არა, — უთხრა ერთ-ერთმა და თავი მორცხვად ჩაღუნა.

— დაიბადეთ იმიტომ, რომ მოკვდეთ, — ტატომ ბავშვებს გაულიმა.

ბავშვები ტატოს დააკვირდნენ, ხოლო დედამ ტატოს შეუტია:

— რეებს ეუბნებით ბავშვებს!!!

— სიმართლეს, ქალბატონო.

ქალი წამოდგა. „თავში რომ მთხლიშოს, ღირსი ვარ“, — გაიფიქრა ტატომ და მოემზადა. „მთავარია, კოპში არ მომხვდეს“, — ტატომ ოდნავ უკან გადაწია თავი.

დედამ ბავშვები წამოაყენა, ანიშნა, რომელ სკამზეც უნდა დამსხდარიყვნენ, შემდეგ ტატოს მოუბრუნდა:

— ბოროტი ხარ და უზრდელი, — დაახასიათა ტატო.

— არა, ქალბატონო, მე უპასუხისმგებლო ვარ, — თქვა ტატომ და მარჯვენა ხელი ჩაიქნია.

ცეკვა და დესერტი

ელენე მასპინძელმა მიიწვია საცეკვაოდ. ელენე დათანხმდა. ჯაბამ იეჭვიანა. ელენესთვის სულერთი იყო, ჯაბა იეჭვიანებდა თუ არა. ელენემ მასპინძელს მხრებზე დააწყო ხელები, მასპინძელმა ხელები წელზე მოხვია ელენეს და ცეკვა დაიწყეს. ცეკვავდნენ დუნედ.

— ელენ, აღფრთოვანებული ვარ თქვენი მოხსენებით, — უთხრა მასპინძელმა.

— თუ ჩემით? — ელენემ გაიღიმა.

— თავისთავად, თქვენითაც.

— როგორც ქალით? — კითხა ელენემ.

მასპინძელმა მხოლოდ გაიღიმა.

— თქვენი აზრით, ცხოვრებაში ყველაფერი შემთხვევით ხდება, თუ ბედისწერით? — ელენემ თვალებში შეხედა მასპინძელს.

— ადამიანი თვითონ ირჩევს, ცხოვრება გაკეთებული არ-

ჩვენების ჯამია. აი, ჩვენ ვცეკვავთ და ეს ჩვენი არჩევანია, — თქვა მასპინძელმა და ორი ნაბიჯი გადადგა უკან. ელენე სხარტად მიყვა. შემდეგ გაჩერდა, მასპინძლის მხრებიდან ხელები აიღო, ერთი ნაბიჯი გადადგა უკან და მთელი ძალით თხლიშა სილა მარჯვენა ლოყაში. ყველამ მათ შეხედა.

— ჩემი ეს არჩევანი თქვენთვის ბედისწერაა თუ შემთხვევითობა?

მასპინძელმა სტუმრებს შეხედა, შემდეგ მაგიდასთან მივიდა, ლარნაკიდან ლამაზი ყვავილი ამოიღო, ელენესთან მიბრუნდა, ყვავილი გაუწოდა და უთხრა:

— იმედია, ჩემი არჩევანი თქვენთვის სასიამოვნოა.

ელენემ ყვავილი გამოართვა და ჩაკბიჩა.

— დიდი მადლობა, ძალიან გემრიელია, — შემდეგ სტუმრებს შეხედა, — ქალბატონებო და ბატონებო, მოვესალმოთ ჩვენს მასპინძელს და უბრალოდ, ნამდვილ ჯენტლმენს.

სტუმრებმა ტაში დაუკრეს

— რა ამაღელვებელი მომენტია, არა?! — უთხრა ელენემ მასპინძელს და ყვავილი მეორედ ჩაკბიჩა...

სასტუმროსთან

ტატო სასტუმროსთან იდგა. ხელები ჯიბეში ქონდა ჩაყოფილი.

„ყველაფერი კარგადაა...“ — ფიქრობდა ტატო.

ელენე და ჯაბა

— გამაცილებ? — კითხა ელენემ ჯაბას. ჯაბამ დაბნეულად შეხედა ელენეს. ელენემ გაუმეორა: — გამაცილებ?

ჯაბამ თავი დაუქნია.

ქუჩაში ციოდა. ელენემ ხელკავი გამოდო ჯაბას და უთხრა:

— რაც გითხარი, ხომ გახსოვს?! შენთან არასდროს დავწვები, მაგრამ მოგისმენ, როგორ გამჟიმავდი.

— ბატონო??? — ჯაბა შეჩერდა.

— რა იყო? — ელენემ გაიღიმა. — არ გიფიქრია მაგაზე?

— მიფიქრია, — აღიარა ჯაბამ.

— მომიყევი, — ელენემ ჯაბა მკლავზე დაქაჩა, — თან ვიაროთ.

ჯაბამ პირველი ნაბიჯი გადადგა და თქვა: — რა ვიცი, ჩვეულებრივად...

— ჩვეულებრივად საინტერესო არ არის, — ელენემ ტაქსის დაუქნია ხელი. ტაქსი გაჩერდა. ელენე ტაქსისკენ წავიდა.

ჯაბამ მიაძახა:

— მოიცა, არ წახვიდე, გეტყვი...

ელენემ ტაქსის ანიშნა, წასულიყო. ტაქსი წავიდა. ელენე ჯაბასთან მივიდა.

— გისმენ.

ელენე ჯაბას თვალებში უყურებდა, ჯაბამ თავი დახარა და ხმადაბლა თქვა:

— ჯერ გაგხდიდი, დაგაყენებდი შიშველს, ცოტა ხნით, მე საკარძელში ჩავჯდებოდი და... — ჯაბა გაჩუმდა, ელენეს შეხედა, ელენე უღიმოდა. ჯაბამ გაიმეორა: — და... და... — ჩაახვია ჯაბამ, — არაფერი, არაფერი არ მინდა.

— წამო ჩემთან, ნომერში და გავაკეთოთ ეგ, — უთხრა ელენემ ჯაბას და კვლავ ტაქსის დაუქნია ხელი.

ელენეს ნომერში

ელენემ ნომრის კარი გააღო. ელენე და ჯაბა ნომერში შევიდნენ. ჯაბას გული უცემდა. ელენემ შუქი აანთო. ჯაბამ ერთი წამით თვალები დახუჭა, შემდეგ გაახილა და საკარძელში მჯდომი უცნობი კაცი დაინახა. ელენე საწოლზე იჯდა. ჯაბა გაშეშდა.

— ტატო, გაიცანი, ეს ჯაბაა, ჩემი კოლეგა და კონკურენტიც ერთდროულად, ნომერში ამომყვა, უნდა, რომ გამაშიშ-

ვლოს, მერე მანდ, — ელენემ ტატოს საკარძელზე მიანიშნა, — დაჯდეს და ჩემზე დაანძრიოს...

ტატო წამოდგა.

— უკაცრავად, დაბრძანდით, ბატონო ჯაბა...

— არა, იცით, მე წავალ...

— წახვალ არა, ჯერ გააჯავამ და მერე გასრიალდები...

ტატო ჯაბასკენ წავიდა. ჯაბამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან. ტატომ მკლავში ჩაავლო ხელი და ძალიან მშვიდად კითხა:

— ესე იგი, რას იზამთ, ბატონო ჯაბა?

— წავალ, — ტატომ მკლავზე ხელი მოუჭირა, — უკაცრავად, გავაჯავამ და გავსრიალდები.

ტატომ ჯაბას ხელი გაუშვა.

ელენეს ნომერში (გაგრძელება)

ტატომ კარი მიკეტა და საწოლზე ელენეს გვერდით ჩამოჯდა, ხელი ხელზე დაადო და უთხრა:

— აღარ მინდა, დავიღალე, მოვრჩეთ.

ელენემ ტატოს შეხედა — მოვრჩეთ, კაი, — ელენემ ტატოს მხარზე დაადო თავი, — მე ძალიან ჩავერთე, შენზე ისე ვფიქრობდი, თითქოს მართლა არ გიცნობდი...

— დავრეკე, თვითონ მიპასუხა..

— მერე? — ელენემ თავი აწია.

— არაფერი, დავუკიდე...

— გინდა, რომ ნახო?

— კი.

— წამოგყვე?

— არა.

— კაი.

ელენე წამოდგა. შუქი ჩააქრო და გახდა დაიწყო.

ტატო საწოლზე გადაწვა.

დილა

ტატოს ცუდად ეძინა, უფრო სწორად, თითქმის არ ეძინა. გათენებისთანავე წამოდგა, სააბაზანოში შევიდა, შხაპი მიიღო და იქვე მოფსა, სააბაზანოდან გამოვიდა, ჩაიცვა. ელენეს შეხედა, მიხვდა, რომ ელენეს არ ეძინა, უბრალოდ, თავს იმძინარებდა. გაეღიმა, ელენესთან მივიდა, თავზე აკოცა.

— ძალიან მიყვარხარ, — უთხრა ჩურჩულით.

ელენე მოიკუნტა.

ტატო კარისკენ წავიდა, კარი ფრთხილად გააღო და გავიდა. ელენემ კარის დაკეტვის ხმა გაიგო და საწოლზე სწრაფად წამოჯდა. აქეთ-იქით მიიხედა, შემდეგ ხელი ნიკაპზე გაისვა ნერვიულად.

ტატო ტაქსიში

ტატომ ქურთუკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მძღოლს შეთავაზა, მძღოლმა თავი დაუქნია მადლობის ნიშნად და სიგარეტი ამოიღო. ტატომაც ამოიღო სიგარეტი, მძღოლმა სანთებელა გააჩხაკუნა და ცეცხლი ტატოს სიგარეტთან მიიტანა. ტატომ მოუკიდა და შემდეგ — მძღოლმაც.

დუმდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მძღოლმა დუმილი დაარღვია:

— მოვედით.

ტატომ მძღოლს ფული მიცა და მანქანიდან გადმოვიდა.

ჰაერზე

ტატომ სიგარეტის ნამწვი გაისროლა და ღრმად ჩაისუნთქა, შემდეგ ამოისუნთქა. „რამდენი ჩასუნთქვაც არსებობს, იმდენი ამოსუნთქვაც“, — გაიფიქრა ტატომ, — „ბალანსი სიკვდილის წინ ირღვევა“. ტატომ ქურთუკის საყელო გაისწორა და მის წინ მდგარი ძველი, სამსართულიანი სახლი

შეათვალიერა, შემდეგ სახლისკენ წავიდა, სადარბაზოს კარი გააღო და შეავიდა. ტატოს მეორე სართულზე ქონდა საქმე.

ელენე და სიხარული

ელენემ ჩემოდნები ჩაალაგა. ორივე ჩემოდანი საწოლზე დადო, დადო რიგრიგობით, ჯერ ერთი, შემდეგ — მეორე, ჯერ თავისი, შემდეგ — ტატოსი. „ძალიან კარგი", — გაიფიქრა ელენემ, — „წავალთ და აღარასოდეს დაებრუნდებით ამ საშინელებაში".

ელენე სავარძელში ჩაჯდა. ხელები სავარძლის სახელურებზე დააწყო და ღრმად ამოისუნთქა. „აღარასოდეს დაებრუნდებით ამ საშინელებაში", — ფიქრობდა ელენე და უხაროდა. სიხარული, ძირითადად, ხანმოკლეა. ელენე რამდენიმე წამს იყო გახარებული, შემდეგ ტატოზე დაიწყო ნერვიულობა.

ტატო კართან

ტატომ კარზე საკუთარი გვარი წაიკითხა. ნერვიულად გადაისვა თავზე მარჯვენა ხელი — კოპზე მოუხვდა, ეტკინა. ქურთუკი ორივე ხელით დაქაჩა და ზარი დარეკა. ზარის დარეკვის შემდეგ კიდევ უფრო ანერვიულდა. უნებურად კიბისკენ გაიხედა, მაგრამ გაქცევა არ უფიქრია.

ტატომ ჯერ ფეხის ხმა გაიგო, შემდეგ საკეტის გადატრიალების ხმა. კარი გაიღო და ტატომ ის დაინახა, ვისი დანახვაც უნდოდა.

— გამარჯობა, მამა, — ტატო მამას მიესალმა.

ტატო წარსულში

მამა რომ გაქრა, ტატო 9 წლის იყო. გაზაფხულის ერთ ჩვეულებრივ დღეს ტატო სკოლიდან სახლში დაბრუნდა.

სახლში მხოლოდ დედა და ბებია დახვდნენ. არ გაკვირვებია — მამა შუადღეს იშვიათად იყო სახლში, ამიტომაც არაფერი უთქვამს. ხელები დაიბანა და სამზარეულოში დაჯდა. საჭმელი ბებიამ გაუცხელა. ტატომ ჭამა დაიწყო. ჭამდა, როგორც ყოველთვის, სწრაფად, მაგრამ ამჯერად არც ბებიას და არც დედას შენიშვნა არ მიუციათ, ჭამის შემდეგ ტატომ საშინაო დავალება დაწერა და ეზოში გავიდა სათამაშოდ.

უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც დედა აღარ წვებოდა ტატოს გვერდით და აღარ უყვებოდა ზღაპრებს. დედა, უბრალოდ, შედიოდა ტატოს საძინებელში, თავზე კოცნიდა ტატოს, ტკბილ ძილს და კეთილ სიზმრებს უსურვებდა და საძინებლიდან გადიოდა.

იმ დღეს დედა ტატოს მიუწვა. ტატოს გაუხარდა. დედას მიეკრა. დედამ ტატოს თავზე გადაუსვა ხელი და უთხრა:

— მამა წავიდა.

— სად? — ტატომ ოდნავ აწია თავი.

— ტრაკში, — თქვა დედამ და ატირდა.

ტატო და მამა

ტატო და მამა პირისპირ დასხდნენ.

— რატომ მოხვედი? — კითხა მამამ. ღელავდა.

— ისე, — ტატოც ღელავდა.

ტატოს სხვანაირად ქონდა ეს შეხვედრა წარმოდგენილი.

— მაშინ ვუყუროთ ერთმანეთს და რომ დაიღლები, წადი, — თქვა მამამ და ჩაახველა.

ტატოს ქონდა ეს შეხვედრა წარმოდგენილი.

— კარგი.

თხუთმეტი წუთის განმავლობაში უყურა ტატომ მამას, შემდეგ ადგა და წამოვიდა. სადარბაზოდან გამოსულმა ტატომ გაიფიქრა: „ამ კაცზე ნერვიულობამ მოკლა დედა“. ტა-

ტო ზღვისკენ წავიდა. ზღვასთან გაჩერდა. ქურთუკი გაიხსნა, ქამარში გარჭობილი პისტოლეტი ამოიღო და ზღვაში გადააგდო. მთელი ძალით ისროლა. ტატოს მთელი ძალა არ იყო დიდი...

ტატო და ელენე ჩემოდნებით

ჩემოდნები გაიყვეს. ელენეს მძიმე ჩემოდანი ტატოს ეჭირა, ტატოს მსუბუქი ჩემოდანი — ელენეს.

ელენემ ტატოს შეხედა და კითხა:

— რა ქენი?

— ვერაფერი, — თქვა ტატომ და გაჩუმდა, თუმცა შეეძლო, თავი ემართლებინა.

თვითმფრინავში

ტატო ილუმინატორთან იჯდა. ელენემ თავი მხარზე დაადო ტატოს.

— იცი, რა მიხარია?

ტატომ ელენეს დახედა.

— რა?

— ამ საშინელებაში რომ აღარ დავბრუნდებით არასდროს.

ტატომ ელენეს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მოკიდა ნიკაპზე, ოდნავ მიაწვა, თვითონ თავი ოდნავ დაწია და ტატომ და ელენემ ერთმანეთს აკოცეს.

— მე ცაში მინდა, რომ დავრჩეთ, — თქვა ტატომ.

თვალთვალი ხელოვნებისთვის

1

ოცდახუთი წლის წინ ამ შენობაში საბავშვო ბაღი იყო განთავსებული. მე და დედა ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) დილის ცხრა საათისთვის მოვდიოდით აქ. მე ვრჩებოდი, დედა სამსახურში მიდიოდა. საღამოს ექვსი საათისთვის დედა ბრუნდებოდა და ჩვენ (ერთად!) ვბრუნდებოდით სახლში. მე სახლისკენ ყოველთვის მივიჩქაროდი, დედა მეუბნებოდა: „ნელა ვიაროთ, დაღლილი ვარ, შვილო“. მაშინ მე ხუთი წლის ვიყავი და ბუნებრივია, ძალიან ცუდად მესმოდა ისეთი სიტყვების შინაარსი, როგორებიცაა: „ყოველდღიურობა შაბათ-კვირის გარდა“, „სამსახური ცხრიდან ექვსამდე“. ახლა, ოცდახუთი წლის შემდეგ, შენობამ ფუნქცია შეიცვალა და საბავშვო ბაღის ნაცვლად აქ ფირმა „ჯაფარიძე და კომპანიაა“ განთავსებული. მე ამ ფირმის რიგითი თანამშრომელი ვარ და უკვე ძალიან კარგად მესმის ისეთი სიტყვების შინაარსი, როგორებიცაა: „ყოველდღიურობა შაბათ-კვირის გარდა“, „სამსახური ცხრიდან ექვსამდე“. და კიდევ, სახლისკენაც ველარ მივიჩქარი – დაღლილი ვარ, თუმც ჯერ რა დროს სახლია, სამუშაო დღე ახლა იწყება — შენობაში შევდივარ.

პირველ სართულზე დაცვის ბიჭები დგანან და ადმინისტრატორი ელენე ზის. ვესალმები ბიჭებს და ელენეს და მეორე სართულზე ავდივარ, მეორე სართული ჩვენია, ფირმის რიგითი თანამშრომლების, მესამე სართული ოლიმპოს მთაა, იქ ჩვენი ფირმის ღმერთები ბინადრობენ. მესამე სართულზე სულ ორჯერ ვარ ნამყოფი — ერთხელ გასაუბრებაზე, მეორედ კონტრაქტის გასაფორმებლად.

ჩვენ, მეორე სართულის ბინადრებს, კომპიუტერების პრობლემა გვაქვს — ორ თანამშრომელზე ერთი კომპიუ-

ტერი მოდის. ფირმის ღმერთები ამბობენ, რომ ეს საკითხი უახლოეს მომავალში დადებითად გადაწყდება და ჩვენ ველით უახლოესი მომავლის დადგომას, სწორედ ეს მოლოდინი უზრუნველყოფს ჩვენი აწმყოს სტაბილურობას — არანაირი ბუნტი, არავითარი გამოსვლები და გაფიცვები, მხოლოდ უკმაყოფილო ჩურჩული, ისიც — ხანდახან და ზომიერად.

ოთახში ორნი ვართ — მე და სოფო. საზიარო კომპიუტერთან ახლა სოფო ზის, რაღაცას ბეჭდავს, დროდადრო თავს მაღლა წევს და რაღაც-რაღაცებს მეკითხება, მაგალითად:

— სანდრო, როგორ ფიქრობ, შოკოლადის რეკლამისთვის რომელი სიტყვა უფრო წავა, ფაფუკი თუ ჰაეროვანი?

— შოკოლადს გააჩნია.

— ჩვეულებრივი შოკოლადია, მომისმინე, მთლიანად წაგიკითხავ ტექსტს, – სოფო კითხულობს: — „ამბასადორი. ის თქვენს ცხოვრებას დღესასწაულად აქცევს, მისი“... და აქ გავიჭედე, – მეუბნება სოფო, – რა ჯობია, ფაფუკი ზედაპირი თუ ჰაეროვანი ზედაპირი?

— ჰაეროვანი ჯობია, – ვეუბნები, – ფაფუკი იგივეა, რაც რბილი, ანუ როგორც ძველი ქართველები იტყოდნენ, — ვიქაჩები ღრმად განათლებულობაზე, – ლბილი. შოკოლადს კი მაგარი ზედაპირი აქვს, მაგარი, მაგრამ არა — უხეში.

— მართალი ხარ, – მეუბნება სოფო და მუშაობას განაგრძობს.

ფირმა „ჯაფარიძე და კომპანია“ სარეკლამო, მოსალოც, სამგლოვიარო და მსგავს ტექსტებს აწარმოებს. ჩვენი ნედლეული ქართული სიტყვაა, ჩვენი ფუნქცია — ნედლეულის გადამუშავება. ჩვენი დამკვეთები არიან ადამიანები, რომლებიც რაღაც-რაღაცებს განიცდიან, მაგრამ ამ განცდების გადმოცემა არ შეუძლიათ. ასეთი რამ კაცობრიობის უდიდეს ნაწილს ჭირს, მაგრამ რა თქმა უნდა, ყველა ჩვენთან არ მოდის. ჩვენი ბაზარი საქართველოა.

რამდენიმე ხნის წინ თბილისში ჰოლანდიელი მწერალი აარონ გრუნბერგი ჩამოვიდა და მე მის შემოქმედებით საღამოს დავესწარი. ძალიან გამიხარდა და უფრო ძალიან გამიკვირდა, როდესაც ამ გამხდარმა, სათვალიანმა და წითურმა მწერალმა თქვა: „ამჟამად ნიუ-იორკში ვცხოვრობ და თავს სასიყვარულო ბარათების წერით ვირჩენ". შემდეგ მან რამდენიმე კურიოზული შემთხვევა გაიხსენა თავისი პრაქტიკიდან.

— შენი კოლეგაა, — მითხრა ჩემ გვერდით მდგომმა მეგობარმა.

— თითქმის ჩემი კოლეგაა, – დავაზუსტე მე.

შემდეგ მე შევიძინე მისი რომანი „სტატისტები". თავიდან ძალიან მომეწონა, ბოლოსკენ — ისე რა, მაგრამ მთავარი ჩემი ამ რომანისადმი დამოკიდებულება კი არ არის, არამედ ის, რომ კაცი სულელური შეკვეთილი სასიყვარულო ბარათების გარდა პროზის წერასაც ახერხებს, ჩემგან განსხვავებით.

— რაზე ფიქრობ? – მეკითხება სოფო.

— აარონ გრუნბერგსა და ჩემს თავზე, — ვპასუხობ და (ოფისში) (მიწაზე) ვეშვები.

— აარონ გრუნბერგი ვინ არის? – მეკითხება სოფო.

— თითქმის ჩვენი კოლეგაა, ნიუ-იორკში შეკვეთილ სასიყვარულო ბარათებს წერს.

— სიყვარულზე წერას ისევ შოკოლადზე და სარეცხის ფხვნილზე წერა მირჩევნია, – მეუბნება სოფო და ამ წინადადებით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მის პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება.

2

თანამედროვე სამყარო სრულიად კომპიუტერიზებულია, ეს კარგად იციან ოლიმპოს მთაზე მცხოვრებმა ღმერთებმა

და თვითონ ორ-ორი და სამ-სამი კომპიუტერი უდგათ კაბინეტებში, და კიდევ: რა თქმა უნდა, ოლიმპოს ყველა ბინადარმა იცის ინგლისური, რადგან თანამედროვე სამყაროში ინგლისური ენის ცოდნის გარეშე ღმერთებიც კი უძლურნი (ღმერთებს ნართანიანი ფორმა უხდებათ) არიან.

„თვითონ ორ-ორი და სამ-სამი კომპიუტერი უდგათ, ჩვენ კი, ორ ადამიანზე — ერთი, ამას განზრახ აკეთებენ, ამით თავის უპირატესობას უსვამენ ხაზს და როდესაც, მათი აზრით, ამ ხაზგასმულ უპირატესობას ბოლომდე და საბოლოოდ შევიგრძნობთ, კომპიუტერებს მოგვცემენ“, — ვფიქრობ და მგონია, რომ სწორად ვფიქრობ.

ჩვენი ფირმის რიგითმა თანამშრომლებმა მშობლიური ქართულის, კოლონიური რუსულის და აუცილებელი ინგლისურის გარდა, ვიცით (ღმერთების აზრით კი, ჯერჯერობით ვსწავლობთ) კიდევ ერთი ენა. პირობითად ამ ენას მესამე სართულის ბინადარ ღმერთებთან საურთიერთო ენა ქვია. გარეგნულად ამ ენაში არაფერი რთული არ არის: „კი ბატონო“, „აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით“ (სიტყვა „აბსოლუტური“ ადამიანებთან დაკავშირებით ცოტა სასაცილოა, მაგრამ ჩვენ ხომ ამით არა ადამიანებს, არამედ ღმერთებს, თუნდაც ფირმის ლოკალურ, მაგრამ მაინც ღმერთებს ველაპარაკებით), „როგორც ყოველთვის, სიმართლეს ბრძანებთ“ და ა.შ. ამ ენის მთელი სირთულე შინაგანი ხასიათისაა, მით უფრო, როდესაც ასეთ რაღაცებს გამოშტერებულ ვახოს ეუბნები. ვახო ღმერთების შიკრიკია ჩვენთან, რიგითებთან. რეალურად ის არც მესამე სართულს ეკუთვნის და არც მეორეს. თვითონ თავი ისე უჭირავს, ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ მესამე სართულის ბინადარია. „კი ბატონო!“ „აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით!“ — ვეუბნები შტერ ვახოს. ის ყოველდღიურ შემოვლას აწარმოებს და შენიშვნებს იძლევა. თითოეული შენიშვნის შემდეგ თითო აღიარებით წინადადებას ვეუბნები: „კი ბატონო!“ „აბსოლუტურად

მართალი ბრძანდებით!“ „როგორც ყოველთვის, მართალი ბრძანდებით!“ და ა.შ. თითოეული აღიარებითი წინადადების შემდეგ გული მეწურება და ბრაზის გორგალი მაწვება ყელში (ადრე ასეთი იდიომატური გამოთქმები იდიოტური მეგონა, ახლა ვგრძნობ, რომ გულის მოწურვაც არსებობს და ბრაზის გორგლის ყელში მოწოლაც), ერთადერთი, რაც მამშვიდებს, ის არის, რომ არა თავად ვახოს, არამედ ფირმის ღმერთებს ველაპარაკები.

ბრძანებების გაცემის შემდეგ კმაყოფილი ვახო ოთახიდან გადის. მისი წასვლით ჩვენც კმაყოფილი ვართ.

3

ახლა უკვე ჩემი ჯერია. კომპიუტერთან ვჯდები და ხელნაწერის შეყვანას ვიწყებ. საძილე წამლის სარეკლამო ტექსტია (ასეთ წამლებს ბავშვობაში „სონიკებს“ ვეძახდით. ერთხელ, მაშინ თოთხმეტი წლის ვიყავი, ათი აბი ასეთი წამალი დავლიე და ოთხი დღით გავითიშე. ზუსტად არავინ იცოდა, მოკვდებოდი თუ დავრჩებოდი, ჩემი მხრიდან ამ საძილე წამლის დალევა თვითმკვლელობის მცდელობა არ ყოფილა, ეს იყო ერთგვარი კაიფი ან კაიფის ნაირსახეობა, როდესაც მოცემული რეალობა არ გაკმაყოფილებს და სხვა რეალობას ეძებ. თავისთავად სხვა რეალობა არაფერია, კაიფი სხვა რეალობის ძიებაა, ეს მაშინ არ ვიცოდი და კინაღამ მოვკვდი).

ასოს ასო მისდევს და იქმნება სიტყვა, სიტყვები ქმნიან წინადადებებს, წინადადებები ქმნიან სარეკლამო ტექსტს: „უძილობა გაწუხებთ? მიიღეთ აბსოლუტურად ნატურალურ ექსტრაქტებზე დამზადებული საძილე პრეპარატი „სონოო“ და თქვენ ისე დაიძინებთ, რომ ვეღარ გაიღვიძებთ!“ რა თქმა უნდა, ვხუმრობ, უკანასკნელ წინადადებას ვშლი, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ხუმრობის კვალს ვშლი და ვწერ: „და თქვენ დაიბრუნებთ ძილს და ლამაზ სიზმრებს“. ადამიანებს

გვჭირდება გარანტიები, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომლებშიც ადამიანები სრულიად უძლურები (ადამიანებს ნართანიანი ფორმა არ უხდებათ) ვართ, მაგალითად: გარანტია, რომ დაძინებულები ლამაზ სიზმრებს ვნახავთ.

თავს მარცხნივ ვატრიალებ – სოფო მაგიდასთან ზის, ხელში პასტა უჭირავს და წერს. თავს კელავ მონიტორისკენ ვატრიალებ და მორიგი სარეკლამო ტექსტის შეყვანას ვიწყებ.

4

არსებობს ჟამი მუშაობისა და არსებობს ჟამი დასვენებისა, ახლა სწორედ ეს უკანასკნელი ჟამია (არსებობს უკანასკნელი ჟამი და არსებობს უკანასკნელი ჟამის მოლოდინის ჟამიც, ეს უკანასკნელი მთელ ჩვენს ცხოვრებას მოიცავს).

ფირმაში ოფიციალური შესვენების საათები არ არსებობს, მაგრამ არაოფიციალურად ორიდან სამამდე ფირმა ისვენებს.

— არ გშია? — მეკითხება სოფო.

— ჯერ არა, — ვპასუხობ.

— მე წავალ, შევჭამ, — მეუბნება სოფო.

— ანგარიშს მაბარებ?! — ვეუბნები და ვუღიმი სოფოს.

— ნებისმიერ ქალს აქვს სურვილი, რომ კაცს ანგარიში ჩააბაროს, გაიგე?! — მეუბნება სოფო. არა, რა თქმა უნდა, ისევ ვხუმრობ — სოფო ასეთ რამეს არ მეუბნება, მაგრამ თვალებში ვატყობ, რომ მსგავს რაღაცას ფიქრობს, მაგრამ სოფო ასეთ რამეებში ზედმეტად მორიდებული გოგოა და ამ მორიდებას აგრესიით ებრძვის, სოფო მეუბნება: — ანგარიშს არა, პატაკს ჩაგაბარებ, არ გინდა?! — და სოფო ოთახიდან გადის. მე ფანჯარასთან მივდივარ, ჟალუზებს ვწევ, ფანჯარას ვაღებ და სიგარეტს ვუკიდებ. ღია ფანჯარასთან ვდგავარ, გარეთ შემოდგომაა, მიწაზე ხეებიდან ჩამოცვენილი ყვითელი

ფოთლები ყრია, დროდადრო სუსტი ქარი უბერავს და ფოთლებს ადგილმდებარეობას უცვლის, დედამიწის ერთი წერტილიდან მეორე წერტილისკენ მიაფრიალებს. ადამიანის ცხოვრებაში დედამიწის ერთი წერტილიდან მეორე წერტილში ნებით ან იძულებით გადაადგილება ცვლილებებს მოასწავებს (ეს ცვლილებები შეიძლება სასიამოვნო ცვლილებები იყოს, ან უსიამოვნო ცვლილებები, ცხოვრებაში გარანტიები არ არსებობს, გარანტირებული მხოლოდ სიკვდილია), მაგრამ რა აზრი აქვს იმავე პროცესს ფოთლებისთვის? ალბათ, არანაირი, ვამბობ „ალბათ“ და არ ვამბობ „ზუსტად“, რადგან ფოთოლი არასდროს ვყოფილვარ ან ვიყავი და არ მახსოვს. უკანასკნელი წინადადება ბულვარული მისტიკის ნიმუშია, მაგრამ ჩემი აზრით, დროულად არის გამოყენებული, რადგან ყველაფერი, რაც ყოვლისმცოდნეობის ამპარტავნული ცოდვიდან გამოსვლაში დაგვეხმარება, მუდამ დროული და სასარგებლოა, მათ შორის ბულვარული მისტიკაც.

სიგარეტს ვფერფლავ, ღია ფანჯრიდან ნახევრად გაშიშვლებულ ხეებს ვხედავ, ასევე, მარადმწვანე ხეებს ვხედავ. რა თქმა უნდა, მარადმწვანეობა ილუზიაა, ადრე თუ გვიან ყველა ხე ხმება, ამ ხეების ჯგუფს სანამვარმწვანე ხეები უნდა ერქვათ. რა თქმა უნდა, ვხუმრობ. მარადმწვანე ხეები მშვენიერი სახელწოდებაა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მარადმწვანე ხე ილუზიაა, ადრე თუ გვიან ყველა ხე ხმება.

სიგარეტს ვაგდებ, ფანჯარას ვხურავ, ჟალუზებს ვუშვებ და კომპიუტერთან მივდივარ. ინტერნეტში ვიქექები; ჯერ ჩემს ფოსტას ვამოწმებ — არაფერია, შემდეგ ლიტერატურულ ფორუმზე შევდივარ.

5

საიტზე რამდენიმე თვის წინ დავრეგისტრირდი. დავდე ჩემი სამივე მოთხრობა და იქვე მივუთითე, რომ ეს სა-

მი მოთხრობა ჩემი მოთხრობების ერთი, არცთუ საუკეთესო, ნაწილია. რა თქმა უნდა, ვიცრუე — არანაირი სხვა მოთხრობები არ არსებობს.

მოთხრობების შეფასებაში ჩემი ვირტუალური ძმები და დები თავშეკავებულები იყვნენ, მთხოვდნენ და მთხოვენ, დავდო სხვა მოთხრობებიც და მეც ვპირდებოდი და ვპირდები, რომ დავდებ.

ინტერნეტი თანამედროვე ანდერგრაუნდია, ვირტუალურმა ფორუმმა ჩაანაცვლა რეალური თავყრილობები, ვირტუალურმა სექსუალურმა თავისუფლებამ — რეალური სექსუალური თავისუფლება; ანდერგრაუნდი, თავისი არსით, ყველაზე დემოკრატიული სივრცეა, ინტერნეტში დემოკრატიულობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა.

ანდერგრაუნდში ბოლომდე მხოლოდ უნიჭოები რჩებიან, ნიჭიერი ადამიანები ადრე თუ გვიან ანდერგრაუნდს ტოვებენ და როგორც ძველი კრიტიკოსები ამბობდნენ, დღის სინათლეზე გამოდიან. ამის თვალსაჩინო მაგალითებია ბაროუზის და კერუაკის თანამედროვე მდიდრული გამოცემები.

მე ჯერჯერობით ანდერგრაუნდში ვარ, ინტერნეტში ვარ. პარალელურად არსებობს ოფიციალური პროზა. აუტორებს ანბანის და არა პირადი სიმპათიის მიხედვით ვთვლი, ანდა რა აზრი აქვს?! მათი სახელები ისედაც ყველამ იცის.

მე და უამრავი ჩემნაირი ინტერნეტში ვართ — ჩვენ, ვისაც გვსურს, რომ მწერლები ვიყოთ, მაგრამ რეალურად ოფისებსა და კანცელარიებში ვმუშაობთ და ბავშვობაში დაწერილი მოთხრობებით ვცდილობთ, დავიმკვიდროთ ადგილი ლიტერატურულ სამყაროში. ჩვენ ვირტუალური მწერლები და რეალური კანცელარიების და ოფისების მუშაკები ვართ.

ვნებს თუ არა ოფისში მუშაობა მწერალს? ვფიქრობ, რომ არ ვნებს, მთავარი სულ სხვა რამ არის — მე თავად ვეღარ ვგრძნობ ჩემში მწერლურ ნიჭს (ვერ ვგრძნობ არ ნიშნავს, რომ არ მაქვს!). იყო დრო, როდესაც ვგრძნობდი, ახ-

ლა ვგრძნობ მხოლოდ და მხოლოდ სურვილს, რომ ვწერო – მხოლოდ და მხოლოდ სურვილს, სხვა არაფერს — რომ ვწერო.

6

საიტზე ახალ ინფორმაციას წავაწყდი — საიტის ადმინისტრაცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს საუკეთესო მოთხრობის გამოსავლენად. ეს ინფორმაცია წერის სურვილს მიორმაგებს.

7

დარბაზი სავსეა, დარბაზი ზუზუნებს, სცენაზე ჟიურის წევრები დგანან, დაჯილდოების ცერემონიალი იწყება, დარბაზი ჩუმდება, მიკროფონთან ჟიურის თავმჯდომარე დგას, ლაპარაკობს კონკურსის არსზე, მიზანზე, კონკურსის დაარსების ისტორიას იხსენებს, მადლობას უხდის კონკურსის სპონსორებს, შემდეგ ჟიურის თავმჯდომარე ასახელებს საკონკურსოდ შემოსული ტექსტების რაოდენობას, ამბობს, რომ ბუნებრივი გადარჩევის პროცესი მოხდა და ეს პროცესი ბევრ ავტორს გულს ატკენს, მაგრამ გამარჯვებული, როგორც ნებისმიერ კონკურსში, ერთია. ჟიურის თავმჯდომარე ჯიბიდან კონვერტს იღებს, ხსნის, გახსნილი კონვერტიდან გაკეცილ ფურცელს იღებს, ფურცელს შლის (გული სულ უფრო და უფრო მძლავრად მიცემს!) და ხანმოკლე პაუზის შემდეგ აცხადებს:

— პრემია საუკეთესო მოთხრობისთვის გადაეცემა სანდრო იაშვილს.

ყველა აქეთ-იქით იყურება ჩემ გარდა, რადგან სანდრო იაშვილი მე ვარ! სცენისკენ მივდივარ, ადამიანები გზას მითმობენ, თან ყურადღებით მათვალიერებენ, მაფასებენ და მი-

მახსოვრებენ, ვიღაც-ვიღაცები გამარჯვებას მილოცავენ, მე მადლობის ნიშნად მათ თავს ვუქნევ, და აი, სცენაზე ვარ, ჟიურის თავმჯდომარე გამარჯვებას მილოცავს, გადმომცემს პრიზს და ხელს მართმევს. მე მიკროფონთან მივდივარ, მიკროფონთან მისული ვგრძნობ, რომ მიკროფონთან მხოლოდ ჩემი ერთი ნაწილი დგას, მეორე ნაწილი დაფრინავს, სულ უფრო და უფრო მაღლა და მაღლა, ზევით და ზევით, ბოლოს დარბაზის ჭერს ეკრობა და იქიდან დაცქერის ქვევით დარბაზში მოფუსფუსე ხალხს და მიკროფონთან დარჩენილ საკუთარ ნაწილს, რომელიც ამბობს, რომ მოულოდნელობისაგან დაბნეულია; „რა ბანალური ხარ", — ფიქრობს დარბაზის ჭერზე აკრული ნაწილი და თანდათან დაშვებას იწყებს, მაგრამ დარბაზის ნაცვლად, ფირმა „ჯაფარიძე და კომპანიის" ოფისში ეშვება, და აი, მე კვლავ ოფისში ვარ და კომპიუტერთან ვზიავარ; დარბაზი, აღიარება — ყველაფერი ილუზიაა მოთხრობის გარეშე, მოთხრობა კი ჯერჯერობით არ არსებობს.

8

ვიწყებ ფიქრს მომავალ მოთხრობაზე. ჯერჯერობით თემის ძიებაში ვარ. პირველი თემა, რომელიც მომდის თავში, ბავშვობაა. ეს ბუნებრივიცაა — ჩვენ, ყველა, ხომ ბავშვობიდან მოვდივართ; სენტ-ეგზიუპერის ეს აფორიზმი ყველას სითბოს და სენტიმენტალურობის გამო მოწონს, მაგრამ სითბო და სენტიმენტალურობა ამ აფორიზმში მეორადია; პირველ რიგში ეს აფორიზმი სამყაროს და სიცოცხლის ბუნების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. სენტ-ეგზიუპერის ამ აფორიზმში სამყაროს და სიცოცხლის სტრუქტურაა მოცემული. არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი მოაზროვნეების თეორიები იმის შესახებ, რომ სამყაროს და სიცოცხლის სტრუქტურა დაირღვევა და სიცოცხლე დაიწყება სიკვდი-

ლიდან, ასე რომ, მომავლის პატარა პრინცი შეკითხვაზე, საიდან მოდიხარ? უპასუხებს: „სიკვდილიდან“ ან „სიბერიდან“. და ეს ბუნებრივი იქნება, ზუსტად ისევე ბუნებრივი, როგორც ჩვენთვის დაბადებიდან და ბავშვობიდან მოსვლა, და რაც მთავარია, იმ დროის ადამიანებს ეს პასუხი ისევე თბილად და სენტიმენტალურად მოეჩვენებათ და ეყვარებათ, როგორც ჩვენ გვეჩვენება და გვიყვარს სენტ-ეგზიუპერის აფორიზმი; მაგრამ ეს ყველაფერი არაფერ შუაშია ჩემს მომავალ მოთხრობასთან, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არაფერ შუაშია.

9

ოცდახუთი წლის წინ ამ შენობაში საბავშვო ბაღი იყო. მე და დედა ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) დილის ცხრა საათისთვის მოვდიოდით აქ. მე ვრჩებოდი, დედა სამსახურში მიდიოდა. საღამოს ექვსი საათისთვის დედა ბრუნდებოდა და ჩვენ (ერთად!) ვბრუნდებოდით სახლში. მე სახლისკენ ყოველთვის მივიჩქაროდი, დედა მეუბნებოდა: „ნელა ვიაროთ, დაღლილი ვარ, შვილო“. მაშინ მე ხუთი წლის ვიყავი და ბუნებრივია, ძალიან ცუდად მესმოდა ისეთი სიტყვების შინაარსი, როგორებიცაა: „ყოველდღიურობა შაბათ-კვირის გარდა“, „სამსახური ცხრიდან ექვსამდე“. ახლა, ოცდახუთი წლის შემდეგ, შენობამ ფუნქცია შეიცვალა და საბავშვო ბაღის ნაცვლად აქ ფირმა „ჯაფარიძე და კომპანიაა“. მე ამ ფირმის რიგითი თანამშრომელი ვარ და უკვე ძალიან კარგად მესმის ისეთი სიტყვების შინაარსი, როგორებიცაა: „ყოველდღიურობა შაბათ-კვირის გარდა“, „სამსახური ცხრიდან ექვსამდე“.

ახლა ოფისში ვზივარ და ვიხსენებ, როგორი იყო ეს შენობა ოცდახუთი წლის წინ და რაც მთავარია, როგორი ვიყავი თავად მე ოცდახუთი წლის წინ: ბაღში საახალწლო

ზეიმია, მე დათვი ვარ, ტანზე ყავისფერი ბეწვი მაქვს შემოხვეული, სახეზე დათვის ნიღაბი მიკეთია. გულში დათვის ლექსს ვიმეორებ, ვღელავ, ბაღის სააქტო დარბაზი (ახლა სააქტო დარბაზის ადგილზე ჩვენი ფირმის ოლიმპოს მთაა) სავსეა ხალხით — მშობლებით, მასწავლებლებით, მოწვეული სტუმრებით. ცნობილი მსახიობები — ოთარ კობერიძე და ლია ელიავა (ალბათ, ბაღში მათი რომელიმე ახლობელი დადის) გამორჩეულ ადგილზე სხედან, ბაღის გამგე (მაშინ ასე ერქვა დირექტორს) მათ გვერდით ზის და განმარტებებს აძლევს სხვადასხვა საკითხზე. საპატიო სტუმრები დროდადრო თავს იქნევენ და იღიმებიან.

იწყება საახალწლო ზეიმი, ჯერ თოვლის ბაბუა ამბობს ლექსს, შემდეგ — ტყის დედოფალი, შემდეგ — ლომი, შემდეგ — ვეფხვი და აი, ჩემი ჯერიც მოდის, დარბაზის შუაგულში ვდგები და ვიწყებ:

დათუნია დრუნჩასა თაფლი უყვარს...

და ვიჭედები, დაბნეულად ვიხედები აქეთ-იქით, ვიმეორებ, ოღონდ უკვე წამხდარი ხმით:

დათუნია დრუნჩასა თაფლი უყვარს...

არადა, არ მახსენდება ლექსის გაგრძელება, მთლად დაბნეული ვიხედები აქეთ-იქით, საშველი არ არის და ვიწყებ ტირილს, თავიდან ჩუმად ვტირი, შემდეგ თანდათან ხმას ვუწევ, ბოლოს ღრიალზე გადავდივარ... პირველი, ვინც ჩემთან მოდის და მაწყნარებს, ლია ელიავაა, შემდეგ დედაჩემი, რამდენიმე წუთში ჩემ ირგვლივ დამამშვიდებელი მიტინგია.

ეს ფაქტი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდია, მაგრამ რამდენად გამოდგება ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდი მოთხრობისთვის? სკამის საზურგეს ვეყრდნობი, პასუხი არ მაქვს, უფრო იქით ვიხრები, რომ არ გამოდგება.

კარი იღება და ოთახში სოფო შემოდის, სოფოს ვახო მოყვება, სოფო ჯდება, ხოლო ვახო მესამე სართულიდან წამოსულ ახალ მითითებებს გადმოგვცემს.

ჩემი საძინებლის ფანჯრიდან წმინდა გიორგის ეკლესია ჩანს, ახლა ღამეა და ეკლესია ოქროსფრადაა განათებული.

იყო დრო, როდესაც ყოველ შაბათ-კვირას დავდიოდი ამ ეკლესიაში, ხოლო ოთხშაბათს და პარასკევს მარხვას ვიცავდი, შემდეგ თანდათან ეკლესიაში სიარულს შევეშვი და მარხვაც დავარღვიე. ამის მიზეზი თეიზმიდან ათეიზმზე გადასვლა არ ყოფილა, უბრალოდ, შევეჩვიე იმას, რომ მორწმუნე ვარ, შევეჩვიე ეკლესიას და მარხვას და თანდათან ყველაფრის ავტომატურად კეთება დავიწყე: ვლოცულობდი, ეკლესიაში დავდიოდი, ვმარხულობდი, მაგრამ სულ უფრო და უფრო ფარისევლურად, გარეგნულად; გულით და გონებით კი სულ სხვაგან ვიყავი, ვერ ვიტყვი, რომ ეს სულ სხვაგან ეკლესიაზე კარგი ადგილი იყო. გაიელის დრო და ალბათ, ისევ რაღაც მეტკინება და ეკლესიაში მივალ, როგორც ადრე მივედი მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ.

ჯერჯერობით საწოლთან მივდივარ, მობილურ ტელეფონს ხმას ვუთიშავ და ტუმბოზე ვდებ. ტანსაცმელს ვიხდი და ვწვები, მოთხრობაზე ვფიქრობ, იქნებ მოთხრობა ეკლესიაში მისვლაზე დავწერო. როგორ მივედი ეკლესიაში მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ (ბავშვობის მერე პირველად) და როგორ მძლავრად ვიგრძენი, რომ ვიღაც თუ რაღაც ცუდად გახდა ჩემში და მიწაზე ამოგდებული თევზივით აფართხალდა (დღითი დღე ვრწმუნდები, რომ ნებისმიერი იდიომატური გამოთქმა ადამიანის რეალურ განცდებთანაა დაკავშირებული) და როგორ მექაჩებოდა გარეთ — ქუჩისკენ.

ასე აღმოვაჩინე ეშმაკი საკუთარ თავში და მივხვდი, რომ ეშმაკთან ბრძოლა გაცილებით მნიშვნელოვანი რამ არის, ვიდრე ბრძოლა მშვიდობისთვის, ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ და ა.შ. რადგან ნამდვილი მშვიდობა მაშინ დამყარდება, როდესაც ადამიანები მეტაფიზიკურად დალაგდებიან.

სახეზე საბანს ვიფარებ — ეს ბავშვობისდროინდელი ჩვევაა. დედაჩემი სულ მეჩხუბებოდა: „ნუ იფარებ, ნუ ი-ფა-რებ, დაიხრჩობი!“ ბავშვისთვის სიტყვა „დაიხრჩობი“ არაფრის მთქმელი სიტყვაა, ისევე, როგორც სიტყვა „სიკვდილი“. თუმცა ყველამ ვიცით, რომ ბავშვებიც იხრჩობიან და ბავშვებიც იხოცებიან და რაც ყველაზე სამწუხაროა, ბავშვებსაც კლავენ.

11

ომში ჩემს უფროს მეგობრებს გავყევი, უფრო სწორად, ავეკიდე. თავიდან მიცილებდნენ და ვერ მომიცილეს.

სამხედრო შტაბი ყოფილი სკოლის შენობაში იყო განთავსებული, მე ბრძოლებში არ მიმიღია მონაწილეობა, ავტომატი არ მომცეს, მაშინ ეს ამბავი მწყინდა, ახლა ვხვდები, რომ ეს ამბავი ჩემდა სასიკეთოდ მოხდა. რა შემეძლო მე ბრძოლის ველზე? არაფერი სიკვდილის გარდა და ალბათ, პირველივე ბრძოლაში მომკლავდნენ.

ავტომატის მაგიერ მომცეს ნიჩაბი და რამდენიმე ჩემნაირ უავტომატო ლაწირაკთან ერთად შტაბის უკან უზარმაზარი ორმოს ამოთხრა დამავალეს. ორმო ოთხ დღეში გავთხარეთ, ჩვენ, მიწის მთხრელებმა, ორმოს დანიშნულება არ ვიცოდით, გვითხრეს, გათხარეთო და გავთხარეთ. გვქონდა რამდენიმე ვერსია. ვერსია პირველი: ჩვენ ვთხრიდით აკოპს, ვერსია მეორე: ჩვენ ვთხრიდით ორმოს იარაღის გადასამალად და ვერსია მესამე: ჩვენ ვთხრიდით საძმო საფლავს.

ორმოს გათხრიდან რამდენიმე საათის შემდეგ შტაბის ეზოში სატვირთო მანქანა შემოვიდა, მანქანა ორმოსთან გაჩერდა, შემდეგ მანქანის ძარამ თანდათან ხმაურით ზესვლა დაიწყო, ძარას ზესვლა რამდენიმე წამს გაგრძელდა, შემდეგ ძარა გაჩერდა და დაიწყო ჩამოცლა, უზარმაზარ ეზოში ცვიოდნენ მკვდარი ბავშვები.

— ესენი სუ ადგილობრივები არიან, თბილისში ამათ გადასვენებას აზრი არა აქვს, — თქვა შტაბის უფროსმა.

— რას გვიშვრებიან ეს აფხაზები, ნახე, რა?! — თქვა ერთ-ერთმა ოფიცერმა.

— აფხაზები და რუსები, — დააზუსტა შტაბის უფროსმა.

შემდეგ დაიწყო მიწის მიყრა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ დაეცა სოხუმი... ახლა, წლების შემდეგ, ინტერნეტში აფხაზურ საიტებს ვათვალიერებ ხოლმე. ისინიც მსგავს ამბებს ყვებიან, განსხვავება აწმყოშია: აფხაზები დაღუპულებს, ხოლო ჩვენ — ელექტროენერგიის მრიცხველებს ვამხოლოებთ, რა თქმა უნდა, პროგრესი ჩვენს მხარეზეა.

12

ვწევარ, თავზე საბანი მაქვს წაფარებული, თვალებს ვახელ, ბნელა, თვალებს ვხუჭავ, ბნელა. ქუთუთოების მოძრაობას ვგრძნობ და საკუთარი სუნთქვა მესმის. კვლავ მოთხრობაზე ვფიქრობ, ფიქრი თვალგახელილს უკეთესად გამომდის, ვიდრე თვალდახუჭულს, თვალდახუჭულს ძილი მერევა.

თვალგახელილი ვფიქრობ მოთხრობაზე, ბნელა ვიზუალურადაც და ინტელექტუალურადაც, ერთადერთი, რასაც ვხვდები, ისაა, რომ არ არის აუცილებელი, მოთხრობა საკუთარ თავზე დავწერო. ხომ არსებობენ ჩემ ირგვლივ ადამიანები: დედაჩემი, ჩემი მეგობრები, ჩემი კოლეგები, თუმცა ამ მხრივ პრობლემა მაქვს; დიდი ხანია სხვების ცხოვრება აღარ მაინტერესებს. დედაჩემი, მთავარია, ცოცხალი იყოს, სხვა ყველაფერი — მისი განცდები, ფიქრები, გული და გონება — აღარ მაინტერესებს. ეს, ალბათ, ასაკობრივი ეგოიზმია, როდესაც დედის გულის და გონების მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობა გაღელვებს და არა — ამ გულის და გონების შიგთავსი. ვინ მიყვარს მთელ სამყაროში დედაჩემზე მეტად? არავინ, ასე რომ, ჩემი მეგობრების გულის და გო-

ნების მდგომარეობა ჩემთვის, თავისთავად, მეორეხარისხოვანია. აღარაფერს ვამბობ ჩემს კოლეგებზე — მათ გული და გონება საერთოდ თუ აქვთ, ზუსტად არც ვიცი. ორ დასკვნამდე მივდიოარ ერთდროულად.

დასკვნა პირველი: ჩემი ეგოიზმი ასაკობრივი კი არა, მარტოკაცის ეგოიზმია. შვილი მჭირდება და პირველ რიგში, საყვარელი ცოლი, რათა დამთავრდეს ის საშინელება, რასაც ოცდაათწლიანი მარტოობა ქვია, ოცდაათწლიანი არა, ოცდახუთწლიანი; ბავშვობაში დედას და მამას შორის მეძინა ხოლმე, ეს მოგონება მათბობს, ზოგადად, სითბო სხეულებს ზრდის და აფართოებს, მაგრამ ადამიანი ფიზიკური კანონების მიღმაა, ადამიანს სითბო ყოველთვის აპატარავებს.

13

დასკვნა მეორე: არა საკუთარ თავზე, არა დედაჩემსა და არა ჩემს მეგობრებზე, არამედ ჩემს კოლეგებზე უნდა დავწერო მოთხრობა, რადგან საკუთარ თავს, დედას, ჩემს მეგობრებს უკვე ისე კარგად ვიცნობ (ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ვიცნობ), რომ აღარ მაოცებენ, არადა ყველაფერი გაოცებით იწყება (გაოცების პრიმატი, თუ სწორად მახსოვს, პლატონს ეკუთვნის. რაციონალისტები ამბობენ, რომ პლატონი ფილოსოფიაში პოეზიას უშვებდა, რაც ფილოსოფოსისთვის პლუსი ნამდვილად არ არის, მაგრამ თავად სამყაროში ხომ არსებობს პოეზია, ესე იგი ჰარმონია, რომელსაც ადამიანური მონაცემებით ვერ შექმნი! ალბათ, ეს ყველაფერი ბანალურია, თუმცა, ჩემი აზრით, ჯობს ბანალური იყო, მაგრამ ჭეშმარიტი, ვიდრე ორიგინალური, მაგრამ მცდარი).

ერთადერთი, ვინც შეიძლება გამაოცოს, ჩემი კოლეგები არიან. კმაყოფილი ვარ საკუთარი მიგნებით და ამიტომ მშვიდად ვხუჭავ თვალებს, ძილი აღარ მერევა, ძილს მე თვითონ ვნებდები.

14

კომპიუტერთან სოფო ზის – სარეკლამო ტექსტი შეყავს. მე მაგიდასთან ვზივარ და ძაღლების სარეკლამო ტექსტზე ვმუშაობ. ამ დროს ოთახში ვახო შემოდის, როგორც ყოველთვის სერიოზულია და ამაყი; და როგორც ყოველთვის, მესამე სართულიდან წამოსულ განკარგულებებს გვამცნობს. მე და სოფო ვახოს ყურადღებით ვუსმენთ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც.

— მოკლედ ესე, ეხლა გააგრძელეთ მუშაობა, – ამბობს ვახო, მაცნემ თავისი სათქმელი თქვა და მაცნე უნდა წავიდეს, მიდის კიდეც.

— ერთი ამის თავში ჩამახედა, რა, – ვახოს გასვლისთანავე ამბობს სოფო, ირონიულად იღიმება და მუშაობას აგრძელებს.

რაც შემეხება მე, სოფოს ბანალურ წინადადებაზე – „ერთი ამის თავში ჩამახედა, რა“ – ვფიქრობ, უფრო სწორად, ვფიქრობ, რომ იქნებ სოფოს მაგიერ მე ჩავიხედო ვახოს თავში და მასზე დავწერო მოთხრობა. მეღიმება. პირველ რიგში — ვახოზე, შემდეგ — საკუთარ გადაწყვეტილებაზე. „რა თქმა უნდა, ვახოს თავში სიცარიელეა“, — ვფიქრობ, — „რა აზრი აქვს ცარიელ თავზე წერას!“ კვლავ მეღიმება, ოღონდ უკვე შესაძლებელი მოთხრობის სათაურზე — „ვახოს ცარიელი თავი“.

ვდგები, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს და სანთებელას ვიღებ, ჟალუზს ვწევ, ფანჯარას ოდნავ ვაღებ და სიგარეტს ვუკიდებ. გამეორებები. მუდმივი გამეორებები. დღეში რამდენჯერმე, თვეში ბევრჯერ, წელიწადში ბევრზე ბევრჯერ, ცხოვრების განმავლობაში — უთვალავჯერ.

სოფოს წამოდგომის ხმა მესმის, თან მინაზე მის ანარეკლს ვხედავ, შემდეგ სოფოს ნაბიჯების ხმა მესმის, სოფოს ანარეკლი ჩემკენ მოდის, სამი ნაბიჯის შემდეგ უკვე ნამდვილი სოფო დგას ჩემ გვერდით, ნამდვილი სოფო მეუბნება:

— ბარემ მეც მოვწევ, — სოფოს თავისი სიგარეტი აქვს, ქალური, წვრილი სიგარეტი.

მე, როგორც ჯენტლმენი, სოფოს სიგარეტზე ვუკიდებ, სოფო პირველი ნაფაზის შემდეგ ამბობს:

— სულ მინდა, რომ თავი დავანებო, მაგრამ არ გამომდის.

— მე ოთხი წელი არ ვეწეოდი, — ვუმხელ სოფოს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე საამაყო ეპიზოდს.

— მერე რამ გაგაგიჟა, ოთხი წელი რომ არ მოვწიო, აღარც მიყეკარები.

— ეგრე მოხდა და რა ვქნა, — ვამბობ. ოთხწლიანი პაუზის შემდეგ სიგარეტის მოწევის ხელახლა დაწყება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე სულელური ეპიზოდია.

— საშინელებაა სიგარეტი, — ამბობს სოფო და სიგარეტს ფერფლავს.

— მარკ ტვენმა, იცი, რა თქვა? — ვეკითხები სოფოს.

— ვიცი, — მიღიმის სოფო, — სიგარეტისთვის თავის დანებებას რა უნდა, ათასჯერ მაქვს თავი დანებებულიო.

ცოდნია.

15

ჯერ სოფო აგდებს სიგარეტს, შემდეგ მე. ფანჯარას ვკეტავ, ჟალუზს ვუშვებ და ჩვენ ჩვენს ადგილებზე ვბრუნდებით, უფრო სწორად, ჩვენ ჩვენს დროებით ადგილებზე ვბრუნდებით, აი, მეორე კომპიუტერს რომ დაგვიდგამენ, მერე გაირკვევა, ვინ სად ზის მუდმივად.

„ვახოს ცარიელ თავზე“ აღარ ვფიქრობ. ადამიანი, ვისზეც წერ, ან უნდა გიყვარდეს, ან უნდა გეზიზღებოდეს, ან მოგწონდეს, ან გეცოდებოდეს მაინც. ვახოსადმი არც ერთი ეს გრძნობა არ მაქვს, ვახო, უბრალოდ, მედებილება.

სიყვარული, ზიზღი, მოწონება, შეცოდება — ვთვლი გრძნობებს და თან სოფოს ვუყურებ. სოფო უფრო მეცოდება, ვიდრე მომწონს ან მიყვარს, ან მეზიზღება.

სოფო მეცოდება; რატომღაც მგონია, რომ მარტოა, პირადი ცხოვრება არ აქვს და მოწყენილია. „სოფოზე ხო არ დავწერო მოთხრობა?“ — ვეკითხები საკუთარ თავს, „რატომაც არა, მაგრამ რა ინფორმაცია მაქვს მე სოფოს შესახებ? ბევრი არაფერი: ვიცი, რომ მუშაობს და სიგარეტისთვის უნდა თავის დანებება, მაგრამ ვერ ანებებს, და კიდევ ის, რომ სოლოლაკში ცხოვრობს. სხვა ყველაფერი ვერსიებია. როგორ გადავამოწმო ეს ვერსიები? შემიძლია შეკითხვები დავუსვა, მაგრამ რამდენად გულწრფელად მიპასუხებს სოფო ამ შეკითხვებზე? ძალიან პატარა შანსია, რომ გულწრფელად მიპასუხოს, რადგან ისეთი კითხვები, როგორებიცაა: როგორ ცხოვრობ? რას განიცდი? თითქმის ისეთივე უხერხული შეკითხვებია, როგორც „ხელფასი რამდენი გაქვს (ადამიანები ისე ჩავეშვით, რომ ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინტიმური საიდუმლო ჩვენი ხელფასის რაოდენობაა)?“

„ხომ არ ვუთვალთვალო?“ — ვეკითხები საკუთარ თავს.

16

თვალთვალი მეთვალყურეობის ანტონიმია. ჩვენ, ყველამ, ვიცით, რომ ღმერთი გვმეთვალყურეობს, რომ ღმერთი ყვალაფერს ხედავს — ხილულსაც და დაფარულსაც, ანუ ღმერთმა ზუსტად იცის თითოეული ჩვენგანის ხელფასის ზუსტი რაოდენობაც კი. დათვლილია ჩვენი თითოეული თმის ღერი და თითოეული თეთრი. ზოგს ეს ჯერა, ზოგს – არა. ჩვენი რწმენა ან ურწმუნოება სამყაროს არსს ვერ ცვლის, ჩვენი რწმენა ან ურწმუნოება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთვისაა მნიშვნელოვანი. ჩემი ერთი ათეისტი მეგობარი ბავშვობაში ამბობდა: „თუ ღმერთი არსებობს, მაშინ თავზე ფულები დამეყაროს, არ მეყრება, ესე იგი ღმერთი არ არსებობს!“ დღეს ის ერთ-ერთი ბანკის ვიცე-პრეზიდენტია და თავზე დაყრილ ფულსა და თავის ბავშვობისდროინდელ ღმერთის გამოცდას

შორის კავშირს ვერ ხედავს, ყველაფერს საკუთარ შრომას „აბრალებს“, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის რეალურ ვითარებას — ჩემი მეგობრის შეხედულება საკუთარ წარმატებაზე მხოლოდ და მხოლოდ მისთვის და მისნაირი ათეისტი შრომის კულტის მსახურებისთვის ხსნის ფორმულას და არა ჩემნაირი ადამიანისთვის, ვისი აზრითაც მხოლოდ შრომით არაფერი მიიღწევა დაღლის გარდა.

მეთვალყურეობა ზრუნვას და სიყვარულს გულისხმობს, მაგალითად, შვილს მშობელი ყოველთვის მეთვალყურეობს და არა იმიტომ, რომ მის შესახებ რაღაც ინფორმაცია მოიპოვოს, აღნუსხოს მისი შეცდომები და ისარგებლოს მათით, არამედ იმიტომ, რომ შვილს არაფერი დაუშავდეს.

რაც შეეხება თვალთვალს, ამ პროცესში არც ზრუნვაა და არც სიყვარული, არის ეჭვი და შეცდომებზე წასწრების სურვილი. თანამედროვე საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) უამრავ ადამიანს უთვალთვალებენ. თვალთვალის მიზეზი, ძირითადად, პოლიტიკური ან ბიზნესინტრიგებია. ასევე უთვალთვალებენ ქმრები ცოლებს, ცოლები – ქმრებს. შეიძლება ითქვას, რომ თვალთვალი, ძირითადად, ღალატის აღმოჩენით მთავრდება, განსხვავება ღალატის მასშტაბებშია და ტკივილის სიძლიერეში. არსებობს სამშობლოს ღალატი და არსებობს ინტიმური ღალატი, პირველი უფრო მასშტაბურია, მეორე – გაცილებით მტკივნეული.

და აი, მე შემომაქვს თვალთვალის ახალი სახეობა: „თვალთვალი ხელოვნებისთვის!“

17

— კომპიუტერი გავთიშო თუ გჭირდება? – მეკითხება სოფო.

— გათიშე, – ვპასუხობ.

სოფო კომპიუტერს თიშავს, დგება, ქურთუკს იცვამს, მა-

გიდიდან მობილურ ტელეფონს იღებს, ჩანთას ხსნის, მობილურ ტელეფონს ჩანთაში აგდებს, ჩანთას კეტავს და მარჯვენა მხარზე იკიდებს, მემშვიდობება:

— პაკა! – და მიდის.

ფანჯარასთან მივდივარ, ჟალუზს თითით ვწევ და თვალთვალს ვიწყებ: სოფო განათებულ ეზოში გადის, განათებული ეზოდან განათებულ ქუჩაში (თბილისი ხომ სინათლის ქალაქია). ქუჩაში გასული სოფო თვალსაწიერიდან მეკარგება, ქურთუკს ვიცვამ და ეზოში გავდივარ, ეზოდან — ქუჩაში, აქეთ-იქით ვიხედები, სოფოს ვეძებ, სოფო იქითაა, ქუჩის ბოლოში, საშუალო სიჩქარით მოძრაობს, მეც ვცდილობ, მისი ტემპით ვიმოძრაო.

ჩვენი ოფისი პეკინის ქუჩასა და ვაჟა-ფშაველას გამზირს შორის მდებარეობს. სოფო სოლოლაკში ცხოვრობს. მგონია, რომ სოფო ქუჩას გადაჭრის და პავლოვის ქუჩისკენ წავა, იქ გაჩერებაზე დადგება და ავტობუსს დაელოდება, რამდენიმე წუთში მოვა ავტობუსი, სოფო ავტობუსში ავა და წავა სახლში, ამით თვალთვალიც დამთავრდება, ყოველ შემთხვევაში, დღეს. ისე, ხვალ შეიძლება აღარც მომინდეს არც სოფოს თვალთვალი და არც სოფოზე მოთხრობის დაწერა.

მაგრამ სოფო ვაჟა-ფშაველას გამზირისკენ მიდის და მეც მივყვები. თვალთვალი გრძელდება. ჰაერში, ქუჩის კუთხეებში, გაჩერებებზე — ყველგან რეკლამებია. ლამაზ, შტერ გოგოებს ხელში სხვადასხვა ნივთი უჭირავთ და გვპირდებიან, რომ ამ ნივთების შეძენით ბედნიერი გავხდებით. რას ვყიდულობთ ჩვენ რეალურად, ნივთებს თუ ბედნიერებას? რა თქმა უნდა, ნივთებს, თუმცა, ამავე დროს, იმედი გვაქვს, რომ ეს ნივთები ბედნიერებას მოგვიტანს.

სოფო სათამაშოების მაღაზიაში შედის. მე მაღაზიის წინ მდგარ ხეს ვეყრდნობი და სოფოს ვუთვალთვალებ. თუ დამინახავს, გავუღიმებ და ისეთ სახეს მივიღებ, ვითომ შემთხვევით ვარ აქ. სოფო სათამაშოებს არჩევს. ჯერ კურდღელს

ათვალიერებს, შემდეგ დათუნიას, რაღაცას ეუბნება გამყიდველ გოგოს, ისიც რაღაცას ეუბნება და ორივე იღიმის. სოფო დათუნიას ყიდულობს, გამყიდველი დათუნიას მაღაზიის საფირმო პარკში დებს. პარკზე ცისარტყელაა გამოსახული. სოფო ფულს იხდის და გასასვლელისკენ მოდის. მე ხის გასწვრივ, მაღაზიის გვერდით ბუჩქებში დამალვას ვასწრებ. სოფო მაღაზიიდან გამოდის და გზას აგრძელებს ზევით, დელისისკენ. ცოტა ხანს ვაცლი, შემდეგ ბუჩქებიდან გამოვდივარ და აქტიურ თვალთვალს ვაგრძელებ, თან ვფიქრობ, ალბათ, დაბადების დღეზე მიდის.

დელისამდე სოფო ერთხელ რამდენიმე წამით პარფიუმერიის მაღაზიასთან ჩერდება, სარეკლამო ბანერებს ათვალიერებს (არ ვიცი, რას ნატრობს — პარფიუმერიას თუ მანეკენის გარეგნობას) და გზას აგრძელებს.

18

დელისთან სოფო ტაქსიში ჯდება.

მე სხვა ტაქსიში ვჯდები და მძღოლს ვეუბნები:

— აი, – ვუთითებ, – იმ ტაქსს მიყევი!

— ვა, კინოში ვართ, მაგის დედა ვატირე?! – იცინის ტაქსისტი და მითითებულ ტაქსის მიყვება.

19

თბილისი სინათლის ქალაქია, მაგრამ საბურთალოს სასაფლაო სიბნელეა. სოფოს ტაქსი ჩერდება, ვჩერდებით ჩვენც, ჩვენ შორის დაახლოებით 25 მეტრია.

— ფარები ჩააქრე, – ვეუბნები მძღოლს.

მძღოლი ფარებს აქრობს. ტაქსიდან გადმოსულ სოფოს ვხედავ. მძღოლს ფულს ვაძლევ და მანქანიდან გადმოვდივარ. კარს ფრთხილად ვხურავ. ტაქსები ცარიელდებიან და მიდიან.

სოფოს ბუნდოვნად ვხედავ, სამაგიეროდ, კარგად ვხედავ ცისარტყელიან პარკს. სოფო სასაფლაოზე შედის, მეც შევდივარ, ვცდილობ, უხმაუროდ ვიმოძრაო, მაგრამ სასაფლაოზე ეს თითქმის შეუძლებელია. „ახლა რომ მოტრიალდეს, რა ვქნა?!“ — ვფიქრობ.

სოფო ერთ-ერთ სასაფლაოსთან ჩერდება, მეც ვჩერდები.

სოფო პარკიდან დათუნიას იღებს და სასაფლაოზე დებს, შემდეგ ხმამაღლა იწყებს ტირილს:

— ჩემი შვილი, ჩემი პატარა ბიჭი, რატომ მაინცდამაინც შენ?! აი, დათუნია მოგიყვანე, შენ რომ ოცნებობდი, ზუსტად ისეთია. შემდეგ მოსვლაზე ბაჭიას მოგიყვან ან პატარა ლეკვს, ჩემო პატარა.

გული მეწურება. მინდა მივიდე სოფოსთან, მოვეფერო, ჩაეხუტო და დავაწყნარო, მაგრამ ვერ ვბედავ. საწყალი სოფო! არც კი ვიცოდი, რომ შვილი ყავდა მკვდარი, ასეა, ვმუშაობთ ერთად და არაფერი ვიცით ერთმანეთის შესახებ. საკუთარ თავს პირობას ვაძლევ, რომ არასდროს არავისთან მოვყვები ამ ამბავს.

სასაფლაოდან გამოვდივარ და დელისისკენ ვეშვები.

20

ჩემი საძინებელიდან წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ჩანს. ახლა ღამეა და ეკლესია ოქროსფრადაა განათებული.

პირჯვარს ვისახავ და სოფოს გარდაცვლილ შვილზე ვლოცულობ, ზუსტად ასე — „სოფოს გარდაცვლილი შვილი“ — ვიხსენიებ ლოცვაში, რადგან მე მისი სახელი არ ვიცი, შემდეგ საწოლთან მივდივარ, მობილურ ტელეფონს ხმას ვუთიშავ და ტუმბოზე ვდებ, ტანსაცმელს ვიხდი და ვწვები, საბანს სახეზე ვიფარებ და ჩაძინებას ვცდილობ, მაგრამ არ გამომდის. დროდადრო სურვილი მიჩნდება, სოფოს დავურე-

კო ან მესიჯი გავუგზავნო, რაღაც კარგი და თბილი ვუთხრა, მაგრამ არაფერი მსგავსი არ მაფიქრდება.

დიდხანს ვწვალობ, ბოლოს ძლივძლივობით მეძინება.

უსიზმროდ მძინავს.

21 კვანძის გახსნა

დილით, გაღვიძებისთანავე, მობილურ ტელეფონს ვიღებ, შემოსულ ზარებს და მესიჯებს ვამოწმებ. ერთადერთი მესიჯია, სოფოსგან, გულისცემა მიჩქარდება, მესიჯს ვხსნი და ვკითხულობ: გუსჰინ გადაგრიე, არა?! მაპატიე, უბრალოდ, საკონკურსო მოტხრობას ვცერ და სჰენ ცჰემი მოტხრობის პერსონაჯი ხარ, მაინტერესებდა, როგორი ხარ ექსტრემალურ სიტუაციასჰი; ყველაფერი გასაგებია. გკოცნი.

მესიჯს სამჯერ ვკითხულობ, მესამე წაკითხვის შემდეგ ყველაფერს ვხვდები და მეღიმება, პერსონაჟი ვარ და არა — ავტორი.

მობილურ ტელეფონს საწოლზე ვაგდებ, ვდგები და საბაზანოსკენ მივდივარ.

რამდენიმე მინიშნება

რეალურისა და არარეალურის განსხვავება შესაბამისი კრიტერიუმის საშუალებით ხდება. რეალობის კრიტერიუმის საკითხი კი დიდი ხანია მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და დღემდე ერთნიშნა პასუხი არ არსებობს.

სერგი ჯალიანი, „მეცნიერული ონტოლოგია“

1

მარი სამუშაო დღეებში გარეთ ყოველთვის ქუსლებზე დგას; სახლში მოსვლისთანავე ფეხსაცმელს იხდის და ამ პროცესს მიწაზე დაბრუნებას უწოდებს. არც დღევანდელი დღეა გამონაკლისი.

მიწაზე დაბრუნებული მარი ჩემკენ მოდის. მე ტახტზე ვზივარ, ასე რომ, შეიძლება ითქვას, მარი ჩემკენ და ტახტისკენ მოდის, უფრო სწორად, მოვიდა.

მარი ტახტზე ჩემ გვერდით ჯდება, თავს მხარზე მადებს, შიშველ ფეხებს ოდნავ მაღლა წევს და ატყუპებს. მე და მარი, მარის შიშველ, ოდნავმაღლააწეულ, მიტყუპებულ ფეხებს ვუცქერით. მარი ფეხის თითებს ჯერ ერთად ამოძრავებს (ასე მეც შემიძლია), შემდეგ რიგრიგობით (ასე მე არ შემიძლია); ფეხის თითების რიგრიგობით მოძრაობა მარის თანდაყოლილი ნიჭია, თუმცა არათანდაყოლილი ნიჭი არ არსებობს; გამოცდილების შეძენით ნიჭიერი ვერ გახდები, გამოცდილების შეძენით შეიძლება გახდე ბრძენი, ესე იგი, მიხვდე იმას, რომ გამოცდილების შედეგად ნიჭიერი ვერ გახდები და რომ ყველა ნიჭი თანდაყოლილია.

5 წლის ბავშვის განსაკუთრებულად მისაჩნევად ასეთი

ნიჭი — ფეხის თითების რიგრიგობით მოძრაობა — საკმარისია. იგივე ნიჭი 28 წლის გოგოს შეფასებაში არაფერს ნიშნავს. მარის ჩემთვის მოყოლილი აქვს, როგორი აღფრთოვანებული იყვნენ მისი ფეხის თითების (რიგრიგობით) მოძრაობით მისი ბებია და ბაბუა; როგორ უკოცნიდნენ (რიგრიგობით) ნიჭიერ, ციცქნა ფეხის თითებს ისინი და როგორი ბედნიერი იყო მაშინ მარი.

მარის საკუთარი, რიგრიგობით მოძრავი ფეხის თითები ბავშვობას და ბავშვობისდროინდელ ბედნიერებას აგონებს, ასე რომ, შეიძლება ითქვას — 28 წლის მარისთვის ფეხის თითების რიგრიგობით მოძრაობის ნიჭი პოზიტივია.

2

მარის რიგრიგობით მოძრავ ფეხის თითებს ვუცქერი და რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ შემეცნებით არხზე ნანახი მიწაში მოფუთფუთე ჭიაყელები მაგონდება; ამის თქმას ვაპირებ მარისთვის, მაგრამ მახსენდება, რომ მარის ასეთი არსებებისადმი ზიზღი აქვს და ამიტომაც არაფერს ვეუბნები, ჩუმად ვარ და მარცხენა ხელისგულით თავზე ვეფერები. მარი ფეხებს იატაკზე აწყობს და თვალებს ხუჭავს. მე არ ვიცი, სად არის ახლა მარი თავისი ფიქრით და განცდით, მხოლოდ იმაში ვარ დარწმუნებული, რომ თავს კარგად გრძნობს. ისე, ვერსიის დონეზე, მგონია, რომ უფრო მომავალში მოგზაურობს, ვიდრე წარსულში.

რაც შემეხება მე, კვლავ იქ ვარ, მიწაში მოფუთფუთე ჭიაყელებთან; გაივლის დრო და მე მოკვდები, მოკვდება მარიც — უფრო ცალ-ცალკე მოკვდებით, ვიდრე ერთად, თუმცა გამორიცხული არაფერია, ვგულისხმობ სიკვდილის სახეობებს და ვარიანტებს — და ჩემს უნიჭო და მარის ნიჭიერ ფეხის თითებს ჭიაყელები შეესევიან, შემდეგ თანდათან მაღლა წამოიწევენ. იმედია, ამ დროს ჩვენ ვერაფერს შევიგრძ-

ნობთ, რადგან შეგრძნებების და დროის მიღმა ვიქნებით. ხანდახან საშინელი რამ მგონია — რომ სიკვდილი შეგრძნებების გამოხატვის უნარის დაკარგვაა. წევხარ სამარეში, დაფუთფუთებენ ჭიაყელები, დაფუთფუთებენ და გჭამენ, შენ ამას გრძნობ, მაგრამ შეგრძნების გამოხატვის უნარი დაკარგული გაქვს, ვერ მეტყველებ, ვერ ყვირი, ვერ ღრიალებ! კიდევ კარგი, რომ ასეთი საშინელი რამ ხანდახან მგონია და არა — მუდმივად, რადგან მუდმივად რამის გონება რწმენაა.

3

მარი თვალებს ახელს და ტუჩებს მიწევს, მანიშნებს, ვაკოცო — ვკოცნი. მარი დგება, გარდერობთან მიდის, გარდერობის კარს აღებს, საკიდი გამოაქვს, საკიდს სკამზე დებს და გახდას იწყებს. შარვალს იხდის, საკიდს სკამიდან იღებს და შარვალს საკიდზე კიდებს, შარვლიან საკიდს კვლავ სკამზე დებს და პიჯაკს იხდის, კვლავ საკიდს იღებს სკამიდან და პიჯაკს კიდებს საკიდზე, შევსებულ საკიდს მარი გარდერობში კიდებს და გარდერობის კარს ხურავს. მარი ლურჯ ტრუსიკსა და ნაცრისფერ, თხელ, საზაფხულო როლინგში დარჩა. მაინცდამაინც კარგი ფერთა შეხამება ვერ არის. რა თქმა უნდა, არა ფერთა შეუხამებლობის, არამედ შხაპის მიღების მიზნით, როლინგს იხდის, კეცავს და სკამზე დებს. ახლა მარი ლურჯ ტრუსიკსა და თეთრ მაისურშია, მაისური, მოდის მიხედვით, ჭიპამდეა, ეს უკვე კარგი ფერთა შეხამებაა: თეთრი მაისური, ხორბლისფერი მუცელი, ლურჯი ტრუსიკი და კვლავ ხორბლისფერი, ოღონდ ფეხები.

— ლამაზი ხარ, — ვეუბნები მარის.

— ვიცი, — მპასუხობს მარი და მიღიმის.

— გეხუმრე, რას გავხარ, — ვცდილობ შევურყიო მარის თვითდარწმუნებულობა.

ცდა წარმატებულია.

— დებილო! — ენას მიყოფს მარი და ხანმოკლე პაუზის შემდეგ მეუბნება, — მართლა ცუდად გამოვიყურები?

— ლამაზი ხარ, ძალიან ლამაზი, შე შტერო, — ვდგები და მარისკენ მივდივარ, მარი რამდენიმე ნაბიჯს დგამს უკან და კედელს ეკრობა. კედელი თან საყრდენია, თან ჩიხი. ორივემ ვიცით, რაც მოხდება და ორივეს გვინდა, რომ ეს მოხდეს.

პირისპირ ვდგავართ და ერთმანეთის სუნთქვა გვესმის.

— მიყვარხარ, — ვეუბნები მარის.

— მეც მიყვარხარ, — მეუბნება მარი.

— მე უფრო... — ვეუბნები და ვუღიმი მარის.

— არა, მე უფრო... — მეუბნება და მიღიმის მარი.

ეს თამაშია, სახელწოდებით — „მე უფრო“.

4

აღარ ვლაპარაკობთ, ერთმანეთს ვხდით. მარის თეთრი მაისური ჩემს ხელშია, ჩემი მწვანე მაისური მარის ხელშია; თითქმის ერთდროულად ვყრით იატაკზე ჩვენს ხელთ არსებულ მაისურებს. მარის ბორცვებზე ვეფერები ხელისგულებით, შემდეგ ვიხრები და ბორცვებიდან ქიმებზე გადავდივარ, ვცვლი ზემოქმედების საშუალებასაც — ხელისგულების მაგივრად ენას ვიყენებ, ორი ხელისგულის მაგივრად ერთ ენას. შეიძლება ითქვას, რომ ეს სწორი ბიზნესნაბიჯია, მცირე დანახარჯით ვიღებთ და ვანიჭებთ მაქსიმალურ სიამოვნებას.

მარი გამოცემს ისეთ მშვენიერ ხმოვნებს, როგორებიცაა: ა, ო, უ.

წელში ვიმართები, მარის ყელზე ვეფერები, თან მის ფეხებშუა ორ თითს ვაბინავებ. ორი ახალმოსახლე თითი აქტიურად ათვალიერებს თავის ახალ ბინას. მარის თვალები დახუჭული აქვს და ერთადერთ ხმოვანს გამოცემს: ა!

შემდეგ მარი თვალებს ახელს, მხრებზე მკოცნის, მკერდ-

ზე მკოცნის, თანდათან ქვეითდება. ასეთი დაქვეითება ორივეს გვსიამოვნებს. მარი მუხლებზე დგას. ერთხანს მუცელზე ხელისგულებით მეფერება, ეს ერთი ხანი მოკლე ხანია. მე თავდახრილი ვდგავარ და მარის ვუცქერი. დროდადრო მარი თავს მაღლა წევს და ჩვენ ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ.

მარი ჩემი მუცლის ფერებას წყვეტს და შარვალს მიხსნის.

— ძალიან მინდიხარ, — მეუბნება მარი.

— მე უფრო, — ვეუბნები მარის.

ერთმანეთს ვუყურებთ და ვუღიმით.

— ადექი, — ვეუბნები მარის.

მარი დგება.

მე მარი ხელში ამყავს, მარი სიამოვნებისაგან ხანმოკლედ კივის, კისერზე ხელებს მხვევს და მე მარით ხელში ტახტისკენ მივდივარ. ტახტი აქვეა, რამდენიმე ნაბიჯში.

5

ყველაფერი ტრადიციულად ხდება; ჯერ მარი ათავებს, მერე — მე. ამ (როგორც სადღეგრძელოში ან პრომოპრესკონფერენციაზე ამბობენ ხოლმე) ლამაზ ტრადიციას საფუძველი სამი წლის წინ — ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ თბილისში, საქართველოში, კავკასიაში, ევრაზიის კონტინენტზე ვცხოვრობდით — ჩაეყარა, როდესაც მე და მარი პირველად დავწექით ერთად. მას მერე მარი გამუდმებით მთხოვს, ერთხელ მაინც არ მივაქციო მას ყურადღება და მხოლოდ ჩემს სიამოვნებაზე ვიფიქრო, რადგან მარის ჩემი გაგიჟება, გაშმაგება და კოსმოსში გასვლა სურს იხილოს. მარის ვერაფრით დავაჯერე, რომ მამაკაცები, ქალებისაგან განსხვავებით, სექსით კოსმოსში ვერ გადიან და ამის გამოა, რომ არსებობს „ნასა“ და „ბაიკანური“, საერთოდ კოსმონავტიკა. რაც შეეხება მარის თხოვნას, თხოვნა თხოვნად რჩება, ასე

რომ, ჩემი და მარის ურთიერთობაში ტრადიცია მარის თხოვნაზე უმტკიცესია.

ვწევართ, არა, უფრო ვყრივართ და ვქშინავთ. მარის თავი მკერდზე მადევს. დროდადრო თავზე ვკოცნი და თავს ვუჩეჩავ მარის, მარი მუცელზე მეფერება. ვგრძნობ, რომ ძალიან მიყვარს მარი და არ მაქვს მიზეზი, ეს არ ვუთხრა, პირიქით, მინდა რომ ვუთხრა და ვეუბნები:

— მიყვარხარ...

მარი თავს მაღლა წევს, მიყურებს და მიღიმის, ხმას არ იღებს, შემდეგ თავს ხრის და მკერდზე მკოცნის. მარის თავი კვლავ მკერდზე მადევს, ასე ვართ რამდენიმე ხანს, შემდეგ მარი დგება, იატაკიდან თავის ტრუსიკს იღებს და ოთახის გასასვლელისკენ მიტანტალებს, გზად იატაკიდან თავის მაისურს იღებს, ოთახის გასასვლელთან ჩერდება და მეუბნება:

— შენ რაღაცებს შენ მიხედე, კარგი?!

— კარგი, — ვეუბნები მარის და მარი ოთახიდან გადის.

რამდენიმე წამის შემდეგ საბაზანოს კარის გაღების და დაკეტვის ხმა მესმის — მარი შხაპს იღებს.

მე და მარიმ რამდენჯერმე ვცადეთ შხაპის ერთად მიღება, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, აღმოჩნდა, რომ შხაპის მიღება სექსზე ინტიმური რამ არის და სრულ სიმარტოვეს საჭიროებს.

6

ვწევარ, აღარ ვგდივარ, უკვე ვწევარ, მშვიდად ვსუნთქავ, ჭერს ვუცქერი და ჩემი და მარის პირველი შეხვედრა მახსენდება. ერთმანეთი ჩემმა კლასელმა და მარის ჯგუფელმა თათიამ გაგვაცნო. თათიას შემთხვევით შეეხვდი ქუჩაში, ამ დროისთვის ის დაახლოებით ორი წლის უნახავი მყავდა. ერთმანეთს გადავეხვიეთ, მოვიკითხეთ, აქეთური-იქითური, შემდეგ თათიამ ერთ-ერთი თანამედროვე მწერლის წიგნის

პრეზენტაციაზე შემომთავაზა წასვლა, მე უსაქმოდ ვიყავი და დავთანხმდი, თათიამ ხელკავი გამომდო და დავიძარით.

იმ დროისთვის მე თანამედროვე ლიტერატურაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა და ვფიქრობდი, რომ ლიტერატურა, როგორც მოვლენა, მეოცე საუკუნის ოციან წლებში დასრულდა, ამის შემდეგ იქმნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურის ცალკეული ნიმუშები. დიდად აზრი არც დღეს შემცვლია, მაგრამ დღეს თანამედროვე ლიტერატურაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აღარ მაქვს. თანამედროვე მწერლებიდან ჩემი მწერალი დავით ქართველიშვილია, სწორედ ამიტომაც სიხარულით თუ არა, სევდიანად მაინც დავთანხმდი დათოს შემოთავაზებას და მისი პერსონაჟი გავხდი. სიმართლე რომ ვთქვა, მერჩივნა დათოს რომან „იყო საღამო, იყო დილას“ პერსონაჟი ვყოფილიყავი, მაგრამ რომანის დაწერის დროს მე და დათო ერთმანეთს არ ვიცნობდით და არც ახალი ლიტერატურის კონცეფცია ქონდა დათოს შემუშავებული.

რაც შეეხება თავად მოთხრობას, თავისთავად ის ცუდად არ მიდის, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ მე არც პატარა უფლისწულის, არც მოხუცი მეთევზე სანტიაგოს, არც ჯემალ ქარჩხაძის იგის და არც თოლია ჯონათანის დონის პერსონაჟი არ ვარ. მე ჩამოვთვალე ლიტერატურის, როგორც მოვლენის დასრულების შემდეგ შექმნილი ოთხი უდიდესი მოთხრობის პერსონაჟი, ასე რომ, შეიძლება ითქვას — ჩემს ამბიციებსაც კარგად ვიცნობ და ჩემს რეალობასაც. რამდენად შეუძლია პერსონაჟს, თავად შექმნას თავისი თავი, მით უმეტეს, ჩემნაირ პერსონაჟს, რომელიც, ამავე დროს, რეალური ადამიანიცაა, აქვს საქართველოს მოქალაქის პასპორტი და არალეგალურად ცხოვრობს ამერიკაში. რამდენად შეუძლია რეალურ სანდრო იაშვილს პერსონაჟ სანდრო იაშვილზე ზემოქმედება. დათო ამბობს, რომ ეს საკითხი ჯერ გასარკვევია. რაც შეეხება ძველი ყაიდის პერსონაჟებს,

მათი საკითხი საკმარისად არის დამუშავებული მსოფლიო ლიტერატურაში. ამის უდიდესი მაგალითი, რა თქმა უნდა, სერვანტესის დონ-კიხოტია. ამ საკითხის პირველხარისხოვანი მაგალითებია: უნამუნოს „ბურუსი“, ბორხესის ნოველები, კორტასარის და ბარტის რომანები (ამ ორი მწერლის შემოქმედებას დათო „გარომანებულ ბორხესს“ უწოდებს), დათო მარგველაშვილის რომანი „მუცალი“ და მინიატიურები. ასევე დათოს მეგობარი ბესო ხვედელიძის მოთხრობა „ქაღალდის თვითმფრინავები“.

— არაფერს ვამბობ უამრავ მდარე რომანზე, რომლის პერსონაჟები რომანში რომანს რომ წერენ და შემდეგ რომანი და რომანში დაწერილი რომანი მთლიანდება, — მითხრა ერთხელ დათომ, — სისულელეა ეს ყველაფერი.

მარი დათოსთან ერთად იყო მოსული პრეზენტაციაზე.

7

მარჯვენა ხელში ღვინო, მარცხენაში სიგარეტი, პაჩიპუჩი, ყლუპი ღვინო და ნაფაზი. შემდეგ ყველაფერი ეს თავიდან, ქმედებები მეორდება, მაგრამ გამეორებები იწვევენ ცვლილებებს გარემოსა და ხასიათებში. ყლუპ-ყლუპი ღვინო თანდათან ათრობს სტუმრებს, ხოლო საპრეზენტაციო დარბაზი სულ უფრო და უფრო იბულება, პრეზენტაციის დასაწყისში დაწყებული ჩურჩული თანდათან გუგუნში გადადის, ხოლო მოკრძალებულ პაჩიპუჩს წელზე ხელის მოხვევები და შუბლზე კოცნები ცვლის. კაცები და ქალები ერთმანეთით იმუხტებიან. ასეთ დროს თავს ყველაზე გაუცხოებულად გრძნობს ის, ვისი წიგნის პრეზენტაციაცაა და ჩემნაირი შემთხვევითი სტუმარი.

თათია მეგობრებთან ქაქანმა გაიტაცა და მე სულ დავავიწყდი. ვიდექი კუთხეში და აქეთ-იქით ვიყურებოდი. ვხედავდი ჩემთვის სრულიად უცხო და ტელევიზორში ნანახ

სახეებს. „ეს რატი ამაღლობელია, ეს ლაშა ბუღაძე, ეს დათო მაღრაძე“. ანბანის მიხედვით შემოვიდნენ ჩემს თვალსაწიერში ტელევარსკვლავები.

სივრცე, რომელშიც შენი ერთადერთი ახლობელი მეგობრებთან ქაქანითაა გატაცებული კი არა, თავდავიწყებული და შენდავიწყებული, ხოლო ტელევარსკვლავები შორიდანაც კი არ გიცნობენ, უნდა აღიარო, რომ შენი სივრცე არ არის.

წასვლა დავაპირე. სწორედ ამ დროს გაახსენდა თათიას ჩემი იქ ყოფნა, ჩემთან მოვიდა, ხელკავი გამომდო და მითხრა:

— წამოდი, ჩემს მეგობრებს გაგაცნობ, — დავიძარით.

ისინი სამნი იყვნენ, თათიას მეგობრები.

— ეს ჩემი კლასელი და ბავშვობის მეგობარი სანდრო იაშვილია, — თათიამ მხარზე დამკრა მსუბუქად ხელი, — სხვათა შორის, მეშვიდე კლასში მიყვარდა.

— გეთქვა მერე, — ვუსაყვედურე თათიას. თათიამ და თათიას მეგობრებმა გაიღიმეს და მივხვდი, რომ გაცნობა კარგად დაიწყო.

თავიდან ცოტნე გამეცნო, მისი და თათიას ურთიერთობა ჩვეულებრივ მეგობრობას რომ გაცილებული იყო და არაჩვეულებრივი სიყვარულის ფაზაში იყო შეჩერებული, იმ წამსვე შევნიშნე, ასევე შევნიშნე, რომ ცოტნე თათიას გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ძალიან აღფრთოვანებული უყურებდა თათიას. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ის თავისი გამარჯვებით ტკბებოდა. ქალის და კაცის ურთიერთობის დასაწყისში ყოველთვის იმართება ფარული ომი გავლენის მოსაპოვებლად და რასაც ერთი ან მეორე თავიდან დათმობს, მოუწევს მთელი ცხოვრების მანძილზე იმავეს დათმობა. თათიას ცოტნე სრულიად განიარაღებული ყავდა, ასე რომ, მას ან ბოლომდე უნდა გაეძლო თათიასთვის, ან უნდა მოშორებოდა თათიას, ცოტნემ მოშორება არჩია...

შემდეგ წვერიანი და სათვალიანი დათო გავიცანი. თათიამ

თქვა, რომ დათო კლასიკოსია, მე გავიფიქრე: „წვერითა და სათვალით თუ ვიმსჯელებთ — კი, ისე, რას წერს, ნეტავ?“ დათოს ნაწერებს რამდენიმე თვის შემდეგ გავეცანი...

შემდეგ მარის გაცნობის ჯერიც დადგა...

8

სააბაზანოს კარის გაღებისა და დაკეტვის ხმა მესმის. მარიმ შხაპი მიიღო. ტანზე პირსახოცშემოხვეული მარი ოთახში შემოდის. მე მარის ვუყურებ, მომწონს მარის სველი თმა, ძალიან მომწონს.

მარი მე არ მიყურებს, მარი ჩემს მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელს უყურებს.

— ეეე, ეგ არის, მიეხედავო, — მსაყვედურობს მარი და ჩემს მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელს თავად იღებს და სკამზე ალაგებს, შემდეგ ტახტზე ჯდება და მეუბნება:

— ეხლა, რო ვბანაობდი, იცი, რა გამახსენდა?! — მარი მიღიმის.

მე ვერ ვხვდები, რა გაახსენდა მარის შხაპის მიღებისას.

— რა გაგახსენდა? — ვეკითხები და ვულიმი ისე, რომ ვანიშნებ, მაპატიე, რომ ჯერ მიეხვდი-მეთქი.

— ჩვენი ბოლო დღე თბილისში, — მარი მარჯვენა ფეხზე მარცხენას იდებს, — გახსოვს?! ყველაფერზე რომ ვნერვიულობდით; მშვიდობიანად ვიმგზავრებდით თუ არა, ნორმალურად მოვეწყობოდით თუ არა, ერთად დავრჩებოდით თუ არა.

მახსენდება: მე და მარი ჩალაგებულ ჩემოდნებზე ვსხედვართ ხელგადახვეულები და ერთმანეთს ვამშვიდებთ, რომ ყველაფერი გამოვა და ყველაფერი კარგად იქნება, თუმცა რეალურად, რა როგორ იქნება, არც ერთმა არ ვიცით. ადამიანებმა ზუსტად მხოლოდ ჩვენი ოცნებები ვიცით და კიდევ ის, რომ უნდა დავიხოცოთ, ადრე თუ გვიან. გავრცელებული

აზრის თანახმად, სიკვდილი ყოველთვის ადრეა. ვდგები, მარის მუხლზე ვეფერები და შუბლზე ვკოცნი.

— წავალ, მეც ვიბანავებ, — ოთახის გასასვლელთან ვჩერდები.

— პირველად რომ დაგირეკე, გახსოვს, რა მითხარი?! — ვეკითხები მარის.

— მახსოვს, — მპასუხობს მარი და მიღიმის, — შეყვარებული მყავს-მეთქი.

— მე გკითხე, ვინ-მეთქი.

— მე გავიფიქრე, რა თავხედია-მეთქი, და გითხარი, რა შენი საქმეა-მეთქი.

— მე ჩაგაცივდი.

— და მე გითხარი, დათო ქართველიშვილი-მეთქი, შენ კი გიჟივით მივარდი ადამიანს: „მარი მართლა შენი შეყვარებულია თუ არაო“!

— აუ, იცი, როგორ გამიხარდა, რომ მითხრა: „არა, რა სისულელეა, მე და მარი ხუთი წლიდან ვიცნობთ ერთმანეთს და სიმართლე რომ გითხრა, ქალად საერთოდ ვერ აღვიქვამო“.

— სხვათა შორის, გუშინ ველაპარაკე, — მატყობინებს მარი.

— რაო, როგორ ვარო?

— რაღაც პრემია არ მიცეს და გაბუტულია. ხან ყველას აგინებს, ხან ამბობს, რომ ეს ყველაფერი სისულელეა და მთავარი ამ ყველაფრის მიღმაა.

— მარადისობა გადაძალავს ბოლოს, — ვამბობ და მე და მარი ვიცინით, — იცი, რა მაინტერესებს? მწერლისთვის მარადისობაზე ფიქრი პროფესიული თვისებაა, ხო? თუ არა?

— მწერალს გააჩნია, — მეუბნება მარი. ეს მარის პასუხი არ არის, ეს დათოს პასუხია. მარი მწერლობაზე რომ იწყებს მსჯელობას, მისი პირით დათო მეტყველებს ხოლმე.

— წავალ, ვიბანავებ, — ვამბობ და მარის თვალს ვუკრავ. ოთახიდან გავდივარ.

საababazanos kars vaqeb. zaris xma mesmis.

— nabe, ra, vin arris, — veubnebi marris da saababazanoši ševdivar, kars vkeptav, šxapis onkanis vxsni da wyalsvarečulirebi, šemdeg darečulirebuli wyalis qveš vdgebi. msiamovnebs wyalis qveš dgoma.

9

ambobenr, rom adamiani miwaa, miwa wyalši tlaxdeba, es wyalis da miwis šexvedris šedegia.

adamiani var, miwa var, wyalis qveš vdgavar da ar vtlaxdebi. orši ertia: an adamiani miwa ar aris, tumca am tvalsazrisis sawinaaglmdegod mkvdrebi metyvelebenr, an adamiani mxolod miwa ar aris. am versiiit gamodis, rom sikvdilis is nairsaxeobs, romelic čventhvis aris cnobili, srulis sikvdili ar aris. adamiani var, miwa var, wyalis qveš vdgavar da ar vtlaxdebi. amis šemdeg ra gasakvirria, rom meore versiasvemxrobi. is, rac (ufro — vinc) adamianis wyalši atlaxebis šaušalebas ar aglevs, sulia. postkristianul sazogadoebaši sulis šesaxebs saubari isevve cud tonad itvlebs, rogorc liberalebis yrilobazhitlerisxsnebs dadebit kontekstši. ra tqma unda, es sulis kristianul gagebas exebs da ara — warmartulsvanamedrove adamianebi, dzveli warmartebivit, sulsvelgan da yvelaferšiebenr da poulobenr, sakuthari thvis gardaqebenr.

nebismieri sazogadoebaa ilusiaa, gansxvavebs mxolod ilusiis masštabebši. magalitad, sportis moyvarulta sazogadoebaa ufro didi ilusiaa, vidre wignis moyvarulta sazogadoebaa. postkristianuli sazogadoebaa dasaxelebul sazogadoebebze didi ilusiaa, im ubralo mizezis gamo, rom bevri sportis moyvarulia da wignis

მოყვარული ამ საზოგადოების წევრია. ამ ცნებაში თანამედროვე ფილოსოფოსები და სოციოლოგები დასავლურ სამყაროს გულისხმობენ, მაგრამ ისტორიას თუ გადავხედავთ, აშკარა გახდება, რომ პირველი პოსტქრისტიანული საზოგადოება აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა მუსლიმების სახით, ასე რომ, შეიძლება ითქვას — დღეს დასავლეთიც და აღმოსავლეთიც (გამონაკლისი ებრაელები, ინდოელები და ბუდიზმის მიმდევრები არიან) პოსტქრისტიანულია. დასავლეთიც და აღმოსავლეთიც ილუზიაა, რეალობა თავად სამყაროა — უსასრულო და ყოვლის მომცველი, და ეს სამყარო თავისი ბუნებით, უფრო სწორად, კანონზომიერებით, ქრისტიანულია. ნებისმიერი საზოგადოება ილუზიაა, სამყაროში მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული ადამიანები არსებობენ, საზოგადოების ილუზია, სხვა ილუზიების მსგავსად, ბოროტი ილუზიაა. საზოგადოების ილუზია იწვევს დაპირისპირებას, მომავალი დიდი ომის მიზეზი საზოგადოების ილუზია იქნება.

10

ადამიანი ვარ, მიწა ვარ, წყლის ქვეშ ვდგავარ და არ ვტალახდები, ერთში ერთია: მხოლოდ მიწა არ ვარ.

შხაპის ონკანს ვკეტავ, კაბინიდან გამოვდივარ, პირსახოცს ვიღებ და ვიმშრალებ: თავს, ტანს, ფეხებს. სხეულს უნდა მოუარო, სულზე უნდა იზრუნო. ადამიანების მთავარი შეცდომა სწორად ისაა, რომ სხეულზე ზრუნავენ და სულს უვლიან. პირსახოცს ტანზე ვიხვევ, სარკესთან ვდგები. თმაგაჩეჩილი ვარ. თმის დავარცხნას ვიწყებ.

11

მარისთან დაახლოების შემდეგ მისი ზოგიერთი მეგობარი ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა, იგივე მოხდა მარის

ცხოვრებაშიც — ზოგიერთი ჩემი მეგობარი მისი მეგობარი გახდა. მარის მეგობრებიდან განსაკუთრებით დათო ქართველიშვილს დავუმეგობრდი. გარდა ინტელექტუალური სიახლოვისა, ჩვენ დაგვაკავშირა ლუდის სიყვარულმა. დათო, როგორც დღეს, მაშინაც უფულოდ იყო, რაც შეეხება ჩემს ფინანსურ მდგომარეობას, იმ დროისთვის მე მქონდა, სამწუხაროდ, დროებით, მაგრამ საბედნიეროდ, მაღალანაზღაურებადი სამსახური; ამერიკელ ენერგეტიკოსებთან ვმუშაობდი თარჯიმნად, ასე რომ, მქონდა ფული და მე და დათო ხშირად (კვირაში ორჯერ მაინც) ვხვდებოდით ერთმანეთს, ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით სხვადასხვა აქტუალურ (მაგალითად, ჩემი და მარის მომავალზე) და ნაკლებად აქტუალურ (მაგალითად, ქალთა ჩოგბურთზე) საკითხზე.

ერთხელ — მე მაშინ უკვე წაკითხული მქონდა დათოს მოთხრობების კრებული „დღიურები მირანდასთვის“ და გაზეთ „პარნასში“ დაბეჭდილი რომანის — „იყო საღამო, იყო დილა“ — რამდენიმე თავი — დათომ მითხრა:

— რეალურ ადამიანებზე მინდა ვწერო.

— აქამდე არარეალურ ადამიანებზე წერდი? — ვკითხე.

— არა, მაგრამ სახელს და გვარს ყოველთვის ვუცვლიდი, ეხლა მინდა, რომ ნამდვილი სახელებით და გვარებით ვწერო.

— მერე წერე.

— აი, შენ, — დათომ შემომხედა, — მინდა, რომ ჩემი პერსონაჟი გახდე, თანახმა ხარ, ნამდვილი სახელით და გვარით რომ გახსენო?

— ოო, გააჩნია, რას დაწერ ჩემზე... ისე, ეს მწერლები სანდო ხალხი არ ხართ, მირჩევია, შემიცვალო სახელიც და გვარიც, — ლუდი მოვსვი.

— ეგრე აზრი არ აქვს, წარმოიდგინე, გალაკტიონ ტაბიძეზე წერ მოთხრობას და პერსონაჟს ტერენტი გრანელს

არქმევ, ელიოტს პაუნდს ეძახი, ჰიტლერს — სტალინს... ქართულ ლიტერატურაში არსებობს ერთი ძალიან მაგარი მოთხრობა — დათოს შევნიშნე, ცოტა უფრო მთვრალი რომ ყოფილიყო, ძალიან მაგარის ნაცვლად იტყოდა გენიალურს ან შედევრს, — რეზო ჭეიშვილის „რესემონი". ამ მოთხრობის მთავარ პერსონაჟს ქვია იმანუელი, მაგრამ ყველა ამბობს, რომ მოთხრობა გალაკტიონზეა. თავად მოთხრობაშია ამაზე მინიშნება, მაგრამ ჩემი აზრით, მინიშნებებით წერას აზრი აღარ აქვს, მაგალითად, მე მინდა დავწერო მოთხრობა ზურაბ ჟვანიას მკვლელობაზე, რატომ უნდა ვწერო ამ საკითხზე მინიშნებებით?

— იმიტომ, რომ მტკიცებულებები არ გაქვს, ისე, ჩემი აზრით, პოლიტიკური პროზის წერა არ არის შენი საქმე, — ოფიციანტს დავუძახე და კიდევ ორი კათხა ლუდის მოტანა ვთხოვე, ოფიციანტმა თავი დამიქნია და წავიდა, — პოლიტიკურ პროზას წერენ ლადლემი და ეგეთი მეათეხარისხოვანი მწერლები.

— სვიფტი ხომ წერდა პოლიტიკურ პროზას?

— სვიფტი ზუსტადაც რომ მინიშნებების გენიოსია.

— მინიშნებები არა, მინიშნებები აღარ არის საჭირო, — თქვა დათომ.

სწორედ ამ დროს ოფიციანტი მოვიდა, ორი კათხა ლუდი მაგიდაზე დადგა და წავიდა.

ლუდი მოვსვით, დათომ თქვა:

— მოკლედ, თანახმა ხარ, რომ ჩემი პერსონაჟი გახდე და ნამდვილი სახელით და გვარით გახსენო?

— კაი რა, რომელი გალაკტიონი ან გრანელი მე ვარ.

— შენ რა გგონია, შენი და მარის სიყვარული გალაკტიონის და ოლოლის სიყვარულზე ნაკლებად მნიშვნელოვანი რამ არის, ან შენი სიმარტოვე გრანელის სიმარტოვეზე ნაკლებად მძაფრია თუ რა?

— ისე, სხვათა შორის, გალაკტიონიც მარტო იყო, ძა-

ლიან დიდხანს იყო ძალიან მარტო, — ვთქვი მე, — ეხლა რაც შეეხება ჩემი და მარის სიყვარულს, რა თქმა უნდა, ჩემი და მარის სიყვარული ყველა სხვა სიყვარულზე მნიშვნელოვანი რამ არის, ჩემი სიმარტოვეც, რომლის დაძლევას მარის სიყვარულით ვცდილობ, ჩემთვის ყველაზე მძაფრია, რამდენიმე დღეში კონტრაქტი მიმთავრდება და ჩემთვის ჩემი უმუშევრად დარჩენა უფრო მაშინებს, ვიდრე სხვისი უმუშევრობა, მაგრამ ეს ჩემთვისაა ასე, სხვებს მე ვკიდივარ, სხვათა შორის, ყველა ზემოთ ნახსენები პირიც კიდიათ, — კათხა კათხაზე მივუჭახუნე დათოს, — სხვებს გაუმარჯოს, — ლუდი მოვსვი და დათოს ვკითხე: — მარის შეთავაზე პერსონაჟობა? გადაირევა...

— უკვე შევთავაზე.

— მერე?

— დამთანხმდა.

— მაშინ მეც თანახმა ვარ, სადაც მარი, მეც იქ.

ასე გავხდი დათოს პერსონაჟი. იმავე საღამოს მარისგან გავიგე, რომ ის მხოლოდ საკუთარი სახელის გამოყენებაზე დათანხმდა დათოს.

— იმედია, კარგ გვარს შემირჩევს, — თქვა მარიმ და თვალები მინაბა.

მე დათოსთან არ დამირეკავს და არ დამიწყია: გეხვეწები, გეხვეწები, გეხვეწები მარტო სახელით მახსენე-მეთქი. „რაც არის, არის, რაც იქნება, იქნება“, — გავიფიქრე.

12

სააბაზანოდან გამოვდივარ, ტანზე პირსახოცშემოხვეული ოთახში შევდივარ. მარის გარდა ოთახში ჩემთვის უცნობი ორი ადამიანია — ქალი და კაცი, ქერები არიან, მიღიმიან, ქალს ხელში ჩანთა უჭირავს. თავს უხერხულად ვგრძნობ, გარდერობიდან ტანსაცმელს ვიღებ და სამზარეულოში გავ-

დივარ, სამზარეულოში ტანსაცმელს ვიცვამ, ველარ ვხვდები, დავით ქართველიშვილის მოთხრობის პერსონაჟი ვარ თუ ლუის ბუნუელის კინოპერსონაჟი. ოო, ამ პოსტმოდერნის დედა ვატირე, რა!

ჩაცმული ოთახში ვბრუნდები, თავს უხერხულად აღარ ვგრძნობ, საზოგადოება ილუზიაა, მაგრამ ეს ილუზია რეალურ განცდებს იწვევს ადამიანში. ეს მესამე მსოფლიო ომის დაწყების წინა პირობაა.

13

მარი უცხოებს მაცნობს:

— ეს ინგუნაა, — ქალზე მიმითითებს მარი. ინგუნა ხელს მიწვდის, მე ხელს ვართმევ, სუსტი და პატარა ხელი აქვს და კიდევ სასიამოვნო კანი ინგუნას, — ეს კი ალბერტია, — გაცნობის ცერემონიალს განაგრძობს მარი. მე და ალბერტი ერთმანეთს ვესალმებით, ხელს ვართმევთ ერთმანეთს, ალბერტის ხელსა და კანზე დაკვირვებას არ ვაწარმოებ.

შემდეგ მარი ჩემს თავს აცნობს ინგუნას და ალბერტს:

— ეს ჩემი მეუღლეა, სანდრო.

ჩემი სახელის გაგონებაზე სტუმრებს, რა თქმა უნდა, გასაგებია, ვინც ახსენდებათ.

— შემთხვევით, თქვენც ხომ არ ხატავთ? — მეკითხება ინგუნა.

— არა, სამწუხაროდ, არა, ან საბედნიეროდ, არა, ზუსტად არ ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სამაგიეროდ, ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ არ ვხატავ, — ვიღიმი.

თემა ამოწურულია.

მარი მცირე ინფორმაციას მაწვდის სტუმრების შესახებ:

— ინგუნა და ალბერტი ლატვიელები არიან, სამი წელია, რაც ნიუ-იორკში ცხოვრობენ, მათ ჩვენთან შემოთავაზება აქვთ.

ამ მომენტამდე ინგლისურად ვსაუბრობდით.

— რა შემოთავაზება, — ვეუბნები მარის, — გრუპენსექსი ხომ არ უნდათ? — მახსენდება, რომ გრუპენსექსი ძველი ქართული სიტყვა არ არის და თავს უხერხულად ვგრძნობ. ალბერტს და ინგუნას თავს ვარიდებ. საზოგადოება ილუზიაა, მაგრამ... მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია.

მკაფიოდ მესმის ალბერტის შეკითხვა:

— რა გრუპენსექსი, უკაცრავად?

სხვა გზა არ მაქვს, ალბერტს უნდა განვუმარტო:

— ამ ქალაქში, — ალბერტისა და ინგუნასკენ ვატრიალებ თავს, — უამრავი, რბილად რომ ვთქვათ, ექსცენტრული ქალი და კაცი ცხოვრობს, ეს ქალები და კაცები წყვილდებიან. მოგეხსენებათ, თანამედროვე სოციალური სისტემა ადამიანებს გარეგანი გაგიჟების საშუალებას არ აძლევს, აქედან გამომდინარე, თანამედროვე სიგიჟე — შინაგანი სიგიჟეა, უფრო სწორად, ინტიმური სიგიჟეა, თუმცა ეს სულ სხვა და ვრცელი თემაა, ჯობს, პირდაპირ გითხრათ სათქმელი — მე და ჩემს მეუღლეს გრუპენსექსის თხუთმეტი შემოთავაზება გვქონდა — „არც ერთზე არ დავთანხმდი-მეთქი, რომ ვუთხრა, პათეტიკურად გამოვა, არ ვეტყვი“, — ვფიქრობ და ვამბობ: — ვიფიქრე, რომ თქვენ მეთექვსმეტეები ხართ...

ალბერტი და ინგუნა იცინიან, ალბერტი მეუბნება:

— არა, არა, ჩვენი შემოთავაზება სულ სხვა შინაარსისაა, მაგრამ სანამ მას გაგაცნობთ, ერთი შეკითხვა რომ დაგისვათ, შეიძლება?

— რა თქმა უნდა, შეიძლება, — ვეუბნები ალბერტს, შემდეგ მარისკენ ვატრიალებ თავს, ქართულად ვეუბნები, რომ ყავა, ჩაი ან წვენი მოუტანოს სტუმრებს.

— ყავა? ჩაი? წვენი? — ინგლისურად ეკითხება მარი სტუმრებს. ალბერტი და ინგუნა ყავას ირჩევენ.

მარი სამზარეულოში გადის.

— შეკითხვას ველი, — ვეუბნები ალბერტს და ვუღიმი.

— რამდენიმე წუთის წინ თქვენ თანამედროვე სოციალური სისტემა ახსენეთ, თქვით, რომ ეს სისტემა ადამიანს გარეგანი გაგიჟების საშუალებას არ აძლევს, რას გულისხმობდით? — მეკითხება ალბერტი.

— თქვენ ჟურნალისტი ხართ? — ვეკითხები ალბერტს.

— ექსჟურნალისტი, საიდან მიხვდით? — ალბერტი მიღიმის.

— შეკითხვის დასმის მანერით, — ვუხსნი და ორივე ვიღიმით, — ახლა რაც შეეხება პასუხს თქვენს შეკითხვაზე. პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ მხედველობაში დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეები მყავს, ამ ადამიანებს ფორმალურად ყველაფრის უფლება აქვთ, მაგალითად, მათ შეუძლიათ მშობლიურ ქუჩებში სრულიად შიშვლებმა გაიარონ, როდესაც იმავე ქმედებისთვის ტოტალიტარული ქვეყნის მოქალაქეს, საუკეთესო შემთხვევაში, ხულიგნობის მუხლით გაასამართლებენ, უარეს შემთხვევაში — ჩაქოლავენ ან გიჟად გამოაცხადებენ და საგიჟეთში დაამწყვდევენ. ეს შემთხვევა საუკეთესო და უარეს შემთხვევებს შორისაა. დემოკრატიულ ქვეყანაში გარეგნული სიგიჟე გამორიცხულია, რადგან სიგიჟე რაღაცის უარყოფას და უგულებელყოფას ნიშნავს, იქ, სადაც თუნდაც ფორმალურად ყველაფერი ნებადართულია, ეს შეუძლებელია. დემოკრატიულმა სისტემამ გიჟის ფუნქცია თვითონ შეითავსა, თავის მოქალაქეებს ყველაფრის უფლება მისცა და ამით გარეგნულად გაგიჟების უფლება წაართვა, დემოკრატიულ ლექსიკონში ასეთი სიტყვათშეთანხმება არც არსებობს, რაც შეეხება ტოტალიტარულ ქვეყნებს, იქ გარეგნული სიგიჟე დღემდე სოციალური პროტესტის ფორმაა, ეს ჩვენ კარგად ვიცით, ჩვენ ხომ ამ სივრცეში დავიბადეთ; ახლა რაც შეეხება შინაგან ანუ ინტიმურ სიგიჟეს; ამ მოვლენას ისეთი დიდი ტრადიცია არა აქვს, როგორც გარეგან სიგიჟეს (ომები, რევოლუციები, მიწიერი

სამოთხის აღმოჩენის ცდები, ეს ყველაფერი გარეგანი სიგიჟის ფორმებია), აქედან გამომდინარე, ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით ამ მოვლენის შესახებ, ცნობილია ორად ორი რამ: შინაგანი გაგიჟების რა ეტაპზე იმყოფება ადამიანი და რა არის ამ მოვლენის საბოლოო მიზანი. ჯერ საბოლოო მიზანი ვთქვათ: საკუთარ თავში სულის აღმოჩენა. ახლა ვთქვათ, რა ეტაპზე ვართ: ჯერჯერობით საკუთარ თავში მხოლოდ სექსუალური მოთხოვნილებები აღმოვაჩინეთ. საინტერესო იქნება, ვინმემ რომ დაწეროს „შინაგანი კამა-სუტრა". შემდეგ ეს წიგნი შეადარონ გარეგანი სიგიჟის ეპოქაში დაწერილ „კამა-სუტრას" და ყველაფერი ნათელი გახდება, — გავჩუმდი.

— ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ მიწიერი სამოთხის ნაცვლად ადამიანებმა საკუთარ თავში სულის ძიება დაიწყეს, მაგრამ ვინ არის იმის გარანტი, რომ მიწიერი სამოთხისაგან განსხვავებით სული მართლა არსებობს?

— უფალი ჩვენი, იესო ქრისტე.

— და ვისთვისაც ქრისტე ღმერთი არ არის?

— ასეთმა ადამიანმა არც მიწის და არც ცის შესახებ არაფერი იცის.

— საბრალოა ასეთი ადამიანი, — ამბობს ალბერტი, გვეღიმება.

ოთახში მარი შემოდის. მარის გონია, რომ მას ვუღიმით.

14

ხელში ლანგარი უჭირავს, ლანგარზე ორი ფინჯანი ყავა, ფორთოხლის წვენით სავსე გრაფინი, ჭიქები წვენისთვის, შაქარი, ბუტერბროდები და ორცხობილა დევს. ორი ფინჯანი ყავა ალბერტის და ინგუნას შეკვეთაა, შაქარი — ლოგიკური დამატება, რაც შეეხება დანარჩენს, ეს მარის ინიციატივაა.

მარი ლანგარს ფრთხილად დებს მაგიდაზე, შემდეგ ყველაფერი მაგიდაზე გადააქვს. ამას მარი ძალიან ფრთხილად და მოხდენილად აკეთებს. წელში ოდნავ მოხრილია და ტაკუნა ჩემკენ აქვს მოშვერილი, „ხელი რომ მივუტყაპუნო, მაგარი იქნება“, — მეღიმება.

ალბერტი მარის ეხმარება, საშაქრეს იღებს და მაგიდაზე დებს. მარი ალბერტს ეუბნება, რომ არ შეწუხდეს, რომ თვითონ გააკეთებს ყველაფერს. ალბერტი მარის უღიმის და ბუტერბროდიან თეფშს მაგიდაზე დებს. „ჩემთვის დიდი სიამოვნებაა თქვენისთანა მშვენიერი ქალისთვის დახმარების გაწევა“, — ეუბნება ალბერტი მარის. „დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის“, — ამბობს მარი. „მე თქვენთვის კომპლიმენტი არ მითქვამს, მე უბრალოდ, ფაქტი დავაფიქსირე“, — ალბერტი მარის უღიმის.

მე ინგუნას ვუყურებ. ინგუნას ხელში ჩანთა უჭირავს. „ჩანთა ან იატაკზე დადეთ, ან მე დავიჭერ“, — ვეუბნები ინგუნას. ინგუნა თავს ჩემკენ ატრიალებს, მიღიმის და ჩანთას იატაკზე დებს, მე და ინგუნა ერთმანეთს ვუყურებთ და ვუღიმით.

ალბერტი მარის ბუტერბროდის ინგრედიენტებს ეკითხება, მარი იგრედიენტებს თვლის: ძეხვი, პომიდორი, კიტრი, მაიონეზი. „ახლა ძეხვის, პომიდვრის, კიტრის და მაიონეზის ინგრედიენტები მითხარით“, — ეუბნება მარის ალბერტი. მარი იცინის, ალბერტიც იცინის, მე ინგუნას ვუყურებ, ინგუნა ხან იატაკს უცქერის, ხან — მე. მარის და ალბერტს შორის აქტიური ფლირტი, ხოლო ჩემს და ინგუნას შორის პასიური ფლირტი მიმდინარეობს. მარის და ალბერტის ფლირტში ჩართულია სიტყვები, მოძრაობები, სიცილი. ჩემს და ინგუნას ფლირტში ჩართულია ღიმილი. სხვა მხრივ ჩვენი ფლირტი მდუმარეა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ფლირტი უბრალოდ, რეაქციაა მარის და ალბერტის ფლირტზე, აქედან გამომდინარე, ჩვენი ფლირტი მეორადია. მეორადი

ფლირტი საშინელებაა, რაც შეეხება ბუნებრივ ფლირტს, ის ყველაზე მშვიდობიანი საშუალებაა იმისთვის, რომ ადამიანმა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს და საზოგადოებრივ ცხოველად იგრძნოს თავი.

ფლირტი, ბუნებრივია თუ მეორადი, ყოველთვის მალე მთავრდება.

ალბერტი ორცხობილას ჭამს და ყავას სვამს, მეცინება — რამდენიმე წუთის წინ ბუტერბროდით იყო დაინტერესებული.

მარის ვუყურებ — მარი ბუტერბროდს ჭამს და წვენს სვამს.

ინგუნას ვუყურებ — ინგუნა ორცხობილას ჭამს და ყავას სვამს.

ბუტერბროდს ვიღებ და წვენს ვსვამ.

მე და მარი ბუტერბროდს ვჭამთ და წვენს ვსვამთ.

ალბერტი და ინგუნა ორცხობილას ჭამენ და ყავას სვამენ.

ყველა და ყველაფერი თავის ადგილზეა.

15

ალბერტი ჭიქას მაგიდაზე დებს, ინგუნაც. მე ჭიქას მაგიდაზე ვდებ, მარიც. ჩემს ჭიქაში უფრო მეტი წვენია ჩარჩენილი, ვიდრე მარის ჭიქაში.

ალბერტი ამბობს:

— დროა, ჩვენი შემოთავაზება გაგაცნოთ.

— კი, დროა, — ვამბობ და ვიღიმი.

— ოღონდ სანამ ჩვენს შემოთავაზებას გაგაცნობდეთ, მანამ ინგუნა მოკლე, აუცილებელ შესავალს გააკეთებს, — ალბერტი ინგუნას გადაცემს სიტყვას.

ინგუნა ამბობს:

— ჩვენ, მე, — საკუთარ თავზე აკეთებს მითითებას, — და ალბერტი, — ალბერტზე მიგვითითებს, — იურმალაში დავიბადეთ, — იურმალას გაგონებაზე მახსენდება ცნობილი საბჭოთა მუსიკალური ფესტივალი, ამ ფესტივალზე საბჭოთა კავშირის დაშლამდე ერთი ან ორი წლით ადრე მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა ღრმად პატრიოტული სიმღერა იმღერა და პირველი ადგილი დაიკავა. მე მაშინ თოთხმეტი ან თხუთმეტი წლის ვიყავი, სკოლიდან ვიპარებოდი მეგობრებთან ერთად და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ მიტინგებს ვესწრებოდი; მახსოვს მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი და ირაკლი ბათიაშვილი (ახლა ის პოლიტპატიმარია!) სოსო პავლიაშვილის სიმღერა თავისუფლებით გამოწვეულ განთიადზე იყო. იმ დროს ყველა (გარდა მერაბ მამარდაშვილისა და რამდენიმე ინტელექტუალისა) ფიქრობდა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა მომენტალურად სამოთხედ გადააქცევდა სამშობლოს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო ცხელ წერტილად იქცა (ცხელი წერტილი იგივეა, რაც ჯოჯოხეთი, თუმცა ჯოჯოხეთი იგივე არ არის, რაც ცხელი წერტილი, ჯოჯოხეთი ბევრნაირია). სამოქალაქო ომის დროს ჩვენმა მამებმა კვლავ რუსეთისკენ გაიხედეს, მათი აზრით, რუსეთს შეეძლო საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომის შეჩერება. ჩვენ, შვილებს, ეს აზრი მაინცდამაინც არ მოგვწონდა და მამებს მონური მენტალიტეტის გამო ვაკრიტიკებდით, მაგრამ რეალურად რამდენად განვსხვავდებით ჩვენ ჩვენი მონური მეტალიტეტის მქონე მამებისაგან? ჩვენ ვისაც ჩვენი სტაბილურობის გარანტად ამერიკა მიგვაჩნია, და ეს მაშინ, როცა ამერიკული იმპერიალიზმი ფორმას და ხასიათს იცვლის და გავლენებიდან პირდაპირ დაპყრობებზე გადადის. ამერიკელები აღარავის ენდობიან და დღითი დღე სულ უფრო და უფრო ემსგავსებიან რუსებს. რაც შეეხება

სოსო პავლიაშვილს, ის ამჟამად მოსკოვში მოღვაწეობს. მე, პირადად, მისი სიმღერები არ მომწონს, არა მგონია, რომ სოსოს სიმღერებმა სოსოზე დიდხანს გაძლოს, თუმც ვინ იცის, რა როგორ იქნება ან ვინ როგორ იქნება?

16

— ჩვენ, მე, — ინგუნა საკუთარ თავზე აკეთებს მითითებას, — და ალბერტი, — ალბერტზე მიგვითითებს — იურმალაში დავიბადეთ, იურმალა პატარა ზღვისპირა ქალაქია ლატვიაში. არსებობს მცდარი შეხედულება, რომ ზღვისპირა ქალაქებში დაბადებული ბიჭების აბსოლუტური უმრავლესობა მეზღვაურობაზე ოცნებობს, რაც შეეხება ზღვისპირა ქალაქებში დაბადებულ გოგონებს, მათ ოცნებებზე არავინ არაფერს ამბობს, მათი ოცნებების შესახებ მცდარი შეხედულებაც კი არ არსებობს, თითქოს გოგოები არ ოცნებობდნენ.

„ფემინისტია", — ვფიქრობ, — „ეხლა დაიწყებს ლაპარაკს გენდერულ ბალანსზე და რაღაც სისულელეებზე, თუმც ინგუნას მიდგომა საკითხისადმი სრულიად მისაღებია, რადგან საქმე ოცნების თანასწორობას ეხება, რა თქმა უნდა, ყველა ვოცნებობთ, კაცებიც და ქალებიც, თან, მე მგონი, რაც უფრო ასაკი გვემატება, მით უფრო აქტიურად ვოცნებობთ და უფრო სასოწარკვეთილად ვოცნებობთ. ამას წინათ დათოს ველაპარაკე სიტყვა სასოწარკვეთილების შესახებ და ვუთხარი, რომ სასოწარკვეთილება უნდა აღდგეს თანამედროვე ლიტერატურაში, რადგან ეს გრძნობა რეალურად არსებობს. ფემინიზმიდან ოცნებაზე გადავედი, ოცნებიდან — სასოწარკვეთილებაზე. ამ სამი სიტყვიდან იქმნება ორი კატეგორია — მეოცნებე ფემინისტები და სასოწარკვეთილი ფემინისტები. ინგუნა პირველ კატეგორიას ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში, ჩემი პირველი შთაბეჭდილება ასეთია. მეორე კატეგორიას ეკუთვნის თათია, ცოტნესთან დაშორე-

ბის შემდეგ ის სასოწარკვეთილი ფემინისტი გახდა, ერთი კვირის წინ მარიმ და დათომ სკაიპში ისაუბრეს, მე სავარძელში ვიჯექი და მათ საუბარს ვუსმენდი. დათომ თქვა: „თათიამ სულ აურია“. მარიმ გამოსავალი მოძებნა: „კაცი ჭირდება მაგას, კა-ცი!“ — დამარცვლა მარიმ. მე გამეღიმა, დათომ დაიჩივლა: „მერე მე საიდან მოვუყვანო კაცი?“ მარიმ კვლავ გამოსავალი მოძებნა: „შენ თვითონ ვინ ხარ?“ დათომ თქვა: „მე შეყვარებული მყავს“. მარის თვალები გაუფართოვდა ინტერესისგან და ხმასაც აუწია: „ვინ შეყვარებული?“ ასე შეიცვალა თემა „კაცი თათიასთვის“ თემით „დათოს ახალი შეყვარებული“. „არი ერთი“, — თქვა დათომ. „სახელი არა აქვს?“ „აქვს“. „რა ქვია?“ „ანა“. მე სავარძელში ვიჯექი დ მესმოდა, როგორ ახასიათებდა დათო ანას: „ლამაზია, სუფთაა, მიყვარს“...

17

იურმალა პატარა ზღვისპირა ქალაქია ლატვიაში, არსებობს მცდარი შეხედულება, რომ ზღვისპირა ქალაქებში დაბადებული ბიჭების აბსოლუტური უმრავლესობა მეზღვაურობაზე ოცნებობს, რაც შეეხება ზღვისპირა ქალაქებში დაბადებულ გოგონებს, მათ ოცნებებზე არავინ არაფერს ამბობს, მათი ოცნებების შესახებ მცდარი შეხედულებაც კი არ არსებობს, უფრო სწორად, არ არსებობდა, სანამ პატარა გრანტი არ მოვიპოვე და კვლევა არ ჩავატარე ამ საკითხზე, გამოვკითხე არაზღვისპირა ქალაქებში დაბადებული ათას ორასი ადამიანი, და იცით გამოკითხულთა ოთხმოცდაათმა პროცენტმა რა მიპასუხა? — მე ინგუნას ვანიშნებ, რომ არ ვიცი, — ალბათ, ქალთევზობაზეო, — ყველას გვეცინება, ინგუნა აგრძელებს, — რეალურად ზღვისპირა ქალაქებში დაბადებული ადამიანები ოცნებობენ ზუსტად იმავეზე, რაზეც არაზღვისპირა ქალაქებში დაბადებული

ადამიანები, ეს რაღაცა ბედნიერებაა, ბედნიერებაზე ოცნება უბიძგებს ადამიანს, დარჩეს ან დატოვოს სამშობლო, — სიტყვა სამშობლოს გაგონებაზე ვფიქრობ, რომ ინგუნა და ალბერტი ფულს მოგვთხოვენ, სამშობლო ღმერთის მერე ყველაზე კარგად იყიდება, ღმერთი და სამშობლო შეგიძლია უთვალავჯერ გაყიდო; ჩემს მოსაზრებას ალბერტის და ინგუნას ვიზიტის მიზეზზე ის უარყოფს, რომ ისინი ლატვიელები არიან, ჩვენ — ქართველები; ფული საქართველოს უფრო ჭირდება, ვიდრე ლატვიას, — ბედნიერებაზე ოცნება უბიძგებს ადამიანებს, შექმნან ოჯახი, — ინგუნა ფულს არ გვთხოვს, ის განაგრძობს, — ან არ შექმნას ოჯახი და ა.შ. ჩვენ, მე, — ინგუნა საკუთარ თავზე გვითითებს, — და ალბერტი, — ალბერტზე მიგვითითებს, — ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, ჩვენც ბედნიერებაზე ვოცნებობთ, — პაუზა; ვფიქრობ: „რატომ გაჩუმდა, ელის, რომ რაღაცას ვეტყვი? რა უნდა ვუთხრა, ხელს ხომ არ ჩამოვართმევ და მიხარია, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ხარ-მეთქი, ხომ არ ვეტყვი. ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი, ყველაზე არაჩვეულებრივი ადამიანიც კი ჩვეულებრივი ადამიანია; არაჩვეულებრიობა შეხედულებაა, თეორიაა, ჩვეულებრიობა — მდგომარეობა“. სწორედ ამ დროს ინგუნას ხმა მესმის, გული მწყდება, რომ ჩვეულებრივ-არაჩვეულებრივზე ფიქრი აღარ შემიძლია, რადგან ორი საქმის ერთდროულად კეთების ნიჭი არ მაქვს. ინგუნა (მე ინგუნას ვუსმენ) ამბობს: — როგორც ნებისმიერ ჩვეულებრივ ადამიანს, ჩვენც ხანდახან ძალიან გვწყინდება ხოლმე ჩვენი ჩვეულებრიობა, — ინგუნა ოხრავს იმის ნიშნად, რომ ხანდახან მას და ალბერტს მართლა ძალიან წყინდებათ თავიანთი ჩვეულებრიობა, შემდეგ ამბობს: — მოწყენილობა კი საშინელებაა და ამიტომ საშინელი მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად ჩვენ მოვიგონეთ პროექტი, „ნიუ-იორკის მცხოვრებლების გაკეთილშობილება“. ეს ორი წლის წინ მოხდა, მაშინდელი მოწყენილობისაგან თავის და-

საღწევად მოგონილი პროექტი თანდათან ჩვენი ცხოვრების მიზანი გახდა, — პაუზა, ვფიქრობ: „ცხოვრების მიზანი ხმამაღალი ნათქვამია“.

შემდეგ ინგუნას ვეკითხები:

— შეგიძლიათ ამიხსნათ, რას გულისხმობთ ნიუ-იორკის მცხოვრებლების გაკეთილშობილებაში? თუ საიდუმლოა?

— არანაირი საიდუმლო, — ამბობს ინგუნა. ახლა, მთავარია, ინგუნა ყურებამდე არ გაიკრიჭოს, თორემ ვიფიქრებ, რომ მოთხრობაში კი არა, სარეკლამო რგოლში ვარ. სარეკლამო რგოლის პერსონაჟობა საინტერესო არ არის, იმიტომ, რომ სარეკლამო რგოლის პერსონაჟები არასოდეს ფიქრობენ. ინგუნა ყურებამდე არ იკრიჭება და მე მიხარია, რომ ეს მოთხრობაა და არა — სარეკლამო კლიპის სცენარი.

18

— არანაირი საიდუმლო, — იმეორებს ინგუნა და კვლავ საშიშროების წინაშე ვდგავარ, რომლის წინაშეც მე-17 თავის ბოლოს ვიდექი, მაგრამ ინგუნა ამჯერადაც არ იკრიჭება და მე კვლავ მიხარია, რომ მოთხრობაში ვარ და არა — სარეკლამო კლიპის სცენარში, — ნიუ-იორკი მსოფლიოს დედაქალაქია, ეს, რა თქმა უნდა, დროებითი მოვლენაა და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ნიუ-იორკი ამ სტატუსს რომელიმე სხვა ქალაქს გადაულოცავს, გადაულოცავს, რა თქმა უნდა, ფიგურალურად, თორემ რეალურად ეს ძალიან მტკივნეული პროცესია, ამის გამო შეიძლება ომიც კი დაიწყოს. პირადად ჩემი აზრით, მსოფლიოს მომავალი დედაქალაქი რომელიმე ჩინური ქალაქი იქნება, — პაუზა, ვფიქრობ: „რა საჭიროა უჩვენო მომავლის ჭვრეტა? რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აღარც მე ვიქნები, აღარც მარი, აღარც ალბერტი და აღარც თავად ინგუნა, შეიძლება აღარც

ნიუ-იორკმა იარსებოს, რა საჭიროა უჩვენო მომავლის ჭვრეტა? ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს". ინგუნა ამბობს: — დროა, მომავალს შევეშვათ და დღევანდელ დღეს დავუბრუნდეთ, — „დავუბრუნდეთ", — ვფიქრობ, — „რა თქმა უნდა, აწმყოში დაბრუნება ყოველთვის პირობითია, რადგან აწმყოს რეალურად დატოვება შეუძლებელია, აწმყოს დატოვება სიკვდილია, მიუხედავად ამისა, ჩვენ თითქმის იმდენივე ვიცით აწმყოზე, რამდენიც მომავალზე, ჩვენ ვჭვრეტთ აწმყოს, ისევე, როგორც მომავალს, ერთადერთი, რაზეც თამამად შეგვიძლია ლაპარაკი, წარსულია, მაგრამ წარსული, ძირითადად, სამარცხვინო გვაქვს და ამიტომაც წარსულზე ლაპარაკი არ გვიყვარს. ადამიანები მხოლოდ მომავალში ვართ სუფთები და ღირსეულები და ამიტომაც განუწყვეტლივ ვსაუბრობთ მომავალზე. მომავალი ჩვენს თავებში არსებობს, ასე რომ, მომავალი აწმყოს ნაირსახეობაა, რა თქმა უნდა, არსებობს ჩვენი ცნობიერების მიღმა არსებული მომავალი, რომელიც თავისთავად ცის აწმყოა, ცის აწმყო მიწის მომავალია". ინგუნას ხმა მესმის და რადგან ორი საქმის კეთების ნიჭი მე არ მაქვს, ფიქრს ვწყვეტ და ინგუნას ვუსმენ, ინგუნა ამბობს: — ნიუ-იორკი თანამედროვე მსოფლიოს დედაქალაქია, ყველა აქეთ იხედება, ყველა აქაურებს ბაძავს, ეკონომიკურად და კულტურულად დაქვეითებული ქვეყნების მოქალაქეები — აშკარად და სიამაყით, — მახსენდება ჯორჯ ბუშის ხანმოკლე ვიზიტით ხანგრძლივად აღფრთოვანებული ქართველები. მართალია ინგუნა, — ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები — სასოწარკვეთილად, რადგან გრძნობენ, რომ ამერიკანიზაცია ნეგატიური, მაგრამ გარდაუვალი მოვლენაა, ამერიკანიზაცია ამით საბჭოთა რევოლუციას გავს, ახლა მოდი, ვნახოთ რა მაგალითს აძლევენ აქაურები მსოფლიოს? — პაუზა, მეც არაფერზე ვფიქრობ, მეც — პაუზა.

ინგუნა ამბობს:

— რა მაგალითს აძლევენ აქაურები მსოფლიოს? ძალიან ცუდ მაგალითს, დამღუპველ მაგალითს, არსად ისე ლოკალურად მოაზროვნე ადამიანები არ ცხოვრობენ, როგორც აქ. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, აქაურების ამპარტავნებაა, მათთვის ხომ დანარჩენი მსოფლიო არ არსებობს, უფრო სწორად, არსებობს, მაგრამ მეორეხარისხოვანი სტატუსით, და სწორედ ნიუ-იორკელების ეს ლოკალური ამპარტავნება ქმნის გლობალურ პრობლემას. მსოფლიო სულ უფრო და უფრო ლოკალური ხდება, გლობალიზაციის ძირითადი შედეგი ლოკალიზაციაა, აქაურებს შეუძლიათ, ეს ყველაფერი შეცვალონ, ამისთვის ისინი უნდა გაკეთილშობილდნენ, — ინგუნა ჩანთას იღებს, ხსნის, ჩანთიდან რიგრიგობით ოთხ მინიავტომატს იღებს და მაგიდაზე დებს, — აქაურებს მშვიდობიანად ვერ გააკეთილშობილებ.

ავტომატების დანახვაზე სამშობლო მახსენდება: კერძოდ, 1991-1995 წლების საქართველო, ჭაობისფერ სამხედრო ფორმებში ჩაცმული გვარდიელები და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი „მხედრიონელები“. ქუჩებში მორახრახე ტანკები და ჯაჯშანტრანსპორტიორები. აქეთ-იქით მიყრილი გვამები, ავტომობილებში თავისივე კოლეგების მიერ ჩაცხრილული წონიანი გვარდიელები და „მხედრიონელები“. იოსელიანი, კიტოვანი, სიგუა, შემდეგ ამათ დაემატა შევარდნაძე; ყველგან ყველა ახსენებს სამშობლოს და საქართველოს. ალბათ, სწორედ ამ დროს შემძულდა ეს ორი სიტყვა და შემდეგ წლები დამჭირდა ამ სიძულვილის დასაძლევად. იოსელიანი გარდაიცვალა, დატოვა მემუარული წიგნი „სამი განზომილება“. წაიღო უამრავი ცოდვა. კიტოვანი მოსკოვშია, ხანდახან ტელეხიდებში მონაწილეობს, რაც იყო, ისევ ის არის, ამბიციური ნული. სიგუას საუკე-

თესო მეგობრები ყოველთვის ციფრები იყვნენ და ახლა ის ციფრების წინაშეა დარჩენილი, შევარდნაძე პენსიაზეა და ცრუ მემუარებს წერს. გადარჩენილი „მხედრიონელები“ პარლამენტარები გახდნენ, გვარდიელებმა ვერ ივარგეს. „მხედრიონი“ უფრო ინტელექტუალური ორგანიზაცია იყო, ვიდრე გვარდია, აქედან გამომდინარე, ისინი უფრო დახვეწილი მკვლელები და ბიზნესმენები იყვნენ, ვიდრე გვარდიელები. გვარდიელები უფრო პრიმიტიულად კლავდნენ და უფრო პრიმიტიულად აწარმოებდნენ ბიზნესს. რა თქმა უნდა, ასეთი მეთოდებით ისინი შორს ვერ წავიდნენ, „მხედრიონელები“ კი მუდამ კომბინაციებს ათამაშებდნენ. დღეს ისინი ლიბერალურ დემოკრატიას და ჩრდილოატლანტიკურ კედელს არიან ამოფარებული. ეს ბერლინის კედელზე გაცილებით სქელი კედელია, რომელიც შევარდნაძემ ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ საქართველოში ააშენა.

ინგუნა ცარიელ ჩანთას იატაკზე აგდებს, იატაკზე ცარიელი ჩანთის მსუბუქად დაცემის ხმა მესმის, ვხვდები, რომ შესავალი დასრულდა.

20

ალბერტი ამბობს:

— დროა, გაგაცნოთ ჩვენი შემოთავაზება. გთავაზობთ, აიღოთ ავტომატები, გავიდეთ ქუჩაში და ავტეხოთ უმისამართო, მაგრამ ამავე დროს, გამიზნული სროლა გლობალური ლოკალიზაციის წინააღმდეგ...

ალბერტს სიტყვას ვაწყვეტინებ.

— რომ გითხრა, რომ საერთოდ არ მაღელვებს ეგ გლობალიზაცია-ლოკალიზაციის პრობლემა და აქედან გამომდინარე, თქვენს შემოთავაზებაზე უარს ვამბობ, რა მოხდება?

— რა მოხდება და, — ალბერტი მიღიმის, — ჩავალაგებთ ავტომატებს ჩანთაში, წავალთ, მოთხრობაც დამთავრდება და

ჩვენ რეალური ადამიანები ვიქნებით, ვიქნებით მეზობლები, მე და შენ ვიმუშავებთ მშენებლობაზე, ავაშენებთ სახლებს, რომლებშიც ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ, ჩვენი ცოლები ოვლიან თავიანთ სამსახურში, მოუვლიან ბუზღუნა პენსიონერებს: თავი გამიმშრალე, ზურგი მომფხანე, ტრაკი გამომიწმინდე. შენი უარით ჩვენ პარალელურ საარსებო სივრცეს ვკარგავთ, გაიხსენე მოთხრობის დასაწყისი, როგორ ეფერებოდი და როგორ გეფერებოდა მარი, რეალურად რამდენი ხანია სექსი არ გქონია მარისთან?

— ეგ არ არის შენი საქმე, — ყვირის მარი და ასე ამბობს, რომ დიდი ხანია.

— დაწყნარდი, — ალბერტი მხარზე ეფერება მარის, — არც მე და ინგუნა ვართ უკეთეს დღეში.

— რაიმე სხვა გამოსავალი რომ მოვიფიქროთ? რა აუცილებელია მაინცდამაინც ქუჩაში გასვლა და სროლის ატეხვა, — ვეუბნები ალბერტს.

— სხვა გამოსავალი ამ მოთხრობაში არ არსებობს, ან ქუჩაში გავდივართ, ან მოთხრობა მთავრდება.

21

დათოს და ანას პაემნები ერთფეროვანი პაემნებია, მაგრამ სიყვარულის ერთ-ერთი მთავარი თვისებაც ხომ ეს არის — გარკვეული ტიპის ერთფეროვნების მოუბეზრებლობა კონკრეტულ ადამიანთან. დათოსთვის ეს კონკრეტული ადამიანი ანაა, ანასთვის — დათო. გაივლის დრო და პაემნების ერთფეროვნებას სხვა სახის ერთფეროვნება შეცვლის, მაგალითად, ოჯახური ცხოვრების ერთფეროვნება, შეიძლება ითქვას, რომ ის, რასაც ცხოვრების მრავალფეროვნებას ეძახიან, სხვადასხვა ტიპის ერთფეროვნების მონაცვლეობით იქმნება, თუმცა ისე შეიძლება მოხდეს, რომ ეს ერთფეროვნება დათოს და ანას ცხოვრებაში ბოლო იყოს — არაფრის

გამოსვლის და დაშლის შიში მათ ურთიერთობას თან სდევს, ამის მიზეზი წარსულში განცდილი იმედგაცრუებაა.

დათო და ანა სკვერში სხედან, დათოს ხელში ფურცლები უჭირავს და რიგრიგობით კითხულობს, ანა სიგარეტს ეწევა და თან დათოს უყურებს, როგორ კითხულობს რიგრიგობით ფურცლებს; დროდადრო დათოს ეღიმება, ხანდახან ოდნავ ეცინება კიდეც, მაგრამ ძირითადად, მაინც სერიოზულია.

ანა სიგარეტს ფერფლავს და დათოს ეკითხება:

— რას კითხულობ, არ მეტყვი?!

დათო თავს წევს, ანას უყურებს და პასუხობს:

— ჩემმა მეგობარმა ამერიკიდან მოთხრობა გამომიგზავნა, მე, ხომ იცი, მონიტორზე კითხვა არ შემიძლია, ამოვბეჭდე და ვკითხულობ, მერე შენც წაგაკითხებ.

— ღირს წაკითხვა? — ეკითხება ანა.

— კი, — ამბობს დათო, — ღირს, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მთელი ოცი თავი მოთხრობის ავტორი მკითხველს მე ვგონივარ, ოცდამეერთე თავში ირკვევა, რომ ავტორი სანდროა, ჩემი მეგობარი, რომელიც ამერიკაშია.

— როგორ ირკვევა?

— მე ვამბობ.

— ოო, შენ თუ ამბობ, დასაჯერებელი არ არის.

— შენ თუ ამბობ, მაშინ დასაჯერებელი არ არის, — ვაჯავრებ ანას, — ვითომ რატომ?

— იმიტომ! — ანა ენას მიყოფს, — ტყუილები გიყვარს.

— მართლა სანდროს მოთხრობაა, — ვამბობ მე.

22

მეორე დღეს მე და ალბერტი ტრადიციულად ლიფტთან ვხვდებით ერთმანეთს. მე ალბერტს ვესალმები, ალბერტი მე არ მესალმება. ამით მანიშნებს, რომ ჩემზე ნაწყენია.

ლიფტი ჩერდება, კარი იღება და ჩვენ კაბინაში შევდი-

ვართ. კარი იხურება, ალბერტი მარჯვენა ხელის ცერა თითს ღილაკს აჭერს და კაბინა ქვევით ეშვება. ალბერტი სახეზე არ მიყურებს.

— გამებუტე? — ვეკითხები.

ალბერტი არც მიყურებს და არც არაფერს მეუბნება, ლიფტი ჩერდება, კარი იღება, ჩვენ კაბინიდან გამოვდივართ და გასასვლელისკენ მივდივართ. ლიფტის კარის დახურვის ხმა მესმის, ქუჩაში გავდივართ და ავტობუსის გაჩერებაზე ვდგებით. ავტობუსის გაჩერებაზე ჩვენ გარდა სხვებიც დგანან, ძირითადად — შავკანიანები. ჩვენი ავტობუსი მოდის. ჩვენ ავტობუსში ავდივართ. ავტობუსი თითქმის ცარიელია. ვსხდებით. ალბერტი ფანჯარასთან ზის, მე — ალბერტის გვერდით. ალბერტი მე არ მიყურებს, ალბერტი ფანჯარაში იყურება.

— შევრიგდეთ, — ვთხოვ ალბერტს.

— ხომ ხვდები, რომ ცუდად მოიქეცი, — მეუბნება ალბერტი.

— შენ რომ გაწყენინე — კი, მოთხრობა რომ არ გავაგრძელე — არა, შევრიგდეთ, — ხელს ვუწვდი ალბერტს.

— შევრიგდეთ, ოღონდ ერთი პირობით — ახალ მოთხრობაზე იფიქრე. მე თავს ვუქნევ ალბერტს იმის ნიშნად, რომ ახალ მოთხრობაზე ვიფიქრებ, ალბერტი ხელს მართმევს, შევრიგდით.

— გუშინ დავითვალე, თხუთმეტი მოთხრობა გაქვს უკვე გაფუჭებული, — ალბერტი მიღიმის, მეც ვუღიმი.

ვიღიმით.

23

გასახდელში ვართ, ვიცვლით, სამოქალაქო ტანსაცმელს ვიხდით და სამშენებლო ფორმას ვიცვამთ, გულსა და ზურგზე სამშენებლო ფირმის სახელწოდება გვაწერია; გულზე აბრე-

ვიატურა, ზურგზე — სრულად. ზუჩებს ვიხურავთ და სამშენებლო ტერიტორიაზე გავდივართ. ჩვენ ვაშენებთ სახლს, რომელშიც ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ. მე და ალბერტი ურიკებს დავათრევთ. ტექნიკამ ძალიან ბევრ რამეში ჩაანაცვლა ადამიანი, მაგრამ ურიკების გაგორ-გამოგორება ჯერჯერობით არავის შეუძლია, ცირკის გაწვრთნილ დათვებს თუ არ ჩავთვლით, მაგრამ ჩვენ ერთმანეთის კონკურენტები არ ვართ.

ურიკა დანიშნულების ადგილზე მივაგორე, ვცლი, ცარიელი ურიკის შესავსებად ბაზაზე ვბრუნდები, გზაში ალბერტი მხვდება და მანიშნებს, რომ შევჩერდე, ვჩერდები, ალბერტიც ჩერდება, ის ბაზიდან მოდის.

ალბერტი მეუბნება:

— ახალი მოთხრობის დასაწყისი მოვიფიქრე, მომისმინე, — ვუსმენ, — კაცი მშენებარე სახლის ბოლო სართულზე დგას, მიწამდე დაახლოებით 25 მეტრია, ქვევით პოლიციელები, ჟურნალისტები და უსაქმურები დგანან, მათ გონიათ, რომ კაცი თვითმკვლელობას აპირებს. პოლიციელები საკუთარ მოვალეობას ასრულებენ და კაცს თხოვენ, თავი არ მოიკლას. ჟურნალისტებს ურჩევიათ, რომ კაცმა თავი მოიკლას — ასე უფრო კარგი რეპორტაჟი გამოვა. სისხლი, ტვინგასხმული ადამიანი უფრო ეფექტურია, ვიდრე ჰეფიენდი. აი, ნახავ, ჰოლივუდი რამდენიმე ათეულ წელიწადში ჰეფიენდიდან თანდათან მთლიანად სპეცეფექტებზე გადავა. დავუბრუნდეთ მოთხრობის დასაწყისს: უსაქმურებისთვის სულერთია, გადმოხტება თუ არ გადმოხტება კაცი, კაცს ხელში პლაკატი უჭირავს, პლაკატზე დიდი ასოებით წერია: სიყვარული. კაცი პლაკატს ხან ცისკენ იშვერს, ხან — მიწისკენ. აი, აქ ვარ გაჩერებული, — ალბერტი მიღიმის.

— იცი, რა მაინტერესებს? ეგ კაცი მე ვარ თუ შენ? — ვეკითხები ალბერტს მე.

— ჯერჯერობით არ ვიცი, — მპასუხობს ალბერტი მე, — მოდი, იცი, რა ვქნათ? სამსახურის შემდეგ ბარში წავიდეთ,

ცოტა დავლიოთ და თან გადავწყვიტოთ, შენ ხარ ეგ კაცი, თუ მე ვარ.

ალბერტი ურიკის დასაცლელად იწყებს მოძრაობას, მე — ურიკის შესავსებად.

24

ბარში ყაყანია, კუთხეში ვსხდებით, ალბერტი არაყს და ლუდს უკვეთავს, ვსვამთ, არაყზე ცოტა ვიღრიჯებით, ლუდი დაღრეჯილობას გვიქრობს, ლუდი ცივია და გემრიელი. ალბერტი შეკვეთას იმეორებს, არაყზე კვლავ ვიღრიჯებით, ლუდი კვლავ გვიქრობს დაღრეჯილობას, ლუდი კვლავ ცივია, მაგრამ პირველი კათხასავით გემრიელი ვერ არის. ეს იმიტომ, რომ მეორე პირველი არ არის და ვერც გახდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე უკანასკნელი არ არის, რადგან მხოლოდ უკანასკნელები გახდებიან პირველები. ჩვენ მეორე კათხაზე არ ვჩერდებით, ალბერტი შეკვეთას იმეორებს, ოღონდ არყის გარეშე, ლუდს ვწრუპავთ.

— ძალიან დაღლილი ვარ, ხვალისთვის გადავდოთ მოთხრობაზე ფიქრი, — მეუბნება ალბერტი.

— თანახმა ვარ, — ვეუბნები.

კაცი მშენებარე სახლის ბოლო სართულზე დგას. არც სახელი აქვს და არც გვარი. ხელში პლაკატი უჭირავს, პლაკატზე ერთადერთი სიტყვა — სიყვარული წერია. კაცი პლაკატს ხან ცას უშვერს, ხან მიწას. ქვევით პოლიციელები, ჟურნალისტები და უსაქმურები დგანან, ისინი ფიქრობენ, რომ კაცი თვითმკვლელობას აპირებს. პოლიციელები სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ და თხოვენ, თავი არ მოიკლას. ჟურნალისტებს ურჩევიათ, რომ კაცი გადმოხტეს — უკეთესი რეპორტაჟი გამოვა. უსაქმურებისთვის სულერთია, გადმოხტება კაცი თუ არ გადმოხტება, და უცბად ყველაფერი ხვალისთვის გადაიდო... ყველა უკმაყოფილოა

— კაცი, პოლიციელები. ჟურნალისტები ჯუჯღუნებენ, უსაქმურებიც.

25

პირადად მე ერთადერთი, რაც ახალი მოთხრობის დასაწყისში მომწონს, სიტყვა სიყვარულია, მაგრამ ხვალ ეს სიტყვა შეიძლება სხვა სიტყვით შეიცვალოს. მოკლედ, ყველაფერი ხვალ გაირკვევა, რა თქმა უნდა, ხვალ, ყველაფერი თუ ზეგისთვის არ გადაიდო.

26

დათო ფურცლებს უწვდის ანას, ანა ფურცლებს ართმევს დათოს, ჩანთას ხსნის, ფურცლებს ჩანთაში დებს და ჩანთას კეტავს.

— ხვალ წავიკითხავ, — ამბობს ანა.

— ხვალ თუ ზეგისთვის არ გადადე, — ეუბნება დათო და უღიმის, მარჯვენა ხელს თავზე უსვამს ანას, — წავედით?

— წავედით, — პასუხობს ანა.

დათო და ანა დგებიან და ნელ-ნელა გადიან სკვერიდან. სკვერიდან გამოსულები სამარშრუტო ტაქსის აჩერებენ. ანა სამარშრუტო ტაქსიში ადის, დათო — არა, დათოს სხვა ნომერი აწყობს. ანა ფანჯარასთან ჯდება. დათო და ანა ერთმანეთს ემშვიდობებიან, ხელს უქნევენ ერთმანეთს.

ხვალამდე.

სარჩევი

რომანი

იყო საღამო, იყო დილა 3

მოთხრობები

1:3 198
ტატო და ელენე — მელოდრამა 214
თვალთვალი ხელოვნებისთვის.....236
რამდენიმე მინიშნება 260